

664  
974/4

התאחדות  
המורים  
הישראלים

# האזנה

5

1974



ოფთი ვიჟავ, მბერს ბერლინი  
მივუპრიხე, მოვუპრიხე,  
ცხრა მაინით შემოვქახე:  
„მე არი ღა გორის ციხე!“

გალაკტიონ ტაბიძე

# სესე

204

გამომცემის მეთვრამეტე წელი

1974

5

მ ა ი ს ი

1974

თბილისი

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობა

ლიბრატურულ-მსახურული და სასტუმრო-კაფე-კვამიტბიკური ჟურნალი

# პინეაკსი

## პროზა, პოეზია

- 3. ირაკლი აბაშიძე. როდის დღეს მუზა. ლექსი
- 4. ოთარ ზილაძე. წიგნიდან: „განსვდეს სიცოცხლე“. ლექსები
- 10. ელგუჯა მაღრაძე. გოდება. (ბიოგრაფიული რომანი). გაგრძელება
- 48. ჯანსუღ ჩაქვიანი. მირზა ბელოვანი. პოემა
- 67. ზურაბ რცხილაძე. უმისაპართო წერილი. მოთხრობა
- 77. ვივი ხონიანი. ქორი. მოთხრობა

## ჩვენი დღეების რიტმი

- 87. მზია კობახიძე. ოქროს ხელები

## რაც დავიწყებით არ იზინდება

- 92. როზაბტ მეგრელიშვილი. „ძია შორა“ და „კორნაბინელები“
- 99. შალვა კობახიძე. ბუბის ნაპირებთან

## წერილები

- 18. თამაზ წიგნიძე. მიტი პასუხისმგებლობა!
- 21. დილაბ ალიევა. აზერბაიჯანელი კომედიები ქართულად
- 25. ივლიდა ქავიაშვილი. ქეთევან დედოფალი
- 29. ნანა კოკალიშვილი. მერი ზელის რომანი „ფრანკიზმანი“ და თანამედროვეობა
- 35. ნინო კილაძე, გურამ ლორთქიფანიძე. დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორიიდან
- 49. გიორგი ჩიტია, ლევან ფრუიძე. ქართული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური შედეგები
- 56. დოდო გოჯაძე. კარლო იაშვილის უცნობი ლექსები
- 158. ურვილი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩაქვიანი

ხარედაქტორო კოლეგია:

გურამ ასათიანი,  
ვალერიან ზაქარაძე,  
აკაკი ზაქარაძე,  
გივი გიგინეიძე,  
გურამ გვირგვინიძე,  
მერაბ ელიშვილი,  
კარლო ქალაძე,

კონსტანტინე

ლორთქიფანიძე,

მტია პაპიაშვილი

(პასუხისმგებელი მდივანი),

ნოდარ წულუკიანი,

ბარბელ ჯანაშიანი,

სერგი ზილაძე,

თამაზ ზილაძე,

ლავა ჯანაშიანი.

## როდის დუმს მუზა

როდის დუმს მუზა?

მაშ იტყვი ახლაც:

— მუზა დუმს, როცა ქუხს ზარბაზანი?

მაშ, სდუმდა მუზა,

როცა მტრის ლახვრად,

როცა მტრის რისხვად ჰქუხდა ბაქსანი?

როდის დუმს მუზა?

როგორ, რარიგად

ამ ზეცის გახსნას ვუთხრათ აუგი?

ის სდუმდა, როცა სწვავდნენ სტალინგრადს,

ის სდუმდა, როცა სწუხდა ძაუგი?

მაშ სდუმდა მუზა,

როცა ბორცავდა

ქერჩი მაისის,

ბრესტი მკათათვის?

მაშ სდუმდა მუზა — ხმალი ცოცხალთა.

მაშ სდუმდა მუზა — ძეგლი მკვდართათვის?

როდის დუმს მუზა,

ამ დედამიწის

მუზა ციური, მუზა ხილული?

ის ცხარე თმის ცეცხლში არ იწვის,

მას ცივი თმის აზრობს უინული.



## წიგნიდან: „გახსოვდეს სიცოცხლე“

### გაზაფხული

ისევ დამარცხდა, დაცხრა ზამთარი,  
დაკონკილ დროშას მიითრევს, მიდის..  
და ბევრი მწარე დღის გადამტანი —  
გალუმპულ ტოტზე ფრთხიალებს ჩიტი.

ის ხის სულია: ლაღი, კეთილი,  
მომნიჭებელი ცის და ნუგეშის,  
განმტკიცებელი და განწმენდილი  
ზამთრის სიავით და სიუხემით.

მის ხმაზე ქვებიც უნდა აყვავდნენ.  
რომ ჯადოსნური ფშვინვით და თრთოლვით  
კვლავ ჩაკლან ეჭვი. როგორც აქამდე  
ჩაუკლავთ არა ერთი და ორი.

მხოლოდ მის ხმაზე ისხნება კარი  
და შეჩვეული დუმილს და ლოდინს —  
ფრთხილად ნოცოცავს ოცნება გარეთ,  
ვით შინ გაზრდილი მცენარის ყლორტი.

მხოლოდ და მხოლოდ მის ღვთიურ ხმაზე  
ჩვენს შორის ისევ იდება ხიდი  
და ამიტომაც ზეიმობს ასე  
ეს ერთი სულის შეებრვა ჩიტი.

### ს ი ტ ყ ვ ა

არც სიზმარია.. სიზმარსაც არ გავს:  
წყალი ხელებში მიშრება. მწყურვალს  
და ნესნის, ვხვდები, ვხვდავ, რომ ვკარგავ  
რასაც სიბრმავეთ მიაგნო სულმა.  
და შეხიზნული ფიქრსა და წყვდიადს,  
ფიქრის, წყვდიადის გულივით ფეთქავს  
სიტყვა, —

რომელსაც უფალი ჰქვია,  
რომელიც დღემდე ვერავინ ვერ თქვა.

გაჩენის დღიდან გეძებდი, მაგრამ  
ვერ მოგაკვლიე, ვარსკვლავო ჩემო.  
ბევრჯერ ანთო და ბევრჯერ ჩაქრა  
შენი სასება სადღაც, ჩემს ზემოთ.

და აი, ისევ ციმციმებ, ელავ,  
თითქოს ღამეში ფრთა გაგხლართვია...  
და შენი შუქი, ვით ქოხში კერა,  
ჩემს აოხრებულ გულშიც ანთია.

### ელიზარ ყიფიანის სსოვნას

ირგვლივ გარტყია ოთხი კედელი,  
ოთხი უენო და მკაცრი მცველი:  
ჩვენი უმწუეო ცრემლებით სველი  
და შენი ყველა გზის ჩამკეტველი.

ძლივსდა განათებს მზე ფერმიხდილი,  
მარტო ხარ, როგორც მინდორში ზვინი  
და მთვრალი შენი პურით და ღვინით —  
შენს ამბავს ნელა ყვება სიკუდილი.

არ ჩქარობს შენი ბოლო ძმობილი,  
არ ჩქარობს, რადგან თვითონაც იცის,  
რომ უკვე ჩვენი კაცია ისიც,  
შენს ჭრელ პერანგში გამოწყობილი.

### გაუხეხავი

უკვე იცნობენ და უკვე უყვართ,  
უკვე სხეულით წინასწარ გრძნობენ  
სად გამოჩნდება ციხე ან მუხა,  
საყდარი, მღვიმე, ხიდი თუ ღობე

უკვე ქალობენ, უკვე ბიჭობენ,  
უკვე დულაბში დგანან მუხლამდე...  
არ შეიძლება, რომ არ იცნობდნენ!  
არ შეიძლება, რომ არ უყვარდეთ!

მართლა არავინ არ იცის, ალბათ,  
სუნთქვა და ცქერა ჩემსავით ხარბად.  
მომეცი ნება, მეც ვიშრიალო —  
შენს ხეებიდან ყველაზე დაბალს.  
ვით ვგებუბი წვიმებს და ქარებს,  
მეც შევეგებო, მომეცი ნება.  
ლამით, როდესაც ამოდის მთვარე,  
შენი ჩრდილები ჩემს გულზე წვება.  
და იმ უცნაურ წვიმებს და ქარებს  
მეც შეუმჩნევლად მივყვები მაღლა...  
გამიღე კარი, გამიღე ჩქარა! —  
მე შენგან შენთან მოვსულვარ ახლაც.

გახსოვდეს ვისი გორისა ხარ!

და თუ არ გახსოვს,  
თუ ველარ არჩევ მამის ნამყენს და დედის ნაქსოვს,  
თუ დაგავიწყდა იმ ჩუქურთმის, იმ სატის ფასი,  
თუ გააჩუქე წმინდანების ფლოსტიც და ფლასიც —  
რიდასთვის ისევე მოსახეუქელს, რიდასთვის ზრუნავ,  
ან ოქრო-ვერცხლით ვისთვის ივსებ ბუდეს თუ ბუნავს,  
ან რატომ უქმევ შენს ვენახში ჩაფრენილ ჩიტებს,  
ანდა „სამოთხის გასაღები“ და „სულის კლიტე“  
რადღად გჭირდება! —

ცეცხლს მიეცი, წყალს გაატანე,  
რომ ბედნიერი იყო მარად, როგორც ტანტალე.

### ბაგრატიის ტაძრის ნახევრები

სვეტის ფუძეზე ჩამოხდარა ბაგრატიის ლანდი,  
უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ დამხდარა იგი,  
უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ...

ამ უძველესი

ტაძრის დარაჯი გეგონებათ ერთი შეხედვით.  
უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ დამხდარა იგი...  
მარტო ჯდომასზე თუ შეატყობს მეფობას კაცი,  
მარტო ჯდომასზე თუ შეატყობთ, რომ სიამოვნებს  
მის სანახავად ამოსული ამღენი ხალხი.  
უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ დამხდარა იგი,  
მუხლზე ჩუქურთმის პაწაწინა უღვს ნამტვრევი,  
როგორც ფასკუნჯის მკვდარი ბარტყი, იმდენად მკვდარი,  
რომ აღარც ფერი შერჩენია, აღარც ნაკეთები.  
უხმლოდ, უსკიპტროდ, უგვირგვინოდ დამხდარა იგი  
და ბროწეულის ზანტი ტოტი, ვით სისხლას მსუფი,



იღვებს ხოლმე..

და ცოცხლდება ირგვლივ ყოველი:  
ჩამოქცეული სვეტიც, თაღიც, კედელიც, კარიც,  
ისევ იბრუნებს პირველყოფილ სახეს თავისით,  
როგორც სიზმარში... ან დღევანდელ ქართველის გულში.

## ქიდევი ერთი გულუბრყვილო ზღაპარი

წყალი მოქონდა გოგოს წყაროდან,  
გულისფრიალით გამოსცდა ბოგირს,  
წყალი მოქონდა და უხაროდა  
სიმძიმეცა და სიგრილვეც დოქის.

წელზე შეება ჭრელი ბაწარი,  
მოტანტალეზდა ყვავილის მტვერში,  
შინ კი უცდიდა დედინაცვალი  
ეკლიან წიკვლით და ჭიჭით ხელში.

სულ ერთი ბეწო, სულ ერთი ციდა,  
ერთი ყვავილის სურსელით მთვრალი  
მოტანტალეზდა და უცებ ციდან  
ერთად დაადგა მზემ ტხრავე თვალი.

მზემ დაინახა და დააფრინდა  
და გაიტაცა ცაში ხარხარით,  
როგორც სიზმრიდან ანდა ზღაპრიდან  
გადმოპარული მზეთუნახავი.



ჯერ ისევ მოჩანს გაქვავებულ მდინარის ზოლი,  
(ჯერ ისევ მოჩანს, თუმცა ქარი მთელი დღე შლიდა).  
სალამოვდება, მაგრამ მაინც ჭარბობს სინათლე,  
სადღაც, სულ ახლოს, ხმელი კუნძი საუბრობს ცულთან  
სადღაც აახლია, იწეწება ხეებზე ბოლი,  
ისე ლამაზად იწეწება და ისე მშვიდად, —  
არ შეიძლება იმ უხილავ სასლის ბინადრებს  
ერთმანეთი რომ არ უყვარდეთ... ამ წუთას თუნდაც.

## პოეზია

(მატარებლიდან)

ცეცხლი დაენტოთ ფურგონის გვერდით,  
სახეში კბენდათ კვამლის ურჩხული  
და რამდენიმე ბავშვიდან ერთი  
იღვტებოდა პურს ჩაცუცქული.

ბორბალზე ჭრელი ძონძი შრებოდა,  
კონწიალობდა ხელნაზე ღვედი  
და ჩვენსკენ მშვიდად იყურებოდა  
იმ რამდენიმე ქალიდან ერთი.

არ მთავრდებოდა ტრამალი არსად,  
ერთფეროვანი, ვით ცხენის ფერდი...  
და მობალახე ცხენს ედგა თავზე  
იმ რამდენიმე კაციდან ერთი.

გადაჰპენტვოდა თმაწვერი ნავლით,  
ავაზაკივით საწყალს და საშიშს,  
და დაგლეჯილი ტოტები შარვლის  
უფრიალებდა ტრამალის ქარში.

### ქველი სახლი

განჯინასავით გრილი და ბნელი,  
გულმკერდზე ელვის მაგვარი ბზარი —  
დღემდე არსებობს და დღემდე ელის  
წერილს, რომელსაც არავინ გზავნის.

ხელმარჯვნივ ანდა ხელმარცხნივ დარჩნენ  
მტრისა და მოყვრის მოწყვანი გზები...  
მის ჩაბნელებულ თუ ჩამკვდარ ფანჯრებს  
გარედან მშვიდად უცქერენ სხვები.

მეტოვებული და სასურველი.  
პატარა, როგორც გულის ყალიბი —  
გაქედნითილრა მძაფრი სურნელით  
პატიოსნების და სიღარიბის.

ჩამქრალ ღუმელთან აჩრდილი პაპის  
მორიდებულად დგას, როგორც მდგმური  
და მაგიდაზე ბებერი ლამპის  
მკრთალ სინათლეში ბიბინებს პური.

ათასნაირი ფუტფუტებს ჩრდილი,  
სარკმელში მთვარის ირხევა ტოტი  
და ცვივა თუთა, ჩიტების წილი...  
და სადაცაა იკივლებს ჭოტი...

ჩემი ბავშვობის მკვლელი თუ მცველი,  
გაქვავებული ცრემლი თუ წუთი —  
დღემდე არსებობს და დღემდე ელის  
სალამს, რომელსაც არავინ უთვლის.



მიდის, მიღელავს მდინარე ვერე...  
სამი თვის მკვდარი გაცოცხლდა მწერი,  
იმ უსაშველო ყინვების მერე  
კვლავ დაუბრუნდა ფლატეებს ფერი.

და აი, ფუჭი ოცნების ხვედრი —  
ჩაიწვა, ჩაქრა ბოლო სანთელიც  
და მიეგლისა გარინდულ კედლებს  
შავი პეპლების კორიანტელი.

არარსებული გზებით დაღლილი  
ჯერ ისევ აქ დგას შენი აჩრდილი  
და ძვლებს მილოღნის, მშვიერ ძალღავით,  
ტკივილი, უკვე ბევრჯერ განცდილი.

ბრწყინავს, წკრიალებს დილის ეჟვანი,  
ჩვენი გამყრელი და გამრიყავი...  
და აფართხუნებს ფრთებს კაქშანი,  
როგორც ნაზამთრალ ხეზე ჭილყავი.



მსურს, დაგიტოვო უნარი ხილვის,  
მარადიული წვის და დუღილის...  
ზამთარი — თავის თოვლით და ყინვით,  
ზაფხული — თავის ჭექა-ქუხილით.

მსურს დაგიტოვო სხვათა ტკივილის  
და სიხარულის განცდის უნარიც...  
სოფელი — სახსე მამლის ყივილით,  
ქალაქი — კედლებს შორის მბრუნავი.

კიდევ გიტოვებ ორ ლამაზ ყმაწვილს:  
დღესა და ღამეს, ძილსა და ღვიძილს, —  
განთქმულს სიკეთით, სიწმინდით, ღვაწლით,  
როგორც ქურდობით, კვლითა და სიძვით.

იმ საწყალ გოგოს ცრემლსაც გიტოვებ,  
ჩემს მილოღინში დღემდე რომ ტირის.  
დანარჩენს, ალბათ, ნახავ თვითონვე:  
ნაცარს დამწვარი ჩიტის და სტიკირის.

ნახავ გაღეულ კალამს და ვარსკვლავს,  
თავზე რომ ედგა ჩემს ხრიოკ მინდვრებს...  
და თუ ანდერძი კაცს მართლა არ კლავს,  
ჯერ ნურც შენ მომკლავ... მამყოფე კიდევ

ელგუჯა მელრამა

# გ ღ ზ ე ბ ა

„ნადირობით მომინადირეს მე, ვითარცა ფრინველი, მტერთა ჩემთა“.

გ ღ ზ ე ბ ა იერემიასი.

## ლექსების ტყე

იწყება ღრამის მეორე მოქმედება. შემთხვევით არ აყენებს პატრიოტი პოეტი ერთ სიბრტყეზე ქვეყნის წახდენასა და პირად ძნელბედობას. დანგრევასთან სდევს მისი პირადი ცხოვრების ტრაგიკული, არანაკლებ ზაფრის დამცემი და გულსაკლავი ამბავი — დავით გურამიშვილის ლექთაგან დატყვევება.

ვთქვამ იმ დღისა დამსწრებსა! აჲ სათქმელათაც ძნელია,  
კაცთაგან თვისი აუცი საზარლად საუბნელია,  
ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს მოვხვიან  
ბნელია...

ლამისყანაა ის სოფელი, სანიდანაც გაიტაცეს დავითი. სწორედ ამ სოფლიდან იწყება მისი ცხოვრების ეკლიანი გზა. გამტაცებლებს რომ მსხვერპლის ნამდვილი ფასი სცოდნოდათ, უფრო მაგრად გაბაწრავდნენ, უფრო ერთგულად უღარაჯებდნენ და გაქცევის საშუალებას კი არა, მასზე ოცნებას მოუსპობდნენ. ქვეყნის წახდენის მიზეზით დავითიც ძნელბედობის ვიწრო, მოლიპულ ბილიკებს მიჰყვება და ნათე-

სავებთან აფარებს თავს ლამისყანაში. მუხთალი საწუთრო კი არც ამ დამადლებული ლუკმის ჭამას დააცლის, ულმობელ კლანჭს მუხანათურად გამოჰკრავს და დადესტნის გრილ მიწაში ცოცხლად დამარხავს. საწუთროს განჩინების და მწარე ხვედრს დავითი ისუ ზირაქის სიბრძნის მეოხებით იიოლებს: „მწარედ ცხოვრებაი არს სახლითი-სახლად სლვაი“.

ცხოვრებით დაბრძენებული პოეტი მაინც ეპიური სიმშვიდით იწყებს თავისი ცხოვრების ამბის თხრობას:

მო ყური მივდე, მოვითხრობ ტყვედ ჩემსა  
წამოყვანასა.  
ქვეყნის წახდენის მიზეზით ვსცხოვრობდი  
სხვის ქვეყანასა,  
ხალაც უხმობენ სახელად, ქსნის თავზედ,  
ლამის-ყანასა,  
მუნ მოყვრის მუშას თავს ვადექ, მკას  
უპირებდი ყანასა.

იმ უბედურ დღეს დავითი ალიონზე ამდგარა და ქსნის ხოდაბუნებისაკენ ორი კაცის თანხლებით წასულა, რათა მამითადი წესისამებრ „ძროხით, ცხვრითა და ლორით“ გადაეხადა. ყანის მკელები შორიდან ყოფილან მოსასვლელ-

გაგრძელება. ღასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 4.



ნი და მათ მოლოდინში ცივი წყლით პირის დასაბანად. და გასაგრძელებლად დავითი წყაროსთან მისულა. თოფი და ხმალი მუხის ძირას მიუყუდებია, და როცა პეშევები წყლით აუვსია, თავს აღრევე მზირად დამსხდარი ლეკები წასდგომიან. წყარო, საიდანაც დავითი გაიტაცეს, დღესაც მოჩუხჩუხებს. ჟამთა სიავეს გადარჩენილი რამდენიმე მუხა დღესაც იხილება წაშლად წყაროს შემოვარენში, მაგრამ ის ხშირი ტყე, რომელსაც გურამიშვილი ახსენებს და რომელშიც მზირად დამსხდარი ლეკები, როგორც საფარში, ისე უვნებლად გრძნობდნენ თავს, გაუკავავთ, ან დროის მსახურალ ხელს გაუმეჩხერებია, მზეს მიწა გამოუშვრია და ხშირი მუხნარი პირისაგან მიწისა აღგვილა.

დავითის მონათხრობი ამბიდან ისაც ირკვევა, რომ მის მოყვარეს იმ ძნელბედობის ჟამსაც კი ჰქონია ცოტა რამ შერჩენილი. თუკი ყანის მკელებს მამითადში „ძროხით, ცხვრით, ღორითა და ღვინით“ უმასპინძლდებოდა.

ღარანში გატვრენილი თევზებივით უხმოდ მსხდარ, სუნთქვაშეკრულ მზირებს რა უხილავთ ძვირფას თოფ-იარაღ-ასხმული, კარგად ჩაცმულ-დახურული ჰაბუკი დავითი. (გურამიშვილი ხომ თვითონ გვიმოწმებს რომ მისი მამა-პაპანი და ქალ-რძალნი სამეფოს კარზე ლხინსა თუ ჰირში ძვირფას ქათიბებში გამოწყობილნი და მოსირძულ-მოყაშ-მულნი დადიოდნენ), მარტო მისი შეპყრობა მოუწადინებიათ და ის ორნი კი, ვინც იმ უთენია დილას თან ახლდნენ დავითს, აღარც პოეტის მონათხრობში ჩანან სადმე და არც თანამედროვეთ შემოუნახავთ რაიმე ცნობა მათ ვინაობასა და ასეველ-დასავალზე.

მუნ ახლოს წყარო დიოდა, მანთან ტყე იყო ხშირადო, იქ მოგვეპარნენ, დავისხნენ თსუთმეტი კაცი მზირადო! ავიხნენ თოფი და ხმალი, მივეყუდე მუხის ძირადო, იმ წვალზე პირის საბანად მე მიველ თავის ჰირადო.

ჩასაფრებული ავაზაკები იარაღურით, უმწეო მსხვერპლს იმაზე დროს ველარ შეურჩევდნენ, როცა წყაროზე პირს იბანდა. ისინი უეცრად საფარიდან გამოცვივდნენ, დავითი შებოქვის და უნცუქულისაკენ ქმნეს პირი. ძვირფასი ტყვის გამტაცებლები, რალა თქმა უნდა, ტყე-ტყე ვიდოდნენ.

ჯერ მოშრიალე ხენი მიეფარნენ თვალთ, მერე წიწვოვანიც მოთავდა და უნცუქულის მიდამოებს რომ მიუახლოვდნენ, გზა უფრო ძნელად სავალი შეიქმნა. მხრებგაქრულ ტყვეს აღარც მაცოცხლებელი მთის ნიაფი ესალბუნა, ველარც უღრუბლო, ლურჯად მოკაშკაშე ცაშ მოსწყვიტა მზერა. ენით უთქმელი მშვენიერი ბუნებისადმი იგი გულგრილი დარჩა მაშინაც, როცა ახლად ამოსულმა მნათობმა თოვლით დაფარული მთათა გრეხილი სხვადასხვაფრად ააუღვარა.

თვალისმომპრელი შექჩრდილები მოსდებოდა მთათა მწვეგრვალებს და ფერთა უთვალავ სიუხვეში ჩაიკარგა კავკასიონის ქედების უწყვეტი ჯაჭვი. ველური ყვავილები, მწვანედ მოხასხასე მთის ძირები რომ სპარსულ ხალიჩასავით მიექარგ-მოექარგათ და სხვადასხვაფრად აელვარებდნენ მთათა ფერდოშებს, სხვა დროს, ალბათ, სულს წარბაცებდნენ, ცად აღაფრენდნენ და მუხათა საუფლოში გადასტყორცნიდნენ. ტყვექმნილის სულს კი აღარც ყვავილთა ჯარით კეთილსურნელოვანი ფშვა ესალბუნებოდა და ვერც მრავალფრად ვასხივოსნებულნი მთები სტაცებდნენ მზერას. მას არც მწვანით მოსილი მთების ფერდობებზე ყვილიად მობრიალე ველური ზამბახები შეუნიშნავს, რადგან „მუდამად თვალთა ნაკადი მდუღარე ცრემლი სდიოდა“. მარადიული თოვლით დაფარული, მზისაგან სხვადასხვაფრად ვასხივოსნებულნი მთათა არილი, ცხოველყოფელი მნათობის მეწყამულ ფერთა კაშკაში, მოსარკული

მღაუჭა მალბამი  
გოღობა



ცის ლურჯად კამკამი, მწვანედ მოხას-  
ხასე მათა ფერდობების ბრწყინვა, ნი-  
ავისაგან მოღვივლივე ველურ ყვავილ-  
თა ჯარის ათასფრად ჭიატი და ელვა მის  
ცნობიერებაზე თავის გავლენას ვე-  
ლარ ახდენდა. დავითისათვის ყველასა  
და ყველაფერს დაეკარგა ფასი, ყველა  
და ყველაფერი უიმედობის ჯანდსა და  
ბურუსში ჩანთქმულიყო. გონებას რა-  
ღაც ნისლი შემოსწოლოდა, ჩვეულებ-  
რივი გამჭირიანობა ამ პაეროვან სქელ  
ბურუსში ჩაძირულიყო და ველარ ატან-  
და. იწყებოდა დაღესტნის მიუვალი ჭი-  
უხები, მარადიული თოვლით დაფარუ-  
ლი, თვალშეუდგამი მთები, ლეკეთის  
ბუნებრივი ჯადო-საფარი, მათი თავი-  
სუფლების ამაყი დამცველი, ბასტიონი  
და ბურჯი.

შემოპყრეს, წამოშიყვანეს, ხელ-ფეხს  
შომიდვეს გენია,  
გარდმომატარეს ასი მთა, მინდორი ცხრა  
იმდენია;  
მულამად თვალთა ნაკალი მდულარე ცრემლი  
მდენია.  
მაჰამეს დუშა და ხალი, მახვრივს ხინკლის  
წვენია.

საკუთარი უძლურობის გამო დვრინავს  
პოეტი და დუშას ვინდა ჩიოდა, ნეტავი  
მადლივ ჰქონოდა! დრო იყო ავი და  
შავი, აღამიანზე ნადირობა, მისი შეზყ-  
რობა, ტყვედ გაყიდვა და ამით სახელი-  
სა და ფულის შოვნა კავკასიის მთიელ-  
თა ზოგიერთ ტომებში სასახლო საქ-  
მედ ითვლებოდა და ამის გამო ასეთ სა-  
თაკილო ხელობას ბევრი მიმდევარი  
ჰყავდა. ვისაც მკლავი უჭრიდა, ძალა  
მოსდევდა, გული ერჩოდა და ნამდვი-  
ლი ჭივიტის სახელი ენატრებოდა, რამ-  
დენიმე თავზეხელაღებულ კაცს აიყო-  
ლიებდა, პატარა რაზმს შეადგენდა და  
თავს რისხვად ატყდებოდა მოძმეთა და  
ახლო მეზობლებს. ერთი ასეთი რაზმის  
მსხვერპლი შეიქმნა დავით გურამიშვი-  
ლიც. ჩვენ არ ვიცით, რამდენი შიში-  
ლი, წყურვილი და დამცირება გადაი-  
ტანა ტყვედქმნილმა გზაში, ვიდრე ალა-  
მიანებზე მონადირენი უნცუქულში  
ჩაიყვანდნენ: „გაი რად დავრჩი ცოცხა-

ლი, შენ, თაო, ჩასაქოლადლო!“  
ლალებს და გოდებს პოეტი მრავალ-  
წლის შემდეგაც, თორემ მაშინ საკუთა-  
რი თავის გამოტირებისა და აღკუმინ-  
ვის თავი სად ექნებოდა! ეტყობა მისმა  
გამტაცებლებმა სამოსისა და საქურვე-  
ლის მიხედვით დაასკვნეს, რომ ტყვეში  
დიდ ვასამარჯლოს აიღებდნენ, ცოტა  
ხანს უცადეს მის ჭირისუფლებს, მაგ-  
რამ ამაოდ. ტყვედქმნილს მომკითხავი  
და ჯოჯოხეთიდან გამომხსნელი ძეხორ-  
ციელი არავინ გამოუჩნდა; იქდა ბნელ  
ხაროში ცოცხლად დამარხული, ცის ნა-  
თელს დანატრებული ჭაბუკი და სა-  
ტანჯველს გმირულად იტანდა, არსთა  
გამრიგემ ტანჯვა დავითს აღამიანის  
პირველცოდვის გამო არგუნა, თორემ  
პირადად, თვითონ ხომ არავისათვის  
არაფერი დაუშავებია.

დაღესტნის ისტორიაში უნცუქული,  
ოსოქოლო, როგორც ქართველობა ეძახ-  
და, დავითის დროს სახელგანთქმული  
სოფელი არ ყოფილა. ამ სოფლის სა-  
ხელს ასი წლის შემდეგ შეიტყობს რუ-  
სეთი და განათლებული ევროპა. ამ სრ-  
ფელზე აცხადდება ნაპოლეონის სიტყ-  
ვები: „სოფელი სახელგანთქმული მაში-  
ნაა, თუ იქ დიდი ომი მოხდებაო“.   
უნცუქულის თავზე დიდმა ომებმაც  
გადაიარა და ხალხიც ბევრი გაიჟუჟა. ამ  
სოფელს მდიდარი ბაღჩაბაღებიცა  
აქვს და საღმრთო ომის სახელმძღვ-  
ეპილ გმირთა პლეადაც გამოუზრდია.  
უნცუქული ცნობილია ჩვენთვის, რო-  
გორც დავით გურამიშვილის ეკლიანი  
გზის დასაწყისი და მძიმე გადასასვლე-  
ლი. როცა პოეტის ტყვეობის ამბებს  
ეხებიან მკვლევარები, სამართლიანად  
მიაპყრობენ ყურადღებას ილია ორბე-  
ლიანის გვიანდელი ტყვეობის ამბავს,  
რაც საკმაოდ დაწვრილებით აქვს აღ-  
წერილი თვითონ ილიას თავის მემუა-  
რებში. ილია ორბელიანის მემუარები  
ლეკთა ტყვეებზე გამოაქვეყნა ჩვენმა  
სახელოვანმა პოეტმა გიორგი ლეონი-  
ძემ. ლეკები ჩვეულებრივ დატყვევე-  
ბულთა და დამნაშავეთა საპატიმროდ  
მიწას სიღრმეში ორნახევარ მეტრამდე



და უფრო ღრმადაც თხრიდნენ. ასეთი ხარო რამდენიმე კაცის ერთად საჯდომად იყო ნავარაუდევი. მიწის სინესტი-სა, ხაროში მჯდომთა ოფლის, შმორის და უწმინდურებისაგან იქაურობა ისეთნაირად ყარდა, რომ ხაროში მყოფთ სული ეხუთებოდათ, დაბადების დღეს იწყევლიდნენ და ერთთავად სიკვდილს ნატრობდნენ. ხაროში ჯდომა იყო ნამდვილი ჯოჯოხეთური სატანჯველი. ხაროებს ზემოდან უხარმაზარი ქვის დოლაბები ეფარა, შიგ სინათლის სხივები ოდნავ ცრიატებდა, რის გამოც იმ ხაროებში მოხვედრილმა ბევრმა ადამიანმა დაკარგა თვალისჩინი. ამ განსაცდელს ვერც დავით გურამიშვილი გადაურჩა, თუმცა სიჭაბუკეში გადატანილმა ჭირმა, მხოლოდ სიბერეში უწია და უსინათლო ჰყო. ხაროებში პყრობილთ, ფეხთ და ხელთ ხუნდები ედოთ. ხაროებს ზემოდან ადგა საყარაულო ფარდულები, რაც ორმოში ჰაერის მოძრაობას კიდევ უფრო აძნელებდა და შიგ მყოფთ სული ეხუთებოდათ. საქმელს: ქუმელსა და ხინკალს პატიმრებს ზემოდან პირუტყვებივით უყრიდნენ, წყალს კი ყმაწვილები თიხის ჭურჭლით უზიდავდნენ და ხბორებივით ასმევდნენ. დაღესტნის ხაროებში ბევრი შემდგომში ცნობილი რუსი სამხედრო მოღვაწე მჯდარა და ბევრმა შეპქმნა ტყვეობის ავადმოსაგონარი მემუარები. ამ მემუარების ჩაყვითლებული ფურცლებიდან თითქოს ახლაც ცხადლივ შეიგრძნობა ის ტანჯვა, ვაი-ვაგლახი, სულის ხუთვა, ცოცხლად დამარხულთაგან ღვთისათვის სიკვდილის გამოთხოვა და აჯა, რასაც ტყვედქმნილი, ხუნდებდადებული უმწეო და აქოთებული ადამიანები განიცდიდნენ. გენიალურმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ ჰაიმურატში უკვდავყო დაღესტნური ხაროს საშინელებანი: „შამილის საზეიმო შემოსვლას ვედენოში ვერც ჰაი-მურატის ვაჟი იუსუფი ხედავდა... იგი დიღეგში ანუ ერთ საყენზე უფრო ღრმად ამოთხრილ ორმოში იჯდა ოთხ დანაშავესათნ ერთად, რომლებიც მა-

სავით თავიანთ განაჩენს ელოდებოდნენ... იუსუფს მყარალ ორმოში მხოლოდ სროლის ხმა და სიმღერა ესმოდა. იგი იტანჯებოდა ისე, როგორც იტანჯებიან თავისუფლებამართმეული ახალგაზრდები, სიცოცხლით სავსე ადამიანები მყარალ ორმოში, უყურებდა მასთან ერთად დამწყვედეულთ, მასავით უბედურ, ჭუჭყიან, ბინძურ და ქანცგამოღულ ბედისაგან განაწირთ, რომელთაც ერთმანეთი ეჯავრებოდათ და ეხარბებოდა მათი, ვინც სუფთა ჰაერით სუნთქავდა, სინათლის შუქით ტკბებოდა და თავისუფლებით ნეტარებდა“. დაღესტნური ორმოს საშინელება ტოლსტოის კალამმა „კავკასიის ტყვეს“ მეექვსე თავშიც შემოგვინახა: „ჟილინისა და კოსტინის ცხოვრება კიდევ უფრო გაუარესდა. ხუნდებს არ ამორებდნენ, როგორც ძაღლებს, ცომს ზევიდან უყრიდნენ და წყალს დოქით აწვდიდნენ, ორმო ყარდა, ჰაერი დახუთული იყო. სინესტე მძვინვარებდა. კოსტინი მთლად დაავადმყოფდა, გასივდა, ძვლები სტეხდა, ერთთავად კვნესოდა, დავლახკა და საპყარი შეიქმნა. ჟილინმაც ყურები ჩამოყარა. ხედავდა, საქმე ცუდად იყო და აღარ იცოდა, როგორ უშველა თავისთვის“.

ასეთ ხაროში იჯდა, ტყვედქმნილი, ჭაბუკი გურამიშვილი და ერთთავად გაქცევის ოცნებათა ზმანებებში იყო გაბმული.

ერთ საღამოს უნცუქულის შემოგარენში ძლიერმა ქარმა დაჰბერა. ქარბობოლა ისეთი ძალუმი იყო და ისეთი ხმაურიანი, რომ ხაროში ჩამწყვედეულმა ტყვემაც იგრძნო სტიქიის სუსხი. ქარი ფარდულშიც შეიჭრა და ხაროსთავზე დაფარებულ დოლაბსა და მიწას შუა დარჩენილი ჭუჭრუტანიდან უსასოოდ შთენილ ტყვესაც უღობობლად დააცხრა. სულ მალე ქარმა უნცუქულის თავზე საავდრო, ჩაშავებული ღრუბელთა ჯარი შეპყარა. შექა-ქუხი-

ილავუზა მალრამა  
თელავა



ლის გამაყრუებელმა ხმამ, მთებიდან-მთებამდე გავარდნილმა ექომა და თვალისმომკრეღმა ელვამ მეტყველთა და პირუტყვთ ერთნაირად აგრძნობინა საშინელების მოახლოება. უცებ ზევიდან ისეთი ოქეში წამოვიდა, თითქოს ცამ პირი გახსნაო. კარგახანს ასხამდა კოკისპირულად. მალღობებიდან ზათქით დაშვებულო, გაცოფებული ნიაღვრები ყველასა და ყველაფერს ერთიანად უქადდნენ წალუკვას. გომურებში ჩამწყვდეთულო რქოსანი პირუტყვის, ღია ცის ქვეშ ბაკებში და საჩეხებში მყოფი ცხვრის, თხების და ცხენების საწყალობელი ბღაგიღ-ჭიხვინი და პეტელი უერთდებოდა მთებიდან გაცოფებით ჩამოვარდნილი ნიაღვრების ზავითან ხმაურს. ძაღლები წკმუტუნითა და ყვეფით აპყვენენ საერთო გნიასს. მაგრამ მალე ისეთი საცოდავი ლავლაღი და ყმული გააბეს, როგორც პატრონის სიკვდილის ყამს იცის ამ ერთგულმა პირუტყვმა. ხაროში ცოცხლად ჩამარხულმა ტყვედქმნილმაც იგრძნო საშინელების მოახლოება, მაგრამ შიშის ნაცვლად მის გულს სიხარული დაეუფლა. ალბათ ჩემს ტანჯვას ბოლო ახლა მაინც მოვლებო, ვარაუდობდა საგონებელში ჩავარდნილი. ფიქრებაშლილს სრიგინის, მტკრევისა და ლაწა-ლუწის ხმა უფრო ახლოდან შემოესმა. უსასოქმნილი, მოახლოებულ სიკვდილს მშვიდად ელოდა, პირჯვრის წერით არსთაგამირიგეს ცოდვების მიტევებას შესთხოვდა. ვიდრე ქვეყნიერებას მოწყვეტილი იმას იაზრებდა, რაც გარეთ ხდებოდა, ხაროში წყალი - ჩაუვარდა — მაინც რა უსახელო სიკვდილი მეწვიავო, — ვაიფიქრა ტყვემ.

ხაროს თავზე წისქვილის უზარმაზარი დოლაბი ეხურა, რომლის აწევას ექვსი ღონიერი კაცის ჯანი სჭიროდა. ტყვის მეპატრონეს ხაროს თავზე წამოდგმულ საყარაულო ფარდულში ოწინარი ჰქონდა მოწყობილი და საჭიროების შემთხვევაში დოლაბს მალლა იმ ოწინარის საშუალებით ეწეოდა. სწორედ მაშინ, როცა ყველას ეგონა ცა

თავზე გვემხოზაო, დავითისათვის გაიხსნა სასუფეველი ცათა. მოვარდნილმა წყალმა საყარაულო ფარდული წაქცია, ჩამოვარდნილი სახურავი ოწინარის ყანთარს დაეცა, ხოლო დაწეულმა ძელმა დოლაბი პაერში აიტაცა და ვიდრე ორმო წყლით აივსებოდა ტყვექმნილს განხმული ცა დაანახვა. იმ უკუნეთში ცაზე ელვის გაკრთომა დავითმა საკუთარი თვალთ იხილა, სინათლემ თვალი მოსჭრა, მაგრამ სასწაული არ დაიჯერა, ზმანებად ეჩვენა, რადგან კარვად უწყოდა ხაროს უზარმაზარი დოლაბი ეხურა. ამასობაში ორმო წყლით აივსო. წყალმა დავითი მიწის ზედაპირზე აატივტივა, ჯერ მიწის ზედაპირზე ამოავლო და მერე ქვევით, ხევისაკენ გაიტაცა. ცივმა წყალმა წყალწაღებული ზმანებათა საყელოდან მაინც მალე გამოაფხიზლა. დავითი გონს მოეგო და ახლა სტიქიას ინსტიქტით შეებრძოლა. ტყვეობიდან შემთხვევით თავდახსნილი უცებ ნიაღვრისაგან გაშიშვლებულ ჯავის ფესვებს ჩაეჭიდა და ერთხანს წყლის ზედაპირს შერჩა. წყალმა სხეული გაუთოშა, მაგრამ ისე იყო ჯავის ფესვებს ჩაფრენილი, რომ მისი იქიდან მოწყვეტა არა ძალას აღარ შეეძლო. გადაიკარა, ერთბაშად მოვარდნილი ღვარცოფი ერთბაშადვე დაცხრა. მხოლოდ მაშინ იგრძნო დავითმა, რომ უწყალო სტიქიამ, ზოგჯერ ადამიანზე ლობობიერმა, იხსნა და თავისი განთავისუფლება სტიქისათვის უნდა ემადლა. ღმერთი ასენა, ხსნის გზას დაადგა და მოიგონა: „მეოტად წარვიდე მთათა დაღესტნისასა“. იცის, რომ რაც შეიძლება მას უნდა გაეცალოს იქაურობას, თავს უშველოს, გარბის კიდევ, მაგრამ ფეხშიშველს ფეხისგულები სტიკია, ნაბიჯის გადადგმა უჭირს, ცდილობს დაითმინოს, იქნებ როგორმე დააღწიოს თავი განსაცდელს. არსთაგამირიგეს შესთხოვს ატანინოს ტანჯვა, კიდევ მეტი მოთმინებით აღჰურვოს, დახეთქილი ფეხისგულებიდან სისხლი დასდის, მაინც წინ მიიწევს, იქნებ გააღწიოს სამშვიდობოს... სასწაულებრივად კი დააღწია თავი





ვი იმ ჯოჯოხეთს, ცოცხლად რომ იყო ჩამარბული მიწაში. ახლა უკუნი ღამის იმედიც აქვს. თვითონ ხომ აღარაფერი დარჩენია დასაკარგი, თუ მდევარს თავი დააღწია, თავისუფლებას ეწევა. ჯერ ალბათ საქონელსა და ცხვარს მოიკითხავენ, მისი ჯაფრი ვის ექნება? როცა ჯერი მასზე მიდგება, იგი, ალბათ, შორს იქნება და ვეღარ მისწვდება. არა, უკუნ' ღამეში ვინ გამოედევნება, ღამე აღამიანებს მაინც თავისებურად აკრთობთ და აშინებთ! მზეს ხომ უფრო ძლიერი შუქი და ამდენად ჩრდილიც ძალში აქვს მთვარისაზე, მაგრამ ჩრდილი მთვარისაა უფრო საშიში. ღამე აღამიანის სულიერ ძალებს ძაბავს და ცრურწმენას უძლიერებს. აღამიანს ჰინკები და მოჩვენებები მხოლოდ ღამით ელანდება. ამისი იმედი აქვს და წინ მიიწევეს. კარგად იცის, ქვევით-ქვევით უნდა იაროს. დაღესტანი მადლსა, მისი აულები კავკასიონის მთის კალთებზეა შეფენილი, დავითის სამშობლო კი კავკასიონის მთათა გრეხილების დაბლა იწეება, ამიტომაც სულ ქვევით ისწრაფვის.

შემოათენდა. „აღსასრულამდე ნუ ჰნატრი კაცსა“, — ამბობს ისუ ზირაქი. და როცა მთათა ნაპრალებსა და ხევხუეებში ნათრევსა და ნახეტიალეგს თავს დედამიწის მარადიული დევნით მოუღლევი მნათობი წამოადგა, — მეშველა, გზას უფრო კარგად გავიგნებო, — იფიქრა, გარნა ძველ აღთქმაში მოთხრობილი ამბავივით არ მოხდა ყოველივე და „დავითისათვის ტანი არ შთაუტყვევიათ ჯაჭვი და თორანი და ჯაჭვსა მას ზედა იალმაგი და ჩაფხუტი სპილენძისია არ დაუდგამთ თავს მისსა“. დადარაჯებულნი მზირნი აღდგნენ ადგილით მათით და კვალში ჩაუდგნენ. პოეტის პოეზიაზე დიდი ჯაფა არ დასდგომათ. გუმანით იცოდნენ, რომ პირს სამშობლოსაკენ იზამდა. ჩაფხუტის დადგმის მაგიერ კეტი გაჰკრეს, ჯაჭვები კი, ხელებზე და დასისხლიანებულ ფეხებზეც დაადეს; მაგრად დახუნდული, ცხენზე ხურჯინივით გადაჰკიდეს, ზედ

მაგრად დააკრეს, ისევ უნცუქულში მიიყვანეს და უფრო ღრმა და საიმედო ხაროში ამოაყოფინეს თავი. თვითონ არაფერი გაუგია, კეტი რომ გაჰკრეს, გონი დაჰკარგა, თუმცა ამან ვერ უშველა, გაპარგისათვის მაგრად დააპანდურეს და უწყალოდ სცემეს. გაპარვის შედეგი კი ხაროში როცა გონს მოგოდა, მერე შეიტყო, მთელი სხეული დაბუყებოდა, ყოველი სახსარი სტკიოდა, ძვლები სტეხდა, პირი აბედივით გახდომოდა, წყალი რომ ჰქონოდა, მისი სმით გულს ცოტას მაინც მოიხებდა, მაგრამ ვის ჰქონდა მისი ჯაფრი, რომ დაერწყულებინა. იწვა სიცხისაგან არაქათგამოცოლილი, სვედავსილი ვაყვაცი ბნელსა და ნესტიან ხაროში: „მოედგა მწარედ სახმილი. შეიქმნა დადაგულობით; დაეწო გული და დეიძლი, ნაწლავნი გათანგულობით...“ მარტოდშთენილი სიკვილის, ან შეველას შესთხოვს ყოვლისშემოქმედს, მაგრამ ამაო იყო მისი მუღარა და აჯა, სიკვილი აგვიანებდა და გზა ხსნისა კი არსით სჩანდა.

როგორც დიდბუნებოვან აღამიანებს სჩვევიათ, დავითი სათქმელს პირდაპირ გვიმხელს, გულახდილია და რაც არ უნდა განსაცდელი გადახდეს თავს, ჩრდილს თავს არ აფარებს, არ ერიდება სიმართლეს, არც შიმშილს მალავს და არც გაქცევასათვის მიღებულ საზღაურს — ცემასა და „დაპანდურებას“. ამით აშკარად გვაგარძნობინებს თავის სიმაღლეს.

ხარო რამდენიმე კაცისათვის იყო დილეგად გათვალისწინებული, მაგრამ დავითს თავიდანვე შეუკრა ბედი, იგი ხაროშიაც კი ორივეჯერ მარტო აღმოჩნდა. დაეკვებება მარტობა და ყველგან და ყოველთვის მარტოსული იქნება უღაბნოდქვეულ ვრცელ ქვეყანაში... „მარტო ვიყავ, არვინ მყვანდა მეღვთის მეტი სხვა პატრონი“, — გოდებს პოეტი. შეჰპირებულნი ტყვე ღმერთს ეაჯება, ხსნას შესთხოვს, ქვეყნისა და ახ-

ელაგუჯა ვალაჰამი  
გოდება

ლობელთა სეეს ავედრებს უფალს, მი-  
გან სიკეთეს მოელის, მაგრამ განსაც-  
დელში ჩავარდნილს თითქოს ღმერთიც  
განუდგება, ტყვეობიდან. თავდახსნილს  
ისევ დამატყვევებელთა ხელში ჩააგ-  
დებს. თავსდატეხილი უბედურებით  
შეძრწუნებულს ერთხელ ღვთის საგმო-  
ბი საყვედურიც წამოსცდება ხაროში,  
მერე უფლის წინაშე გულწრფელად,  
გულმხურვალედ მოინანიებს ცოდვას.  
გულში სანუგვარი ოცნების ფრთის-  
შესხმას — გაქცევაში ხელის შეწყობას  
ვედრება ყოვლისმცოდნესა და ყოვე-  
ლის წინასწარმპყვრეტს, სხვა თანამდგო-  
მი, შეაწე და დამხმარე არავინ უვის ამ  
ქვეყნად და ისევ უფალს მოუხმობს  
სწველად გასაჭირში, ისევ მისი მოიმე-  
დე ანაბარია. აბა რა ჰქნას, ვის მიმარ-  
თოს?

„ღმერთს მივენდე, მან ისმინა იგი  
ჩემი საუდრონი“, — ვალალებს ბედი-  
საგან განაწირი დავითი და გაქცევაზე  
მეოცნებებს ძილში ჩაესმის: „აქ რას  
უწევხარ საძილოდ, რატომ არ წახვალ  
შინაო! ადექ, იარე, წავიდეთ, მუ წა-  
გიძღვები წინაო!“ გამოიღვიძა და გაახ-  
სენდა პავლე მღვდლის დამოძღვრა:  
„სიზმარი არის ადამიანთა სიზმარეული  
ცნობიერების მონათავარი აზრი, სიზ-  
მარი არის ღვთაებრივი აზრის გამოწა-  
შუქი ადამიანის აზროვნებაშიო. თუმცა  
მისი სათაყვანებელი და მისაგან შეყვარ-  
ებული ბრძენი ისუ ზირაქი სრულიად  
საწინააღმდეგოს ქადაგებდა: „მისნობანი  
და სიზმარნი ამო არიანო“. იმჯერად  
დავითს ხელს არ აძლევდა ისუ ზირაქის  
სიბრძნის მიყოლა და აქი თვითონვე  
გვამცნობს:

ხმა მესმა ძილსა შინაო: „რას ზვირინე,  
რასა უფინაო?  
რატომ ვერ ბედავ წახვლასა, აგრე რამ  
შევაშინაო?

თავისუფლების ტრფიალი ქართველი  
პოეტი შიმშილმა ვერ დათრგუნა, იგი  
არც მკაცრ სასჯელს შეუდრკა, მისი  
ამაყი სული ვერც ჯოჯოხეთურმა სა-  
ტანჯველმა ხარომ გატეხა, სიზმარი ამო  
არსო, — ამ აზრისათვის იმჯერად ისუ

ზირაქსაც განუდგა. პავლე მღვდლის  
კეთილი სახე და აზრი იწინააღმდეგე-  
ბის ირწმუნა: ღმერთი გამომცხადარ შილ-  
ში და გამიმტლავნა ტყვეობიდან თავი  
როგორ უნდა დავიხსნაო. იგი არც და-  
დარაჯებულ მზირთა ფხიზლად თვალ-  
თვალს შეეხუა. ხაროს თავს დადებულ,  
უზარმაზარი დოლაბის ქვეშ, საიდანაც  
მზის სხივიც ველარ აღწევდა ორმოში,  
რათა „ტყვეს არ ეხილა ნათელი მზისა  
თუალისი“, დასისხლიანებული შიშვე-  
ლი ხელებით მიწა თხარა, თხარა, თხა-  
რა, დოლაბი ძირს ჩამოაგდო, ზედ ავა-  
ზის სისწრაფით შესტა, ჭურღმულიდან  
ამოვიდა, სინათლისაკენ გეზალებულმა  
თავი სიბნელეს შეაფარა..

ძმათაგან გამოტირებულს, ფეხშიშ-  
ველს, ქალამან-წინდით შეუმოსავს,  
მშიერ-მწყურვალს, უსავზლოს, გარნა  
მოყვასთა ცრემლით გზამიციემულს, მხო-  
ლოდ უფლის მოიმედეს და ძილ-ღვიძი-  
ლში მისგან წინდად მიღებული მინათბ-  
რობით აღტყინებულს „ცხოვრების  
წყაროს ღარი გულზედ აქვს მოხაზუ-  
ლი“, „ღმერთს წარამარა შემწედ უზ-  
მობს, გული უტირის, მაგრამ ხსნის იმე-  
დი უღვივის დაჭრილ სულში, საკუთარ  
სვეს ჩრდილოეთის შეიდათა ვარსკე-  
ლავთა ანდობს, და ღამით დაღესტნის  
შიშველ, უტყეო მთას მიადგება.

შეტირებულმა ტყვემ, რაკი ღვთის  
გარდა მშველელი არავინ ჰყავდა, მწედ  
და ფარად ხაროში ყოვლისშემოქმედს  
მოუხშო, ევედრა განსაცდელისაგან და-  
მიხსენი, ამ ჭურღმულიდან თავი გამალ-  
წვიწენო, მერე თავისი ნაფიქრალი და  
ოცნებად დასახული ტყვეობიდან გაქ-  
ცევით თავის დახსნაც, სიზმარად და  
ღვთის აზრად წარმოიდგინა, თავისი  
სიზმარიც არსთავამრიგის აზრის გამო-  
ნამუქად მიიჩნია, ამით ძალა შეიმატა,  
იმედი შთაინერგა გულში, რწმენა გა-  
ნუშტიცა და ხაროს მართლაც სასწაუ-  
ლებრივად დაადწია თავი. მისი პიროვ-  
ნებისათვის იმჯერად უცხო აღმოჩნდა  
ქრისტიანული თავდრეკიობა, სატანჯვე-  
ლის მოთმინებით სულის ზესთა საუფ-  
ლოში მოპოვებას ფარატიწა იმედი.



მორჩილება და მორჩილება ღვთისა. ტყვეობიდან გაქცევისის იგი ბედის განჩინების წინააღმდეგ მებრძოლი მეამბოხე და ბუნტარია. ებრძვის საკუთარ დავსილ სვეს და ამით ებრძვის ყოვლისმზიდველს, არსთაგამრიგეს და ყოვლისშემოქმედს. მას იტაცებს ამქვეყნითი სიამენი სოფლისა, მას სწამს ნათელი მომავალი და თავისი ცხოვრების ნირითა და შემოქმედებით ნიადაგ იმის ცდაშია, რომ ქვეყანა გააკეთილშობილოს. ბედისწერა მისთვის ის წმინდათაწმინდა ღვთის განჩინება არაა, რასაც უნდა უსიტყვოდ ემონოს და დამორჩილდეს. მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება, ცხოვრება „თესლაშრეტილი“ უძეო კაცისა კრთიანი, გაბმული, შეუღრეკელი და ქედუხრელი ბრძოლაა თავისი პირადი და სამშობლო ქვეყნის, მისი შეილებების უკეთესი მერმისისათვის. ამას მიუძღვნა მან თავისი უკვდავი „დავითიანი“. ალბათ ქართველი კაცი დიდი მორწმუნე და ბრმა ღვთისმოსავი საერთოდ არაოდეს ყოფილა. ქართველი კაცი ბრმად მორწმუნე და ღვთისმოსავი ალბათ მაშინაც კი არ იყო, როცა საეკლესიო მართლმსაჯულებას ზეცის თავანამდე ჰქონდა აღმაართული კვერთხი უსამართლობისა და თავისუფლების, — განუკითხავი-განუსჯელი დასჯის უფლებას, ღვთის უფლებას — არსთაგამრიგის ნების განხორციელებას უწოდებდა. ქართველობა ფანტიკოსობის ალით აღგზნებული და ბრმა თავყანისმცემელი, არავისა და არადრისა არ ყოფილა. ქართველი კაცი ალბათ იმდენად იყო მორწმუნე, რამდენადაც მისი სარწმუნოება მის სულთერ მეობას, მისი ოჯახისა და სამშობლო ქვეყნის ინტერესებს ესადაგებოდა: მისი ქვეყნის სწმინდეს იცავდა, მის სინდისს ეფარებოდა და ეს ყოველივე იყო ვადაჭკვეულ-ვადახლართული ერთმანეთში, რომ ძეხორციელი ვერ არჩევდა, სად იწყებოდა ერთი და სად თავდებოდა მეორე.

„ღმერთი სასიკვდილოდაა დაქრლი“  
 ეს სიტყვები კარლ მარქსს ეკუთვნის.

ესქილეს მიჯაჭვული პრომეთე რომ წაუკითხავს, მარქსს ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „აქ საბერძნეთის ღმერთები სასიკვდილოდ არიან დაქრლილი“. ესქილეს ზეცის „პრომეთეში“ ნამდვილი ტირანია, ვერაგი და ცბიერი.

გურამიშვილის ღმერთი ერთ წუთს შექირვებულისათვის წყალობას გაიმეტებს, თუ იმას წყალობა ჰქვია, დახრობას გადაჩენილი, ტყვეობიდან თავდახსნილი, გაპირვებული კაცი, ფეხშიშველი, გათოშილი და გაუბედურებული რომ ისევ თავის გამტაცებლებს ჩაუგდო ხელთ, ანდა შიმშილისაგან ღონემისდილი კიტრსა და სახამთროს ნაჭერს რომ იპოვის და არსთაგამრიგე იმ თავის წყალობასაც უწყალოდ წარსტაცებს და წყალს გაატანს:

წყაღმან წაიღო, მივღიე, ვეცადე, ვერ  
 დავიჭირე,  
 ბეწვი მწყედა მისი დევნითა, მეც წყალში არ  
 დავიძირე,  
 ღვთისაგან გულსა შემაკლდა, ვაყვედრე, ასე  
 ვიტყვი:  
 თუ მომეც, რაღათ წამართვი, აწ ასე  
 რად გავიწირე?

ეს სიტყვები აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ფანტიკურად მორწმუნე ღვთისმოსავი ასე არ ებაექრება ყოვლისშემოქმედს. დავითი ის აღამიანია, რომელსაც ძალუძს ღმერთთან კამათი. იგი გმირულად ეგებება განსაცდელს, ბედისწერის ყოველგვარ დარტყმას ვაქცურად იტანს, ძველი ელინიკით მედგრად ხედება კარს მომდგარ ავ განჩინებას ღვთისას და თუ იმდენი ძალა არ შესწევს, რომ აშკარად აღუხედრდეს არსთაგამრიგეს, მკაცრი, სამართლიანი ყვედრებით გულს იოხებს და სამღურავს აშკარად პირში ახლის გულთამხილავსა და ყოველისმცოდნეს:

„თუ არა რისთვის წამართვი სასრდო უბეში  
 დებულში?“  
 „რაც ავი შიყო, დავითო, აწ იმას რა  
 შაედრება“

ელგუჯა-მალბაძე  
 გომეზა

„მოვლილი და ვსტიროლი, მოვსტევაში  
ჩემსა ზიანსა“.  
„კიბრი მომეც და წამართვი, ვერ მოვათმინე  
თემენითა.“

ვალალებს და ყვედრის მშეირი, შიმ-  
შილისაგან ფერდხედ ფერდ მიკრული  
პოეტი.

მეორედ გაქცევა უფრო ბედნიერი  
გამოდგა, თუ შეიძლება ბედნიერება  
ეწოდოს უქმელ-უსმელი, ნაცემ-ნატან-  
ჯი, ჩამოძინძილი, ფეხებდაშაშრული,  
მარტოხელი კაცის აღმა-დაღმა თრევასა  
და წანწალს გაურკვეველი მიმართულე-  
ბით. დაღესტნულ ხაროში მკდომარეს  
ხინკალი და ქუმელი მაინც ჰქონდა, და-  
ღესტანის უდაბურ — მთებსა და ხევებ-  
ში თავი აბა რით უნდა დაერჩინა პე-  
რანგის ამარა, უიარაღო მეოტ ადამი-  
ანს?! ამას ზედ ერთვოდა უკუნეთში ნა-  
დირთა გამო ძრწოლა, დაშაშრული ფე-  
ხების ტკივილი, რაც გაჩენის დღეს აწ-  
ყველინებდა პოეტს და რელიგიურ-ას-  
ტრალურ განცდებით აღავსებდა მის  
გვემულ სულს. ტანჯვა აძლიერებს  
რწმენას, მაგრამ სიცოცხლის სიყვა-  
რული იმედს უნერგავს, „ღვთის მად-  
ლიანი კალთის“ მოლოდინში გზას გა-  
ნავარძობს და ტყე-ღრეში დახეტება  
მთელი თორმეტი დღე. გეზი ჩრდილო-  
ეთისაკენ აქვს აღებული და ცდილობს  
ქრისტიანთა მტერთ სამძღვარი უვნებ-  
ლად გადაიაროს. დღისით მზის საშუა-  
ლებით მიიკვლევს გზას, ღამით მთვა-  
რეს უჭვრეტს, შვიდთა ვარსკვლავთა  
საიდუმლოც იცის, მაგრამ ბედი ახალ  
განსაცდელს უმზადებს. ისევ ასტყდე-  
ბა ჭარბობოლა, შეიქმნება ჰქეა-ქუხილი,  
ღრუბლებით გადაიგრაგნება ცა, თვა-  
ლისმომჭრელად იელვებს რამდენიმე-  
ჯერ, დამაბრმავებელი სინათლის გამო  
ველარაფერს ხედავს, ზეციდან კვერცხის-  
ოდენა სეტყვა წამოვა. სეტყვის თავში  
დაცემის შიშით პირქვე მხობილი მეო-  
ტი სარტყელს თავზე დაიხვევს და და-  
უცველად დარჩენილი ტანის ჯავრი სი-  
რაქლემასავით აღარა აქვს. პირქვე ჩამ-  
ხობილს ახლა წვიმა-სეტყვა შეაწუხებს,

შეკირვებული კვლავ ფეხზე წამოდგე-  
ბა, სწორად ამ დროს იელვებს მთა-  
დად გამოქვაბულს შენიშნავს. რა გამო-  
ქვაბული დალანდა, „მაშიგ უკუსძვრა“  
ყოვლად მიწყალეს მადლობა შესწი-  
რა? გადარჩენა მის სიკეთეს მიაწერა და  
იმედით აღივსო: ღმერთი მფარავს,  
ჩემთვის კარგი სწადს, თორემ თავშესა-  
ფარ კარავს არ დამიდგამდაო. სეტყ-  
ვამ გადაილო თუ არა, დავითმა მხურ-  
ვალე გულთა შესტირა უფალს თავისი  
გაქირვება, ზვარაკი არა ჰყვანდა, სამ-  
სხვერპლო რომ შეეწირა. ამის გამო  
ერთხელ კიდევ მოუბოდიშა არსთაგან  
რიგვს და ხსნის გზის ძიება განავარძო.  
შობაობს მარტოსული კოჭამდე სეტყ-  
ვას შიშველი ფეხებით და აღარც გა-  
რეული ნადირთა შიში აკრთობს, რად-  
გან ღმერთი თავის მხარეს ეგულება-  
ნადირნი უფრო გულმოწყალენი აღმოჩ-  
ნენ ადამიანებზე, იღუმალ ლტოლ-  
ვილს არ ასდევნებთან და მისი მოხელ-  
თება არ უცდიათ. მდევარნი კი თვი-  
თონ დავითმა გააცურა. სამი დღე შამ-  
ბიანში იწვა გაუნძრევლად, მერეღა ად-  
გა, დღისით ჯაგებში ძვრებოდა, მხო-  
ლოდ ღამით ვიდოდა და თერთმეტი  
დღე ასეთი დაღზინებით იარა. ხუთი  
დღე-ღამე შვიდი ცალი ტყემლის ანა-  
ბარად იყო. ათი დღის მშეირი მოუ-  
წევარ კვრინჩხსა და მწიფე კოწახურს  
გადააწყდა ჯაგნარში და იმით დანაყრ-  
და. მის ყოფაში ყველაზე ტრავიკული  
მომენტი ისაა, როცა გვემული პოეტი  
სამშობლოს მთებს გადმოსცქერის, მაგ-  
რამ იქით კი არ მიილტვის, საითაც გუ-  
ლი მიუწევს, რადგან კარგა უწყისი,  
რომ მდევარი იმ გზაზე დაუწყებს ძებ-  
ნას, მას გეზი ჩრდილოეთისაკენ აქვს  
აღებული, ხსნა იქ ეგულება და მზეს-  
იესოს ეაჯება, ჯოჯოხეთში აღარ მიაბ-  
რუნოს ლტოლვილი, შეიბრალოს, იმა-  
თი ნახვა აღირსოს, ვისაც გაჰყარა და  
ვინც ამ დღეში ჩაავდო, იმათი ჯავრიც  
არ შეაქმევინოს. უზაღო ოსტატობითა  
და გენიალური უბრალოებით მიმარ-  
თავს, მისგან მზედ სახელდებულ, ძე



ღმერთს — იესოს და თავის მკითხველს  
წინდაწინ აფრთხილებს, „ძეს ღმერთს  
კაცებით მზედ ვსახავო“, მზეთა-მზედ-  
ღმერთს ვგულისხმობო, მე მზეს დავე-  
ძებ, თორემ საწუთროს მზეს ყოველ-  
დღე ვხედავო. იგავად ნათქვამის გან-  
მარტება და ახსნა პოეტმა თვითონვე  
ითავა:

იმინე, ლექსთა მკითხველო, ხიტყვა ავიხსნა  
წინადა:  
ძეს ღმერთს კაცებით მზედ ვსახავ, სახით  
მზეს თინათინადა,  
ღმერთთა ღმერთობით, მზეთა-მზედ მამას  
ვსახ თქმად სახმინადა.  
მე მზესა ვეძებ, თინათინ ყოვლ-დღე შუქს  
თვალის ჩინადა.  
სახით იგავად სათქმელად მამა მზეთა-მზედ  
ითქოსა,  
ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი მზე სიმართლისა  
იქოსა.  
მისთვის საწუთროს მნათობმან მზე თინათინ  
იქოსა.  
ეს წიგნი წმინდად სახმარი არავინ გამიჩირქოსა!

დაბოლოს, დავითიანში ყოველგვარი  
გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად  
ერთი განმარტებაც დაავიტოვა:

საწუთროს მზის თინათინი მოგითხრა რაცა  
ფერია:  
სარკის მზის შუქით ციალსა უწოდენ ქართველთ  
ერია,  
ვერას ხორციელს სულდგმულსა ბქალში ვერ  
დაუჭერია,  
მე თინათინით მინათობს სახლთ კედელ-  
ყურე, ჭერია.

განსაკუთრებული ხიბლი ახლავს თან  
ვნებული პოეტის მიუწვდომელი იდე-  
ალისადმი აღვლენილ ლოცვა-გოდებას:  
„გამე ჩემო საესავო, ტბილო ცხოვრე-  
ბისა წყარო“,

ან:  
საყვარელო, სახით თქმულო, უხასყიდლო  
მარგალიტო,  
ვის გადარო, ჩემთვის მკვდარო, მწევ,  
მზეთა-მზის მაგალითო!

ან:  
„შენ იესო, წყემსო ჩვენო, ჩვენთვის სისხლის  
დამანთხო!

პოეტის „სახესაი“, „კტიბილი ცხოვ-  
რების წყარო“, „უსასყიდლო მარგალი-  
ტი“, მისთვის მკვდარი „მზეთა-მზის

მაგალითი“ არის შეჭირვებაში მყოფის  
ხსნის ერთადერთი იმედი, მისი გაღამე-  
ჩენის იმედი. მისით იმედნეული დაძრ-  
წის დაღესტნის ტყე-ღრეში და თავის  
უხილავ მეგზურს ვვედრის: ჩემზედ  
მხეცთ ნუ მოუშვებ, შერისხეო!

ასე ევედრება გვემული პოეტი უზე-  
ნაეის კავკასიონის უკაცრიელ მთებში.  
მის ღვთისადმი აღვლენილ ვედრება-  
სა, გოდებასა და ვალაღში ზოგიერთებ-  
მა შეიძლება მხოლოდ მორწმუნე დაი-  
ნახონ, ჩვენ კი სიცოცხლის სიყვარუ-  
ლის უმშვენიერეს ოდას, თავისუფლე-  
ბისადმი განუყრელად შენამსკვალეები  
კაცის გულმხურვალე ჰიმნს, ტყვეობი-  
დან თავის დახსნის იმედისა და რწმე-  
ნის, ბოროტებაზე კეთილის გამარჯვე-  
ბის სავალბელს ვკვრეტთ.

დევნილმა იცის, რომ ჩრდილოეთშია  
მისი ხსნა. იქ ერთმორწმუნე ქრისტიან-  
თა შორის ეგულების მყუდრო თავშესა-  
ფარი, სავანე და იქით მიუწევს გული,  
მაგრამ გზის გაგნება ჭირს. მთას იქით  
მთაა, ხევს იქით ხევია, ღრანტეები,  
კლდეებია და ქარაფები. ერთს გადა-  
ივლის ფეხებზე წყლულებმორეული და  
ცხრა მთა ისევ გადასავლელი აქვს. ში-  
ში და შიშილი არიან მისი განუყრელი  
თანამგზავრები. შიში ნადირთა, შიში  
ლექთა, შიში უაზროდ და უკვალოდ და-  
კარგვისა დაღისტნის მთებში.

ნაბრალეებში უგზო-უკვლოდ ნახეტი-  
ალებს, აღმა-დაღმა ნათრევს და გაწა-  
მებულს შემოაღამდა. დედამიწის მარა-  
დიული დევნით ქანცმილეული, გასისხ-  
ლული მზე მიჯარულ ღრუბლებს ხან-  
დახან აღწევდა თავს და ნაბრალეებში მა-  
შინ ცრიატებდა მისი ქათქათა შუქი.  
კარგა ხანს ფარავდა ჯანღისა და ნის-  
ლის ბარიკადი. მერე უცებ გაიფანტა  
ჯანღი, მზემ იძალა, ცა მოიწმინდა, და-  
სისხლულმა მნათობმა მოკაშკაშე, მაგ-  
რამ სიტბოუქონელი სხივები სტყორც-  
ნა ყინულებს და ათასფერად ააეღვა-  
რა. რა უცნაურად იწყო. ნათება სა-

ელაშუჯა მადრაძე  
გოდება

წუთროს მზემ, განწმენდის შუქი ხომ არააო ღვთისაგან სიკვდილის მოციქულად გამოგზავნილი, ესლა გაიფიქრა დავითმა. იღუმალი ლტოლვილი მწუხარე თვალებით აპყურებდა ზეცას. ირგვლივ სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. მეოტს უხაროდა, რომ მდევრებს თავი დააღწია, მაგრამ ამ ყინულეთში ჩარჩენის შიში მიეძალა. ამოდ ხომ არ ვენდო ბედს — გაიფიქრა და გააურყოლა. ცივს ყინულებში გელისო სიკვდილი, ჩასახოდა უხილავი ხმა, მაგრამ ამყრალებული ხაროს გახსენებაზე, სადაც ამდენი იშომშილა და ივაგლახა, თვითონ სიკვდილის შიშიც უკუკვრათა. სიკვდილი თავისუფლების ძებნაში სჯობიანო, — დაასკვნა და გული გაიმხნევა. ირგვლივ ყინულეთის დამუნჯებული, უკარება ჩონჩხები იდგნენ და გლოდნენ ადამიანის ტანჯვის აღსასრულს. ფეხშეუდგამი კავკასიონი, მთის მდინარეთა მკვებავი წყარო და სათავე არაამსოფლიურ სიჩუმეს მოეცვა. სთვლემდნენ თუ სამარადისო ძილით ეძინათ უხარმაზარ ყინულოვან მთებს? ვინ იყო რომ შეპბედა და მყუდროება დაურღვია კავკასიონის ჩრდილოეთის საზღვრის ამაყ დარჯებს?! ვინ მოიწადინა მათი დალაშქვრა და გაქეღვა? ისედაც გაუსაძლის სიცივეს სუსხიანი ქარი კიდევ უფრო ამძაფრებდა. თითქოს ქვითინებდა ტიალი ქარბობოლა და არც რაიმე მღვიმე მოსჩანდა თავშესაფრად. ლტოლვილი უქუდო თავსა და შიშველ ფეხებზე უფრო ძალუმად გრძნობდა სიცივეს. მოგონებების მტანჯველი ლანდი აედევნა და აღარ მოასვენა, მოავონდა, წყაროს ცივ წყალს დაწაფებულს, როგორ სულთამხუთავებივით წაადგნენ თავს ყაჩაღები, როგორ დაატყვევეს და ცხრა მთა გადაატარეს. სასოწარკვეთილს სევდამ კიდევ უფრო დარია ხელი და ისედაც მოშხამული გუნება-განწყობა კიდევ უფრო გაუფუქდა. ყინულებთან მორკინალმა უკანასკნელი ძალა მოიკრიფა, თითქოს მგლის მუხლი მოიბაო, იძალა და ნაპრალიდან

გააღწია. ისევ იძალა ზმანებებში. უკვე ცხადლივ ეჩვენებოდა, როგორ ეშვა კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, როგორ აჩრდილივით სდევდა თან შავი ყორანი და როცა დევნილი ჩერდებოდა, ისიც ირავს უვლიდა ჰაერში. ჩემს აღსასრულს ელოდება ეს გულთამხილავი ფრინველი, რომელსაც მსხვერპლის წინასწარ გამოცნობა არ ეშლება, — ჩემს გათოშოლ ხორცს ჩაეღებს თავის მურდალ ბრჭყალებს და საზრდოდ გამომიზოგავსო, გაიფიქრა. მერე უფრო საშინელმა აზრმა გაჰკრა გუნებაში: ვინც ამ ლეშის მოყვარული ფრინველის ბუნებას კარგად იცნობს, მისი უადგილო ადგილას ცაში ნავარდის მიხედვით შეეძლო დაესკვნა, რომ ფრინველი ამოდ არ ირჯებოდა. ჩეეულებრივ, სადაც ყორანი ბოინობს, ამ მტაცებელს საგულევებელი მსხვერპლი ჰყავს დალანდული, უთვალთვალებს, ადგილს იმანსოვრებს, მსხვერპლის აღსასრულს ელოდება, მერე გაფრინდება და რამდენიმე დღის შემდეგ ლეშს მიაკითხავს. ამის გახსენებაზე სიცივისაგან გათოშოლი, ძრწოლამ აიტანა, მაგრამ მტაცებელი ფრინველის გამოწვევა მიიღო და მასთან ორთაბრძოლაში ჩაება. იგი გულალმა მოწყვეტით დავარდა, თავი მოიმკვდარუნა და ერთხანს გაუნძრევლად იყო. ფრინველი დაბლა დაეშვა ცის ტატნობიდან, საგულევებელ მსხვერპლთან ძალიან ახლოს მივიდა, რამდენიმე წრე შემოხაზა ჰაერში, მერე ისევ ცაში აიჭრა, კიდევ რამდენიმეჯერ დაჰკრა ირავ და მერე საითკენდაც გეზადებული ისარივით პირდაპირ გაფრინდა. გაქირვებით, მაგრამ მაინც ჰაიპარად წამოიჭრა ფეხზე დავითი, ყორანის გაფრენის მიმართულება კარგად დაიმახსოვრა, რადგან იაზრა, ფრინველს მაინც ადამიანთა საცხოვრებელთან სიახლოვეს ექნებო ბუდე. ფრინველის მიერ ნაჩვენებ მიმართულებას მიჰყვა. ქანცი უწყდება, მაგრამ მაინც წინ მოიწევს, ღვთის იმედი აქვს და აღარც თავს იზოგავს. მძიმე ცოდ-



გების ტვირთი მკილიაო, ამბობს თავი-  
სი შორეული წინაპარვიო, რომელსაც  
ქართველმა ხალხმა აღმაშენებელი უწო-  
და. ცოდვების ტვირთი ბევრს მართლაც  
ჰქონდა და მიიმედაც აწვით კისერზე,  
მაგრამ ამაზე კრინტიც არსად დაუძ-  
რავთ. ესენი კი ხალასი აღამიანები არი-  
ან, რაც მთავარია, დიდი პოეტური ნი-  
ჭითა და ტალანტით დაჯილდოებულნი,  
ალბათ, გულახდილობაც ამიტომ მიჰ-  
მადლათ უფალმა. თუმცა ასეთი „აღი-  
არება“ მარტო გულახდილობითაც არ  
აიხსნება. საკუთარი თავი შემცოდედ  
მიანდათ ნამდვილი მაღალი ზნეობითა  
და ქეშმარიტი სულიერი სიფაქიზით  
დაჯილდოებულ მორწმუნეთ. მათ, ვინც  
თვლიდა, რომ მათ ცხოვრებას, როგორც  
ლამპარს, სავალი გზა უნდა გაენათებინა  
სხვებისათვის, თეოლოგიაში ღრმად გან-  
სწავლამ მიათითებინა ალბათ ორივე  
დავითს სიყრმის ცოდვებზე, რომლის  
მიხედვითაც სამი ათეული წლის ასა-  
კამდე ჩადენილ ცოდვებს ქრისტიან-  
ული აღმსარებლობა სიყრმის ცოდ-  
ვებად ნათლავს. ყურადსაღებები და გუ-  
ლისხმასაყოფი ისიცაა, რომ სინანულს  
მიცემული ცოდვების მომნაიებელი  
შემცოდე თავისივე განზრახვით მიილ-  
ტვის სულიერი ამალეებისაკენ, ქეშ-  
მარიტი სულიერი სრულყოფილებისა-  
კენ და ამით ის მორწმუნე ქრისტიანთა  
შეხედულების მიხედვით იწმინდება რა  
ცოდვებისაგან, იძენს ზნეობრივ-სრულ-  
ყოფილებას და უახლოვდება ყოვლის-  
შემოქმედს. ზნეობრივი სრულყოფი-  
ლების, ქეშმარიტი კაცური კაცობის  
სულიერი სიფაქიზის, მორალური სიწ-  
მინდის და ამით ღმერთთან მიახლო-  
ების სურვილი კი ალბათ ორივეს უსა-  
ზღვრო ჰქონდა. მავანთა და მავანთა  
და ჩვენი ღრმა რწმენითაც მათ უფ-  
ლება ჰქონდათ სხვებისათვის სამაგალი-  
თონი ყოფილიყვნენ, ხოლო მათგან  
საკუთარი ცოდვების მონაიება, სხვა-  
თათვის მაგალითის მიცემა, სხვათათვის  
მოთმინებისა და თავმდაბლობის სწავ-  
ლება, ერისა და ქვეყნისათვის თავგან-

წირვასა და თავდადებას უნდა გულ-  
სხმობდეს. საკუთარი ცოდვების გამა-  
სინანული მათგან მორწმუნე ქრისტიან-  
თათვის, თანამომქმეთათვის რწმენის გან-  
მტკიცების საქმეს უნდა ემსახურებო-  
დეს, მათი ზნეობრივი ამალეების, სიწ-  
მინდისა და სიფაქიზის, გაკეთილშობი-  
ლების დიდ ამოცანას უნდა იზრახე-  
დეს. მათს სინანულში თანამომქმეთა-  
თვის უვალი გზის გაწვლვა, გზად და  
ხიდად ყოფნის სურვილი გამოსჭვივის  
და არა აღამიანის პირველი ცოდვის  
გამო სინანული.

ასეა თუ ისე, ჩვენ შეგვიძლია დავუ-  
ჯეროთ, ან არ დავუჯეროთ მძიმე ცოდ-  
ვების ტვირთი მკილიაო, რომ ამბობს,  
მაგრამ თბილი ნაბადი რომ არ ასხია,  
ქარი აზრობს, ყინვისგან გათოშილია,  
რის გამოც ამოდენა ვაჟკაცი მობლუნ-  
ძულა და თითქოს დაბატარაებულა —  
ეს კი სარწმუნოა ამიტომაც, ყვედრის  
შუთა-მზეს მამა ღმერთს, მზეს — იესოს  
და საწუთროს მზეს თავის მხსნელთა  
და ნუგეშთ — რომ მზის შუქი მტკი-  
ნონ მის შეჭირვებულ სხეულს და მოწ-  
ყალბება გამოიმეტონ, სულ ახალ-ახალ  
კილოზე უხმობს ნუგეშად მზეს:

მზე, მომხედე პარის ბრწყინვით,  
ნუ დამარბო ცივის ყინვით,  
სხვით სითბოს გიქებს ბარუქი,  
განმათბე, მომფინე შუქი!

ქეშმარიტი პოეტური აღმადრენით  
შესთხოვს დავითი ციურ ღვთაებებს  
შველას და შეწევნას, რომ არ დაკარგონ,  
არ გასწირონ, იხსნან განსაცდელისა-  
გან, რათა მშობელ მიწაში დამარ-  
ხონ თავისიანებმა. პოეტის თავგადა-  
სავლის ეს ნაწილი ავთანდილის ცნო-  
ბილ მონოლოგს მოგვაგონებს.

მიმავალი ცას შეხტირის, ეუბნების,  
ეტყვის მზესა:  
აჰ, მზეო, გააქები, შენ, უშმღესთა მძლეთა  
მძლესა,  
ვინ მდაბალსა გაამალღებ...

ელგუჯა მალრაძე  
გოდება

თითქოს ძალაუნებურად იქმნება ასო-  
ციაცია დიდი ქართული პოეზიის სათა-  
ვეებთან გურამიშვილის სისხლხორცე-  
ული ნათესაობისა, ხან ღმერთს და ხან  
ცის მნათობებს რომ შეპლალადებს:

განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა-მზისა  
მოიებო,  
ვიკარგვი ბნელის ღამითა, ღღევ, რად არ  
მომიძიებო!  
განმიადლეუ გზა და სვლა, მეტად ნუ  
განმიძინელებო,  
თინათინითაც განმათბე. ყანვით ნუ  
გამაციებო!

მართალია, მზეს თვალით ვერა ხე-  
დავს, რადგან ის უზილავი ნათელია, მაგრამ „მზიანი ღამე“ ძნელია დასათ-  
მობლად. ვინ გაათობს, ვინ მოუვლის, რომელი ქალი გამოჩნდება მზრუნველად, თორემ პოეტი დაუფარავად აცხადებს: „ძმას ვანაცვალბე დას მასაო“. მზისა და მზეთა მზის იგავური, სიმბოლური, თუ პირდაპირი სახე მთელს პოემაში გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს თავში „მზეთა-მზის ვედრება დავითისაგან, მზის თხოვნა დასათობლად ტირილითა თუ სიმღერის ხმითა“. რუსული მასონის ხმაზედ გაწყობილი ეს ჰიმნი პირდაპირ მზის სიშორის გამო გოდებით იწყება:

მზევ, სიშორითა შენითა  
ვხტირ გულზე ვწვებით ქშენითა,  
ყინვა მკლავს და მარჩობს ქუბი,  
განმათბე, მომფინე შუქი!

სიცოცხლისა და ცხოვრების წყარო, ნათელი-ნათელთა. ნათელი წარუვალი შორსაა, თუმცა არ იცის, სადა აქვს მას ბინა, სად ზის, მაგრამ უგზო-უკვლოდ მავალი დავითი აეთანდლივით შესტირის მას და გულახდილად ეუბნება:

მზეთა-მზეო, ამაღ ვხტირი,  
ხაღღაც დავიფარავს პირი...

მართალია, ეს ძალუმი პოეტური სტრიქონები მოგვიანებითაა დაწერილი და არა უშუალო განცდის ადგილზე და-  
ლესტინის მთებში, მაგრამ პოეტის შე-  
ჭირვებით შექარწყუნებული მკითხველი

მოგადოებულებითაა, ავიწყდება  
თავის თავგადასავალს უკვე ხანგრძლივი  
ლი პოეტი მოგვიხსრობს და ყოველივეს  
სელშესახებად განიცდის. ამაშიც თვალ-  
ნათლივ ვლინდება პოეტის სტრიქონთა  
შთამბეჭდაობის სიძლიერე, მისი ინტუ-  
იცია, მენსიერება და პოეტური სიტყვის  
ზემოქმედებითი ძალა.

მარტოსული, ბედის განჩინების პი-  
რისპირ თავადრეკილად მდგარი, შე-  
ცივებული და გათოშილი პოეტი ერთად-  
ერთ იმედად სახავს საესავ იესოს, მას  
შესთხოვს შემწეობას, მისგან მოელის  
სავალი გზისა და კვალის ჩვენებას, მი-  
სი იმედო აქვს, რომ ბრმას თვალს აუ-  
ხელს და ხსნის გზას აპოენინებს.

ამას მოსდევს პოეტურად უფრო ამა-  
ღლებული შვიდსტრიქონიანი ჰიმნი  
„მზეთა-მზის“ შესხმა და ჰემარიტი  
გზის თხოვნა დავითისაგან“. ძალზე  
ძნელი იყო ალბათ გარკვევა, რა იკით-  
ხებოდა ამ სტრიქონებში პირდაპირ და  
რა გადატანით, რომ აზრთა ასეთი სხვა-  
ობა გამოიწვია, მაგრამ ავტორის მიერ  
ნახმარი ეპითეტები: „მზეთა-მზე“, „მი-  
უწვდომელი ნათელი“, „გრძელი, ძვე-  
ლი ღღე“, „უფალი უფლებათა“, „მე-  
ფეთ-მეფუფე“, „უბერებელი“, „უკვდა-  
ვი“, „შეურყევი“ ნათელს ხდის, რომ ამ  
სიტყვების ქვეტექსტში ქრისტიანული  
თეოლოგიის მიხედვით ყოვლისშემოქ-  
მედი იგულისხმება.

ლექსში „სვიდნისის მხილება დავი-  
თისა, ოდეს დატყობულმან გამოპარ-  
ვა გაივლო გულში“, ლაპარაკია გაქ-  
ცივის ახალ ცდაზე და ამასთან დაკავ-  
შირებულ ფიქრებზე: „გულმან მითხრა:  
ადეო! რაღათ მიცადეო“. ეტყობა, თა-  
ვისუფლებისმოყვარე გული ურჩევს  
ადგეს და ისევ სცადოს ბედი, ისევ „გან-  
ხეთქოს მტერთ მახე და ბადე“. თავი-  
სი საყვარელი მაცხოვრის სურათი ახ-  
ლოს მოილანდოს, მის წინ ისე გულმ-  
დულარედ იტიროს, რომ თავი შეაბრა-  
ლოს, მის მეტი არავინ იწამოს, მის  
მცნებაზე დადგეს, დამორჩილდეს





უფალს და მუსგრილი გული მის წინა-  
შე დადოს...

ერთგულებითა, თავდრეკობით და  
თავდადებით ფიქრობს პოეტი, უზენაე-  
სის დახმარება დაიმსახუროს, მაგრამ  
თუ კარგად ჩაუყვირდებით ამ ლექს-  
სის შინაარსს, აქ მარტო ყოველთა არ-  
სთა უფალი არ უნდა იგულისხმებოდეს.  
პოეტი თვითონვე ამბობს:

სცან ამ ლექსთა ივაგი, თარგმნე, თუ  
გოყვარდელი!  
ქროლის პურის ქერქშია შიგ თათუხი  
ჩაველო.

ამას მოსდევს კეთილი და ბრძნული  
რჩევა-შეგონება „დავითის მცნების“  
მორიგი პოეტური მარგალიტი:

მე ეს ხიდი სავლელად დიად სწორეთ  
გავდეო.  
შენ თუ მრუდით გავივლი, მე რა წყალში  
ვარდელი!  
დავით სწორეთ მოგიტორობს, თუ შენ  
შეიგვანდეო.

აქ თითქოს ისიც უნდა იგულისხმებო-  
დეს, რომ წუთისოფელი არც ისე მრუ-  
დია, სავალი ხიდი სწორადაა გადებული  
ყველასათვის, და თუ ვინმე მრუდად გა-  
ვივლის, მარცხი გარდუვალაია, და ყოვე-  
ლივე თავისივე თავს უნდა დააბრალოს.

ერთ შემთხვევაში კი ისიც უნდა  
იყოს ნაგულისხმევი, რომ გაქცევა-ც შე-  
იძლება, საწადელსაც შეიძლება ეწიოს  
კაცი, ოღონდ უნდა ფხა გამოიჩინოს,  
ივარგოს, წყალში ჩავარდნილმა პირველ  
ყოველისა ხელები გააქნოს და არა მარ-  
ტო სავდრებლად და სალოცავად აღა-  
პყროს მარჯვენა და მარცხენა უფლისა-  
კენ. ასეთი მორალური შემზადება  
დიდხანს გრძელდება. უთუოდ სწორა-  
დაა გადმოცემული ის ჰოქმანი, საკუ-  
თარ თავთან გამართული ბაასი, თათბი-  
რი და შეგონებანი, რაც გაქცევას წინ  
უძღოდა. თავის თავს აფრთხილებს კი-  
დეც, თუ როგორ მოიქცეს, ამ სახიფა-  
თო ნაბიჯის გადასადგმელად როცა ემ-  
ზადება. მერე, როგორც მხოლოდ სა-  
კუთარ თავს მინდობილ მორწმუნეს  
შეპყერის, ლოცულობს, თხზავს თავისე-

ბურ აკროსტიხს, რომლის სტრიქონთა  
მარცხენა მხარის თავკიდური ქმნის „გეგრიანული  
მაო ჩვენოს“ სრულ ტექსტს, რასაც  
უფალს უძღვნის და ამთავრებს: „ნუ-  
შემიყვანებ ჩვენ განსაცდელთა, არამედ  
მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“, — სწო-  
რედ ის სიტყვებია, რომლებიც ლექთა  
ტყვეობიდან თავდასახსნელად განმზა-  
დებულს ესპირობოდა. ამას მოსდევს  
იამბიკო „სამების ვედრება“—გზის წარ-  
მართვის თხოვნა დავითისაგან. მომდევ-  
ნო იამბიკო აკროსტიხია, რომლის კი-  
დურწერილობაც შეადგენს „დავით გუ-  
რამიშვილს“. სამივე აკროსტიხი „თავ-  
დაღმა ჩამოკითხვას ითხოვს“ და პოე-  
ტი საგანგებოდ ივედრება „არავინ შეც-  
ვალოსო“.

აქ, პოეტის თავგადასავალში ლირიკუ-  
ლი წიადსგლის წესითაა ჩართული ცნო-  
ბილი ლექსი „თომავე, დავით მეო, ამ  
წიგნს მოგართმეო“... შემდეგ კი პო-  
ეტი საგანს უბრუნდება და მოგვითხ-  
რობს „სიზმარს ტყვეობასა შინა“.

მძინარე დავითს უხილავი ხმა ჩაესმის  
ყურთ:

„რატომ ვერ ბედავ წახვლასა, აგრე რამ  
შეგავინაო?  
...ადექ, იარე. წავიდეთ, მე წაგიძღვები  
წინაო!“

პირველად უცნაური ხმა ცოცხალი  
ადამიანისა ეგონა, იფიქრა, თავს ჩემსა-  
ვით ტყვე ვინმე წამომადგაო, გაცაუწყ-  
ყრა: თუ ასე გზა იცი და არ გეშინია,  
შენ წადი, ჩემი მეგზური კი მხოლოდ  
ქრისტე მაცხოვარია! შენ ვერ გენდო-  
ბი, არ გიცნობ, არ ვიცი, ვინა ხარო!  
უცხო ხმამ კი დაურიდებლად მიუგო:  
სწორედ ის გწყალობს, ვისაც შენ ამ-  
ბობ, შენს საცემრად ჯობიეთ. მე  
სწორედ იმან გამომისია: რას დაგდე-  
ბულა ის კაცი ფარეხს გარეთ, რატომ  
არ ეშინია გარეულ ნადირთაგან — და-  
მეა, განა დღეაო?

— კეთილი, წამოვალ, აქ ყოფნა  
ელაუჯა მაღრაპე  
გოდება

ჩემთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია და არც მე მინდა, ოღონდ მაკალე, წინდაქალამანი ვიშოვო სადმე.

უცნობი წმიდანნი ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— ქალმან-წინდისა არაფერი ვიცი. ჩემი ვალი მოვიხადე, „გზას გაძლევს ცრემლნი მოყვასთა“, წადი და თავს უშველეო.

ფიქრისა და ჰოკმანის დრო აღარ იყო. დავითმა ღმერთი ახსენა, იტირა, ივაგლახა და გზას გაუდგა, რომ ქრისტიანთა მტრების საზღვარი უვნებლად გადაეფლო. პოეტი მას ცოცხლად აღადგენს:

ღღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით  
უჭრებელი მთვარესა,  
მივინდევ შეიღთა ვარსკვლავთა მას  
ჩრდილოეთის მხარესა:  
ღამით შიშველს მთას მოვადექ შუვა  
დაღისტნის არესა,  
მუნ უამსა რამეს შევესწარ სიცოცხლეს  
დასამწარესა.

ნატანჯი, შიმშილისაგან გასავათებული, ჩამოძონძილი ტყვე გაიპარა და უცნობ მთებისაკენ აიღო გეზი, იქამდე რის ვიავგლახით მიადწია და მისდა შავბედად მაშინ წახდა ამინდი. ქარი, სეტყვა, ჰეჰა-ქუხილი, ელვა ყველაფერი ერთად დაატყდა თავს და ყველაფერმა მისთვის მოიცილა, მაგრამ ღვთის საგმობი სიტყვები მაინც არ დასცდებოდა. პირიქით, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდნილი ისევ ღმერთს უმადლი და ამბობს: ჩემთვის კარგი თუ არ სდომებოდა, კარავს არ დამიდგამდაო. კარავს ეძახის ყინულებში შეთხრილ გამოქვაბულს. სეტყვამ გადაიღო და მეოტიც გამოძვრა გამოქვაბულიდან, ზვარაკი არ ჰყავდა და ღმერთს ცრემლით დაუმაღლა: „ღმერთო დამიხსენ ბეტრთავან“, ეს ლოცვა გაიზებირა, მაგრამ ამ მცირე ლოცვით არ დაკმაყოფილებულა. მთელი საგალობლების ციკლით მიმართავს ღმერთს და ბიბლიური დავითის რუდუნებით უგალობს უზენაესს, რომელმაც იხსნა განსაცდელისაგან, მაგრამ

რაკი მთავარი განსაცდელი იმჯერად წინა აქვს, მომავლისთვისაც

გზა სიმართლისა მასწავლე, იესოს ქრისტეს მშობელო...

პოეტი ჩრდილოეთის მოციალე ვარსკვლავს მიჰყვებოდა. ეს უვალნი გზა ჯერაც არ იყო გაწალდული, მრავალი ხნარტვი და ეკალი იყო ამ გზაზე, მაგრამ სიცოცხლის რწმენამ და სიყვარულმა თავისი გაიტანა. მისმა ბედის მიბუხუტულმა ვარსკვლავმა ციმციმი იწყო, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი განსაცდელი აქვს გადასალახი და ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება გადაეღობება სავალ გზაზე. ის საშინელი, ჯოჯოხეთური ღამე, რაც დავითს ლუში ფერებით აქვს დახატული, როგორც ნამდვილ ფერმწერელს შეჰფეროდა, დღესაც გვაძრწუნებს. ეს ისეთი ღამე იყო, რომ პოეტმა გადაარჩენა მხოლოდ სასწაულსა და უზენაესის ნებას მიაწერა.

ყვავისფერჩხილა, მყავე კოწახური, რამდენიმე მკვახე ტყემალი, აი რით იკვებება რუსეთისაკენ გზაღებული გურამიშვილი, როცა თვითონ მამითაღში მოწვეულ მუშებს ძროხით, ცხვრით, ღორის ხორცითა და ღვინით უმასპინძლებოდა.

მაგრამ გარემოების შესაგევანად ამასაც ღვთის წყალობად თვლის იგი. აქ შიმშილით სიკვდილის საკითხი იდგა და გემოვნებისა და არჩევანისათვის ვისა სცხელოდა. ალბათ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაშიც კი გაპირდება ასეთი ძნელბედობის მაგალითის პოვნა. ასე მშვიერ-მწყურვალი, ტიტველი, მხოლოდ ნარმის ახალი პერანგი რომ შერჩენია ტანთ და მუხლამდე სიშიშველეს ის უფარავს, დაეხეტება კლდე-ღრეში, გზის გაგნება უნდა და ღმერთს დღიურ საზრდოს შესთხოვს:

მემეო, მხმეო, ჩემო ტანთა მცემეო!  
ვერ მოგეშვები ცოცხალი, თუნდა მაწამეო,  
მიბოძე საზღო, სულთისა, მშინა, მაჭამეო,  
კიდევ შემოხხე, სიცივით სულ ვერკი ამ  
ღამეო!  
ბალა-ჩალაში დაქვრები, ვითა ღაღლა მეო...



ლალდასავით იმაღვოდა იმ დღესაც, როცა დალესტინის მთების ფერდობებზე ჩაბლოტდა, ღვთის გაჩენილი მგლები და დათვების შიშიც დასძლია, მღვევართაგან თავის ასარიდებლად სამი დღე შამბიანშიც იწვა მალა აუხედავად. შამბნარში იწვა, რომ მღვევარს არ დაეღანდა, არც თვითონ ეწადა მოახლოებული საფრთხე ეხილა. ხუთ დღე-ღამეს შვიდი ცალი ტყემალი იმყოფინა საზრდოდ, მხოლოდ ღამდამობით ვადოდა და ასეთი „ყოფა-ქცევით“ თერთმეტი დღე იარა, მეთორმეტე დღეს უქალო მდინარის ნაპირს მიაღდა. აქ თავდებოდა ლეკთა საუფლო. შამბნარში ნიბლიასავით გატყერნილმა მდინარის ვაღმა ხალხი დაინახა, კალოობა ჰქონდათ. იმედი ჩაესახა გულში, იქნებ უფალმა ახლა მაინც დამისნას გამუღმებული შიშისა და ზაფრისგანაო, მაგრამ გამოჩენა და გამოლაპარაკება მაინც ვერ გაბედა. ისევ შამბნარში დარჩა, იქიდან უქვერეტდა სიზმარში ღვთისაგან აღთქმულ მიწას და გულით ხარობდა. ცოტა ხანი გამოხდა, მეოტის გულის გასახეთქად ნავი გამოჩნდა, რომელშიაც ორი კაცი იჯდა. ნავს გეზი სწორედ იქითა ჰქონდა მიმართული, სადაც დევნილი იყო შეყუჟული. დავითს შიშით ტანზე ბალანი აებურძგლა, მუხლი მოეჭრა. ტანში ღონე და ძალა წაერთვა, შამბნარში უკუსძვრა, მაგრამ არც მის შემშინებლებს დაადგათ კარგი დღე მისი უქოჩრო თავის ხილვით. დაზაფრული მენავეები უხმოდ გასცილდნენ „ფათერაკიან“ ადგილს. დატყვევებისა და უნცუქულში აყვანის დღიდან ტყვეს მაჰმადიანური წესისამებრ თავი გადახოტრილი ჰქონდა. მენავეებს მოხოტრილი თავის დანახვამ ალბათ გაახსენათ, ერთი იმ ავაზაკთაგანი, რომლებიც სიმდიდრის მოხვეჭის მიზნით ადამიანებზე ნადირობდნენ და ამიტომაც გაეცალნენ უხმოდა და უჩუმრად. ასე ჩარჩა შამბნარში ძალამიღებულის, შიშით ზაფრადაცემული, უღონოდქეული დავითი განთიადამდე და ღამე უზენაესთან

ვერბებაში ვაატარა, სავედრებელი და სათხოვნელი კი ბევრი რამ ჰქონდა: აწ ნება შენი ჩემზედა აღსრულდეს  
 აღსასრულითა,  
 მინდა და ვეღარ დავძრულვარ ძალათგან  
 განასულითა:  
 თუ მიხსნი, ისევ გმსახურო ქრისტაინისა  
 რჯულითა,  
 თუ არა მომკალ ნორცითა, ოღონდ ნუ  
 წამწემედ სულითა!

ირიქრაჟა თუ არა, უძილო ღამის მთევარი გზას გაუღდა. ძიღის, ჩერდება, მიწას ყურს აპყრობს, ისევ ძიღის, უცებ ჯაგნარში რაღაც გაიფაჩუნებს, შეშინდება, კვლავ დააყურებს, მიხვდება რომ ქვეწარმავალია და გულს ეფონება. ახლა გველებზე უფრო მეტად ადამიანს უფრთხის. გარბის უგზო-უკვლოდ, მერე არაქათი ეცლება, მიწაზე დაეძმობა, ხელებს ცისაკენ აღაპყრობს და საკუთარი სულის სათხად დიდი სენსიის დავითის ფსალმუნს წარმოთქვამს: „მიწყალე მე უფალო, რამეთუ სჭირს მე... რამეთუ მოაკლდა სალმობით ცხოვრება ჩემი და წელიწადნი ჩემნი სულთქმით, მოუძღურდა გლახაკობითა ძალი ჩემი, და ძვალნი ჩემნი შეძრწუნდეს... ხოლო მე, უფალო, შეხ გესავ, ვსტქვი. შენ ხარ ღმერთი ჩემი და ხელთა შენთა არს მკვიდრობაი ჩემი, მიხსენ მე ხელთაგან მტერთა ჩემთასა და მღვევართა ჩემთასა“... ბედზე უფალმა ორი კიტრი და საზამთროს ნახევარი ნაჭერი უბოძა. მაგრამ ვინც მისცა, მანვე წაართვა. ნაპოვნი კიტრები და საზამთროს ნახევარი ასოქროდ და ათას ვერცხლად უღირდა. მაგრამ შიმშილისაგან გასავათებულმა გაურეცხავად მაინც არ ინდომა საზრდო. მდინარესთან მივიდა უფლის ნაბოძების გასარეცხად. უცებ უბიდან კიტრები ამოუცვივდა და წყალმა წაართვა. გულზე ცეცხლმოდებული, შიმშილისგან ფერდიფერდს მიკრული კიტრებს დაედგნა, დაჭერა ეწადა,

ელგუჯა გარაამ  
 გოდევა

მაგრამ ბეწვეზე გადარჩა, თვითონაც  
ლაშის წყალმა არ წაიღო. დარჩა პირ-  
ში ჩალაგამოვლებული და დაკარგუ-  
ლის დევნაში კინალამ თვითონაც დაი-  
ღუპა.

„წყალმან წაიღო, მივდივე, ვეცადე ვერ  
დავიპირე!  
ბეწვი მწვლა მისი ღვენითა, მეც წყალში  
არ დავიპირე“...

დავითს ბედმა ერთხელ კიდევ აგე-  
მა სასტიკი მარცხი. ამოდ ჩაიარა მის-  
მა ამდენმა ლოცვა-ვედრებამ. არსთა  
გამრიგე ისე მოექცა, როგორც გამაძ-  
ლარი, გულქვა ბატონი მოქცეოდა  
მშვიერ ყმას. მაშინ კი შეჰხვდა უზენა-  
ესს უკაცრაული. აკადრა ის, რასაც  
გულით არ იზრახავდა. მორწმუნე ქრი-  
სტიანმა ღმერთი დაგმო და საყვედური  
წამოსცა მის მიმართ. მართალია, ამას  
თვითონვე მოინანიებს. მაგრამ ფაქტი  
ფაქტად რჩება: „თუ მომეც, რაღათ  
წამართვიო“, წყრომითა და საყვედუ-  
რით შეჰლადადებს გულმოკლული პო-  
ეტი ღვთაებას. ბედის ასეთი თამაში  
და უზენაესის წაჭექ-უჭუჭექობა გუ-  
რამიშვილმა მაღალი პოეტური ოსტა-  
ტობით შემოუნახა შთამომავლობას,  
თუმცა დავიწყების მდინარემ ბევრი  
რამ უფრო მნიშვნელოვანი წაიღო ალ-  
ბათ თან თავისი მღვრიე ტალღებით.  
მორწმუნე კაცისათვის ალბათ ეს უფ-  
რო მეტი სისასტიკეა. სათაყვანებელი  
ღვთისაგან მომდინარე. ვიდრე თუნ-  
დაც ავანჯაკთან დატყვევება და ხა-  
როში ჯდომა. მაგრამ უზენაესს უფრო  
მკრჩხალი ბრკყალეები აქვს და უფრო  
მეტი სისასტიკის გამოჩენაც შეუძლია.  
ისევე სუსტმა უნდა დაუთმოს, მან უნ-  
და დაიდრიკოს თავი ყოვლისშემძლის  
წინაშე. ნაბრძანებია: შიში შეიქმს სი-  
ყვარულსაო, და აი, გონსმოსული, გზა-  
აზნეული მორწმუნე იმავე ღმერთს შეს-  
თხოვს, მაპატიე რომ უმეცრებით ყვე-  
დრება დავიწყეო. ეს მომენტიც რეა-  
ლისტურადაა გადაწყვეტილი. საღვთის-  
მეტყველო ლიტერატურაში აღნუს-  
ხულია ისეთი ფაქტები, როცა წმინ-

და მოწამებებმა, დიდმა მორწმუ-  
ნეებმა გარკვეულ დროსა <sup>წინააღმდეგობაში</sup>  
თარებაში დაგმეს ღმერთი და სასო-  
წარკვეთილებმა გამოამკლავნეს რწმე-  
ნის შერყევასა საკუთარი სისუსტე და  
განცდები. პეტრე დაქვდა ქრისტეში,  
მერე თავი ცოდვილად ჩათვალა და  
შეშინებული აბარებს ტაძრის გასა-  
ღებს; თვით წმინდა იობი შეუთრგულ-  
და უფალს და მის ყვედრებას მოჰყვა;  
ბევრი თავდადებული წმინდა კაცი  
დარწმუნა (როგორც ფესვებგაბარ-  
ჯლული, რტობენაყარი მუხები ირწე-  
ვიან გრიგალში) ჩვენშიც განსაცდელის  
ქამს. ასე რომ, არც მორწმუნე დავი-  
თის წამიერი განდგომაა უსაფუძვლო,  
მით უმეტეს, რომ მაშინვე საკუთარ  
თავს კიცხავს ნებისყოფის სისუსტისა-  
თვის: „მარხულობა და სასჯელი გო-  
ნების გასაწმენდია“, ხოლო „ნებიერი-  
ბა ხორცისა სულისა წარსაწყმენდია“.  
„ცოდვის ხნარცეში ჩავარდნილი“ დე-  
ვნილს სხვა შემწე არავინ უვის ქვეყნად  
და ამიტომ ასე გულდაგულ ვედრება  
„იესოს, კეთილ მწყემსს“, — სთხოვე მა-  
მას, მაკმაროს განსაცდელი, მისხნას,  
ისევე ურჯულოთა ხელში ნულარ ჩა-  
მაგდებსო... მისი ლექსის კილო ისეთია,  
რომ მომაბეზრებლად გაჰიანურებული  
ლოცვაც კი სასიამოვნო საკითხავად  
იქცევა:

მამავ, შენი ძეო, ვითხოვ მიბოძეო:  
ვიჰაძვიო, ქვეყნეთს ვვარდები, მიხვებ-  
მიბოძეო,  
რად გძინავს, აღდევ, უფალო, აწ განიდვიძეო,  
მოდი, გამართე წელ-გულში, სულ  
დავიბღუნეო:  
ის შტერნი, ჩემი მღვენელნი დევნი, განაძეო,  
შენ გაიპრკვეი დავითსა, რაც წინ გზა მიძეო!

თუ კარგად ჩავუყვირდებით, ეს მო-  
ნოლოგი საკმაო გაბედულებითა და სი-  
თამამით უხვევს ღვთისმოსოშიში მავედ-  
რებლის გატყეპნილი გზაშარიდან და  
ირონიული ნართაულებიც არ აკლია:  
რად გძინავს, დროა გაიდვიძო და მას  
მიეშველო.. ვისაც უჭირსო! ამ სიტყ-  
ვებისათვის სხვაგან ინკვიზიციის მარ-



წუხები, სამსჯავრო და დილეგი არ ას-  
ცდებოდა.

წამიც და დავითის ბედის ეტლის  
ბორბალი წაღმა შეტრიალდა:

მოვდიოდი და ვსტიროდი, მოვხუტავამდი  
ჩემსა ზიანსა,  
ღვთის საბოდიშოს სიტყუებსა ვიტყოდი  
თავაზიანსა:  
უფერად აღაგვ მოვადექ ტურფასა, ლამაზიანსა,  
მხმობიარესა ბაღნარსა, ატმიანს და ვაზიანსა.

მშვიერი და ქანცაწყვეტილი მეო-  
ტი ვენახში გადაძვრა, მაგრამ ბუნებით  
კეთილს სინდისი აწუხებს და იმას ნაღ-  
ვლობს, სხვის ბაღში როგორ გადავე-  
დიო! მართალია, თვითონ კდემითა და  
მორიდებით გვაუწყებს: „უწვრთელ  
ვარ, არა ვიცი რა დავითის ფსალმუნთ  
გალობაო“, რაც ზოგიერთმა ვულუბ-  
რყვილომ სარწმუნოდაც მიიღო, მაგ-  
რამ ეს მხოლოდ თავის დამაკნინებელი,  
საბოდიშო თავის დამამციკრებელი გან-  
ცხადებაა. ასეთი რამ ქრისტიან მორ-  
წმუნე ხელოვანთა შორის უცხო ხილი  
არ გახლდათ. გარდა ამისა „დავითიანს“  
ხომ ზნეობისა და მაღალი მორალის,  
სისპეტაკისა და სიწმინდის განსამტკი-  
ცებლად წერს ხანდაზმული პოეტი. რაც  
შეეხება მის ვაჟკაცურ თავმდაბლობას  
და კდემას სწორედ ამიტომაა მრავალი  
ხელთუქმნელი საეკლესიო მართლმადი-  
დებლური ტაძარი, შესანაშნავი საეკ-  
ლესიო ფრესკული მხატვრობა და ოქ-  
რომქედლობის დიდებული ნაკეთობა-  
ნი ხელმოუწერელნი და სწორედ ამი-  
ტომ არა ვიცი რა მათი ავტორების  
ვინაობაზე. მართლმადიდებლური ეკ-  
ლესიის მეთაურნი კრძალავდნენ ტაძ-  
რებსა და ხელოვნების ნაკეთობებზე  
ავტორთა ვინაობის გამომაყდვენებელ  
წარწერებს. ასეთი წარწერები, მათი  
აზრით, ძალას უკარგავდნენ ხატებს და  
წმინდანთა ღვთაებრივ წარმავლობა-  
ში ეჭვს ბადებდნენ.

დავითმა ჩინებულად იცის გალობა-  
ნი, ბიბლია, რელიგიის დოგმატიკა, რი-  
ტუალი, თეოლოგია; მშვენიერად იცის  
როგორ ელაპარაკოს უზენაესს, როცა

უცნობის ბაღში უნებართვოდ შეჭრას  
ინანიებს:

აწ ხორცმან გცოდა, ხორცს ჰკითხე,  
სულს ნურასა სთხოვ ვაღუბსა“  
„ხორცსა აქვს დანაშაული, სულისა არა  
ბრალია...“

ამას მოსდევს მთელი თეოლოგიუ-  
რი დოგმატიკა:

სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი  
მყარალია,  
ხორცი ამ სოფლის გემოთი ნებიერობით  
მთვრალია...

და კიდევ ერთხელ თავდადრეკა და  
მობოდიშება არსთავამრიგესთან, რო-  
მელიც თურმე დევნილის გზასა და  
კვალს წინასწარ ხედავდა.

ბოლოს და ბოლოს დასრულდა სას-  
ტიკი გამოცდა. ყოვლისშემოქმედი  
დარწმუნდა, რომ დავითის სახით საქ-  
მე აქვს ერთგულ მორწმუნესთან, კე-  
თილ ქრისტიანთან და ეკლესიის ზა-  
რის ზრიალით უხმო სხვათა მძლავრო-  
ბით გზავამრუდებულ თავის შვილს  
ტაძარში საკურთხეველთან. ქრის-  
ტიან კაცს ტყვეობაში მუეძინის გაბ-  
მული ყვილიც კეთილად ჩაესმოდა  
ყურში, რადგან იმ ხმაზე იგებდა ჯურ-  
ღმულში მყოფი ვათენებასა და ახალი  
დღის დასაწყისს. მაგრამ სულ სხვა იყო  
მორწმუნე ქრისტიანისათვის ზარის  
ზრიალი. ამ ხმამ იგი მკვდრეთით აღად-  
გინა, დავრდომილმა გაიხარა, მისმა  
გულმა ძვერას უმატა, შამბნარში ჩა-  
მალული წინ წამოდგა, აღორძინდა, მი-  
წას ეამბორა, სასოებით გახედა ეკლე-  
სიას, საიდანაც ზარის ხმა მოესმა და  
კარგა ხნის დამუნჯებულმა ხმამალა  
თქვა: „უცილოდ აქ არის ჩემი ბედი  
და წერანო“. კვლავ ეამბორა მიწას.  
სარწმუნოების სიმბოლო-ზარის ზრია-  
ლა ხმა მისთვის აღორძინებული სი-  
ცოცხლის სიმბოლოდ იქცა. ძნელია  
კაცმა აღწეროს, რა ხდებოდა იმ წამს  
ვენებული პოეტის სულში. ვის შეუძ-

ელგუჯა მაღრაძე  
გოდება

ლია სხვებს განაცდევინოს ჩამოძინილი, ტყვეობიდან თავდახსნილის, აწ უკვე თავისუფლების სამანზე მდგარის განცდები და სულიერი ტკივილები?

სირცხვილი და სიამაყე, სასოწარკვეთა და იმედი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ გვიდებოდნენ ერთურთს მის სულში, მაგრამ, როგორც ყოველთვის ყველაფერს სძლია სიცოცხლის სიყვარულმა. აწ თავდახსნილმა ტყვემ პირიდან ყურძნის მარცვლები წამოყარა და ეკლესიისაკენ ფრთებშესხმული წავიდა.

მაგრამ ერთხელ კიდევ დასცინა წუთისოფელმა. მუხთალ საწუთროსაგან ათასჯერ მახეში გაბმულ დავითს ნამდვილი ტრაგიკომიკური ამბავი დაემართა. ქალთა თავსარქმელი „იალქანნი“ დევების რქებად მოეჩვენა, დადრკა, შეშინდა, ახლოს მისვლა ვეღარ გაბედა, და შორს გაცლა განიზრახა. მისი იუმორის ნიჭი ამ ეპიზოდშიც იჩინეს თავს. ისევ ბაღს მიაღვა, ჯიბე-უბე ხილით აივსო, და დაბინდების მოლოდინში ხშირ ჩალიანში შევიდა. ჩალის ძირების შერჩევანზე კოლოს ლაშქარი წამოადგა და თუ მეოტს პირი დროზე არ „დაეცო“, უცილოდ დაახრჩობდნენ. ზოგი ჭირი მარგებელიათ. რომ იტყვიან, აქაც ისე მოხდა. კოლოების ლაშქარმა დავითი ჩალიდან განდევნა და აიძულა გაქცეულიყო. სიცოცხლეგამწარებულმა, ყველგან და ყველაფერში ხელმოცარულმა გადაწყვიტა, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ, მაინც ჭიქურ მისულიყო იმ ხალხთან. აჩქარებით მიმავალმა უცებ ისევ მოჰკრა ხალხს თვალი. ისინი კალში ჩაშლილ ძნას ლეწავდნენ. დავითს ლამისყანაში მოუმკელი ხოდაბუნები გაახსენდა და გული ჩასწყდა. მაგრამ ახლა სევდისა და ვაების დრო არა ჰქონდა. იგი აჩქარებული ნაბიჯით მიუახლოვდა მარტო ქათქათა პერანგებით მოსილთ, რომელთაც ყელზე ჯვრები ეკიდათ. დავილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას დასტოვებდა ტყვეობიდან თავდახსნილი, წვერომშვეებული, გაბურძნული, თავ-

მოზოტრილი, ნაწამები, ნაგვევი და ჩაქოძინილი ადამიანი. გლახაკების მიხედვით ნიეს ლატაკ ლაზარეს ამბავი გაიხსენეს და „ხლება“ — პური მისთავაზეს. ამის გამგონე დავითი მიხვდა, რომ სარუსეთომდე მიუღწევია. ჯვარს ემთხვია სიხარულისაგან მეცხრე ცაზე მყოფი დავითი, მაგრამ უმჯობესია თვითონ მოეუსმინოთ:

ერთმან მაუთხრა მეორეს: „დაი ხლებაო, ლაზარი!“  
„ხლება“ რა მისმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი,  
მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექმნა ზანზარი,  
ვეღარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქვა ტაძარი.

მთელი დღენია რომ მოიარო კაცმა, ყველა დასტამბულ წიგნს ჩახედო და გაანალიზო, ალბათ ასეთი ამადლელებელი, სულისა და გულის შემძვრელი ამბავი ბევრი არ იქნება ქვეყნად. დაუნდობელი ავაზაკების ტყვეობიდან ლტოლვილი, შიმშილით სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი, პირღია უფსკრულებისა და ნადირთა კლანჭებისაგან სასწაულით თავდახსნილი, ქრისტიანი პოეტი თანამორწმუნეებთან მოხვედრილა, სიხარულით თვალთაგან ცრემლები სდის, შიშველ-ტიტველი დაუბრუნებლად ეხვევა უცნობ ადამიანებს და ეამბორება ჯვარს რწმენისა და ძმობის სიმბოლოს.

უბადლო ოსტატობით გადმოგვეცემს პოეტი თავის ჩამუხლისთავებას. ადამიანი მუხლების რყევას, აცახცახებას, მოკვეთას და ძირს დამხობას იგი ტაძრის გარდაქცევას ადარებს. მხოლოდ ახლა დარწმუნდა ლეკების ტყვე, რომ გადარჩა:

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო,  
სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,  
რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო:  
ამ სიხარულმან დამშალა ჯვარით შეკრული კონაო.

ვიღაც დაძინილ გადამთიელს რუსი ყახახი გამოუჩნდა შემწედა და მომე-



ლელად. დავითი დიდად უმადლის თავისზე მზრუნველს გაწეულ ამავს და მისდამი პატრონობის გამო იმ ყაზახს საკუთარ მშობელ მამას ადრის. იგი დიდი სისათუთითა და გრძნობით ლაპარაკობს რუსი ადამიანების მიერ გაწეულ ჰირსიფულობაზე მის მიმართ, მათ ყურადღებანიანობასა, გულშემატკივრობასა, თავაზიანობასა, სტუმართმოყვარეობასა და გულითადობაზე.

როგორც რომ ერთმან ყაზახსან მე მამინ  
 მამიარაო,  
 როცა რომ შევანდა, მივლიდა, მეტს  
 მამაჩემი არაო.  
 შეებრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და  
 ცრემლი ღვარაო,  
 სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოველყო  
 იანვარაო.

როგორც პოემიდან თვალნათლივ ჩანს, ფხოველი იანვარა ჩრდილოეთში დიდი ხნის გადასული ყოფილა, რუსულ ენას კარგად დაუფლებული და რუს-ყაზახებთან შეტეობილი. მისი შეჭრობით ყაზ-რუსებს მეგობრული საუბარი გაუშართავთ დავითთან, გამოუჩითხავთ, ვინ იყო, სადაური, სად იყო ლამისყანა, ნავით გადაუყვანიათ მდინარეზე და მთისა და ბარის ამბებსაც შეჰკითხვიან.

ბუნებრივია ისიც, რომ ამბის გაგების შემდეგ ქრისტიანები უპატიოდ არ დასტოვებდნენ ურჯულოთაგან დატყვევებულ და თავისით თავდახსნილ მოყვასს. თერგის მიდამოებში იმ ხანებში ბევრი ლტოლვილი ქართველი სახლობდა. ალბათ პოეტი იმითაც ესტუმრა, მაგრამ წერილმანებზე აღარ ჰყვება და ქუნწად, სულ სამიოდე სტრიქონით მოგვითხრობს თუ სად წავიდა:

თერგიდამე სოლადს წაველ, სოლადიდამ  
 აშტარხანსა  
 მუნით მოსკოვს...

ასე ელვისებურად მოსჭრა სათქმელი, ეჩქარება, მოსკოვს ხომ მეფე ვახტანგ მეექვსეა თავისი ამალით შეხიზნული.

როდის მოხდა და რამდენ ხანს გაგრძელდა ტყვეობა?

მკვლევარები ერთ რამეში შეთანხმებულიებივით არიან: ტყვეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ეს თუნდაც იმით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ლეკები ტყვეებს დიდხანს არ აჩერებდნენ. თუ არაეინ გამოსყიდდა, სტამბოლისა და ალუბოს ბაზრებზე მიერეკებოდნენ, თვითონ გურამიშვილიც ხომ გვიდასტურებს, გასასყიდად დამაშურესო. ღატყვევება ზაფხულში მომხდარა, ალბათ ივლისის თვეში. პური გაჭრილი ყოფილა, რაკილა მამითაღში მომკელები იყვნენ დაძახილნი. გაქცევა კი იმავე ზაფხულის ბოლოს აგვისტოს მიწურულსა და სექტემბრის დამდეგს უნდა მომხდარიყო. გაქცევის დროს პოეტს ჰყავე კოწახური, ტყემალი და ყოვისფრჩხილა ხედება გზაში და მითი იკვებება. თუ ყოველივეს კარგად ავწონდავწონით, მთაში და ისიც ალპურ ზონაში ტყემალი, და მყავე კოწახური სწორედ აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრამდე იქნებოდა შემორჩენილი. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით დავითი ტყვეობიდან იმავე ზაფხულსავე გაპარულა (ყურძნობისას მკვლევარის უკვე თერგზე ეგულება). რომელწელს მომხდარა პოეტის დატყვევება? ამ კითხვაზე პეტრე უმიკაშვილი პასუხობდა: „არ ვიციით“. თედო ჟორდანიას კი ამ ტრაგედიას ზედაველას ბრძოლას უკავშირებს, რაც 1724 წელს ზაფხულში მოხდა. მკვლევარი უფრო 1725 წლისაკენ იხრება. იმავე აზრისანი არიან მოსე ჭანაშვილი და კორნელი კეკელიძე, ამ უკანასკნელმა შემდეგ დავითის დატყვევების თარიღი ოთხი წლით გადმოსწია.

ალექსანდრე ხახანაშვილის აზრით ეს ამბავი 1724 წელს მომხდარა. მკვლევარების ამოსავალ წერტილს პოეტის დატყვევების თარიღის დადგენის საქმეში ისევ მისი თხზულება წარმოადგენს. გურამიშვილი ზედაველას ბრძოლის დროს ოც წელს მიტანებული

ელგუჯა მალჩაძე  
 გომედა

ყმაწვილი კაცი ყოფილა. ეს ბრძოლა კი 1724 წელს მოხდა. არც ერთი ვარაუდი სწორი არ აღმოჩნდა. გიორგი ნატროშვილი მართებულად საზღვრავს ამ თარიღს 1729 წლით თვით პოემის ქრონოლოგიური სისტემიდან გამომდინარე. პოემა ხომ სიბერის ეპოს შექმნა პოეტმა. ვახტანგ მეფე რომ რუსეთში წასული და იქვეა გარდაცვლილი, ეს „ქართლის ჭირის“ ავტორმა იმთავითვე იცის, მაგრამ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპს არ დალატობს და პოემას ისე წერს, თითქოს ადრევე დაეწყოს მისი წერა და ვახტანგის შემდგომი ბედი არ უწყოდეს:

ვახტანგი რუსეთს წაბრძანდა, რაჭაზე  
გარდაიარა,  
სხვას იმის ამბავს კვლავ გეტყუი, ჭერ არა  
გამიგია რა.

სინამდვილეში კი, პოეტმა ეს, როგორც ითქვა, უკვე იცის. ლექთაგან თავის დატყვევების ამბავს აღწერს უშუალოდ მას შემდეგ, რაც გადმოგვცემს იმ ხიფათს, რაც კონსტანტინე კახთა მეფეს შეემთხვა. კონსტანტინე უსუფ-ფაშამ სადარბაზოდ მიიწვია და უკან დაბრუნებულ მოაკვლევინა. ეს ამბავი კი 1729 წელს მოხდა. იმავე წელს სცადეს თურქებმა კახეთში შეჭრა და იმავე 1729 წელს მოხდა გურამიშვილის დატყვევებამო, სწორად დასკვნის მწერალი-მკვლევარი.

ამავე თარიღს სათანადო საბუთების მოხმობით უფრო ადრე ამკვიდრებდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

ასეა თუ ისე, სტამბოლისა და ალექსანდრიის ტყვეობის ლანდი ქვესკნელში ჩაიკარგა: გადარჩა არა მარტო ქართველი თავადი, არამედ ქართული პოეზიის ოქროს ფურცელიც. ქართველი ხალხი გულწრფელად უმადლიდა და უმადლის ერთმორწმუნე რუს ხალხს ამ განძის გადარჩენას.

მოსკოვში ჩასული პოეტი თავიანთსა სცემს ვახტანგსა და-ბაქარს, როგორც ქართველთა მეფეებს, თუმცა სამეფო აღარა აქვთ, და სკიპტრას, თავს, თო-

მარს და მურასა ხმალს ტყუილად დაატარებენ. დაბრუნების იმედი სხივი კი უკიაფებთ სულში. იქნა, შიშა დური იმედი!.. რამდენი კაცისათვის უმუხთლა და გაცუდებულა.

როცა დავითი ეახლა გვირგვინოსნებს, ვახტანგი და მისი ამაღლა უკვე ექვისი წლის ჩასულნი იყვნენ მოსკოვს.

სამკვიდრომოკლავისა ჯაბაღარ-გაშუ

„მოსკოვ-ქალაქს მწეს ველოდი“...  
და ვ ი თ ი ა ნ ი

ამოდ არ ანდო ბედი დაღესტანში გზააბნეულმა გურამიშვილმა ჩრდილოეთის ვარსკვლავს. პირველი გაქცევის მერე გული ერთთავად რუსეთისაკენ მიუწევდა. იქ ეგულებოდა ქართველთა მეფე ვახტანგ მეექვსე. იქ რუსთა იმედით ელოდნენ ქართველები სანუკვარ სამშობლოში დაბრუნების სანეტრო წამებს, გარნა საქართველოს ცას ისევე ისაპანიდან მოეძალნენ შავი ღრუბლები. ისევე მოიქუფრა ზეცა და პირქუშ ცაზე მოსალოდნელი ქარიშხლის ავინიშნები აღჩნდა.

დავითი მტკიცედ დაადგა უვალსა და ხნარცვიან გზას მოსკოვისაკენ. იგი სოლალის, ასტრახანისა და ცარიცინის გავლით მშვიდობით ჩააღწევს კიდევ მოსკოვს 1729 წელს.

ასტრახანიდან მოსკოვამდე გაქიმული გზა არც დღეს არის მოკლე და იოლი, თორემ იმ დროს, როცა რუსთიანი ეტლები არ იყო და თვითონ გზებოც მოუკირწყლავი ვახლდათ, ბუნებრივი მგზავრობა ტანჯვა-წამებად იყო ქცეული და მის გადალახვას დიდი ჯანი, მოთმინება და გამძლეობა სჭიროდა. ამ გზის დაძლევა მით უფრო გაუძნელებოდა უქონელ ლტოლვილს, რომელიც ტყვეობას ძლივს გადარჩა და ლექთა დილეგიდან შემოგლეჯილი პერანგისა და გაუტეხავი სულის მეტი არა გაჰყოლია რა.

მოსკოვი იმ დროისათვის ქართველებით „დასახლებული“ ქალაქი იყო და დავითს იქ მრავალი მამულიშვილი ელოდა. პირველი სამოსახლო მოსკოვს





იმერეთისა და ქართლის მეფემ არჩილმა დააფუძნა. ამ ნიჭიერმა პოეტმა და დაუღალავმა მოღვაწემ მშვენივრად იცოდა რუსული, სპარსული, თურქული და ბერძნული ენები. მანვე გამართა პირველი ქართული სტამბა მოსკოვში 1703 წელს. დავითი კი მაშინ დაბადებულიც არ იყო. არჩილი მოსკოვს 1685 წელს ჩავიდა. მას თან ახლდა თავისი ვაჟი, თორმეტი წლის ალექსანდრე, რუსეთის იმპერიის მომავალი იმპერატორის პეტრეს კბილა, მეგობარი და თანამებრძოლი. ეს ის ალექსანდრე ბაგრატიონია, რომელიც რუსეთის დიდმა გარდაქმნელმა პეტრემ სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად ჰაგაჰში გააგზავნა, მერე სწავლაგასრულებულს, გენერალ-ფელდცეხმანისტერობა უბოძა და რომლის სახელთანაც დაეკავშირებულია რუსეთის არტილერიის დაარსება. ალექსანდრე ბაგრატიონი შვედებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, ათი წელი იტანჯა საპყრობილეში, არა და არ მოხერხდა მისი სხვა ტყვეებზე გაცვლა, რადგან შვედების უფალმა-კარლოსმა იცოდა ტყვის ფასი. მხოლოდ ამ ერთ კაცში პეტრეს რამდენიმე გენერლის განთავისუფლება და სამოცი კასრი ოქრო მოსთხოვა. ბავშვობის მეგობრისა და თანამებრძოლის გულისათვის პეტრე შვედთა ტყვე გენერლებს კი შეეღია, მაგრამ იმდენი ოქრო ვედარსად იშოვა და ალექსანდრე ბაგრატიონი სტოკჰოლმის საპყრობილის დილეგში მიიცივალა. მისი ნეშტი, როგორც იყო, პატივით ჩამოასვენეს მოსკოვს და დონის მონასტერში, რაც პეტრე დიდმა ქართველებს უბოძა, დაკრძალეს.

პეტრე პირველი დიდ პატივს სცემდა არჩილ მეფეს. მის ოჯახს არჩილის გარდაცვალების შემდეგაც არ მოჰკლებია მისი მაღალი ყურადღება. ტანად აზოვანი, პირმშვენიერი, მეფე-რეფორმატორი დიდად აფასებდა მისდამი ერთგულების სულსკვეთებით გამსჭვალულ ქართველების ნიჭსა და სიამამაცეს. და მაინც განსაკუთრებული პატივით ექცეოდა და-ძმას ალექსანდრესა

და დარეჯანს. ისტორიკოსებს დღემდე ვერ ამოუხსნიათ საიდუმლო, პოლტავის ბრძოლიდან მოსკოვს დაბრუნებულმა მეფემ გამარჯვების ღზინი დარეჯანის სასახლეში რად გამართა?

ასეთი მეგობრობა იყო მყარი ნიადაგი, რომელზედაც აღიმართა ქართველთა და რუსთა დიდი მეგობრობის ზღუდე. სამწუხაროდ, დავით გურამიშვილის მოსკოვს ჩასვლის დროისათვის უკვე წაქცეულია ამ ზღუდის უმთავრესი სვეტი — პეტრე პირველი, ხოლო მის უხერხემლო მემკვიდრეებს დიდი მბრძანებლის განზრახვათა და ჩანაფიქრთა განხორციელებისათვის ძალა და გონი აღარ შესწევთ. დიდი ხელმწიფის შორსმჭვრეტელურ მიზნებს მისი მემკვიდრენი თვითონ უქცევია თოჯინებად და ისინიც შეგუებულნი იმ აზრს, რომ დიდთა საქმეთათვის არ დაჰბადა საწუთრომ, ქედმაღლურად, მავრამ მარტივად, თითქოს სცენაზე ასრულებენ დიდი რუსეთის, „შვიდთა იულითა მპყრობელი“ იმპერატორების ურთულეს როლს. გაიძვრა კარისკაცთა და ფავორიტთა ხელში პეტრეს მომდევნო დიდმპყრობელნი თვითონ აქცია ბედის განჩინებამ სათამაშო თოჯინებად. პარიკებით მორთულ-მოკაზმულნი, გაუდრულნი, სუნამო უხვად ნაფრქვევნი ისხდნენ ისინი უდიდეს ტახტზე, იძლეოდნენ განკარგულებებს და ქვეყნის ნამდვილი გასაჭირის, მისი მომავლისა, აწყყოსი, წარსულის და რაც მთავარია, რუსი ხალხის ინტერესებისა არაფერი ესმოდათ და გაეგებოდათ.

ვახტანგ მეფემ ლტოლვილი მამაშვილურად მიიღო, ცრემლი შეაშრო, შვება მოჰგვარა, ანუგეშა, თავის აძალაში მიუჩინა ადგილი. სამკვიდრომოკლებულმა მეფემ ბოგანოსა და იღუმალ ლტოლვილს არც სხვა წყალობა დააკლო. ეტყობა იმთავითვე პატივით მიუღია და მოსწონებია, რომ აბჯარსაცავის მზირობა დაუვალებია: „მითხრეს სკვრეტლე ჯაბახანსაო“, გვაუწყებს მოხუცე-

ელგუჯა მალრაძე  
გოჯობა

ბაში წელთა სიმრავლით დამძიმებული პოეტი. ასე და ამრიგად აღმოჩნდა დავითის ხელში საწუქარი იარაღი, რაც ჰაერით სჭიროდა დალესტანში. აქ კაბა რას აქნევს ნომინალურ ქართველ მეფეთა იარაღს, ერთგული ჯაბადარბაში!

უხა და მარიფათი კი მაშინვე გამოუჩინია საქმეში. ტულაში გამგზავრებულა იარაღის შესაძენად. აბჯარი განუმრავლებია, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ იარაღის სამშობლოსათვის გამოყენება მისი ბედის კარბადინში არ ეწერა.

რალა თქმა უნდა, მოსკოვს მყოფ ერთ მუჰა ქართველებს დიდი ვერაფერი არსენალი ექნებოდათ, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო მათი იარაღის საწყობი. რაც არ უნდა იყოს, იმ დროისათვის ზუთი ათასი მოლაშქრის თოფ-იარაღი და ისიც დარჩეული ხარისხისა, სახუმრო საქმე არაა! ეს იარაღი მერე ბრწყინვალედ ჩააბარებს გამოცდას პრუსიასთან ომში და ერთხელ კიდევ უჩვენებს ქვეყანას ქართველთა გულოვნებას, ხმლის ფხიანობასა და შემართებას.

ნივთიერად რა უნდა მიეცა ჩვენი პოეტისათვის ჯაბადარ-ბაშობას? წელიწადში ორმოცი მანეთი დაუწესებიათ მისთვის, ორასი ფუთი ხორბალი და ერთი საყენი შეშა. ასეთი ყოფილა ჯაბადარ-ბაშის გასამრჯელო. ხელმოკლედ მყოფ დავითს თურმე უფროსი ძმა ჭრისტეფორე გურამიშვილი ეხმარებოდა. რა განძა და სალაროს იშოვიდა სამკვიდროწარმეული მეფის კარზე მყოფი, თუნდაც ისეთი პოეტი, როგორც დავით გურამიშვილი იყო იმ დროში? ნივთიერად, რალა თქმა უნდა, ვერაფერს! მხოლოდ წუთიერ სიაპოვნებას თუ იგემებდა პაექრობაში გამარჯვებულნი. სახელსა და დაფნას თუ მოიპოვებდა მცირერიცხოვან თანამემამულეთა შორის. სახელს, რომელიც მის თანამედროვთა ამ ქვეყნიდან ვასვლასთან ერთად განქარებოდა, რომ სასწაულებრივად გადაარჩენილ „დავითიანს“ ჩვენს დრომდე არ მოეღწია. დაფნას რომელიც სულ მალე ჰკნება.

განდიდება მეფისა, მისი სიმამრისა და ბატონიშვილთა ქება-დიდება გონიერების, შემართების, ზნისა და სიუნების ხოტბა, საუკეთესო სურვილები, მოშავლის იმედით ცქერა და სამშობლოს ურჩხულთაგან დახსნის ოცნება ჯერ კიდევ არ იყო დიდი პოეზიის საბრბილი, და რაკი იმ დროს ჰონორარიც არ არსებობდა, კარის ახალგაზრდა მგოსანს მხოლოდ პოეტური ვარჯიშით მიღებული კმაყოფილება რჩებოდა. ასე იწერებოდა „მცირე ლექსი“, „სანადიმოდ და სამღერელად“ გამიხსული. ეს იყო პირველყოფლისა დრო-ჟამის ხარკი და მერე ახალგაზრდობაში რომელ პოეტს არ უთქვამს სალადობო და „აზხანაგთ სათრეველად“ ლექსი. მუხთალმა საწუთრომ არ შემოგვინახა პოეტის იმდროინდელი ჩანაწერები. ისინი ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე, უკრაინაში, მისი სახლ-კარის დაწვისას განადგურებულა. ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია იმ წლებში დავითის მადლიანი კალმით შექმნილი მნიშვნელოვანი ქმნილებები.

მაგრამ რაც მთავარი და მთავარია, გურამიშვილი თავისუფალია! სხვათა ტყვე აღარაა. ნება ეძლევა ხელთ კალამი აიღოს, წეროს, გაერთოს, სულითა და გულით გაიხაროს მოსკოვის მაღალ საზოგადოებაში. მის წინაშეა ორივე რჩეული არისტოკრატია, მომხიბლავი ასულნი, დიდება, მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყანას სამადლოდ შეკედლებული მამულიშვილი პოეტისათვის მიძიმეა „სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა“; ძნელი ასატანია სამშობლოს სიმორე და დანაღვლიანებული პოეტის დაკოდილი გული და ქნარი უდარდელად ვერასოდეს იძვრებს და იცდერებს.

პოლიტიკური ლტოლვილი — ვახტანგ მეექვსე ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა რუსეთის სამეფო კარს სპარსეთთან აწეწილ-დაწეწილ საქმეთა მოსაკვარაზბინებლად დიპლომატიური პაექრობის ემას. სწორედ ამიტომ ჰყავდათ იგი დიდ პატივში და მისი ამაღის წევრებიც, კარისკაცთა ენით რომ ვთქვათ, უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდნენ.



პოეტის ძმის ქრისტეფორეს და მისი თანამდგომთა კვლევა-ძიებასა და მეცადინეობას უკვალოდ არ ჩაუვლია. თუ დაუცხრომელი ისტორიკოსი და დიდი გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ლათინური ენის დიდი მცოდნე ივანე ბაგრატიონი, ვახუშტის ძმა არტილერი-სტი პაატა ბაგრატიონი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი ლევან ბაქრაძე, უებრო მათემატიკოსი დიმიტრი ციციშვილი და სხვები ფუტკრებივით დაუღალავად იწვოდნენ, დიდი პოეტი და პატრიოტი დავით გურამიშვილი გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდა. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ხელნაწერი გაცემტვერა დროის მსახვრალმა ხელმა.

თუთონ ვახტანგ მეფე, შესანიშნავი პოეტი, ჩვენთვის ცნობილ მოღვაწეთაგან რუსთაველის პოემის პირველ გამოცემელი, კომენტატორი და განმარტებელი, მკვლევარი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ასტრონომი და იურისტი. ცხადია, სიახლოვე ისეთ უნივერსალურ და დაუზარელ კაცთან, რომელიც ქერმანში — გადასახლებაშიც კი არ ისვენებდა და ქართულად ათარგმნიებდა მაჰმადიანური სამყაროს ვენით აღბეჭდილ თხზულებებს, უქმად არ ჩაუვლიდა დავით გურამიშვილს. დავითის მისი ძმა ქრისტეფორე, ბიძა მერაბ გურამიშვილი სწორედ იმ წრეში ტრიალებდნენ, რომელშიაც ხსენებულ გამოჩენილ ადამიანთა გარდა შედიან დიმიტრი ბაგრატიონი, ლექსწყობის დიდი მსაჯული — ქართველთა ბუალო მამუკა ბარათაშვილი, თომა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, შიომ ჯავახიშვილი და სხვანი...

იმდროინდელი რუსეთის ლიტერატურა უკვე საკმაროდ მდიდარი, მრავალფეროვანი და თავისებური იყო. საკმარისია ითქვას, რომ იმ ხანებში მოღვაწეობდნენ კანტემირი, ტრედიაკოვსკი, სუმაროკოვი, პროკოპოვიჩი და ახალგაზრდა ლომონოსოვი.

გურამიშვილის რუსეთში ცხოვრების წლებში შლის ფრთებს ნამდვილი რუსული ლიტერატურა, აღმოცენებული მდიდარი ფოლკლორისა და ძველი რუსული

სული დამწერლობის ნიადაგზე. რუსული მწერლობა თანდათანობით აღწევს თავს შუასაუკუნეობრივ ბნელეთს და ევროპის ლიტერატურათა ოჯახში მტკიცედ იმკვიდრებს კანონიერ ადგილს. განმანათლებლურ იდეებს გზას უკაფავენ პეტრე პირველის ახლებური რეფორმები. რუსეთში თანდათანობით ყალიბდება პირველი დიდი ლიტერატურული მიმდინარეობა, რასაც კლასიციზმი ეწოდება და რაც მთელ მე-18 საუკუნეს მოიცავს. მწერლები მრავალსერიოზულ ნაწარმოებებს: ლექსებს, იგავეს, პოემებს, პროზაულ თხზულებებს ქმნიან. ტრედიაკოვსკი პოემა „ტელემაქიადამი“ თავს ესხმის ტირანებს.

უკვებარეშეა, ქართველი ემიგრანტები რუსულ ლიტერატურას ევროპულთან ერთად, როგორც მაცოცხლებელ წყაროს, ისე ეწაფებოდნენ. პოეტის ძმას — ბერ ქრისტეფორე გურამიშვილს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუცია თეოფანე პროკოპოვიჩის „სახელმძღვანელო ბავშვებისათვის“ და ქართულ ენაზე აუჟღერებია იგი.

მოსკოვში ჩასვლის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ვახტანგის სასახლეში, იქ, სადაც ახლა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის მშვენიერი შენობაა წამომართული, გურამიშვილის შაირობის უნარიც გამოცხადეს. ამაში კი ის უფრო დახელოვნებული აღმოჩნდა, ვიდრე მისი დროის რომელიმე ქართველი. ვახტანგის სასახლეში ხშირად იმართებოდა პოეტთა შეჯიბრებანი. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყნისა და ეროვნების ადამიანები ოდითგანვე პირველობას ეცილებოდნენ ერთურთს, არა მარტო ხმალში, ცხენოსნობასა, ჭიდაობასა, თუ სპორტის სხვა სახეებში, არამედ ლექსთა უკეთ თხზვასა და მხატვრულ კითხვაშიც. ვახტანგის სასახლეს დავითის იქ ჩასვლამდე უკვე ჰყავდა თავისი აღიარებული პოეტები: მამუკა ბარათაშვილი, შიომ და ერასტი ჯავახიშვილები და სხვანი. დავითი რო-

ვლადიკა ვაღრაძე  
გომეზა



მელილაც ჯავახიშვილისათვის გაუჩი-  
ბრებიათ: „ჯავახიშვილს გამალექსეს,  
მოშაირეს ჩემებრ ცუდსაო“, მახვილი  
პოეტური სტრიქონებით აცოცხლებს  
ამ ეპიზოდს გურამიშვილი. მკითხველი  
გურამიშვილის თავმდაბლური განცხა-  
დებიდან აღვილად შენიშნავს, რომ ჯა-  
ვახიშვილი, თუ შაირობაში გურამი-  
შვილს ებაექრებოდა, ხელწამოსაკრავი  
პოეტი არ ყოფილა. ჩვენ ზუსტად არ  
ვიცით, ვინ იყო ის „პირად მკლე და  
ტანად ხმელი“ ჯავახიშვილი, ვისაც და-  
ვითი შეაჯიბრეს: ერასტი, შიოში თუ  
სხვა ვინმე, მაგრამ ის კი კარგად მუ-  
წყით, რომ იგი უკვლავყო გურამიშვი-  
ლის ერთმა სტრიქონმა და არა საკუ-  
თარმა პოეზიამ.

ჯავახიშვილს გამალექსეს, მოშაირეს ჩემებრ  
ცუდსა,  
პირად მკლესა, ტანად ხმელსა, ვით ნუურაინს  
ხება მრუდსა,  
რაც მე უთხარ, მას შიანნდის, ვით ნარცეცხლა  
უკან კუდსა,  
ბევრჭერ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს  
დასცემდის ქუდსა.

ეტყობა, „სიბრძნის ერთ-ერთ ძი-  
რითად დარგში“, და ზმათა თქმაშიც  
გურამიშვილმა კარგი დღე არ დააყა-  
რა ჯავახიშვილს, რადგან ის „კოტვით  
ძირს დასცემდის ქუდსა“. გამარჯვე-  
ბულ პოეტს უხვად ასაჩუქრებენ. პი-  
რველი არმალანი — პირველი ჰონორა-  
რი მიიღო დავითმა მეფე პოეტის ხე-  
ლიდან, რომლის სახელი იყო ვახტანგ  
სჯულმდებელი. ვინ იცის? ტერენცი-  
უსის კომედიის ერთი გმირისა არ  
იყოს, კაცთაგან გასაკვირი და უცხო  
არაფერია, და იქნებ მეფე პოეტს შე-  
შურდა კიდევ გულში ერთგული ყმის  
პოეტური ნიჭი და სიტყვის ძალა?!

აღბათ, ის ჯავახიშვილი იყო ვახტა-  
ნგის კარზე მანამდე დაუმარცხებელი  
პოეტი, რაკი დავითი არ თაკილობს მას  
თავი გაუყადროს, ჯავახიშვილის დამა-  
რცხება გურამიშვილს პირველი პო-  
ეტის სახელს შესქენდა. მაგრამ ის  
უკვე ჯაბადარ-ბაშის მზირი იყო და  
იმდროინდელი შეხედულებების მიხე-  
დვით მეტი, ვიდრე კარის მგოსანი.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს  
სახლში მოსკოვს ხდება ის, რაც  
მეორდება ერეკლე მეორის სასახლეში,  
ერეკლე მეორის მდივან-მწიგნობარ  
მზეჭაბუკ ორბელიანსა და ბესიკ გაბა-  
შვილს შორის პაექრობის სახით. სა-  
გულისხმოა, რომ ჯავახიშვილიც მზე-  
ჭაბუკ ორბელიანივით ნუერიან ხეს  
მიაგავს ისიც „უთულის კუნძის შე-  
საგვანი, ვერ გასამართი. პირად მკლე  
და კუზიანი,“ ჩანს.

იმდროინდელი სალადობო „ამხა-  
ნავთ სათრეველი“ და სახოტბო ლე-  
ქსებიდან რამდენიმე შემონახულა.  
ცნობილია ლექსი, რომელშიაც დავი-  
თი ვახტანგს შობის დღესასწაულს  
ულოცავს:

მეფეო, ღმერთმან ნუ მოგცეს წუხილი,  
ქმუნვა, ვიშობა,  
ნუ მოვიშალოს ნადიმი მუდამ-დღეთ სულ  
მეგლიშობა,  
ლაშქარი მოგცეს ურიცხვი, არ ჰქონდეს  
ანგარიშობა,  
მან მოგახმაროს, საღ გინდეს ვინც დღეს  
ქალწულთგან იშობა!

ცხადია, ამ საშობაო სურვილებსა  
და ზმათა თქმას ისა სჯობდა, მეაცრად  
მოეთხოვა — არგე რამ საკუთარ მა-  
მულს, ლხინ-მეგლისებს თავი ანებე,  
აქ უქმად რას უზიხარო! მაგრამ იო-  
ლია მეოცე საუკუნიდან მეტგრამეტე  
საუკუნეში მომხდარი ამბების განსჯა  
და მსჯავრის დადება.

იმ ხანებში დაუწერია პოეტს „სა-  
ნადიმო სამღერალი“, ლექსი „სიუხვის  
კოკა ბატონსა“. ვახტანგმა და მისმა  
მემკვიდრემ ბაქარმა ხომ უქონელი,  
უპოვარი პოეტი სილატაკის ორმოდან  
ამოიყვანეს, სირმით მორთული ჩოხა-  
ახალუხი, ახალი კაბა, ქათიბები და სა-  
ქარო სწვა საბოძვარიც არ დაიშურეს  
მისთვის. გრძნობიერმა მგოსანმა ლე-  
ქსებში სახა ბატონთა გარჯა და ზრუნ-  
ვა.

მეფე პოეტისაგან წყალობით ავსი-  
ლი, ბედნიერი, ნებიერი, თავადიშვი-  
ლი, მეფის ჯაბადარ-ბაში, პოეტი, ტანად  
აღვა და პირად მზე გურამიშვი-



ლი რომ ქალების კერბი იქნებოდა, ამას რაღა ფიცი-მტკიცი უნდა! ამაღაში სულ დარჩეული ვაჟკაცები და თვალტანად გამოსაჩენი დიდებულნი არიან შემკულნი სხვადასხვა ნიჭით, მათგან ზოგიერთს ოჯახი აღრევე აქვს შექმნილი, ზოგიც მოსკოვში დაცოლშვილდა:

რომელნიც კახნი, ქართველნი ქართლიდამ  
გადმოგვევლია,  
ზოგს ქართლშავე ყავთ ცოლშვილი, ზოგს  
აქ შეურთავს ცოლია.

ასე ალაპარაკებს დავითი ვახტანგს. ამ ამაღის ბედს იზიარებს დავით გურამიშვილიც. სამშობლოში რომ უძირო და უშვილო იყო, ეს უდავოა. თავის ავტობიოგრაფიულ პოემაში მხოლოდ დედ-მამის, ძმისა და დის უნახობას ჩივის, ცოლსა და შვილს კი ერთხელაც არ ახსენებს:

დედ-მამა, ძმანი დავკარგე, არ ვიცი დანი  
სად არი?  
სად მიმიყვანა სად მყოფი, კიდეც მივეყვარ  
სადაო,  
მამა, დედა, ძმა თვალითა ველარა მხედავს  
ა. დალი

ან:  
დამიხე ვანი, კარავ-სევანი... დედ-მამა,  
ძმანი, გამჟარე დანი...

ან:  
ვაიმე, მამავ, ვაიმე დედავ, ძმავ და  
დაო, ვერც ერთსა გვედავ!

ყველგან ისე დაეინებით ერთი და იგივე მახლობლების გახსენება გვარწმუნებს, რომ სხვა მეტი გულთან ახლო მყოფი საქართველოში არ დარჩენია. მხოლოდ ერთ ლექსში, ვახტანგის გარდაცვალების ცნობაში, გაიღვლებს ვიღაც მშვენიერი ასულის სახე:

ვაიმე, მამა-დედისა, ძმის დამჟარავი ვარ.  
დისა,  
ველარ მნახავი მოყვრისა, ტან-ლერწამ,  
პირად ვარდისა

ეს უთუოდ ის ქალია, რომლის მოყვანითაც პოეტი დიდად კმაყოფილია ღვთისა: „მოგირთე ზე-ქვე საცანე, ცოლიც გიბედო“. ერთის მხრივ ცოლის ასეთი სატრფიალო ეპითეტებით შემკობა ნაკლებადაა მოსალოდნელი. მაგრამ ზრდილი, ოჯახისა და ქვეყნის

ერთგული პოეტისაგან არც ისაა გასაკვირი, რომ საყვარელ ცოლს „ტან-ლერწამ, პირად ვარდი“ უწოდოს. კითხავია ოღონდ, ეს ქალი საქართველოში, თუ რუსეთში შეირთო ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილმა პოეტმა. პოემიდან ცნობილია, რომ მას მხოლოდ დროებით შორდებოდა. სიტყვებში „გაფრენა, ქმნა ნავარდისა“ უნდა იგულისხმებოდეს პოეტის ჯარში წასვლა, პრუსიასთან ომი, დროებითი დაშორება. თუ დედ-მამა და და-ძმა სამუდამოდ დაკარგა, აქ პოეტი დროებით განშორების გამო დრტინავს და გულისტკივილს იძულებით დაცილებს გამო შეუწუხებია — „ველარ მნახავი მოყვრისა“.

და ჟამთასვლისაგან დაბრძენებულ პოეტს თავს სიკვდილის აჩრდილი წამოადგება და ემუქრება:

ჭერ შენთვის არა მცალია, ცელს უსვამ  
საღვსავსაო,  
როცა გავლესავ, თავს მოგჭრი, შენს ცოლს  
ჩავაცმევ შავსაო.

სწორედ ამის გამო არ უნდა იყოს სწორი ვალერაან გაფრინდაშვილის თვალსაზრისი: „გურამიშვილის ლირიკა არის ერთი უცოლო კაცის აღსარება“ და არც კორნელი კეკელიძის აზრი უნდა იყოს მართებული: „სამშობლო მხარეს მოშორებულე უცოლშვილო და უპატრონო (პოეტი) ხელს ჰკიდებს ლიტერატურულ მუშაობას“.

ეს შეხედულებები ეწინააღმდეგება თვით პოეტის ცნობებს და არ გამოხატავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ცოლზე ძუნწად ლაპარაკის მიზეზი, ჩვენის აზრით, გარდა პოეტის სუბიექტური გუნება-განწყობისა, სიბერეში რელიგიური რწმენის მოძალეზაც უნდა იყოს.

ჯაბადარ-ბაში დავით გურამიშვილი საწუთრომ კვლავ ცხოვრების კენწეროზე ასტყორცნა. იგი კვლავ დიდებულითა შორის ტრიალებს, იწყება მხი-

ელაფჯა მალკაძე  
გოდება

არული მეჯლისები, ზმა და შაირობა, სიმღერა და ცეკვა, გალობა და ჩანგის ნაღვლიანი აედერება, — ეროვნული უბედურებით სვედამწარებულთა ამო შექცევა და მხიარულება. ტყვეობავის-მოვლილი, განაწამები, უდარდელ ცხოვრებას გადაჩვეული პოეტი თითქოს ერთბაშად გადაეშვა შვევის მორევში და დროც აღარ დარჩა, საწუთროს სიმუხთლებზე ეფიქრა, წუთისოფელი ხომ გრძლად არავის ახარებს, და შვევის ზღვა დავითსაც მალე სიმწრის სავანედ ექცევა. ღრეობასა და შექცევას არც სხვის კარზე სტუმრად მყოფი მეფე პოეტი იშლიდა. ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა დროსტარებასა და ლხინს სევდა-ნაღველიც უმოწყალოდ ჰქონდა გარეული, მაგრამ ეს ქვიშაზე ნაგები სიამოვნეთა ხუხულა დღემოკლე იყო და მალე უნდა წაქცეულიყო. ადრე თუ გვიან ამას ბოლო უნდა მოლებოდა, ნაწყალობევ ლუქმას სხვა ვინ გაუხარებია, რომ შვება და ლხენა მაინცდამაინც ქართველთათვის მიეტანა, მაგრამ ჯერ ამაზე არავინ ფიქრობდა. სხვის იმედად ყოფნა, მცონარობა და ბედოვლათობა რომ კარგს არას უქადდათ ამას, ვახტანგის ამაღლის წევრებიც აშკარად გრძნობდნენ. იქნებ ერთი მიზეზი ესეც იყო რომ ძალუმ მიეძალნენ ქეიფსა და დროსტარებას.

დავითი კი, თითქოს დამბადებელმა უბედურ ვარსკვლავზე შვაო, ავი სვე მიწყვივ თან სდევდა და დიდი ხნით არსად არასოდეს უღიმოდა. არც მოსკოვს ანებებრა ბედმა. არ დააცალა სავსე სუფრასთან ჯდომა, ნადიმი და ჯავახიშვილთან პაექრობა.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ავი ყისმათი იმიტაც დადასტურდა, რომ მოსკოვს ჩასულებს პეტრე დიდი ცოცხალი აღარ დაუხვდათ.

ერთს დიდს პეტრეს და ორ სხვასა მოშლოდათ წუთი-სოფელი. წართმოდათ მოკლედ სამყოფი, ეშოვნათ გრძლად სამყოფელი. მით სევდა ვახტანგ მეფესა გონების დასაყოფელი —

ხცემოდა გულსა, განეჭრა გრძლად ფილთის  
 ვახტანგ მეფეს მიძიმედ განუცდია  
 სამი რუსი ხელმწიფის უდროოდ განსვენება. ალბათ რუსი მონარქების ზედი-ზედ სიკვდილმა თავისი ამაღლისა და ქვეყნის უბედურება კიდევ უფრო ახალი ძალით განაცდევინა. ალბათ მუხთალმა საწუთრომ მათი სიკვდილით ამცონ ხანდახან ნათელშიიველ მეფე პოეტს, რომ საყუთარი ქვეყნისა და ხალხის ბედი — მისი საყუთარი ქვეყნიდან წასვლის შემდეგ — სხვათა ნებასურვილსა, კეთილგანწყობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული:

ამაზე იყო მგლოვარე, ცრემლი ამისთვის  
 სამი ხელმწიფე ზედი-ზედ მოკვდნო, გული  
 თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას სჩიოდა:  
 ვაგრძელდა საქმე, განწელდა, რაღა ვხატკვა,  
 რა ვარჩიო და!

მართლაც, ბედი დასცინოდათ თუ რა იყო ქართველ ემიგრანტების თავს? პეტრე დიდს ცოცხალს ვერ ჩაუსწრეს, ეკატერინე პირველი და პეტრე მეორეც, ორი გვირგვინოსანი, ერთმანეთს მკაყვნენ, ყველა იმედი განქარდა. მართალია, ტახტს მპყრობელი არ უძვირდებდა ხოლმე და არც რუსეთის ტახტს გამოლევია ტახტზე ასვლის მსურველნი, მაგრამ არც ქართველთა ტახტის საქმე იყო ფარსავად, ეს ადარდიანებდა ვახტანგ მეფეს და ეს უკლავდათ გულს ქართველ ემიგრანტებს.

სინამდვილე სასტიკი, ულმობელი, დამცინავი, მკარხალი და უნდო აღმოჩნდა, მაგრამ ეს იყო სინამდვილე და ვახტანგმაც, მეტი რა ჩარა ჰქონდა, მას მიმართა, ვინც ტახტზე იჯდა:

ოღებსაც ანა ხელმწიფე რუსეთზე  
 გარდმომწოდომარე,  
 ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე, სამართალ  
 დაუმცდომარე  
 გვირგვინოსანი ტახტზედა მეფემ იხილა  
 მჭდომარე,  
 მამინ შეიქმნა საქმიხა მოხსენებისა მდომარე.



ანა დედოფალი მინცა და მინც არ გამოირჩეოდა აქ ჩამოთვლილი ღირსებებით, მაგრამ მეფეთა ქება წესად თქმულა. მეტადრე მამინ, როცა იმპერატორმა გადაწყვიტა ირანისა და თურქეთის ომით ესარგებლა და ვახტანგის გამოყენებით თავისი ქვეყნისათვის ხელსაყრელი პოზიციები შექმნა.

ომი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის 1730 წელს დაიწყო. რუსეთის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა ვახტანგი კასპისპირეთში წარებგზავნა და ირანისათვის წაერთმია კასპის შემოგარენი.

პოლონეთის მეფის არჩევასთან დაკავშირებული კონფლიქტის დროს საფრანგეთის დიპლომატიამ მოახერხა რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის ამხედრება. რუსეთი საშოვარსა და საკბილოს ეძებდა, მაგრამ ანა იოანეს ასული იძულებული გახდა პეტრე დიდის მიერ მოპოვებული მიწებიც უკან დაებრუნებინა სპარსეთისათვის და მრისხანე ნადირშაჰთან „საუკუნო ზავი“ შეეკრა. უნიკოსა და პირად ვნებებს აყოლილ ანას ნაკლებ აწუხებდა ის, რომ ერთმორწმუნე ქრისტიანი ქვეყანა გასწირა და ხახაში ჩაუვდო გაალმასებულ მაჰმადიან მეზობლებს, რომელნიც საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით იყვნენ გამაგებულნი. „საუკუნო ზავით“ ნადირშაჰი რუსეთის მოკავშირე ხდებოდა თურქეთის წინააღმდეგ ომში. ჩვენი ქვეყნისათვის ეს დამლუბველი ომი დაიწყო: 1735 წელს და დამთავრდა ბელგრადის ზავით 1739 წელს.

დიდი სახელმწიფოების ამ დიპლომატიურმა და სამხედრო თამაშმა საქართველოს გაჩანაგება მოუტანა. ვიდრე ჩვენი დიპლომატები ამაში გაერკვეოდნენ, ურემი უკვე გადაბრუნებული იყო, უღელში მავრად შებმულმა ხარეზმა კი აპუურებისა და ტაბიკებიდან თავი ვერ დაიხსნეს და დაიხრჩვენ.

პოლიტიკური ამინდი კი თითქოს ხელსაყრელი იდგა. თითქოს დრო და მომენტი ხელშემწყობი იყო, რომ ვახტანგი საქართველოს ტახტს დაბრუნე-

ბოდა, მაგრამ არ იქნა და ამ იდეას ხორცი არ შეესხა. ჯერ კიდევ 1731 წელს არაგვის ერისთავი ბარძიმი ატყობინებდა წერილით ვახტანგ მეფეს, მთელი ფშავი—ხევსურეთი ფეხზე დადგება, დროა ჩვენი ქვეყნიდან განდევნოთ ოსმალთა და ყიზილბაშებიო. მართლაც ეს ორი ვეშაპი იმ დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა. ამ შემთხვევის გამოყენება კარგად შეიძლებოდა, ვახტანგს რომ მეტი თაოსნობა, გაბედულება გამოეჩინა და უკეთესი მფარველები ჰყოლოდა. სამწუხაროდ, რუსეთს ანა იოანეს ასული განაგებდა, თვითონ დედოფალს კი პერცოგი ერნესტ-ოანე ბირონი, ქედმაღალი, უმეცარი, ხეპრე ტირანი, რომლის მეუღლის ხანა ისტორიამ სამარცხეინო ბოძე გააკრა. ლომივით ფაფარაშლილი და მძიმე პარიკის ქვეშ ბირონს ნამცეცა ჰკუთვნებოდა, სამაგიეროდ გულში ღვარძლის ზღვა უტრიალებდა. მას არც რუსეთის ინტერესები ენადვლებოდა და არც ქრისტიანი ქართველების ბედი აწუხებდა. იგი ჰკვიანსა და ნამდვილ სახელმწიფო კაცს ვოლინსკის მტრობდა და მასთან ქიშპს იყო გადაყოლილი. ბირონს ვახტანგ მეფისათვის ისიც დიდ წყალობად მიიჩნდა, რომ მოსკოვს იჭდა და რუსეთის პურობით იკვებებოდა.

საგანგებო შემთხვევა რომ დადგა, ანამ ვახტანგი პეტერბურგს გაიწვია, პატივით მიიღო და ყველაფერი ამით მოათავა, რადგან მრჩეველი და გამგებელი, კოპეზშეკრული კუმტი და მრისხანე ბირონი ანას გვერდით ედგა. თვითონ კაბინეტ-მინისტრ ვოლინსკის მეცადინეობაც, ესარგებლათ მომენტი, დახმარებოდნენ ქართველებს ორი საქმე ერთად გაეკეთებინათ და ორი კურდღელი დაეჭირათ, ამა აღმოჩნდა. ბირონმა შემდეგ თვითონ ვოლინსკი ამოიღო თვალში და იმდენს ეცადა, ვიდრე წინდაუხედავსა და ვნებებს აყოლილ იმპერატრიცას მისი პატიმარყოფისა და დასჯის ბრძანება არ

ელგუჯა ვაღრაძე  
გოფიანა

გამოსტყუა. უნებისყოფი ქალად ქცეული დედოფალი ბოროტი საყვარლის ხელში სათამაშო თოჯინად ქცეულიყო.

ვანტანგის ვიზიტი სიტყვიერად თითქმის უშედეგო არ ყოფილა. ქართლის მეფემ რუსეთის დედოფალს პეტრ დიდის დაპირებანი შეახსენა, ანამ დაუდასტურა, ვოლინსკის ჩარის შედგენა და კასპიისპირეთში ჩასვლა უბრძანა ქართველებთან ერთად. მზადებაც დაიწყო...

მაგრამ რა მოჰყვა ამ ვაცემულ ბრძანებასა და მზადებას, ცნობილია. რუსეთის მბრძანებელს ერთუზიანში ჯარების ასტრახანში ჩასვლამდე ეყო. უცებ მისი ხელმწიფური სიტყვა და აღთქმა მთას მოწყვეტილი ზეავივით დაიშალა, ზათქით დაეშვა, მრავალთა იმედი და სასოება გადათელა, მისრის-მოსრისა, საღდაც ნაპრალეზსა და ხე-ხუვებში უგზო-უკვლოდ ჩაიკარგა, თოვლივით შეყსეულად დადნა და სუსხიან წყლად იქცა.

დავით გურამიშვილის ცნობით, ანა იოანეს ასულმა მეფის თხოვნა შეიწყყარა და 1734 წელს ვანტანგს ასე „უბრძანა“:

...მე მივირავს ზღვის მიდამო, ვაღმა მხარი, — სოლალსა და დარუბანდსა ბაქოსა ღვას ჩემი ჯარი მუნ მიბრძანდი, საქურქლესა მუღამ მზა არს ღია ჯარი ლაშქარი და ხაზინაი — ვით გენგმოს მოიხმარი.

იმპერატორი ქალი ბევრს რასმე ჰპირდებოდა ვანტანგს: იმპერიის ნაწილს გაძლევა, ჩემს სპას ვუბრძანებ „თქვენს ბრძანებებს მორჩილებდნენო“, თავს საკვდავად არ ზოგავდნენო, ეს ცხადია, ცარიელი სიტყვები და ყალბი დაპირება სასახლის ფარისევლური ეტიკეტის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ ვანტანგ მეფეს იმპერატორი ქალის მეფური სიტყვა და აღთქმა გაუტეხელი ხალისი სიმართლე ეგონა და თავჯანსიციემით მადლობა მოახსენა იმპერატორიკას „უზვი წყალობისათვის“, თუმცა სხვა რა გზა ჰქონდა. ვანტანგ მეფემ ანა დედოფალს ხელი დაუკოცნა. დედოფალმა მართლაც ხელმწიფური ნადიმი გამართა. ვანტანგ მეფის საღდგერძელოს შესმა ინება და

დაცლილი სასახის ვანტანგს გადასულა... ვანტანგიც აძლევს აღთქმას, შენს სიკეთეს არ დავივიწყებ და მუღამს მუღამს მაქებარი ვიქნებოი... ესეც ქართლის კირი!

ვანტანგი პეტერბურგიდან მოსკოვს ჩაღის. მისმა ამაღამ კასპიისპირეთში დასაბრუნებლად ნაგების შენებას მიჰყო ხელი და მთელი ერთი თვე აშენებდნენ. ვანტანგს და ბაქარს თავთავიანთი ვეგმეზი აქვთ. ბოლოს ყველაფერი მზადაა გასამგზავრებლად. ამაღამია გურამიშვილიც.

ამ დროს ეკუთვნის პოეტის ლექსი: „მოსკოვ ქალაქს მზეს ველოდით“. აღმოჩნდა, რომ მზეს ამაღდ ელოდნენ და სოლალს ყოფნა უჯობდათ! დასრულდა ეს ნაძალადევი სტუმრობა. ცხადია, ამაღის წეგრებმაც იგრძნეს, თუ რა ძნელი იყო „სხვის კიბებებზე ასვლა-ჩამოსვლა“, შეაფასეს ბირონის დამადლებული ლუკმა, აწონ-დაწონეს ვითარება და იგრძნეს, რომ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, თორემ ასე იოლად არ დასთმობდნენ საცეს სუფრას, მით უმეტეს, რომ საქმე, რომელიც იმთავითვე უძლეურად გამოიყურებოდა, ნაკლებ ერთუზიანს უნერგავდა მის შემსრულებლებს: „თოკებს ხელით ეწეოდნენ“.

ნავში ჩავსხდით და წავედით თოკებისა ხელის წევით: ხან ჩქარა და ხან წუნარადა, ხან ვერც დაძვრით, ხან კი რუყვით, წინ ეტივი მიგვიძლოდა, ედილისა წყალს დავევით, ჩვენი ავად სიარული სამს თვეს უქან შევიტყუეთ!

ზუსტი თქმაა: „ავად სიარული!“ ცაში გადაწყვეტილი საქმის უკუღმა შეტრიალებას მოწადინენი ბედისაგან განწირულნი აღმოჩნდნენ. მართლაც ფატალური აღმოჩნდა ეს გზა ვანტანგისა და მისი ამაღისათვის. უსახლკაროდ შეთენილნი იმედის მაცდურ სხივსა და საკუთარი მეფის ხუმტურს აყოლილი პატრიოტები სასოებით დაადგნენ ხსნის ძნელსა და ნარეკლით მოფენილ გზას, მაგრამ კასპიისპირეთის ცა მოქუთრული

1 ედილი — ვოლგა.



და შავი საავტორო ღრუბლებით გადაგ-  
რაგნილი დაუხვდათ. ამალის წვერთა-  
გან, რაღა თქმა უნდა, არც ერთმა არ  
იცოდა, რომ საბოლოოდ დასრულდა ნა-  
ძალადევი სტუმრობა, განქარდა აღთქ-  
მულ ქვეყანაში მოხვედრის იმედი, ბო-  
ლო მოელო ლხინს, სამუდამოდ დაიკარ-  
გა სულის სიმშვიდე და, რაც მთავარია,  
სამშობლო. ნაცვლად იმისა, რომ გულზე  
მამულის ნიაქი მოლაქმუნებოდათ,  
ნაცვლად იმისა, რომ სანუკვარი თბი-  
ლისის კარიბჭენი შეელოთ, რისი იმედი-  
თაც ისინი ცოცხლობდნენ, ეს კარი მა-  
თთვის ყველაზე მაგრად სწორედ მაშინ  
დაიხურა და დაიგმანა...

ვიდრე ედილის წყალს მინდობილი  
ქართველნი ნაგებით ჩაღწავდნენ კას-  
პიისპირეთში, „გადატრიალდა საწუთრო  
მრუდითა საბრუნავითა“. კასპიის ზღვის  
სანაპიროზე გაუნებულ ქალაქში  
ვინმე სვიმონ აბრამიშვილის თავის მა-  
მულიშვილთათვის ცუდი ამბები დაუხ-  
ვედრებია. იმავე ამბების სისწორე რუს  
ელჩებსაც დაუდასტურებიათ და მეფის  
გული კმუნვით ავსილა. „ალიგსო გული  
მეფისა მრავლითა საქმუნავითა“, მაგ-  
რამ სჯობს გულდაკოდოდ პოეტს მოვეუ-  
სმინოთ:

მოახსენა შამხია — თამაზ-ხანმა დაიკირა!  
მეფეს ესმა, თავში ხელი შემოიკრა და იტირა.  
ესრეთ მოთქვა: ჩემი ბედი ასრე როგორ  
გაიწირა.  
გზა არსაით წარმემართა, წინ ერთი რამ  
ამებირა.

ეს არ არის მარტო უსაფუძვლო წუ-  
წუნი საკუთარი სვის საბედისწერო ახი-  
რებაზე. როცა დროთა ვითარებაში შექ-  
მნილი რთული გარემოებანი პიროვნე-  
ბაზე ან თვითონ ხალხზე ძლიერნი ატი-  
ან, მაშინ ძნელია წარმატების მოპოვე-  
ბა. ვახტანგ მეფე სამ ვეშაპს შუა აღმო-  
ჩნდა ერთი მუქა ქართველებით, რომ-  
ლებიც თავის მხრავ ურთიერთშორისაც  
არ ეძებდნენ მოყვარეს. მეფეს ცალ-  
კერპ მათი დაშოშვინება და დაწყნარე-  
ბა უხდებოდა. ამიტომ სავესებით ბუნე-  
ბრივად ისმის თვითონ მეფეს დაცდენი-

ლი სოფლის სამდურავი: „ვაი საწუთ-  
რო, ცრუ სოფელო!“

მეფე ჩიხში აღმოჩნდა.  
ნადირ-შაჰმა კი სპარსეთის ისტორი-  
აში საქართველოსათვის ყველაზე ავი  
შაჰის აბას პირველის პოლიტიკა გაა-  
ცოცხლა და საქართველოს გასპარსელებ-  
მა მოიწადინა. ამ უგონო განზრახვებზე  
გათავებდებულ მტერს ხელი მხოლოდ  
მამაცი ქართველი ხალხის შეუპოვარმა  
ბრძოლამ ააღებინა. ამ ბრძოლას კი თა-  
ვისი მეთაურები ჰყავდა. ესენი იყვნენ:  
შანშე ქსნის ერისთავი, ვახუშტი აბაში-  
ძე, გივი ამილახვარი, თეიმურაზ მეორე  
და სხვები. რამდენი შეღავათი იქნებო-  
და ერისათვის, რომ ქართველ გმირებს  
გვერდით ჰყოლოდათ ის ორი ათასი ქა-  
რთველიც, რომლებიც ვახტანგმა შორე-  
ულ ჩრდილოეთში განძარცვული ხის  
ფოსლებივით გაფანტა და ჩიმოდაფინა.

ვახტანგ მეფემ ადრეც იცოდა, რომ  
საქართველოში თურქეთის ძლიერება  
შეირყა. თავიდანვე ეს ფესვებუქონელი  
ოსმალური ხე დრო-ჟამმა შიგნიდანაც  
გამოხრა და ერთი ამოსუნთქვალა კმა-  
როდა მის წასაქცევად. უწყოდა მეფემ  
ეს ამბავი, თუნდაც ბარძიმ არაგვის  
ერისთავის წერილიდან და ამ ცნობებით  
გული საგულეს ჰქონდა. მაგრამ ის კი  
ველარ გაითვალისწინა, რომ მაჰმადია-  
ნური სამყაროს მრუდე სასწორის იმ  
პინამ, საითაც სპარსეთის შაჰების ბრჭ-  
ყვიალა გვირგვინი იდო, იმდენადვე აი-  
წია, რამდენადაც დაიწია თურქეთის  
სულთნის გვირგვინმა. ერთი დროს უბა-  
დრუქმა და არას მქონე გაყაჩაღებულ-  
მა, მერე მძარცველთა ბელადად ქცეუ-  
ლმა, შაჰობას გამოჰკრა ხელი, ურუმუც  
დააჩოქა, რუსეთის კუთვნილი მიწებიც  
დაიპყრო და მთელის წინა აზიაში უძ-  
ლეველი მეომრის სახელი დაიმკვიდრა.  
ნადირ-შაჰის სახელით დედები ბავშ-  
ვებს აშინებდნენ. იგი საფრთხობელად  
იქცა ყველასათვის.

ელგუჯა მაღრაძე  
გომჯება



უბედურების ეტიკმა, რომელიც ქართველთა ანტრახანში დაუხვდათ, ისინი ერთიან დაბნია და გააოგნა. ბედშეკრული და ჩიხში მოქცეული მეფე ვახტანგი, ამაღლის წვერებთან ერთად, საგონებელში ჩავარდა. რა გზა აერჩიათ სავალად, ვის მიჰკედლებოდნენ, საით წასულიყვნენ, სად იყო ხსნა? აი, რა კითხვები უშფოთებდათ გონებას. სამშობლო ქვეყნისა და თითოეული მათგანის ყოფნა-არ ყოფნის საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით იღვა და მათგან სწორ არჩევანსა და მეყსეულ გადაწყვეტას ითხოვდა. ვახტანგის ადგილზე, იმ რთულ ვითარებაში, ბევრად უფრო წინდახედულ, შორსმჭვრეტელ მეფესაც გაუჭირდებოდა გამოსავლის პოვნა. ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია მისი ურვა-ჩივილი, რასაც პოეტი ასე გადმოგვცემს:

ახლა რა ვქნა, სად წავიდე? გზა შემექმნა  
დახლართული,  
ქარი ქრის და აფრა გაშლით ვარ ხომალდით  
ზღვას შერთული...  
ღმერთთან თქვენს მტერს წარუშარბოს, ვით  
მე გზა მაქვს წარმართული.

ამ ამბავმა უცებ გატეხა მეფე სულიერად და ფიზიკურად. სევდით გულღვიძლ დანაყული, სევდამწარებული, გვირგვინმობდილი მეფე თვითონვე აღიარებს თავისი უსწორო მოქმედების, ანუ „ბაყაყური სიარულის“, „წყალში ჯდომის“ სავალად, საგოდებელ და სამწუხარო შედეგს. თუ რუსეთის სატახტოში ვაბრუნებულყო ბრძანების გარეშე, ვინ იცის, როგორ მიიღებდნენ. ხოლო შემახიას რომ წასულიყო, რა უნდა მოემოქმედა? რა შეეძლო დაეპირისპირებინა ნადირ-შაჰის ძლევაშისილი მხედრობისათვის, უმოკავშირეოდ დარჩენილ მარტოსულს? ასწონ-დასწონა თავისი სავალადო საქციელის შედეგი და შედრკა, როცა გონებაში გაისიგრძეგანა ის, რაც მოიმოქმედა, ნახა, რომ რაც ისიბრძნა, სისულელე ყოფილა. ვინაიდან შემწედა და ფარად აღარავინ ეგულება, ცაც გაურისხდათ და დედა-

მიწასაც მათ სამტროდ დაუბჩენის უსწორ-  
მაზარი ხახა, განწირული, მიტოვებული  
მეფე-პოეტი ისევ ღმერთს მიმართავს:

ღმერთო ჩემო, ეს რა მიყავ, მომივიღინე საქმე  
ძნელი,  
სულ სიცოფედ შემირაცხე, რაც ვისიბრძნე მე  
საბრძნელი!

საზარელი ამბის მოსმენით განაწამები მეფე სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილა. ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ ეს უყო გაყურსულმა წყალში ჯდომამ, მაგრამ გვიანდა იყო თითზე კბენანი, და მასთან ერთად გამწარებულ სვეს დასტირის და ჰგოდებს მისი კარის პოეტი.

ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა. ეს იყო პოლიტიკური ცხოვრებაზე ხელის აღების, ყველაფრისაგან ჩამოშორების, ხალხისაგან თავისი თავის მოკვეთის და კერძო კაცად ქცევის იძულებითი განაჩინება, რაც მეფემ სასჯელად თავის თავს გამოუტანა. იგი დარუბანდს წაბრძანდა. იქ, რუსთა ქვემეხებმა ერთი-ორი გასროლით მაინც პატივი სცეს, თუმცა მათაც ის უჯობდათ ჭურვები ცუდ-უბრალოდ არ ეხარჯათ და ნადირ-შაჰის მხედრობისათვის შემოენახათ. დარუბანდს მისვლა მეფესა და მის მოლაშქრეთაც ემკვლელებოდათ, მაგრამ მათ შესახვედრად გასროლილი ჭურვების აფეთქების ხმამ „ნუგეში სცა“ და გაამხნევა. ამრიგად, ჩვენი პოეტი — მემატინის ცნობით:

წაბრძანდა, მეფე ხომალდით დარუბანდისა  
კიდესა,  
მღვდელნი სამღვდელიოდ მოხილნი მოვიდნენ,  
ხელი ჰკიდესა,  
ციხილამ თეთრი აღაში გაშალეს, გადმოჰკიდესა,  
რუსთა ზარბაზნის შილინგით გარს ციცხლი  
მოუკიდესა.

დარუბანდს კარგად მიღება სალბუნვით მოეცხო მათ დაჭრილ გულებს, სულის იარები თითქოს დაუამდათ, ტკივილები გაუყუჩდათ, მაგრამ ეს რა ნუგეში იყო?! აბუჩი სტუმრები არ არიან, ეს არის და ეს!



ლაშქრის თოფთა ისროდნენ, ხუცები რეკდნენ  
 ზარებსა,  
 ასე გვეგონა, ხმისაგან ცა იძვრის, მთა ზანა-  
 რებსა.  
 არ ვგვანდით აბუჩს სტუმართა, არცა უბრალოს  
 მგზავრებსა.  
 ცოტად მით გვეცა ნუგეში მუნ მისვლად  
 დანაზარებსა.

გურამიშვილი შაჰ-ნადირის განჯის აღებასა და ოსმალთაგან თბილისის დაცლას გვაუწყებს. ნადირ-შაჰს, ამ უნდო ურჩხულს საქართველოს ვერაგ და დაუნდობელ ჯალათთა სიაში საპატიო ადგილი ეკუთვნის.

პოეტი მოკლედ და სხარტად გვიხატავს ველზე მოთარეშე ავანაჯთა მეტაურის, თარაქამის სწრაფი აღზევების ამბავს, რაც, მერე და მერე, სხვადასხვა ხალხის უბედურების მიზეზად იქცა:

აჲ მოგოთხრა ნადი-ყული ან ვინ იყო, რისა  
 ჰქნელი:  
 იყო ერთი თარაქამა, ელთა თავი ზვარასნელი,  
 მისი გამო შაჰ-თამაზმა მიიყენა საქმე ძნელი,  
 მისის ნებით, თავის ხელით, გარდაიხვა ქულზე  
 წნელი...

სპარსეთის კანონიერმა მბრძანებელმა მექალთანე შაჰ-თამაზმა საქმე წაიხდინა, ლოთობასა და მეძაობას ვადაპყვა, გულისთქმასა და დაუმცხრალ ვნებებს აყოლილმა, პოლიტიკასა და პირად ცხოვრებაში წინასწარხედვის უნარი სრულიად დაჰკარგა, ლიქნით დაბრმავებულმა რეგვენმა ნადი-ყული თავის ჭეშმარიტ ერთგულად მიიჩნია, სრული ნდობით აღჭურვა, სახელმწიფო ბეჭედი და ჯარი მას ჩააბარა, თვითონ განცხრომის სარეცელზე წამოწვა და მანამ არ ამდგარა, ვიდრე უფლებები, ჯარი, ქვეყანა და ტახტი არ დაჰკარგა. ცბიერმა და ვერაგმა ნადი-ყულმა კი თამაზ-ყული დაირქვა, აქაო და თამაზის ყურმოჭრილი ყმა ვარ და მეტი არაფერიო, ჩემი მეობა არა მაქვსო, პირადი მიხნები არ გამაჩნია, შაჰის ერთგული ყმობა მაქვს განზრახული და სპარსეთის ქვეყნის ერთგული სამსახურის გარდა სხვა არაფერი მამოძრავებსო. ასე შენიღბულმა ლიზღმა მტარვალმა ჯერ სპარსეთში და-

აყენა სისხლის ტბორები, მოწინააღმდეგენი ჩამოიშორა, მერე თვითონ შაჰს მიიტანა იერიში, უმუხთლა, დააპატიმრა და დილეგში ამოართვა გარყვნილი სული. ხელისუფლებით გათავებდებულმა, მერე ნადი-ყულობა განაგდო, ჯერ თამაზ-ხანი დაირქვა, ტახტზე კანონიერი მბრძანებლის მცირეფლოვანი ბავშვი დასვა და ხალხის თვალის ასახვევად ახლა უსუსურ ბავშვს ეყმო. მალე ეს თამაშიც მოსწყინდა, უსუსური ბავშვი მოაშობინა და თავი შაჰად გამოაცხადა.

დაიძონა უიზილბაში, ვითა მგელმან ცხვარნი,  
 თხანი.  
 განიმრავლნა ბეგლარ-ბეგნი, ყულ-ნოქარნი,  
 უზამხანი,  
 გაიკეთა მეტად კარგი მან თოფხანა-ჯაბახანი...

ცხადია, გამარჯვებულ ჯალათს ქვეყნის შიგნით ხელს ვეღარავინ შეუშლიდა. მერე საგარეო საქმეებშიც სცადა ბედი. ვადაწყვიტა სახელმწიფოებისათვის გაეცნო თავი. ზოგს ეს გაეცნობა თავისუფლების ფასად დაუჯდა. სიმუხთელში გამოიყვილმა ნადირმა საქართველოს სრულიად აუთარა გვერდი და მის ზურგს უკან აღმართულ მზარდსა და სამიშვ კოლიათს — რუსეთის მეფეს მისწერა:

მოკვდა შაჰ-თამაზ უენი, მას შვილი დარჩა  
 არც ერთი,  
 სახელად ვირქვი თამაზ-ხან მე დავიჭირე  
 სპარსეთი.

რუს ხელმწიფის კარზე თამაზ-ხანის ელჩს ხულუფას მზაკვარმა ადამიანებმა ასე ეუთხრეს: ვატანავს რუსთა თანადგომითა და შემწეობით გამზრახული აქვს სუტაფის წახლენა, შამახიაში ბრათოლის გაჩადება, სპარსეთის დაჩოქებაო. ხულუფამ გაიკითხ-გამოიკითხა ნათქვამია, ირწმუნა ყოველივე და თამაზს მისწერა, ვახტანგ მეფეს „შამახიაზე ფარფარი“ განუზრახავსო.

თამაზს ვითომ გაუკვირდა, თითზე იკ-  
 ელგუჯა მაღრაჲმ  
 გოღვაჲ

ბინა, სუხავს თავს მოულოდნელად დაცეა. იქაურობა მიღეწ-მოღეწა და ჯარი ისე შემუსრა „ვით ისომ ამალეკისა“. აქ პოეტი ბიბლიურ ამბავს იხსენებს, იესო ნავინმა რომ ამალეკთა ჯარები მისრის-მოსრისა. თამაზმა „განჯის კარები დამუსრა“. რის გამო ისე გაშალა ფრთები და გალაღდა, უზარმაზარი რუსეთის იმპერატორიც ვეღარ აღუდგა, თბილისი ძალით დაცალეს, გავლეს ბეცებით, ხეხითა, ოსმლო ცახცახებდა ახალი ხანის შიშით!

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებით შაჰს ხელი ეხსნებოდა, შეეძლო კავკასიას ისე მოჰქცეოდა, როგორც ინებებდა. რუსეთის იმპერატორმა პოზიციები დასთმო. თამაზ-ხანი კიდევ უფრო გაიშალა მხრებში და ახლა თავხედური წერილი მისწერა რუსეთის დედამარშალს: თუ რამე ვალი მაქვს თქვენი, სხვანაირად გადამახდევინეთ, თუ არა ჩემის ქვეყნისა ხელმწიფემ მიყოს წყალობაო. ეს აღმოსავლური დიპლომატიით აღბეჭდილი ნართული ნათქვამი ნიშნავდა: თამაზ-ხანი შაჰის სახელით ითხოვდა რუსთა იმპერატორისაგან მის მორჩილებაში მოქცეული მხარეების დაცლას, იმ ადგილების დაცლას, რომლებიც პეტრემ შემოუშტკიცა რუსეთს.

სოლადს, დარუბანდს, არმოანს, თქვენ რა ხელი გაქვსთ ბაქოსა?  
...რადა ხნავთ ანუ რას თესავთ თქვენ ჩემსა სათამბაქოსა,  
ანუ ბავს, დავლას რად იღებთ საღუქნებს, საქულბაქოსა?

იოლი წარმატებებით გათამამებულ თამაზ-ხანს პოეტი მერე მუქარანარევე რჩევას წარმოათქმევინებს რუსების მისამართით:

თუ არ დავუთმობთ ერთმანეთს, ის ჩამოაგდებს მტრობასა:  
დასცალთ თქვენთვის მიბრძანდეთ, იხი სჯობს მაგ შავრობასა...

სინამდვილეში თამაზ-ხანმა მართლაც წაუყენა ულტიმატუმი რუსეთის იმპერატორს. ასეთი რამის ჩადენა მხოლოდ ძლიერ შაჰს შეეძლო მოემოქმე-

დებინა. თამაზ-ხანი იმ დროისათვის მართლაც ყოველმხრივ წელმოქმედობის მქონე იყო და ქაღილის ძალაც შესწევდა — გურამიშვილმა კარგად იცის, რომ სპარსეთი თამაზ-ხანის წყალობით მომძლავრდა:

ხმლით შეაშინა თურქეთი, დაღისტანი და ბუხარა,  
ინლოეთისა ხელმწიფე დადრკა მას თავი უხარა.

რუსეთის წინაშე ჩამოწოლილი ბურუსი რუსეთის საიმპერატორო კარს აიძულებდა დაეთმო. ეს ეპიზოდი სპილოსა და მარტორქას ორთაბრძოლას მოგვაგონებს. გაიმარჯვა მარტორქამ. რქა ამოჰკა, დასჭრა გოლიათი სპილო, და გზა დაათმობინა. რუსთა სარდალი გონებრივად ჩლუნგა, უსუსური და უნიათო გამოდგა. ჯერ თავი დააშინებინა თამაზ-ხანს, მერე ევედრა მაცალე, ყოველივეს წვრილად მივწერ ჩემს უფროსებს და თუ ნებას დამრთავენ, სიხარულით დაგიცლი იმ მიწა-წყალს, რომლის გამო ჩემი თანამომქმეთა სისხლი მრავალჯერ დაღვრილაო:

მას ამირბარმა მისწერა: თქვენ ჩემგნით ნუ მეწყინება,  
ვინემღის კარზე მივსწერდე, თქვენ ქენით ეს მოთმინება,  
რაც მე იქილამ მომესმის, თქვენ ჩემგნით მოგმინინებათ;  
მე სიხარულით დაგიცლი, თუმცა ხელმწიფემ ინება.

პასუხიც ისეთი მოვიდა, როგორც რუსეთის მაშინდელ მბრძანებელთა უზერხემლობასა და უპირობას შეეფერებოდა,

მალე მოვიდა კარილამ ხელმწიფის გვამანსარია,  
სოლადის ციხე მოშალეთ, დასცალეთ გაღმა მხარია...

ამრიგად, რუსეთი კომპრომისზე წავიდა. ციხეების მოშლა იწყო, საქართველო გასწირა და სპარსი ვეშაპის ჩანათქმელად გაიმეტა. ანა დედოფლის ხელმწიფური სიტყვა და საზეიმო აღთქმა ქარს გაჰყვა. თამაზ-ხანი წარმატებამ საკუთარ თვალშიც გაზარდა. ახლა თამაზ-ხანობაც ცოტა ეჩვენა, სახელად ნადირი დაირქვა და თავისი პიროვნება შაჰის ტიტულით შეამკო.



უმეთაუროდ დარჩენილი, მცირერიცხოვანი, დაქტუელი და გაპარტახებული საქართველო ერთხელ კიდევ აღმოჩნდა, ახალი ჩინგიზ-ყაენის თუ ჯალალ-ედ-დინის წინაშე. რა უნდა ელონა თავისი ქვეყნიდან გარდახვეწილ, რუსეთის საიმპერატორო კართან ხელმწიფური სიტყვით შეკრულ ვახტანგ მეფეს? ან უნდა ეღალატა პეტერბურგში სახეიმოდ დადებული რუსეთის ერთგულების ფიცისათვის, ნადირ-შაჰის წინადადება მიეღო, მინდობოდა მის ნება-სურვილს, მისი ერთგული გამხდარიყო და სამუდამოდ დაეგმო ჩრდილოეთის გზის ძიება. ნადირ-შაჰი კი სამეფოს გარდა უხვ საჩუქრებს აღუთქვამდა ვახტანგ მეფეს. მეფე საგონებელს ჩაეარდა. გურამიშვილს კარგად აქვს ეს ეპიზოდი გადმოცემული „ქართლის კირში“.

ვახტანგ მეფეს მოუვიდა ამ ნადი-შაჰს  
ჩაფარ-ელჩი,  
ებრძანა თუ: მობრძანდიო, შენს ქვეყანას არას  
ვერჩი.  
მე ვიჩვენო შენის მტრისა თავი შუვა განახეჩი,  
დამიჯერე, არ დაჯარგო, რაც მე ხელში ჩავაჩეჩი.

ცხადია, ეს იყო გველეშაპის დათაფლული საკენკი. რა მეგობრობა შეიძლება მგელსა და ცხვარს შუა? მაგრამ ვახტანგს ანგარიში უნდა გაეწია შექმნილი ვითარებისათვის, თავი მეგობრად მოეჩვენებინა, დრო მოეგო და თავის საწადელს მერე სწეოდა. ამის ნაცვლად იგი უგუნური კერპობის გზას დაადგა:

არ წავიდა, არ მიენდო, მისი უშობაც ითავილა,  
სიტყვა მისი მას გულს ეცა, თვალთა ქაცვი  
ვით ასვილა.

ცხადია, ვახტანგ მეფის უნდობლობას მტკიცე საფუძველი ჰქონდა, ის ზომ თავგადადებული მტერი იყო სპარსეთისა და მთელს აღმოსავლეთში ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირის ურყევ მომხრედ და თაოსნად ითვლებოდა. იგი ერთგული დარჩა ერთხელ და სამუდამოდ ამორჩეული გზისა. მან თავისი პრინციპების დალატს, პირობის დარღვევასა და სიტყვის გატეხას ისევ ასტრა-

ხანს გაბრძანება არჩია. ასე და ამრიგად საქართველო ვაღმასებულ ურჩხულს შეატოვა პირში. თვითონ რუსებმა, საქართველო კი არა, დარუბანდიც დაცალეს და „ვიზლარისაკენ არესა“.

„რუსთ დარუბანდი დასცალეს, ვიზლარისაკენ არესა;  
მეფე ვახტანგვა მიბრძანდა აშტარხნის არე-მარესა.  
იქ უარესა შეხსრო...“

დავით გურამიშვილს კარგად ესმის ვახტანგ მეფის განცდები, მისი პოეტური სულის ლაბირინთებიც არ რჩება გაუშუქებელი და ცდილობს მკითხველს მისი, როგორც ადამიანის, სულიერი სამყარო მთლიანად აჩვენოს და გადმოუშალოს. აქ აღსანიშნავია, ისიც რომ დავით გურამიშვილს, როგორც ვახტანგთან დაახლოებულ ქვეშემრდომს არ შეიძლება არ სცოდნოდა ვახტანგ მეფის, იმ წლების პოეტური მოსავლის გემოც. ამიტომ იგი ისე ალაპარაკებს ვახტანგს, თითქოს თვითონ მეფე პოეტი ჩიოდეს წუთისოფლის სიმრუდესა და გაუტანლობას:

წუთულო, ცრუო, მაცდურო, ასე რად  
დამმტერეო?  
ცხრა რიგი ჳირი შემუარე, ერთსა არ დამაჯერეო,  
გულს მქონდა ზამლი განრილი, აწ შუბიც  
დამამაჯერეო,  
არც მომკალ, არც დამარჩინე, მატარე  
ზერე-ქვერეო.

ყველგან და ყველაფერში ხელმოცარულ ნამეფარს ასტრახანში უარესი ამბავი დახვდა. მაშინ კი საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ბრძოლაზე, სასოწარკვეთილი მიენდო საწუთროს, მის ჩახრუჭულმა მბრუნავ ბორბალს ქვესცენლისაკენ ნებაყოფლობით ჩაჰყვა, და დასწყევლა იგი. წუთისოფელი კი ვის არ უგონებია და უწყევლია. აქ ახალი არც წყევლა იყო და არც სიტყვა. ეს იყო პოეზიასა და ცხოვრებაში ასი ათასჯერ ნახმარი ნუგეში, უსუსურობის დამადასტურებელი. პოლიტიკურად ამ წყევლას არავ-

ელგუჯა მალრამე  
გომედა

რის მიცემა შეეძლო, პოეტურად კი მართლაც ძალუმი სტროფის სახითაა ჩამოყალიბებული „ქართლის ჭირში“. ვახტანგი საბოლოოდ იღებს ხელს ამქვეყნიურთა საქმეებისათვის ზრუნვაზე, შვილს ბაქარს იბარებს და მას ავალებს მიტოვებული ქვეყნის მიხედვას. თვითონ კი ასტრახანს დარჩენა გადაწყვიტა. — აქვე დაველოდები ჩემს აღსასრულსო, — უთხრა მემკვიდრესა და ამაღის წევრთ. ოჯახსაც შენ გაუძეხი და ქვეყანასაცო, — გამოსტრა ძნელად ამოსატყმელი ანდერძივით დანაბარები. ეს იყო ფარ-ხმალის დაყრა... თუმცა მეფე მტერს კი არ ნებდებოდა, ღვთის გარდუვალ განაჩენს მინებდა უბრძოლველად, სინამდვილეს თვალი გაუსწორა, ყველანი დაითხოვა და თავი ცოცხლად დაიმარხა...

პოეტი მხატვრულ ქსოვილში ახვევს ქართველთა მეფის მძიმე მდგომარეობას და ამაღის ფიცს:

არ ვიცი, რაღაც ეტლზედა შევიქნ, დავიბადეო:  
 მე ბერს ვცაღდე. არ იქნა, აწ ახლა შენა  
 სცადეო:  
 ვეღარ შევიძულ მოწვევა, დავბერდი, მშვილდი  
 დავდეო:  
 რაც უნდა წახდეს, გაკეთდეს, მე მას აღარას  
 დავდეო.

სასოწარკვეთილება მეფისა იქამდე მიდის, რომ ამაღის ბედსაც აღარას დავიდეო, — ვისაც რა ენებოს, ის აკეთოს, ან ქართლში დატოვებული ოჯახები გაიხსენონ, ან აქ შერთულ ქალს მიხედონ, „როგორც უჯობდესთ, ისე ქნან, მითამ არც ერთი მყოლიაო“. ქვეყანა წავუხდინე, მოვუშალე კერა, და სატანჯველად ესეც კმარა და მეყოფაო.

აქამდე მიიყვანა ქვეყნის უბედობა ქართველთა მეფე, მაგრამ დევით გურამიშვილი ბოლომდე არ გასწირავს ყოფილ პატრონს, რამდენიმე სტრიქონით თანამებრძოლებთან, ქვეშევრდომებთან მეფის გამომშვიდობების სცენას ისე გვიხატავს, თითქოს ქვეყნის ბედისადმი იგი გულგრილი სრულიად არ გამხდარიყოს, თითქოს მას კვლავ აწუხებ-

დეს სამშობლოს მომავალი, მაგრამ უძღურებულს აღარა შეეძლოს ნულში ჩავარდნილს იმედის სხივი ვერ შეენიშნოს. „მე წავუხდინე ქვეყანაო“ — აღიარებს, მაგრამ საშველი ვერ უბოვია, გამოსავალი ვერ შეუნიშნავს, ხსნის გზა ვერ მოუთაზრებია და ამიტომ დასდო ძირს მშვილდი, უცხო ქვეყანაში დარჩა, უცხოთა შორის, თუმცა სინამდვილეში საყვედურით ჭამს და დამადლებულ ლუქმას, უტყულობით სიკვდილი ამჯობინა. ანდერძად მხოლოდ ერთი ზიტყვა დაიგდო: „ნურგინ შეიყრიოს თავისი ნებით სნებასაო?“ ესეც საკუთარ თავზე გადატანილმა ჭირმა და ამოცდილებამ ათქმევინა, რაც თვითონ დამართა და ამაღის წევრთაც დამართა ხომ სულ საკუთარის ნებით შეყრილი სნება იყო და სხვა არარა.

შვილი — ბაქარი მეფეს სულმოკლეობას საყვედურობს, წუხილი და კმუნვის ღრუბელი გადაიყარეო, ურჩევს. მოსკოვს გავბრუნდეთ და ისე ვიცხოვროთ, როგორც გვიცხოვრიაო. მეფე უარზეა და სწორად ვარაუდობს:

უბრძანა, აღარ ვიქნებით, როგორც ვიყავით  
 ჩვენაო:  
 მისთვის ვიმაღვი სირცხვილით, არ მინდა  
 გამოჩენაო,  
 ასეთი სენი შემყრია, ძნელია გადარჩენაო.

ეს სენი ქართლის ჭირი გახლავთ, რაც შემშუსკრელ ნაღველად გადაქცევია ქართლის უიღბლო მეფეს.

ამაღის წევრები მეფის გადადგომას გლოვით ხვდებიან:

წამაიჩოქეს ქართველთა, თავს წაიშინეს ხელია,  
 იტირეს ბებრი მეფის წინ და ღვარეს ცრემლი  
 ცხელია  
 შეკადრეს, რისთვის შექმნილხართ ვით ველად  
 მბრბოლი ხელია  
 ბრძანებთ: „ვემაღვი სოფელსა“ ეგე რა  
 გასამხელია?

ამაღის წევრთა საყვედური სავსებით სამართლიანია:

— თვრამეტ-ცხრამეტი წელია, რაც სამშობლოზე ხელი აგვიღია, შენს სამსახურში ზურგი გვტკივა, ახლა კი ბედის



ანაბარა გავვიშვა და შენ აქ დაჯდე, ეგრე სამსახურის სასყიდელია?

— მართალია, მაგრამ ქვეყნის შველა აღარ ძალშია, და რით გამოვისყიდო თქვენი სამსახური? — ტირილით მიუგო მეფემ. — ღმერთმა მოგავით მუქათა, ჩემგან გარდახდა ძნელია.

აქ საქართველოს დუხჭირი მატინის ერთი უმძიმესი და უსაშინელესი ფურცელი იშლება. მეფე გამოუვალ გასაჭირშია. მის გადადგომას ამართლებს ორი თუ სამი ათეული წლის ამო შრომა, ცდა და იმედგაცრუება. მან იგრძნო, რომ აღარ შეუძლია ახლებურად განავოს თავის თანამებრძოლთა ბედი, არც იმის შეძლება აქვს, რომ მათი თავი სხვას გადასცეს, „წყეული წუთისოფელი რაც არ სურს, მას აპირებს“.

რა ასეთი პასუხი ესმათ, ქართველთა გლოვასა და ტირილს უმატეს, გამწარებულნი თავებს ახლიდნენ „ქვასა და ხესა“. ნამეთარიც შეწუხდა, სცადა გაემხნევებინა ნამსახურნი, — ისიც დასძინა: ნულარ მაწუხებთ, ისედაც „გული მაქვს სახსე კირითაო“. — ბაქარს მიმართეთ, ის გაგიძღვებათ ამერიდანო, „მის უკითხავად წინა-წინ თქვენც ნურსად წაერებითო“, სხვა ყველაფერი შემოეხარჯა, თორემ სიბრძნე ულვეი ჰქონია სჯულმდებელ მეფეს. თეორიულად კარგად იცის, რომ „სამწყისოს უმწყემსოდ მავალსა შესჰამს ტურა და ძგელია“. ცხადია, მისი აზრით: „არს მორჩილება საქები, ურჩება საძაგელია“, მაგრამ თვითონ უკვე აღარავის მორჩილებას არ ითხოვს. მისი ამაღლის წევრნიც დარწმუნდნენ, რომ მათს წინამძღოლს მშვილდი ძირს დაუდევს, ისინი პატრონს ფეხზე მოხვევით ემშვიდობებიან, ბაქარს ეხიზნებიან და მასვე შესჩივიან, — სულ გამოგვყარა მამაშენმა, „დარჩა ათი-და ბიჭია“. მართალია, წერილთა თარგმანში იოანე დამასკელია, მაგრამ სახელმწიფოს მართვა ხელიდან არ გამოუვიდა, ამიტომ მისი გადადგომით საქართველოს არც ზიანი მოსვლია, და აღარც სარგებელი უნახავს. ქართლის კირის

მკურნალი ის არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, რადგანაც განგება ყველას ფიტვირტოს აპკიდებს ხოლმე, რისი ზიანც და ადგილამდე მიტანაც ძალუძს.

ცხადია, ველარც ბაქარი გადაწყვეტდა საქართველოს ბედს, რადგან იგი ზეცაში არსთაგამრიგეს ჰქონდა გადაწყვეტილი, ხოლო მიწაზე ნადირ-შაჰისა და ქართველთა დაუნდობელი სისბლისღერის შედეგად გადაწყდა.

ბაქარს დავა არ დაუწყია, თვითონაც იმ აზრისა იყო, რომ მამამისი უეცდა. უკეთ ვთქვათ, იგი თვითონ პოეტის სათქმელს ამბობს:

ბაქარ თქვა: ეგ შემიტყვია მე თქვენგან უფრო  
ადრეო,
 ნუ მომიკვდების შვილები ლევან და  
ალექსანდრეო,
 ბევრი მიუთხარ მამაჩემს, ეგ საქმე რად  
იკადრეო,
 არ დამიჭერა, ავაღქნა აქ დგომა მან მეტადრეო.  
 ვერა ვნახეთ რა შავისი ღრმად საქმე  
შინაწვდომარე,
 რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე.

მრავალგზის აწონილ-დაწონილი, კარგად მოფიქრებული, ვახტანგ მეფის მოღვაწეობის მიმართ გამოტანილი ამ მსჯავრისა და შეფასების უკან, ცხადია, დავით გურამიშვილი დგას. ჯერ ერთი, შვილი ასეთ სასტიკ მსჯავრს მამას ყველას გასაგონად მიიხსენებდა არ გამოუტანდა, როცა იგი თავისი ნებით სცლიდა სარბიელს. მეორეც, და რაც მთავარია, ამ პირთუფნელი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენის ავტორად უფრო ბრძენი პოეტი გვეჩვენება, ვიდრე მეფის მემკვიდრე. ასეა თუ ისე, დრო-ჟამმა, თუ ვითარებამ ქართლის დამოუკიდებლობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, ნადირ-შაჰის წინააღმდეგ, მამაშვილი: თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე ჩაუყენა სათავეში. მათმა გონივრულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ იხსნა ქართველობა განადგურები-

ელგუჯა მალაზაძე  
 გომდბა

საგან და ვახტანგ მეექვსის გურამიშვილისეული დახასიათება საცხები თ გაამართლა.

პოემის მიხედვით ბაქარი მამას ემორჩილება, მოსკოვს მიდის, თან დიდებულებს აჩქარებს, შემოდგომა ახლოვდება და გზა გაგვიძნელებს. ცარიცინაშველ ნავით წასვლა გადაწყვიტეს. იქიდან ეტლებით მგზავრობა ირჩიეს. ამაღლა მზღდება შეუღება, თან მეფესთან განშორება უპიძიდათ. თუ პოეტს ვერწმუნებით, იგი მეფის თანამებრძოლებთან განშორების სურათს ასე ხატავს: „ბეგრმან დაწყეველა მას დღესა მათმათი დაბადებანი“.

საქართველოში დროის იმ მონაკვეთში სპარსელები ბატონობდნენ, ვახტანგ მეფის ამალის წევრთ სამშობლოში არ ჩამოესვლებოდათ და შეიქმნა ვაცხოველებული მზადება მოსკოვს გასაბრუნებლად. იწყეს ბარგის შეკვრა-ჩალაგება. პოეტიც ემშვიდობება ბედშემომწყრალ მეფეს:

ვწუხდით მეფისა გაყრისათვის, გეწვავდა  
სახშილთა დებანი,  
ბეგრმან დაწყეველით მას დღესა ჩვენ ჩვენი  
დაბადებანი.

გულის ამაჩუყებელია განათლებისა და კულტურის საქმეში მართლაც ბრძენი კაცის, დიდი სჯულმდებლის, პოეტისა და დაუცხრომელი მოღვაწის ვახტანგ მეექვსის მწირობა, მისი ეულად დარჩენა უცხო მხარეში, სულ ათიოდე მსახურის ამარა. დავით გურამიშვილი სამართლიანად აღარებს მეფის ამალის წევრ ქართველთა მაშინდელ ყოფას ბაბილონის გოდოლის მშენებელთა ბედს:

ჩვენ წავედით, იგ მუნ დადგა, საქმე მოხდა  
არეული:  
ათიოდე კაცი დარჩა, ხაბაში თუ მზარეული:  
სხვა იმან უმა არ ინდომა, არ შემკვიდრე, არ  
ეული,  
ვითა გოდოლთ მშენებელნი, ვავხდით ენა  
მზარეულნი.

ამ ვითარებას მოთქმა, ტირილი, გოდება, ცრემლი და კაეშანი შეეფერებოდა და აი, გურამიშვილიც მთელ თავს

უძღვნის „დავით გურამიშვილისაგან“ საწუთრო სოფლის სამღურავს

ნუ შენღობი საწუთროს, მტყუანი არს და  
უპირო!  
არ დაიჭირვის ხელშია, რავინდ რომ ბკალა  
უპირო...

ოდესღაც პოეტიც ბედნიერი იყო. სოფლის სიამეს ეკვიდებოდა, ცდილობდა არ გაშვებასა, მაგრამ მასაც მისწვდა საწუთროს ბრწყალები, გული სახმილით დაუწვდა და ახლა ისღა დარჩენია, სოფლის სიმოკლესა და სიავეზე ივალალოს:

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების  
წამ ერთო,  
რაც მომიძობა თავიდან, ბოლო-წამ ისევ  
წამერთო!

ბუნებრივია, რომ დავით გურამიშვილი თავისი უბედურების ამბავს მთელი სიმწვავით სწორედ იქ მოგვითხრობს, სადაც ქართველთა მეფემ, ქართველთა გადახვეწილმა სამეფო დარბაზმა, და თვით საქართველომ საგოდებელი მარცხი განიცადეს. იგი თავისი ქვეყნის დეძილი შვილია და ბედისწერამ „ილინჭა დაუგო“ მის სამშობლოს, ამ მახეში საქართველოსთან ერთად მოტყუებული პოეტიც ორივე ფეხით გაება. აი, ამად ემღურის საწუთროს, „თორემ სხვა რა აქვს სადაო?“

ხალ მომიუვანა ხალ მყოფი, კიდე მივეყვარ  
ხადაო!  
მამა, დედა, ძმა თვალითა ვედარა მხედავს, ა,  
დაო,  
ძეთა და ახულთავანაც გამხალა უღირსადაო!

მეტი სადაო რაღა ექნება! მახე დაუგო, ბორკილი დაადო, ხაროში ჩაამწყვდია, თავისიანები დაუკარგა, ყელზე საბელი მოაბა, რაც რომ ებადა, წართვა, დღე ღამედ უქცია!

„სოფლის სამღურავის“ ზოგად სტრიქონებს შორის ისევ გაილეგებს ბიოგრაფიული დეტალი: გურამიშვილს მოსვენებას არ აძლევენ, მისგან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას მოითხოვენ:





ახლა-დაბას ნულარ ხარო, მეძახიან ამო ბოლსა:  
აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ ვამიზრდის ამ  
ობოლსა?

მოხდენილ მაჯამურ სტრიქონებში ვა-  
მოთქმულია შიში, რომ დაიხაგრება პო-  
ეტის „ობოლი“ — ლექსთაქრებული.  
პოეტმა იცის წუთისოფლის უხიავობის  
ამბავი, შესაძლებელია სიმღერა მოთქ-  
მად და ზარად ექცეს, მაგრამ „შეილს“,  
ლექსთაქრებულს, მაინც სასოებით შე-  
სტკერის:

მე რაც ვშობე, შევილად ვხაგრვარ, ეს თუ  
მზრდელმან გამიზარდა,  
ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი ხიმღერა არ  
ვამიზარდა...

საკუთარი ქმნილებების შევილად ჩა-  
თვლა ახალი არაა ხელოვნებისა და ლი-  
ტერატურის ისტორიაში, მაგრამ ასე  
ზშირად და ფართოდ ამაზე სხვა არავინ  
ლაპარაკობს. დარწმუნებით არ შეგვა-  
ძლია თქმა იმისა, რომ დავით გურამიშ-  
ვილმა იცოდა დიდი მიქელანჯელოს ნა-  
თქვამი. „ჩემი შევილები — ჩემი ქმნი-  
ლებები იქნებიან“. იქნებ იცოდა კი-  
დეც, ვინ იცის?

ახლოვდება ვახტანგ მეფის აღსასრუ-  
ლიც. საწუთრო მის სიკვდილამდეც გა-  
უტანელი, მუხთალი, მრუდე იყო, თო-  
რემ „აწ ნახეთ წუთისოფლისა ცრუ მო-  
ტყუება ფლიდისა...“ მეფე იყო: უხვი  
მიმდობი, კეთილი, მრწმენი, სიტყვის  
პატრონი, ყმები ჰყავდა ერთგული და  
ნამსახური, შვილებივით ნაზარდნი, მა-  
გრამ მოვიდა „ის მკლე კაცი“ და მოქა-  
ლაქე მეფესაც დაჰკრა სასიკვდილო ლა-  
ხვარი. ეს მოხდა 1737 წლის 25 მარტს.  
დასრულდა დავით გურამიშვილის ჯა-  
ბადარ-ბაშობა და მის მზირობასაც ბო-  
ლო მოედო.

ვახტანგის გარდაცვალება დავითს  
კლასიკური, ამალღებული საღებავებით  
უვალაღნია: „ვაი, რა ბოძი წაიქცა,

სახლ-კარი თავს დაგვექცაო!“ მხოლოდ  
გურამიშვილის მაღლიან კალამს თუ შე-  
ეძლო სამშობლოდან გარდახვეწილთა  
ამ დიდი ეროვნული გლოვისა და უბე-  
ღურების ასე სრულყოფილად გამოხა-  
ტვა. ადარ იყო განათლებული მეფე-  
პატრიოტი, მწიგნობარი, მზრუნველი  
მოღვაწე. ვინ უპატრონებდა ლტოლ-  
ვილთა და უსამშობლოდ დარჩენილთ?  
ვინ დაიცავდა რჩეულთა ხელნაწერებს?

ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს  
გაგვექცაო,  
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცა, ღვთის  
მადლსა, მაგრა დექ, ცაო!

ცის დაქცევა ლტოლვილთა თავზე  
ნამღვილად სწორად ახახავს იმქამინ-  
დელი საქართველოს ბედთან შედარე-  
ბას. ემიგრანტი ქართველებისათვის კი  
ვახტანგ მეფის სიკვდილი ჭეშმარიტად  
იყო დიდი ტრაგედია, თუნდაც იმ აზ-  
რით, რომ ვახტანგი იყო ავტორიტეტუ-  
ლი პიროვნება, რომელსაც ანგარიშს  
უწევდა რუსეთის ტახტი.

მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მწარედ  
ობერ ტიალი  
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა ბრწყინვა  
და ჰყრტიალი.

დავით გურამიშვილი ქართველების  
ყოფას უკრუხოდ დარჩენილ წიწილებს  
ადარებს. ამ წიწილებში ერიო ჩვენი პო-  
ეზიის ჭეშმარიტი შევარდენიც.

მოსკოვ-ქალაქს მზეს ელოდნენ. მზე  
კი ამოსვლას აგვიანებდა.

ბოლო არ ჰქონდა საქართველოს მო-  
ლოდინს.

ბედს უჩიოდა საწუთროს აბუჩი სტუ-  
მარი, ქვეყნისა და თავისი ხალხის გა-  
საჭირზე ჰგოდებდა და ვალალებდა სა-  
ქართველოს უმიწაწყლო, სამკვიდრო-  
მოკლებული, უჯაროდ დარჩენილი მე-  
ფის ჯაბადარ-ბაში დავით გურამიშვი-  
ლი.

გაგრძელება იქნება



## მირზა გელოვანი

ჩვენს დიდ მწერლობას ბევრი როდი ჰყავს გამოჩენილი პოეტი-ჯარისკაცი, რომელიც გვირის სიკვდილით დაეცა დამპყრობლებთან ბრძოლაში. საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად სისხლით მორწყული გზა განვლო მირზა გელოვანი და ათავისუფლა უკრაინისა და ბელორუსიის ქალაქები და სოფლები.

1944 წელს 27 წლის მგზნებარე მამულიშვილი ვალმობდელი წავიდა ჩვენგან. მარადღამს თან დამდეგენ მისი სტრიქონები:

„ვאי ლიბო დამინგრის,  
დამამგვანეს ნარიყალას“.

„თიანეთი და სწორები,  
თიანეთი და ფიქრები“.

„ვიცი გრიგალებს ერთად შევხვდებით,  
მაგრამ ერთმანეთს — ვეღარასოდეს“.

„... ჰო, დავბრუნდები,  
მე შენი თმები დამაბრუნებენ.“

„ჩვენს ალისფერ ღროშას ვფიცავ“.

გმირი პოეტის გმირული სიცოცხლის, გმირული სიკვდილისა და ვაჟკაცური პოეზიის გამოაჩინებია ჩემი ლირიკული პოემა „მირზა გელოვანი“. როგორც ცოცხალს, ისე ვულოცავ შინმოუსვლელ პოეტ-ჯარისკაცს საქართველოს კომკავშირის პრემიას.

### ბარათიდან...

„ომი დაიწყო. ვიცი რომ დაიწებოდა... გჯეროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დაუფასვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას, დაე ნუ შეგრცხვებათ, რომ მე, თქვენი სისხლი და ხორცი ვარ; მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე, ზემოთ ცოტენ დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი. მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიუვარს ჩემი სამშობლო. ის, ყველაფრის მიუხედავად, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც ხადმე ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორც მე მაქვს ახლა, როგორც აქვს ჩემს ამხანაგებს“.

მირზა  
1941 წელი  
035060

დიკლოს ზარივით გული ცემს,  
შენაქოს გაუკვირდება.  
კაიყმას სევდას ნუ მისცემ,  
სისხლივით აუყვირდება.

ლაშქარს მოჰკვდება კაიყმა,  
იქადნის მეხთან შებმასა,  
მეც იმ გალავანს გამიყვათ,  
მაგ თქვენი სულის შევბასა.

მიწას სისხლითა დამეწყვილს  
ცრემლიც დასდინდეს უფლისა,  
ზეცას სცვიოდეს ნალეწი,  
ნალეწი ხმლის და შუბისა.

ასე სამასჯერ, სამას დღეს,  
დიდგორითა და უჯარმით,  
ხან თუშის ცხვარი წაასხეს,  
ხანაც ფშაველის ლურჯაი.

ზედ ფარზე გვედო მტრის ხმალი,  
ჯვარი ლაშარის მთაზედა,  
ჩვენი ბედი და იღბალი  
თან დაგვევა ბეჭის ფრთაზედა.

#### შესავალი

მე არ გიცნობდი,  
ჭიხვინებდნენ შენი დღეები,  
მე არ გიცნობდი,  
უკან დარჩა უცხო ჰანგები,  
მიგაცილებდნენ მშვიდი ტყეები,  
მოგდევდნენ როგორც ამხანაგები.

დღეს რასაც ვფიქრობ  
დასაწყისი არის პოემის,  
ახლა რომ ვფიქრობ —  
ძმა მგონიხარ ჩემი, უმცროსი,  
თავი და თავი,  
მოგონება არის ყოველის,  
ახლობელის თუ შორეულის,  
ძმის თუ უცხოის.

\* მასხოვარი — ძველის მცოდნე, გამხსენებელი.

უმძაფრესი და ძლიერია  
შენი სახელი, —  
მირზა, მზე, ზარი,  
ზედაზენის ბზა დაბზარულა,  
შენი ფიქრით წმინდა იყო  
შენი სამხრენი,  
შენი მიზანი,  
აღვზნებული გზა და მგზავრული.

მირზა, ზარნაში,  
ზარზეიმე და ზარბაზანი,  
ზამთარგამოვლილ ზამბახებით  
მზერა ზეიმობს,  
ზნგკეთილი და ზნემადალი  
მზუა მწყაზარი,  
მზის ზღუდე-ზღურბლი,  
ზერდაც ცხენებს ავაზელინოთ.

გთხოვ, მაპატიო  
ეს ბავშვური ჟონგლიორობა,  
ჩემი ბავშვობა გამახსენა  
შენმა სახელმა,  
ყავისფერ მუნდირს  
ახატია გონჯი თობა  
და ელოდება  
გელოვანის ტყვიის გამხელას.

ტოტიდან ტოტზე,  
ტბიდან ტბამდე,  
მთიდან მთებამდე,  
სოფლიდან სოფლად,  
ბაღებიდან სხვა ბაღებამდე;  
გიხმობდნენ ყველგან,  
ვით მიმინოს  
და ვით შევარდნენ,  
ჟარისკაცები დროშებს  
შენი სისხლით ღებავდნენ.

ვარსკვლავებით ანათებენ  
შენი წველულები,  
ქარიშხლებით გგრძნობენ  
ქართლის განთიადები.  
შენ გაიმარჯვე,  
შენ გმირი ხარ,  
მჯერა სრულებით,  
მე ისიც მჯერა,  
რომ უფრორე გადიადლები.

# სამკუთხა გარათები

პირველი გარათი — ფიცი



დაიწყო ომი და სისასტიკე  
მოსხეტიალე ქარში მეძახის,  
იქ, გერმანული არის სვასტიკა,  
აქ, საქართველოს ღერბი — ვენახი...

ვაზს ჩახვეულა პურის თაველი  
და მზეს უცინის მიწა ჯანმრთელი,  
დაიწყო ომი და რუსთაველი  
თვალწინ დამიდგა, დაუჯაბნელი.

თვალწინ დამიდგა, დაუჯაბნელი  
ცოტნე და ცხრა ძმა ხერხეულიძე,  
მშობელო მიწავ, ტყვიის შრაპნელი  
შენს მთვარესა და შენს მზეს უმიზნებს.

მშობელო მიწავ, მარად იბრძოლებს  
შენი ვეფხვების მსგავსად პოეტი,  
შემოგველები, მხარს გაგისწორებ,  
რადგან ჩვენს უკან დგას საბჭოეთი.

რისი შვეცი და რისი აფთარი,  
სანამ ფეხზე ვარ, სანამ ვჯანმრთელობ,  
დიახ, ჩვენს უკან დგას სამართალი,  
დიდი რუსეთი და საქართველო.

მშობელო მიწავ, გწამდეს ყოველთვის,  
შენი მტკაველი მიწის გულისთვის  
მოვკვდები ისე, როგორც პოეტი,  
როგორც ქართველი და კომუნისტი.

## მეორე გარათი — შხვედრა ზამთართან

ეს დღეც მოსულა, ჩამოიშალა  
ოქროს წვეთებად ბრწყინვა ვარსკვლავთა.  
ენახე სიკვდილი,  
სულ მთლად შიმველი  
და ყველაფერი უცებ გათავდა.

ვერა, ვერ ვძლიე ლამაზ ცთუნებას,  
ყრმობის შეხვედრა მოხდა ზამთართან,  
მოფრინდნენ ციდან თეთრი სტუმრები  
და ყველაფერი უცებ გათავდა.

დადლილი გული ვერ შევიცვალე  
და დამეცალა, როგორც მათარა,  
ფეხზე ვიმღერე,  
ფეხზე ვიწვალე  
და ყველაფერი უცებ გათავდა.

მზის ტოტზე იჯდა ჩემი სახატე,  
სამკუთხა ბარათს იმედს ატანდა,  
ვით გრიგალის წინ,  
ისე დაღამდა  
და ყველაფერი უცებ გათავდა.

### ხმა კლიმრკინსა

ეგ შენი სუნთქვა გრიგალის  
ცეცხლია მიუწვდომელი,  
ლამე ნაბრძოლი, მიმქრალი,  
არის სიზმართა მთოველი.

ახლა ვარსკვლავი ცისკრისა  
მშვიდია და ძვირფასია.  
ცისკარმა გადიკისკისა —  
ღრუბელი კაცის მსგავსია.

ახლა ღელდება შავი ზღვა,  
ველს სუნი ასდის იფნების,  
ტყემალმაც ახლა დაისხა  
პირველი თოვლის ფიფქები.

ქვესკნელის გასაწყრომელი  
საუბარი მაქვს ზამთართან,  
ახლა იწყება ყოველი,  
შენ ამბობ, ახლა გათავდა.

გამძაფრება და ჭიდილი  
სულში არასდროს მიცხრება,  
ახლა იწყება სიკვდილი?  
— სიცოცხლეც ახლა იწყება.

მესამე ბარათი — „თიანეთი და ფიქრები“

ჩავსცქერი ტალღებს,  
არაგვის ტალღებს  
და ველოდები ჩემს მზეთუნახავს,  
ვუყურებ სახლებს,  
ბაღებს და ბაღლებს,  
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

მახსენდები და ვარსკვლავებს ვითვლი,  
არაგვის პირზე ვწევარ გულალმა.  
იღვიძებს ყველა  
ლეგენდა, მითი,  
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

ახლა ამინდი ვერაფერს შეცვლის,  
ო, მომიტევე.  
სევდა თუ მახლავს,  
სულში მინთია სუყველა ცეცხლი,  
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

გაძნა თოვლივით ციმციმი ხომლის,  
სიმშვიდეც ვეფხვის ხმას შეულახავს.  
გაქრა ყოველი,  
შენ დამრჩი მხოლოდ —  
გონების ზამთარს რაც შეუნახავს.

#### მომთხმ ბარათი — ბორჯომის სტამბი

მოუხატიათ სტეპები პეპლებს,  
მიმზერს ქვემეხი, მშიერ-მწყურვალნი,  
ჩემი სალამი ბორჯომის სტეპებს,  
ჩემი სალამი გაშლილ დუნაის.

მიდის ტანკების მწვანე კოლონა,  
ბრძოლის ჟინით და ბრძოლის უნარით.  
ყვავილებს მაწვდის, მთვარე — გოგონა.  
თვალეები უგავს გაშლილ დუნაის.

ყვავილებს ვუძღვნი გმირების ხსოვნას,  
ხსოვნაა მხოლოდ გაუსუნარი  
და გადაუვლის ზარბაზნის სროლა  
გონებას, როგორც გაშლილ დუნაის.

ვერა, ვერ დაეთმოთ ძმათა საფლავებს,  
ღმერთმა ქმნას, ვინმემ მიგრძნოს გუმანით,  
მოდო, გეძახი, მოდი, დამფარე,  
შენი პატარა თავსასთუმალით.

#### მოკლული ჯარისკაცის ბარათი

ისევ ძველი მრისხანებით,  
მენატრება უფსკრულები,  
ინგრევიან მთის ქანები  
სიმღერებით უშგულულების.

ისევ მსხვრევა მაძაგდაგებს  
კორდების და ქარაფების,  
ისევ მკილაეს და მაძაგებს  
შენი თეთრი ბარათები.

ო, ძვირფასო, უნდა გაგთქვა,  
ცხადია თუ სიწმარია,  
შენია თუ, იქნებ მართლა  
სხვის ბარათებს მიგზავნიან.

შენზე ფიქრით წინ ვიარე,  
ომია და რას მემდური,  
აქ სანგარი ცივი არის,  
როგორც შენი საყვედური.

აქ ზამთარმა შენი მკერდის  
ფერი ფიფქი შემოთოვა,  
შენზე დარდი შევიკედლე,  
შენზე ფიქრის შემოდგომა.

შენზე ფიქრის ვიყო ღირსი,  
ასე შორით მეღამაზე,  
მე ხომ შენი სიცოცხლისთვის  
გავჩენილვარ ქვეყანაზე.

#### მეხუთე ბარათი — პირველი თოვლი

შენ აქ არა ხარ, მაინც გათუნდა,  
ყურს მაინც ხედნის მამლის ყივილი,  
მე ის ვარ, შენი ვისაც მართებდა  
ყირიმისა და ქერჩის ტკივილი.

სანაპიროზე შავი ყორანი  
შავი მანტიით დადის მძორებში,  
მე კი, შენი მზე შეუპოვარი —  
ფარივით მიმაქვს ფიცხელ ბრძოლებში.

ნუ მომწერ, ვინ გვყავს ჯანგამოცლილი,  
ნუ მომწერ, როგორ უჭირთ ძმობილებს,  
არცა სიკვდილი, არცა ქორწილი,  
პირველი თოვლი შემატყობინე.

შემატყობინე პირველი თოვლი,  
მისი ფიფქების ლხენა მომფინე,  
პირველყოფლისა, ო, პირველყოფლის,  
პირველი თოვლი შემატყობინე.



ვარ ძველებურად, ისევ გიგონებთ,  
მელოდეთ, გზაზე თვალი გეჭიროთ.  
დაო, გიგზავნი ფრონტულ სტრიქონებს,  
იქნება სადმე დააბეჭდინოთ.

მე ისევ ვცხოვრობ ჯარისკაცურად,  
ტყეში, მიწურში და ჯანდაბაში...  
ეს წამება თუ მალე დასრულდა,  
ცხოვრების ახალ ფურცელს გადავშლით.

ვარ სავესე რწმენით და იმედებით,  
უფრო ამტანი და მოუსრელი,  
ვით მეკადრება, ისე ვმხედრდები  
და გელოვანის მწყალობს მუხლები.

დაო, ამ ბარათს ისე განვიცდი,  
თითქოს მიზანში ტყვიას მესვრიან,  
თქვენამდე იგი მოვა? — რა ვიცი,  
და თუ არ მოვა, უკეთესია.

#### მეშვიდე ბარათი — მეგობრებს

გაგექცეთ, ხაით გაგექცეთ —  
წამოხვალთ საძებნელადა  
და თუ მთლად სახლი დამექცეს,  
მე კი მტერს დავრჩე მძევლადა.

სულ მთლად დამიშრეს წყარონი,  
დამექცეს ნათლის სვეტიცა,  
წუთები სამწუხარონი  
სიხარულად ვერ შევიცან.

გამყარეთ ხორცსა და სულსა,  
სატრფო გულისა წამგვარეთ  
და მადლით მოსილ წარსულსა  
უკუნისამდე გამყარეთ.

ნუ მისხნას მწყემსმა კეთილმა  
და ნურცა მისმა ცხოვარმა,  
გულით დამსწყველოს დედილამ,  
ამინ, დასძახოს მხცოვანმა.

და თუ წარვეუძებ სიკვდილსა,  
სიცოცხლე ისე გავლიე,

სთქვით სადღეგრძელო მკვიდრისა,  
თქვენს სამწყემსოში გამრიეთ.



სთქვით, ბედმა ადრე დაღვენთა,  
ადრე ჩაუქრო ბრწყინვაო,  
მიწა უყვარდა და ღმერთმაც  
მიწასთან აქორწინაო.

### გაზაფხულის ჩანახატი

ბელორუსიის ტყეებსა და  
ლამაზ ჭაობებს,  
ზედ დასდენიათ  
ოქროს წვეთები.  
შარშანდელი ცის  
წვიმას ნანობენ  
და სხივი კვდება  
დაჩაგრულის სულისკვეთებით.

დაიმსხვრა იგი  
თუ შევიდა მიწის გულამდი?  
რისთვის აიმღვრა  
სისხლი მიწისა.  
ეჰ, ახლა ერთი  
ჩემს თუშურ ქუდს დავიხურავდი,  
გავიხურავდი  
კარებს სიმწრისას.

ვას, ჩემი იღბლის  
დედა ვატირე,  
თორე თეთრ სუფრას  
ზედ მამულის გულზე გავფენდი,  
ახლა ომია  
და მაპატიეთ,  
მეც ვაპატიე ჩემს წარსულ წლებს  
სუყველაფერი.

### მერვე ბარათი — შენდობა

ძარღვებში სისხლი ისევ რიალებს,  
ისევ ბობოქრობს,  
ისევ არწივობს,  
და თუ უარეს გზებით ვიარე,  
შემინდევ მხოლოდ,  
კი არ გამწირო.

მე მოვიხადე ვალი მხედრული,  
მაგრამ თუ შენთვის ვიყავ საჭირო  
და არ ვიყავი წინდახედული,  
შემინდუ მხოლოდ,  
კი არ გამწირო.

თან გამყვა შენი შუქი თვალების,  
შენ იცი,  
მტერი არ გააცინო,  
თუ მართო ხარ და თუ ეწამები.  
შემინდუ მხოლოდ,  
კი არ გამწირო.

მე გზას დავადექ ცივს და ვარდისფერს,  
უკიდუგანოს და უმანძილოს...  
და თუ სამსხვერპლო ცეცხლს ვერ გადავიფრენ,  
შემინდუ მხოლოდ,  
კი არ გამწირო.

### მასსწვარი

სადაც რომ ყანა მეთესა,  
ნადირთა გაუქელიათ,  
წისქვილის საბრუნვებელსაც,  
ჟამისა საბრუნვებელსაც  
ბედისა საბრუნვებელსაც  
ვან, საკუთარი თავისთვის  
ბორბალი დაურქმევია.  
ყველგან ქარები დაჰქრიან,  
ყველა აღმართი თავქვეა,  
უკუღმა ბრუნვა რას ჰქვია,  
ან წალმა ბრუნვა რას ჰქვია.  
ბორბალი ღმერთს უჩიოდა,  
ნუგეშს ელოდა მაცხოვრის...  
მაცხოვარს პური შიოდა  
დედობილების ნაცხობი.

### ხმა მოყვასისა

დაიხსომე, ვით მოძღვრება,  
მწუხარებაც ჟღერს,  
რომ სიკვდილში სიცოცხლეა  
და ღამეში დღე.

საიდუმლო მართავს საჭე  
ჯოჯოხეთის კვამლს,  
რომ ღიმილშიც აღმოაჩენ  
ბოროტების კვალს.

მღვრიე წყება ნაპრალებს  
რა სიმკაცრით ქუხს.  
რა სიმკაცრით აბრალებენ  
ჩაუქობას მუხლს.

დაისსომე გლოვასავით —  
წისქვილის ქვაც ჟღერს,  
ყველაფრის თქმა მოასწარი,  
მოასწარი დღეს.

მტერს ტყვია არ დაგაცილოთ,  
შორს გაქცეულ მტერს,  
გაუმარჯოს კავკასიონს,  
საქართველოს ჭერს!

### გხდალთათვის

დასწყევლოს თქვენი ყალბი დღეები  
და ყვაილების თქვენი სიყალბე,  
ყალბი სიმკაცრე და სიმღერების  
გამჭვირვალე და თეთრი ნიღაბი.

დასწყევლოს თქვენი დღე უდარდელი.  
გამოხვეული დარდის ტყაპუჭში,  
გულში დაიკრა ტყვია გამზრდელმა,  
როცა წახდით და როცა გაფუჭდით.

დასწყევლოს, ახლა გიმზერთ შორიდან,  
არა იმედით, ლოცვა-კურთხევით,  
თქვენ გაიქეცით ისე ომიდან,  
ვით გაქცევა ძაღლებს კურდღელი.

ხან ვარ ქვეითად, ხან მოღრეიფე,  
ვგრიგალობ, ვწვალობ, ქვა-ღორღს ვედები,  
მტერს ვესვრით ჩვენი ჭკუის ქეიფზე  
ჯარისკაცები და პოეტები.

მეცხრე ბარათი — დაბრუნების იმედი

მორჩა, გათავდა ჩემი სიმკაცრე,  
(მთელი სიცოცხლე სევდას ვუნდებით)  
მივდივარ, თითქოს მელის ვიდაცა,  
მაგრამ იცოდე,  
მე დავბრუნდები.

არ ჩამყოლია დარდი აფთრისა,  
არც ჩემი სვითქა ბედაურების.

არ მაქვს იმედი არც არაფრისა,  
მაგრამ იცოდე,  
მე დავბრუნდები.

კვლავაც მოვეხმობ ჩემს ძველ ლაღობას  
და შენს თვალეში მზედ ჩაგბუდდები.  
მე ვუღალატე შენს ქედმაღლობას,  
მაგრამ იცოდე,  
მე დავბრუნდები.

სული იმდენად ამაყი არის,  
ვფიცავარ ძალას დედაბუნების,  
თუმცა დაღლილი და ნატყვიარი,  
მაგრამ იცოდე,  
მე დავბრუნდები.

### ხმა მოყვასისა

ქუხილო, შეურყეველო,  
გულში რა ელვა ჩაბუდდა,  
გადარჩენილო ტყე-ველო,  
ჩასული მთვარე დაბრუნდა.

ღარიბებო და მდიდრებო,  
ნათელი სახლებს გარს უვლის,  
გადარჩენილო მინდვრებო,  
მზე დაგბრუნდათ ჩასული.

ნუ გეშინიათ, შვილებო,  
ფურიერემს მოგგვრით ქორბუდას,  
მთებო, გადარჩენილებო,  
წასული ნისლიც მობრუნდა.

ცა იის სუნით გაბრუვდა  
და თუსლით — მიწა მშობელი,  
დაბრუნდა, კაცი დაბრუნდა,  
სხვა წასულების მხმობელი.

### მონადირის თქმა

ხიდან მოვდივარ,  
ხენი შეიყინენ,  
ღამის სიცივემ  
ფიფქი შემათოვა,  
ღამიდან მოვდივარ,  
მამლებმა იყივლეს,

ყაფარით მოვდივარ  
კლდეთა შეღმართობას.

ბურუსით მოვდივარ,  
ფიფქვით ბზარქმნილი,  
შვავიდან მოვდივარ,  
თოვლისა სიმრავლით,  
დათვთა და კანჯართა  
ბეწვი მაქვს დათვლილი,  
მამის ლოცვა მომდევს,  
ქარწვიმა სიმამრის.

თოფიდან მოვდივარ,  
ბადიდან მოვდივარ,  
ურმის თვლებიდან  
არჩვის კუდამდე.  
ჭალას სახლი დანრჩა  
მცირე და ცოდვილი.  
ცოდვილი, ჭალიდან  
მოვდივარ მუდამ დღე.

აწცა განმინათლე,  
თვალნი გონებისა,  
ერი, ერი ჩემი  
და სამკვიდრებელი,  
კაცთა საბუნაგედ  
ქცევა მომე მიწა,  
ერთი სადარბაზო  
და სამი კედელი.

### სიზმარი

რიჭრაჟსა გამოკრთიან ვარსკვლავნი,  
უჯარმას ცრემლით მლოცველნი მოვიდიან,  
ყოვლისა საქართველოსა ქებისად მოვიდიან,  
ყოველთა ივერიელთა, მირზა!  
უჯარმის ხევსა საგანძური დაუფლავთ,  
ცეცხლმსახურებს დაუფლავთ,  
უჯარმას ირემთა სიმრავლეა,  
ტყენი ბევრნი და წყარონი ცივნი,  
ფრიად მშვენიერნი,  
ბალახოვან-ყვავილიანი, მირზა!  
მზისა შვილები ოჭროსი არიან,  
მთვარისა შვილები ვერცხლისა.  
ირემს ნუ დავანებებთ,  
წყაროს ნუ დავანებებთ,  
ბალახს ნუ დავანებებთ,

მზისა და მთვარის შვილებს  
ნუ დავანებებთ, მირზა!  
ყოველთა ივერიელთა  
ცრემლს ნუ დავანებებთ,  
მოახლოვებულა აღსასრული  
და განიღვიძე, მირზა.

ხმა ძლიერებისა

აუქციე მხარი  
საუკუნო სიზმარს,  
ქარიშხალი ბლავის —  
ფხიზლად, უფრო ფხიზლად.

გაიპარა მკედრის მზე,  
სადღაც გაიხიზნა.  
ქარში ისევ ვისმენ —  
ფხიზლად, უფრო ფხიზლად.

გელოვანო, ვაშა,  
რასაც კვლავ დავიცავთ —  
შენი მხრების გაშლა  
პაწაწინა მიწას.

გელოვანო, ყოჩაღ,  
გაუმარჯოს მიზანს,  
გაუმარჯოს დროშას  
ჩვენს სისხლში რომ ღვიძავს.

აუქციე მხარი,  
საუკუნო სიზმარს,  
ქარიშხალი ბლავის, —  
ფხიზლად, უფრო ფხიზლად.

მმათი ბარათი — მონატრება

თავს წამდგომია ორბი,  
გულს მიგლეჯავს და ხარობს,  
ლამის მანტიით მორბის,  
ჩემი ქვიტკირის ხარო.

ქვეშ-ქვეშ შემომცქერს, ზორბა,  
ზორბა მხრები აქვთ ორბებს,  
მისი ლოშქრი და დორბელი  
ღრუბელს შეაჭმევს დომბას.

გამხიარულდით სწორნო,  
სანამ ერთურთსა ხედავთ,  
ე მანდ მომინდა წოლა  
ნაომარ, დაღლილ მხედარს.

გვერდზე გაეხედდი წნორებს,  
ჩამაიწნოდეს თმებსა,  
ავიშენებდით ყორეს,  
გიშველდით ხენას და თესვას.

როგორც ვერ გაწვრთნი არწივს,  
ვინ სთქვა, კაიყმის გაწვრთნა,  
როგორც გრილ რკინას აწვიმს,  
აწვიმს სიავეს ჟამთა.

მეთერთმეტე ბარათი — ბორის ძნელად

მაგონდება დამიფეთდა  
გაფრენილი ქორი,  
ჰიელოზა დამიბნელდა,  
დამიბნელდა, ბორის!

ისე, როგორც ორი წვეთი,  
ჩვენი ხმლის და თორნის,  
როცა „შაენაბადას“ ვწერდი,  
ჩვენ ვიყავით ორნი.

ერთი მზის და ერთი ღრუბლის,  
ერთი დიდი მთვარის,  
ერთი მუცლის, ერთი უბნის,  
ბოლოს, ერთი მტკვარის.

ერთი მომკის, ერთი ცვლის,  
— ბურნათის და მცხეთის,  
ერთი ვაშლის, ერთი ცრემლის  
და დოლაბის ერთის.

და თუ გული აფთარია,  
კვლავ ჟინი აქვს ბრძოლის,  
ყველაფერი მართალია,  
მართალია, ბორის!

ნატირალეზი

საძირკველს ქვანი დიდ-დიდნი დაგიდვია,  
ლაფანი მხარზე გაგიდვია,  
გმირობის სახლი ისე აგიგია,



გახლავსო სიბრძნე, გახლავსო ძლიერება,  
ასე თქვეს მთაში ხნიერებმა,  
დაცემულს დათვის ტყავი გაგიგია.

ნეტა მის სატრფოს. ვისაც არწყულებდა,  
ასე თქვეს გულში ქალწულებმა,  
ნაზადი მიაი ვისაც სურებია.

ვაი, მის დედას, ადრე დაბერდება,  
ატირეს ასე სხვა დედებმა,  
მიწის შვილს, მიწის ძუძუ სწყურებია.

იგრიკს და მირკანს, თიბათვეს მოგელიან,  
რომელი ვეფსვი მოგერია,  
რომელმა მგელმა შეგიტია...

ერმა და ბერმა გლოვანი შეწყვიტა,  
განუღეველო ცეცხლითა,  
შენს სიკვდილს მთაში ვერ იტყვიან.

#### ბოლო სიმღერა

ზეციდან მიწამდე, მიწამდე  
მე შენთვის მხურვალედ მომიცლია,  
სხვა რა გქნა,  
საქვეყნოდ გიცხადებ,  
სიცოცხლე, სიცოცხლე მომიცია.

სუყველა ტკივილის მკურნალად  
ცეცხლში და გრიგალში  
დრო მიცენია,  
ყველაზე ნალდი და მხურვალე —  
სიცოცხლე, სიცოცხლე მომიცია.

დაბადებიდანვე რიგში ვარ,  
ო, ღმერთო,  
რა გვიან მომიწია,  
დღეიდან ჩაშოვალე  
მზის შვილად,  
სიცოცხლე, სიცოცხლე მომიცია.

შეხედე, სიმღერებს შეხედე,  
ხანძარში სიმშვიდით რომ იწვიან,  
მამულო,  
გზა მწვანედ შედეგე,  
სიცოცხლე,  
ცეცხლივით მომიცია.

### მსუბუქი მიწა

ჩახმახი გადავხსენი,  
მიფეცი მისამართი...  
საქართველო ვახსენე  
და მძლეველი წაფართვი.

ვიდექ, როგორც ნანგრევი,  
ვიდექ, როგორც ტაძარი,  
როგორც ამხანაგების  
დანთებული ხანძარი.

გახვრეტილი ბარათის  
ლაპარაკს მოუსმინეთ, —  
გაშლილ ღრუბლებს ვზარავდი,  
ტყვიები მოვუსიე.

ახლა ხმალმუზარადი  
ვანდე ტყვებს უსიერს,  
მსუბუქია მარადის  
მიწა ბელორუსიის.

### მასწავლებელი იმერეთში

სადაც რომ ყანა მეთესა,  
ნადირთა გაუქელიათ,  
წისქვილის საბრუნვებელსაც,  
უამისა საბრუნვებელსაც,  
ბედისა საბრუნვებელსაც,  
ვას. საკუთარი თავისთვის  
ბორბალი დაურქმევია.  
ყველგან ქარები დაჰქრიან,  
ყველა აღმართი თავქვეა,  
უკუღმა ბრუნვა რას ჰქვია,  
ან წაღმა ბრუნვა რას ჰქვია?  
ბორბალი ღმერთს უჩიოდა,  
ნუგეშს ელოდა მაცხოვრის...  
მაცხოვარს პური შიოდა  
დედობილების ნაცხობი.

### წარწერა ობელისკზე

ვწევარ თმში დაღუპულ  
ძმათა სასაფლაოზე,  
ჩემი მთების ღრუბელი  
ისევ ისე მაცცებს.

აქ ჩემი ვინ სახლობდა,  
მამა-პაპათ ვინა ვსთქვა?  
ვართ „სანიკის“ მახლობლად,  
ვართ დასავლეთ დვინასთან.

მე და ერთი სერჟანტი —  
ვაუტ იზმაილოვი,  
მზე ამოდის, მზე ჩადის,  
ისევ ჩვენი მირონით.

მჭუხარებენ ჩვენს გვერდით  
ნაომარი „ჩვენები“...  
თუ ჩაგვივლი, შეჩერდი,  
ნახე დანარჩენებიც.

ელვითა და მესითა  
ცხრაჯერ გულგაპოხილი —  
ოცდაათი ვეფხვი და  
ოცდაათი ძმობილი.

მოსკოვისთვის ვიბრძოდით,  
კიევისთვის ვიბრძოდით,  
ღალატი არ ვიცოდით  
და ძილი არ ვიცოდით.

ისე, როგორც ამხანაგს,  
ჩვენ ვიცავდით ერევანს,  
ახლა თუმცა აღარ ვართ:  
ჟამი ვერ მოგვერევა.

ისე, როგორც მეგობარს,  
ჩვენ ვიცავდით დარიალს,  
ახლა ისიც გვეყოფა,  
თუ ბაქოში დარია.

თუ გადარჩა თბილისი,  
ჩვენც ვიცხოვრებთ სამთხით,  
„ოცდაოთხი ივლისი,  
ცხრაას ორმოცდაოთხი“.

### დასასრული

მზის ჩასვლისას მოზვიმე ქუხილი  
საქართველოს გადაუვლის ცეცხლივით.  
შხეფებს ისვრის შენი სისხლის დუღილი.  
ლექის ამბობ და ხმაც არა გაქვს შეცვლილი.

დადლილ ქედზე განშორების ზვირთია,  
უჩინარი, მეოცნებე თვალებით.  
ახლა მირზა ლეგენდა და მითია,  
თიანეთში მოტანილი წამებით.

ახლა მირზა, მირზა წინაპარია,  
საქართველოს მზის დროშაზე გაკრული,  
სოლო შორეთს კლდეა და ნაპრაღია  
და სიცოცხლე ბატკანივით დაკლული.

დაქანცულა, დაღეწილა აბჯარი,  
ხომ არსებობს აღტაცებაც ტანჯული,  
კბილებამდე იარაღში ჩამჯდარი,  
ლექსში დარჩი, როგორც ლექსის მსაჯული.

როგორც მშვიდი გათენება ღამეთა,  
როგორც რეკვა ცისკრის მთავარ ზარების,  
შენთან ერთად ვდგავართ დროშის კარებთან,  
შენთან ერთად, შენი თანამგზავურები.

1973-74 წ.



## უმისამართო წერილი

ვთქვნი ა. დ.-ს.

გელა ვაჩნაძე ტელეფონის ზარმა ისე გააკვირვა, თითქოს მთელ თბილისს უნდა სცოდნოდა, რომ ამ დროს შინ არ არის ხოლმე. ყურმილი აიღო, დარწმუნდა, რომ მას ურეკავდნენ, მე გახლავართო დაუდასტურა, ხმა ეუცხოვა და უცნობის ვინაობა იკითხა.

— მე ფოსტალიონი ვარ, მთავარი ფოსტიდან, გუშინდლიდან გექვთ...

— რა გნებავთ, ვისმენთ.

— ჯერ მითხარით, თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით?!

— დიახ.

— ესე იგი ეს თქვენა ხართ, მაღლობა ღმერთს, — ყურმილში აღელვებულნი სხაპასხუბი ისმოდა.

რედაქციაში ოცი წლის მუშაობამ გელას იმდენი აღელვებული, გაუბედურებული და მომჩივანი გააცნო, რომ ეხლა ეს შეშფოთება სულაც არ გაჰკვირვებია. ბევრისთვის კიდევ უშველია, მართალი და მტყუანი გაურჩევია, მაღლი მოუსხია, მაგრამ უფრო ხშირად ვერაფერს გამხდარა, სხვის გულისათვის მთა და ბარის გასწორებაში დავიდარბასაც გადაჰყრია და მაგრადაც გაწბილებულა, ეხლა რედაქციაში მიეჩქარება, თორემ ამ უცნობსაც გულისყურით მოუსმენდა.

— რა გნებავთ, მოკლედ მითხარით,

— და საჩივრის მოსასმენად მოემზადა;

— თქვენს სახელზე აქ რაღაც წერი-

ლია, მაგრამ უმისამართოა და წუხანდელს აქეთ ვწვალობ. თქვენ დაგეძებთ.

— რა წერილი?

— ჩვეულებრივი, ოღონდ კონვერტს მისამართის მაგივრად აწერია ბავშვი ავად არის, კვდებაო... მეც ყველა საქმე გადავდე და რა ხანია თქვენ დაგეძებთ.

გელა ვერაფერს მიხვდა. თუ მისი წერილია — უმისამართო რატოა, ანდა ბავშვი კვდებაო, რაღას ნიშნავს, აბა, სად გელა და სად ბავშვის ავადმყოფობა.

— თქვენ ალბათ სხვა ვაჩნაძეს ეძებთ, ექიმს...

— არა, ბატონო, ჟურნალისტიო, აქა სწერია, თუ გნებავთ წაგიკითხავთ, უკვე გავიზებირე... აბა, გელა ვაჩნაძეს ჟურნალისტს... მისამართის ძებნაში მე ღამე გავეტეხე და თქვენ არა გჯერათ? ესეც მაღლობის მაგიერია?!

უცნობის გაცხარება და გულწრფელი კილო გელას ენიშნა.

— თქვენ ეხლა როგორ მოგავნოთ?

— რას ამბობთ, ბატონო, სანამ თქვენ აქ მოხვალთ, დროს წააგებთ, ავი ვთქვი, კონვერტს აწერია ბავშვი კვდება, სასწრაფოაო... მე თქვენი მისამართი უკვე ვიცი, სახლისა და ბინის პოვნა ჩემი ხელობაა, ათ წუთში მანდა ვარ, დამელოდეთ.

ტელეფონი გაითიშა.

გელა გაბრაზდა, მთავარი ფოსტიდან ვერაზე ამოსვლას ამისთანა ავდარში ბარემ ნახევარი საათიც უნდოდა. რედაქციაში კი ელიან. მივიდეს და მერე თავი იმართლოს ვიღაც დაბღური ფოსტალიონი ექიმს ეძებდა და ხელთ მე შევერჩიო... თარსი დღეა. ბავშვი თუ ცუდად არის, მე რაში გამოვადგები.

ფანჯარას მიუახლოვდა და ქუჩას გახედა. გარეთ თოვლს ყველაფერი თეთრად გადაეპენტა. ეს რამდენიმე წელია თბილისს მკაცრი ზამთრები შემოეჩვია. ნეტა რა ხდება ბუნებაში. ახსოვს, სტუდენტობისას ზამთარი გრძელ შემოდგომას ჰგავდა, ეხლა კი...

საათს დახედა. ხმის გამცემი მაინც ჰყავდეს, მაშინ დროც ასე ფეხს ვერ აითრევდა. თუმცა ახლა სინანული გვიანლაა, ამაზე წინათ უნდა ეფიქრა. გელას მეგობრებს ზოგს შვილიშვილებიც კი ჰყავთ. ამას კი არც ცოლშვილი, არც დაძმა, ცარიელ-ტარიელს ხანდახან შინ შემოსვლაც ეზარება. გელა ლამაზი კაცია და ქალი არასდროს დაჰკლებია. ამ ოთხ კედელს ბევრი კაბის შარიშურიც ახსოვს და პერანგის ფრიალიც: ცრემლიანი თვალებიცა და შეყვარებული ძუს აფეთქებაც. ამ ოთახში ზოგი ქალი დიდხანს ჩერდებოდა, ზოგიც უმალ ქრებოდა, მაგრამ სახლის პატრონის გულში სამუდამო ბინა ვერავენ დაიღო. ასე ზღურბლთან აეტუხა მარტოობა, ფეხაკრეფით შეიპარა, ღამის გასათევი ითხოვა და მერე ერთადერთ ტახტზე, ფეხმორთხმული, მბრძანებლად შემოჯდა. სამსახური გახდა გელასთვის ცოლიცა და შვილიც, ბედიც და უბედობაც, სიყვარულიცა და დარდიც, ერთგულეზაცა და დალატიც.

ქვემოთ, სადარბაზოსთან მოტორი-ლერი გაჩერდა. ფოსტალიონის-ფორმიანი შუა ხნის კაცი მსუბუქად ჩამოქვეითდა, სახლს ახედა, ეტყობა მისამართი შეამოწმა და სადარბაზოში შევიდა. გელა კარისკენ გაემართა, გააღო და შეზოგისმა კიბეზე რა ბრაგაბრუვი ასტეხა

უცნობია. ფოსტალიონი ამორბოდა და თა. თოვლს იბერტყავდა.

გელა გაეგება.

უცნობი გელას ვინაობას მიხვდა, მიესალმა და ბარათი გაუწოდა. თბილისის ფოსტას, ეწერა კონვერტს. დამეხმარეთ, სასწრაფოდ მოსქებნეთ ყურნალისტი გელა ვაჩნაძე, ამაზე დამოკიდებულია ბავშვის სიცოცხლე.

გელამ კონვერტი გახსნა, ოთხად მოკეცილი ბარათი ამოიღო, გაშალა და ჩაიკითხა. შორეული ჩრდილოეთის ქალაქიდან მას ემუდარებოდნენ, ევედრებოდნენ, სთხოვდნენ წამალს, რომელიც მხოლოდ თბილისში, ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტში მზადდებდა. ორი თვის მაიას დისპეჰსია შეჰყრია. რა არ იღონეს, მაგრამ ამოდ, ბავშვი დადნა და დაიღია. წამალმა ოცდაოთხ საათში უნდა მიუსწროს.

იქვე, კონვერტში რეცეპტი იღო.

გელა სიცივემ აიტანა. ახლადა მიხვდა, რომ ყინვაში იდგა. შეტრიალდა, სტუმარი შეიპატიჟა, თითონაც შევიდა, თვალთ ანიშნა სავარძელზე ჩამოჯექითო და ტელეფონს მიუხალრვდა.

— ბავშვი მართლა ცუდად არის? — ჰკითხა მორიდებულად ფოსტალიონმა.

— მგონი...

— ვისი ბავშვია?

— არ ვიცი.

მასპინძელმა ვერ შეამჩნია, სტუმარს გაკვირვებისაგან სახე როგორ დაუგრძელდა.

— როდის არის გამოგზავნილი. — მიუბრუნდა გელა უცნობს, კონვერტი გაუწოდა და ტელეფონის აბონენტთა სიის წიგნს ფურცვლა დაუწყო.

ფოსტალიონმა წერილი შეატრიალა, ბეჭედს დააკვირდა და დაუბრუნა.

— გუშინ, შუადღისას...

წუხელ ფოსტაში, ღამის მორიგე აღექსი ნებაძეს უცნაური წერილი უმალ თვალში სცემია. ერთ ხანს გახსნაც კი დაუპირებია, მაგრამ ცთუნებას არ აპყოლია, რადგან ამაზე მძიმე დანაშაული კავშირგაბმულობაში არ არ-

სებობს, ყველა საქმე და ერთი გორა წერილი გვერდზე გადაუღია და ვაჩნაძის ძებნაში მთელი ღამე გაუტეხია.

გელამ, როგორც იქნა, ტელეფონის ნომერს მიაგნო და დარუკა ვილაცის ბინაში, სასამართლოში, აბანოში, სად არ მოხვდა, მაგრამ ინსტიტუტიდან ერთხელაც არ უპასუხეს. ტელეფონის ნომრებს მთელს მსოფლიოში ყველაზე უკეთ თბილისელები იმახსოვრებენ, რადგან თითო ნომრის დატრიალება ამდენჯერ არავის უხდება, გაიფიქრა გელამ. ალექსი ნებაძეს კი ამ დროს ერთი სული ჰქონდა, მთელი ეს გამოცანა შეეტყო, დრო იხელთა, მასპინძელს სთხოვა, ამიხსენით, რა ხდებაო და წერილის შინაარსი ხარბად გადაუღაბა.

— მართლა უცნობის წერილი ყოფილა!!

— უცნობი არ არის, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შევხვდი, სახელიც არ მახსოვდა.

— ჰოდა, წამალი გამომიგზავნო?!

— ესე გამოდის.

— რაღა თქვენ გამოგარჩიათ?

— ალბათ თბილისში სხვას არავის იცნობს. მატარებელში შემხვდა, გამომელაპარაკა, ქართველების გულსტამიერება მსმენიაო და მეც დაფუძასტურე: ჩვენში სხვისი და საკუთარი ჭირი ერთია, უცნობსაც მხარში ძმასავით ამოვუდგებით ზოლმე და ამ დროს ღვიძლს უცხოსაგან კაცი ვერ გაარჩევს-მეთქი.

— ეგ კარგა გითქვამთ, მაგრამ სადაც ეს რაღაც წამალი მზადდება, რა წამალია? ბაქტერიოფაგი? ჰოდა, სადაც მაგ ბაქტერიოფაგს ამზადებენ, იქ რომ მიეწვრა არ აჯობებდა?!

გელა ჩაფიქრდა.

— იქნებ აჯობებდა კიდევ, მაგრამ ალბათ ეგონა, იქ ჩემნაირ გასაჭირს მიჩვეულები არიან და გული არ შეუტოკდებათო...

— მამაცხოვნებულნი, კონვერტზე რაღაც მინაწერს რომ ენდო, ერთიც ვნახოთ და ეს წერილი ფანჯრიდან გადა-

მეძახა — ვინ გამამტყუნებდა? მე რა ვალდებული ვარ მისამართები ვეძებო!

— ვალდებული სულაც არა ხართ. ერთხანს გაჩუმდნენ, მაგრამ ნებაძეს კიდევ დარჩა სათქმელი.

— შვილი ეყოლება ავად...

— შვილიშვილი ყოფილა

— გადარჩება?

— ოცდაათხ საათში წამალმა უნდა მიუსწროს თუ არა და....

ფოსტალიონი კვლავ აფეთქდა.

— მთელი დღე-ღამე ჰქონია... იქიდან აქამდე თვითმფრინავი რამდენ ხანს უნდება?! სამ საათს? აგაშენათ ღმერთმა! სამი აქეთ, სამი იქით, სამიც, ვთქვათ, წამლის შოვნას წაედო, უფრო ნაღდი არ იქნებოდა? თავის შეწუხებაც არა სდომებია... რა კარგია! დაწერა და გაავხვანა, შენ კი მიდი და მერე თავი იმტვრიე, ანდა ისეთი რა წამალია?

— მხოლოდ აქ მზადდება.

— წამალზე რეკავთ? — ნებაძეს გაეღიმა — წასვლა სჯობს, ტელეფონით უფრო დიდხანს მოუნდებით...

სწორედ ამ დროს, როგორც იქნა, ინსტიტუტიდან უპასუხეს.

ყურმილში ახალგაზრდა ქალის ხმა აეკლუტობდა, დირექტორი გასულია, ცოტა ხანში დარეკეთო. გელამ ცივად, მყიფე ხმით გააფრთხილა, პროკურატურიდანა ვარ, ეხლავე მანდ გავჩნდები, სასწრაფო საქმე მაქვს, დამელოდოსო, პალტო ჩაიცვა და ნებაძესთან ერთად გარეთ გამოვიდა.

თოვდა.

— თუ გნებავთ, ჩემი მოტოროლე-რით მოგემსახურებით, — შესთავაზა ფოსტალიონმა, მაგრამ გელამ იუარა, აქვე რედაქციას ჩავაკითხავ და მანქანას ვიშოვნისო, მადლობა უთხრა, ბოლო წუთს ვინაობა ჰკითხა და გამოემ-სვიდობა.

ხალხი შუა ქუჩისკენ მიიწევდა. ფეხი იქ ნაკლებად სხლტებოდა.

ზურაბ რცხილაძე  
შინაშინაძეთა წარწერა



მღეთის ქუჩის კუთხეში გუნდამოდერებული ბიჭები გოგოებს ჩასაფრებოდნენ.

ყაზბეგის ქუჩის თავქვეზე თითო-ოროლა მანქანა ახალ თოვლზე საბურავების ტრიპინით მძიმედ, ურემივით ჩამოივლიდა.

ნებაძეს გელამ ტყუილი უთხრა. ესლა რედაქციაში რომ შევიდეს, საქმეს ვეღარ აიციდნენ.

...ვერა, გელა დღეს სამსახურში ვერ წავა და ვერც რედაქციის საქმეს ვაკეთებს, დღეს გელას დარდი ეს წერილია, ჯიბეში რომ უდევს და თავის ნებაზე ატარებს...

მინც ვინ არის ის კაცი, ასეთი ხვეწნა-მუდარის ბარათს რომ იწერება?

გელა ძლივს იხსენებს. ნაცნობობა წუთიერი იყო, მისამართების ვაცვლა ვერ მოასწრეს, მხოლოდ ხმა აისოვს, სასიამოვნო, მშვიდი, ეს არის და ეს.

მელიქიშვილის ქუჩაზე გელამ სასტუმრო საქართველოსკენ გაუხვია და ტაქსის გრძელ რიგში დადგა, თუმცა წინდაწინვე იცოდა, რომ ეს წყლის ნაყვას ნიშნავდა. ცოტა ხანში რიგიდან გამოვიდა, წინ გადაინაცვლა და აქეთ-იქედან უკმაყოფილოთა ბუზღუნიც გაიყოლა. საათს დახედა. სამი დაწყებულყო. წერილი საფოსტო ყუთში გუშინ თუ ჩაუშვეს, მას კიდევ ოთხოდღე საათი ჰქონია. ამ ოთხ საათში წამალი უნდა იშოვნოს, ეს ერთი, აეროდრომზე გავიდეს, ორი, ვინმე ღვთისნიერი მოსძებნოს და გაატანოს, სამი; თვითმფრინავი დროზე უნდა გაფრინდეს, ოთხი, მერე ხუთი, რვა და ათი. ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ქალას ჩიტი მომკვდარიყო... ეს ცხოვრება ასე კრიალოსანივით აწყობილი რომ იყოს, რაღა ემჯობინებოდა. ხალხს მიუბრუნდა და სთხოვა, ძალიან შეჩქარება, რიგი დამთმეთო, მაგრამ აქეთ-იქიდან იუარეს, აქ მოკლილი არავინ არის, თქვენს რიგს დაელოდეთო. ესეც შენი პირველი სილა. ესლა ცას გახედდა ამისთანა ავდარში ფრენა რომ არ იყოს?

რიგს ტაქსი მოადგა.

კმაყოფილი მოხუცი ქალი, რომელიც თავში იდგა, ჩასაჯდომად მოემზადა, მაგრამ გელას სხვა გზა აღარ დარჩა, ადგილს მოსწყდა, მანქანასა და ქალს შუა მოექცა და კარის სახელურს ხელი ჩაავლო.

რიგი უმაღ ადელდა: ეს რასა ჰგავს, მოხუცი გაატარეთ, წესი დაიცავით, გაისმა აქეთ-იქიდან. ერთმა სათვალოსანმა, პირხმელა კაცმა მანქანას მარდად უყელა და მოფერს თითის ქნევა დაუწყო, იცოდეთ, ნომერს ჩავიწერთ, ეს კაცი არ ჩასვს, აი იმ ქალის რიგია და ის წაიყვანეთო.

ჩოჩქოლმა იმატა.

გელა ადელდა, თვალეები აენთო, კანკალმა აიტანა და უნებლიეთ ისე იყვირა, რომ ერთ წამს ყველა გააჩუმა.

— რა მოგივიდათ, სიტყვა მათქმევი-ნეთ, — და ვისაც რიგს ართმევდა, იმას მიუბრუნდა — ქალბატონო, თქვენ ალბათ შვილიშვილი გყავთ. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ის რომ გიკვდებოდეთ და ხელში კი წამალი გქონდეთ, საქმეს წამები რომ სწყვეტდეს, განა მე რიგს არ დაგიომობდით? დამიჯერეთ, ბავშვი კვდება, იმის სიცოცხლე ბევრზე ჰკილია და უნდა მიეუსწრო, წამალი უნდა მივაშველო, გთხოვთ, ქალბატონო, სინდისს გეფიცებთ, სიმართლეს ვამბობ, ნუთუ გგონიათ, რომ ამ ერთი მანქანის გულისათვის ასეთ ტყუილს ვიკადრებდი.

ხალხი დაიბნა.

მოხუცი ქალი გაშრა, მერე გამოერკვა და უპასუხა:

— წადი შვილო, მალე წადი, იჩქარე, ოღონდ ბავშვს უშველე და...

— თქვენ თუ დაუთმობთ, იცოდეთ რიგს დაკარგავთ, — გააფრთხილა ზურგიდან ვილცამ.

— ვიცი, მიუგო მოხუცმა, — დაჯექი, შვილო, ღმერთმა გიშველოს.

გელა მანქანაში შეიმალა, ტაქსი დაიძრა და ახმაურებული რიგი დატოვა.





— ვითომ მართლა ავადმყოფ ბავშვთან ჩქარობდა? — დაეპყვდა ერთი.

— გასინჯავ, თუ რა! — მხარი აუბა მეორემ.

— ხალხმა ნამუსი დაკარგა, — განაცხადა მესამემ და ვერც კი მიხვდა, რომ იქვე მდგომებიც დალანძლა.

— მანქანა კი გაინაღდა და...

— მაგ კაცს მე კარგად ვიცნობ, — ხმამაღლა თქვა თავშალწაყრულმა დედავაცმა და ვინ არი, ვინ არიო აქეთ-იქიდან დააყარეს.

— ვინ არის და თაღლითია, აფერისტი, რაც თავი მახსოვს, სულ ეს იძახის და კიდეც გაუდის. აკი ეხლაც გაგაცურათ.

— აბა ვინ იფიქრებდა! — დაიკნავლა ვილაცამ.

— შეხედავ, კაცსა ჰგავს...

ამასობაში კი თაღლით გელას ტაქსის მძღოლი ეუბნებოდა:

— ეს კარგად მოიგონე, ხო იცი...

— რა მოვიგონე?

— აი ბავშვი კვდებოო თუ რაღაცა, ხელოდ დაიჭერეს... საით წავიდეთ?

— ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტში, იცი?

— არა.

— ბაქტერიოფაგი?

— ვიცი.

— ჰოდა, მალე, წამალზე მიმეჩქარება! — ისეთი სუსხით მოსჭრა, რომ მძღოლს ღიმილი ტუჩზე შეეყინა და ლაზღანდარობა იქვე მოსხიბა.

სპიდომეტრის ისარი დაფეთდა.

მანქანამ ვერაზე მოუხვია, ერთი პირობა შეფერხდა, მერე კვლავ გავარდა. თავქვეზე ჩაიქროლა, გმირთა მოედანზე კიდევ მოცურდა; სვლას მაინც არ უკლო, საბურთალოს აღმართს შეენთო და ინსპექტორის სასტვენის ხმაც თან გაიყოლა.

გელამ გაკვირვებით შეხედა მძღოლს და თბიქოს ველარ იცნო. ანგალი ძველი ბიჭი სადღაც ვერაზე ჩამომხტარიყო და ეხლა მანქანას წარბშეკრული, თავგადადებული კაცი მართავდა.

საბურთალოს გასცდნენ, კიდეც ერთ თავქვეზე დაემუნენ და რკინის დიდი ჰიშკართან შედგნენ.

გელამ მძღოლს მანეთიანი გაუწოდა, მყისვე გადმოხტა და ეზოში შევიდა.

ირგვლივ სოფლური თოვლი იდო, ხელუხლებელი, სუფთა.

თეთრად დახუნძლულ ხეებს შორის დათოვლილი ბილიკი ღრმად, შენობისკენ მიუყვებოდა.

შენობაში ლაყე კვერცხის, გოგირდისა და კიდეც რაღაც შრატების ერთმანეთში არეული სუნი იდგა. ამ სუნში ყოფნისთვის ორმაგ ხელფასს უნდა იძლეოდნენ, გაიფიქრა გელამ. თეთრხალათიანმა ქალმა მიასწავლა, დირექტორი მეორე სართულზეაო.

მოსაცდელში სხალგაზრდა მღივანი ვილაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, გელას დანახვაზე ხმას დაუწია და ყურმილში უთხრა, ცოტა ხანში დამირეკე, ეხლა ვერაფერს გეტყვიო და უცნობს მიაჩერდა.

უცნობი მიესალმა, დირექტორის სახელი იკითხა და მასთან შესვლა სთხოვა.

— ცოტა ხანს მოითმინეთ, სწავლული მღივანია მასთან.

— მალე განთავისუფლდება?

— მე მგონი... დაბრძანდით.

დიდი, ცისფერი თვალები, ოდნავ აპრეხილი პატარა ცხვირი, სავსე ტუჩები... ლამაზი გოგოა, გაიფიქრა გელამ. მას სწორედ ასეთები მოსწონს. რაც მთავარია, ტუჩკბილი წესრიგში აქვს, სახის კანიც სუფთაა, მაგრამ ტანფეხი არ უჩანს. გელას ისევე ძველებური გემოვნება შერჩა, ოდნავ შესუქებული ქვედა წელი, მკერცი და ღონიერი ფეხები მოსწონს. ადგეს მაინც, დაენახოს. ისე, მკერდზე ეტყობა, გათხოვილი უნდა იყოს. მარტო ამისთვის ღირს დირექტორობა, ასეთი ლამაზი გოგო თუ გემსახურება, მთელი საქმეები თავდაყირააც რომ დააყენო, სანაენბ-

ფურაძე რახილაძე  
შპისამართო წიგრილი

ლად არ დაგრჩება... ნეტა, როგორი ფეხები აქვს?!

ტყავით აკრული კარი გაიღო, ქალაღებით დატვირთული კაცი გამოჩნდა, შინაური მღვდელი არ შეინდო — ლამაზ მდივანს არც კი მიხედა, მოსაცდელი გაიარა და გავიდა.

ცისფერმა თვალებმა გელას ანიშნეს, შედითო.

თეთრხალათიანი დირექტორი, წლოვანი ჭლაროსანი საეარძლიდან ადგა, სტუმარს შეეგება, ხელი ჩამოართვა, სკამი შესთავაზა და მერე თვითონაც დინჯად თავის ადგილისკენ გაემართა.

გელა გაეცნო, მოსვლის მიზეზი მოკლედ უამბო და რეცეპტი გაუწოდა. დირექტორმა ქალაღი გამოართვა, სათვალე მოიმარჯვა და დააკვირდა.

— კარგია, კარგია...

რა იყო კარგი გელა ვერ მიხვდა.

— ამ წამალს, სტაფილოკოკის ბაქტერიოფაგს, მხოლოდ ჩვენ ვამზადებთ, — სიამაყით წარმოთქვა დირექტორმა და გელამ წამლის დამზადების რთული ტექნოლოგიის შესახებ აღფრთოვანებული კაცის საკმაოდ ვრცელი ლექცია მოისმინა.

ასე ლაპარაკობენ საყვარელ ქალზე, მუსიკაზე, ლექსზე და გელა მიხვდა — ამ კაცისთვის შრატების, მალამოსა და წამლების გარდა ქვეყნად არაფერი არსებობს. თვით ის გოგოც, ამ კედლის იქით რომ ზის. და ასეთი ლამაზი, ცისფერი თვალები აქვს, ამისთვის მხოლოდ პირადი მდივანია და სხვა არაფერი. გელას ახლა მხოლოდ იმის გავება უნდოდა, ჰქონდათ თუ არა ამათ წამალი, მაგრამ მასპინძელს სიტყვას არ ართმევდა, გულმოდგინე მსმენელივით თვალს არ აცილებდა და თან იმას ფიქრობდა, ნუთუ ეს ლექცია კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

დირექტორმა საუბრით გული იჯერა, სული მოითქვა და მდივნის გამოსაძახებლად ზარის ლილაქს თითი დააკვირა. აჰა, როგორც იქნა, გაუხარდა გელას, ეხლა კი ვნახავ თქვენს ტან-

ფეხს, ლამაზო, სხვა რა გზა გაქვთ, უფროსი გეძახით, ხომ უნდა შემოვიდეთ, დირექტორმა კვლავ დარეკა.

კარი გაიღო.

შემოსული მდივანი კარგად რომ ჩათვალეირებინა, გელა მთელი ტანით მიტრიალდა.

კარებში ვიღაც გონჯი მაჯლაჭუნა იდგა და ოცდათორმეტი ღოჯით იღიმებოდა: ბატონო ირაკლი, თინა გასულია, რა გნებავთ, იქნებ მე შევძლოო.

აქ, დირექტორის კაბინეტში, ამ მოპირალებულ იატაკზე გადაფურთხება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა.

— ერთი, არჩილი მომიძებნე, გენცვალე, სასწრაფოდ ამოვიდეს. — ისე სთოვავა, როგორც საყვარელ შვილს.

ახლავყო, თქვა გონჯმა და გაქრა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ორჯო თვის ბავშვისთვის დისპენსია, — ჩაილაპარაკა დირექტორმა, — საშიშია... ეცადოთ, ეცადოთ...

ოთახში კვლავ „მზეთუნახავი“ გაჩნდა.

— ბატონო ირაკლი, არჩილი არ არის. შესვენებით არ უსარგებლია და ეხლა წასულა, ერთ საათში ვიქნებით.

ეს გონჯი აბა რა კარგ ამბავს მოიტანდა.

ერთი საათის მოცდა გელას არ შეეძლო.

— ვიცი, ვიცი, — ჩაილაპარაკა დირექტორმა. მერე ერთხანს დააყოვნა, მაგიდაზე თითები აათამაშა, ეტყობა, გეგმა მოამწიფა და უტებათ წამოლდა.

— წამობრძანდით.

გელა ფეხდაფეხ აედევნა. მოსაცდელში პირველად მდივნის ადგილს გახედა, მაგრამ იქ არავინ იჯდა.

გრძელი დერეფანი გაიარეს. დირექტორმა გზად ვილაცას გასძახა. ოთარ, წამომყევით, და ახალგაზრდა ბიჭიც უმალ აედევნათ.

პირველ სართულზე რკინის მძიმე კარს მიადგნენ. დირექტორმა ოთარს უბრძანა, გააღეო. ბიჭმა გასაღების მორგებაზე ათიოდე წუთი იწვალა და რო-

გორც იქნა გააღო. გელამ შევებით ამო-  
ისუნთქა, მაგრამ სიხარული ნაადრევი  
გამოღდა. ოთახის კედლებზე ჩამწკრი-  
ვებული თაროები ცარიელი აღმოჩნდა  
და მხოლოდ სულ ბოლოს, რამდენიმე  
სინჯარა და წამლის პატარა ბოთლი  
იდგა.

ღირექტორმა ბოთლი ხელში აიღო,  
დააკვირდა და გაბრაზდა — თარილი  
არ აწერია, სხვა გზა არ არის, არჩილს  
უნდა დაველოდოთო.

ინსტიტუტიდან სწორედ გუშინ და  
გუშინწინ წამლების მთელი წყება გაუ-  
გზავნიათ და ამიტომ ერთადერთი იმე-  
დი არჩილზედა იყო.

...არჩილი სულ მალე დაბრუნდება.  
გელა ასე რატომ ღელავს. ცოტა მოც-  
და დასჭირდება, ეს არის და ეს, მართა-  
ლია, დრო არ ითმენს, მაგრამ თავს ზე-  
მით ძალა ხომ არ არის, დაწყნარდეს  
და ყველაფერი რიგზე იქნება.

ღირექტორი წავიდა და ახალგაზრდა  
თანამშრომელიც მას გაჰყვა.

ღერეფნის გაყოლებით, ორმხრივ  
ჩამწკრივებულ შემინულ, გამჟვირვალე  
ფარდაფარებულ კარებს იქით სამუ-  
შაო ოთახებში და ლაბორატორიებში  
კარგად ჩანდნენ საქმეში წასული თა-  
ნამშრომლები. გელა გაოცდა. ამ ინს-  
ტიტუტში ქალები არა ქსოვდნენ და  
მამაკაცები ჭადრაკს არ თამაშობდნენ,  
რას არა ნახავს კაცი.

ღერეფნის ბოლოს, აქეთ, ზურგმექ-  
ცევით ვილაკ ხმელი კაცი იდგა. გელა  
თუნდაც სანაძლეოს დასდებდა, რომ ეს  
ზურგი და კეფა სადღაც უნახავს და  
იმისკენ წავიდა. ხმელი კაცი ფანჯარაში  
იყურებოდა, მაგრამ გულმოდგინე ცქე-  
რამ თუ ფეხის ხმამ შემოატრიალა და  
გელამ ტაქსის შოფერი იცნო.

მძლოლი თითქოს ამ შეხვედრას ელო-  
დაო, უმალ მიუახლოვდა.

— ამ ჩიხში მანქანის შოვნა ძნელია,  
ვიფიქრე, კაცს უჭირს მეთქი და დავრ-  
ჩი, არ წავსულვარ.

გელა გაშრა.  
ეს კაცი თავიდან დალღარა, ანვალ

ბიჭს რომ ჰგავდა, თურმე რა ჩვილი  
გულის პატრონი ყოფილა. მძლოლს  
თითქოს სწორედ თავისი გულჩვილობი-  
სა შერცხვა, თვალები სადღაც წაიღო,  
გელას სიჩუმე შოფერულად ახსნა და და-  
ამშვიდა.

— ფულს არა სწერამს, გამოვრთე.  
— და დააყოლა — წამალი იშოვნენ?  
— ერთ საათში იქნებაო.

მძლოლი დაფიქრდა, მერე საათს და-  
ხედა.

— მე ეხლა წავალ, ცოტას წაიმი-  
შავებ, ხო იცი, რა გეგმა გვაქ, მოკ-  
ლედ, ფეხი არ დაძრა, ერთ საათში აქა  
ვარ.

— მოიცა, — დააბრუნა გელამ შო-  
ფერი და უმისამართო წერილისა და  
წამლის ამბავი მოკლედ უამბო.

მძლოლი გაოცდა.

— ვაა! მაშ შენი შვილისთვის არ  
გინდა?

— მე უცოლშვილო ვარ...

— არა მართლა?

— გეფიცები...

მძლოლმა უცნაური კაცი ერთ ხანს  
ეჭვიანი თვალით გაზომა, მერე დაუჯე-  
რა, გაიბადრა და უთხრა, დამელოდე,  
მალე მოვალო და წავიდა.

ლოდინით სული კი გაწვრილდა, მაგ-  
რამ, როგორც იქნა, გელა ღირექტორ-  
თან იხმეს.

მალღა, უფროსის ოთახში, მაგიდა-  
ზე გულდაგულ შეფუთული წამალი უც-  
დიდა.

— როგორ გადაუგზავნით? — ჰკითხა  
ღირექტორმა.

— აერთდრომზე უნდა გავიდე და  
ვინმე მგზავრს გავატანო, სხვა არა-  
ფერი საშუალება არ არის.

— თვითმფრინავი რომელზე მიწერი-  
ნავს?

— შვიდის ნახევარზე.

ღირექტორმა საათს დახედა.

— მოასწრებთ?

ზურაბ რცხილაძე  
ფინანსთა მინისტრი



— ვეცდები...

— მანქანა ხომ არ გნებავთ, ჩემი მძლოლვ თავისუფალია.

— გმადლობთ, ბატონო, თქვენგან ისედაც დიდად გახლავართ დავალებული, ნუ სწუხართ, ტაქსი მელოდება.

— კეთილი, კეთილი, აბა იჩქარეთ! — და გამომშვიდობებისას სტუმარს ვინანობა კვლავ გამოჰკითხა.

მძლოლმა გელას ჩაჯდომა კარგად არც კი აცალა და ადგილს ფეთიანივით მოსწყდა. მანქანამ ერთი აღმართი აირბინა, მერე მარჯვნივ შეუხვია, გეზი შეცვალა, თავქვე წამში ჩაათავა, ისევ მარჯვნივ აიღო, სანაპიროზე გაგარდა, გავიჯა და გადაირია.

გელა შიშისაგან დაილია.

მძლოლი სიგნალს ხელს არ ამორებს...

მანქანა მიჰქრის...

ძრავი გუგუნებს...

ქარი ზმუის...

აქეთ-იქიდან შინაშაში მანქანები გზას უთმობენ ვიღაც გიჟსა და გადარეულს.

ავტომობილი ქმინავს, უხვევს, ფეთიანობს, აღმართს უტევს, სწორზე სვლას უმატებს. სპიდომეტრი ხტის, ხან ასოცს ეხეთქება, ხანაც ერთბაშად ქვემოთ ვარდება, მუხრუჭი კივის, მანქანა მიჰქრის, მერე კვლავ უხვევს და ისევ თავიდან იწყება თავაწყვეტილი დოლი, გიჟური რბოლა და ეშმაკის მარულა.

ავლაბარი აირბინეს, ისანს ჩაუქროლეს და კახეთის გზატკეცილს შეენთნენ. მანქანა მოთხილამურის ილეთს აკეთებს, ბოლოს იქნევს, ცურავს. მუხრუჭის მკახე ხმა, საბურავის წვილი ერთმანეთში ირევა, გელა ცალ ხელს თვალზე იფარებს და ცალით სახურავს ებღაუჭება. ტაქსი ბოლოს იქნევს, დევივით ასლოკინებს და დგება.

გადავრჩით, უელავს თავში გელას და მანქანიდან გადმოდის. ის, რაც პირველად შიშისგან მოეჩვენა, უმეცარი და მუხრუჭების გარდა სხვა არაფერი ყოფილა, წინ კი მართლა ნამდვილი ავა-

რიაა. დიდი სატვირთო მანქანა მძვინვარებულა და გზა გადაუტეცავს.

მძლოლი სიბნელეს შეერია და ცოტა ხანში გაბრაზებული დაბრუნდა.

— ესეც ბედია რა...

— რა მოხდა?!

— იმისთანა ამბავია, წინ ვერ წავალთ, ეს შობელძალი ისეა მოცურებული, ვერც იქით და ვერც აქეთ გვრავინ გაივლის.

წყალში ჩაიყარა ამოდენა თავგადიდება. ესეც იმ საცოდავი ბავშვის ბედისწერა ყოფილა.

მძლოლი ძარას დაეყრდნო და გელას დააქქერდა. მერე თითქოს რაღაც მოავონდა, უცბად გამოერკვა და უბრძანა, წამალი აიღე და მომეყვიო.

ოცოდნე ნაბიჯში ინსპექციის მუშაკებს წრე დაერტყათ, აყირაგებულ მანქანასთან ხალხს არ უშვებდნენ და მოცურების ადგილს ზომავდნენ, შუშის ნამტვრევებს ტილოში გულდაგულ ასხვევდნენ.

მძლოლმა მთელ ამ ჩოჩქოლს ყურები არ ათხოვა და ავარიის ადგილს გასცდა. ავარიას იქიდან მოშავალი მანქანების ქარავანიც გაეჩერებინა. მძლოლმა რამდენიმე მანქანაში შეიხედა, ერთი ტაქსის შოფერი გადმოიყვანა და რაღაცა უთხრა, იმან ხელები გაშალა და მგზავრებზე ანიშნა, მაშინ გელას შოფერი იმ მგზავრებს მიუბრუნდა.

— აქ ამისთანა ამბავია, საათზე მეტს გაჩერდებით.

— რა მოხდა? — ჰკითხა ერთერთმა მგზავრმა.

— ავარიაა. მეც ტაქსის შოფერი ვარ, აი ამ კაცს, — გელაზე ანიშნა, — თვითფრინავზე უგვიანდება. მე ერთი კარიტყავა მაქ. ეგ თქვენი ბარგი ჩემს ტაქსში გადავიტანოთ და საცა გინდათ მიგიყვანთ, მე ამ ავარიის იქითა მხრიდან ვდგევარ, ეს კაცი კი თქვენი მანქანით აეროდრომისაკენ გაუშვავთ, მოკლედ, მანქანებს გავცვლით და ეგ იქნება, ბარგის გადატანაში მოგეხმარებით, წუთში გადავზიდავთ.

მგზავრები დაუქვდნენ, აჩურჩუ-

დღენ. ერთ-ერთი, რომელიც ოჯახის უფროსს ჰგავდა, გადმოვიდა და ინსპექტორებისკენ წავიდა, ცოტა ხანში დაბრუნდა და თქვა, აქ ერთი კი არა, ბარე ორი საათის მოცდაც მოგვიხდებო.

ხუთმა კაცმა ტაქსი უმალ დაცალეს. გელამ თავის მძღოლს თუმნიანი ჯიბეში ჩაუჭმუქნა, მაგრამ იმან დარდიმანდულად ქვა ააგდო: ამ ქვეყნად ყველაფერი კი არ იყიდებო, ხურდა ჩაუთვალა და წავიდა.

აეროპორტში დიდმა საათმა ექვსი აჩვენა.

ბოლო დღეების ავდარმა აქ ბევრი მგზავრი დააბა. სხვადასხვა ენაზე ისმოდა აღელვებული ლაპარაკი, მაგრამ მთელ ამ სიჭრელეს გელა ვერ ამჩნევდა. დაბნეულს კიდევ დაავიწყდა, ცნობათა ბიურო სად იყო, მიმოიხედა და იქით, ყველაზე მეტი ჩოჩქოლისკენ გასწია.

ალყაშემორტყმულ შუშის სარკმელთან მისვლა არც ისეთი ადვილი იყო. სარკმელში ცისფრად გამოწყობილი გოგონა ოსტატურად იცდენდა გაბრაზებული, დამენათევი მგზავრების მომაბეზრებელ შეტევას და აეროპორტის განაწესს თავაზიანობის შესახებ მოქანცულად, მაგრამ მაინც ზუსტად ასრულებდა.

სარკმელთან მისვლამდე გელამ ხუთიოდ წუთი და უამრავი მუჯღუბუნი დახარჯა. აქეთ-იქიდან სიცილი დაყარეს, არქია, ამისთანა დარში უცბად არ გაფრინდეთ. სარკმელის შიგნიდან გოგონამ, როგორც იქნა, მოწყალება მოილო და გელას ნაძალადევი ღიმილი შეაგება, რაც ნიშნავდა, გისმენთ, რას ინებებთ.

გელა რას ინებებს? ეხლავე მდგახსენებთ გელა ინებებს შეიტყოს, თუ რამდენ ხანში გაფრინდება ესა და ეს თვითმფრინავი და კიდევ ისიც, თუ რომელ გასასვლელიდან დაიწყება ჩასხდომა...

თვითმფრინავში ჩასხდომა დამთავრდა — თოფი ისროლა გოგონამ.

გელა კინადამ წაიქცა.

ესეც იღბალია. ამ მეორედ მოსვლაში, როცა ჩიტიც ვერ ფრინავს, ამას

ეუბნებიან, ჩასხდომა დამთავრდაო არა, უეჭველად ყურმა მოატყუა.

— გენაცვალე, — მიმართა მან იმეჭკითხვით და ხმაში მუდარა ჩისხსა, თითქოს ამით პასუხს შეაცვლევინებდა.

გოგონამ დაღლილი თვალებით შეხედა და მკაფიოდ დაუმარცვლა:

— თქვენს თვითმფრინავში ჩაჯდომა დამთავრდა, დღეს ეს ერთადერთი თვითმფრინავია, რომელიც მიფრინავს, დროზე უნდა მოსულიყავით.

ყველაფერი, რაც გელას თვალწინ იდგა, აყირავდა დარბაზი, ხალხი, სკამები, სალაროები, აბრები, განრიგები. ეს ქალი კი, ერთი შეხედვით სათნო რომ ეჩვენა, თურმე რა ჯოჯო და მახინჯი ყოფილა. გელა ელდანაკრავია? სულაც არა. თუ ვნებავთ ახლა მშვიდად და წყნარად შეხედავს. რა თქმა უნდა, არ სცდება, ეს ქალი ვონჯი, მახინჯი და სწორედ რომ საფრთხობელაა.

გელა ხალხს ძლივს გამოერიდა, განაპირდა და სკამზე ჩამოჯდა.

ახია გელაზე. ამჩატება ვერ არავის გამოსდგომია. ისე კი დღეს რა მუქთად იშოვნა ეს ვეებერთელა გულის წუხილი...

უცბად ირგვლივ მყოფი ხალხი ერთბაშად მიჩუმდა, ხმა გაკმინდა, მგზავრები შემოტრიალდნენ და გელას დაატყერდნენ, მერე უკან დაიხიეს, თითქოს რაღაც საშინელებას გაერიდნენ და... დარბაზმა დაცარიელება იწყოსაღდაც გაქრნენ მგზავრები, გამცილებლები, პილოტები, სტიუარდესები, მოლარეები, ბარგის მზიდავნი. გელა შიშმა აიტანა. ადგომა, გაქცევა, უნდოდა, მაგრამ სწორედ ისე, როგორც ბავშვობისდროინდელ სიზმრებშია ხოლმე, ფეხი ვერ გადადგა, წელი ვერ ასწია, ხელი ვერ შემართა. დარბაზის ბოლოს კედელი გაიხსნა, იქიდან თეთრ ანაფორაში გამოწყობილი კაცი გამოვიდა, მერე მას მეორე და მესამეც შეემატა და თეთრი სამეული გელასკენ დინჯად გამოემართა. გელამ თვალი ვერ

ზურაბ რცხილაძე  
შპისაპარტოზი წერილი



გაუსწორა და თავი დახარა. ისინი მიუახლოვდნენ და შედგნენ.

— თავი ასწიე! — უბრძანა ერთმა.

გელა დაემორჩილა და სახტად დარჩა. მის წინ იყვნენ ალექსი ნებაძე, ფოსტალიონი, რომელმაც დღეს უმისამართო წერილი მოართვა და ამდენ დავიდარაბას გადაჰკიდა, ფრთებიანი ტაქსის შოფერი და თეთრხალათიანი დირექტორი, ბატონი ირაკლი. მათ წინ კი პატარა ბავშვი იდგა. ბავშვს თითქოს ჰქონდა სახე და თითქოს არცა ჰქონდა, იგი ერთდროულად მხოლოდ ერთი ბავშვიც იყო და თან ათიც, ასიც, ათასიც, ის ჰგავდა ყველა ბავშვს, ვინც კი დღემდე ვინმეს საღმე უნახავს.

გელას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბავშვი მიტრიალდა და გაიქცა, სამეული მას უმალ ფეხდაფეხ დაედევნა და დარბაზში კვლავ იწყეს შემოსვლა მგზავრებმა, გამცილებლებმა, სტიუარდესებმა, ბარგის მშინდავებმა.

ხალხი კვლავ ახმაურდა, დარბაზი გაბმულმა გუგუნმა გატენა. ადგილობრივი დირექტორი ვილაცას მარჯვენა გასასვლელში გასვლას სთხოვდა.

გელას ეხლა ყველაფერი აღიზიანებდა: ხალხიც, ეს ჩოჩქოლიც და ადგილობრივი დირექტორის სმა, რომელიც ვილაც ბელა ვაშლაძეს მარჯვენა გასასვლელისაკენ ასე დაბეჯითებით სთხოვდა. რა გვარია ვაშლაძე, საქართველოში ასეთი გვარი არ გაუგონია, ან ეს უცხოური ბელა გაპრანჭულ მშობლებს ჩვენებური ვაშლისთვის რად მიუწებებიათ, აბა სასაცილო არ არის—ბელა ვაშლაძე, და... უცბად გააყრეოლა. ადგილობრივი დირექტორი ბელა ვაშლაძეს კი არ აცხადებს, არამედ გელა ვაჩნაძეს. რა თქმა უნდა, ასეა. ადგილზე შედგა, გაქვევდა, ნუთუ რადიოკვანძი აღარ გაიმეორებს. დარბაზში კვლავ გაისმა: ვიმეორებთ: „აეროპორტის აღმინისტრაცია სთხოვს მოქალაქე — სწორედ ამ დროს გელას ყურთან ვილაცამ ჩახველა და ჰაერში წინადადების ბოლო-

და გამოეფინა — „სთხოვს მარჯვენა გასასვლელში, სადაც...“

გელა ადგილს მოსწყდა, ვილაცას დაეჯახა, მოთხილამურის ილეით გააკეთა, ზღვა ხალხში თევზივით გასხლტა და გასასვლელში აღმოჩნდა. მფრინავი-სფორმიანმა ჭროლათვალემა მამაკაცმა სულის მოთქმა არ აცალა.

— თქვენა ხართ ვაჩნაძე?

— დიახ...

— მომყევით...

ჭროლათვალემა მძლოლი ყოფილა, გელა მსუბუქ მანქანაში კინწისკვრით შეაგლო, საჭეს მიუჯდა და დასძრა.

— სადა ხართ აქამდე, ტრაპი უკვე მოხსნილია, წამალი თანა გაქვთ?

— დიახ. — დამნაშავე მოწაფესავით უბასუხა გელამ.

მანქანა ვეებერთელა თვითმფრინავის ცხვირქვეშ შედგა. მძლოლთან ერთად გელაც გადმოსტა.

ეკიბაეის ტრაპი ჯერ კიდევ ადგილზე იყო. ეტყობა, ზემოდან მანქანა შეამჩნიეს, ტრაპზე პილოტი გამოჩნდა, ჩამოირბინა, მალე-მალეო, გელას წამალი გამოართვა, მისამართი ჩაიკითხა, დარწმუნდა, რომ სწორედ კითხულობდა, კვლავ აირბინა და ზემოდან გადმოსძახა:

— მე თითონ გადავცემ, სამ საათში წამალი ადგილზე იქნება...

გაოცებული გელას ცნობისმოყვარეობა მძლოლმა აქეთობისას დააცხრო. აეროპორტის უფროსთან ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტის დირექტორს დაურეკავს, ესა და ეს კაცი მოდის, მომაკვდავი ბავშვისათვის წამალი მოაქვს და დაეხმარეთო...

მეორე დღეს სარედაქციო თათბირზე მკაცრად ილაპარაკეს იმაზე, რომ გელა ვაჩნაძემ კოლეგიის დავალება არ შეასრულა... ფოსტალიონმა ალექსი ნებაძემ მოტოროლერის თავის ნებაზე გამოყენებისათვის საყვედური აიკიდა ფრთებიანი ტაქსის მძლოლს კი სიჩქარის გადაჭარბებისათვის მართვის უფლება ერთი თვით ჩამოართვეს.

## ქ ო რ ი ა

ლექციებიდან დაბრუნებულს თიანე-  
ლი ბიძაშვილის, ნიკოს დეპეშა დამხვ-  
და — მამა დამელუბაო. ტყვიასავით  
მოძვდა გულზე. ჩემი ყველაზე მეტად  
საყვარელი, მონადირე ბიძა! ჯერ არც  
ისე მოხუცი იყო, სიბერით მომკვდარი-  
ყო. ავადობა იმისი არავის გაეგონა! რას  
უნდა მოეკლა?

ის საღამო რაღა იქნებოდა და მეორე  
დღეს პირველივე დილის ავტობუსით  
გავემგზავრე. 12 საათზე უკვე თიანეთ-  
ში ვიყავი. გავიარე ქუჩები, ორლობები  
და გავედი განაპირებით, ახალ-მოსახ-  
ლეთა უბანში. აჰ, სადღაც იყო ჩემი  
ბიძა-ბიძაშვილების სახლებიც. მე აჰ  
ორი წლის წინ ვიყავი ნიკოს ქორწილ-  
ში. მაშინ პატარა, სახელდახელო სახლი  
ედგათ. ახალი, დიდი სახლებისა მხო-  
ლოდ საძირკვლები ჰქონდათ ამოჭრი-  
ლი, ნიკოსაც და მის უფროს ძმას, ვა-  
ნოსაც.

• შორიდანვე მოვიანდევ. ორივეს ორ-  
სართულიანი დიდი სახლები დაედგათ,  
მაგრამ ზედა სართული ორივეს გაუმარ-  
თავი დარჩენოდა. შეუღლესავი, უკარ-  
ფანჯრებო. ნიკოს ეზოში ხალხი ირეო-  
და. ღელვამ მიმატა, ცრემლი მომეძალა.  
ღობის კართან შემომეგებნენ. ნიკოს  
დანახვებზე თვალები მომიცრემლიანდა,  
იპასაც ცრემლში უცურავდა თვლები.  
ერთად ვიყავით შეზრდილები. ერთად  
დავყავდით ბიძა ქორიას სანადიროდ.

— რა მოხდა, ნიკო, რა დაემართა  
ბიძას? — ვკითხე.

— თოფი დაიკრა! — ხმა აუჯანკალდა  
ნიკოს.

— თოფი დაიკრა?!

— ჰო, თავი მოიკლა.

— რას ამბობ, კაცო, რატომ, რა მი-  
ზეზით?

— ვინ არის მაგის გამგები, არავინ  
არაფერი არ ვიცით, რამ მოაფიქრა ეს  
ამბუვი, რატომ გააკეთა... დებეშა მიი-  
ღე?

— ჰო, შენი დებეშა მივიღე გულში  
საღამოს. გავგიჟდი! მე ვიფიქრე, ალბათ,  
რაიმე უბედურება თუ შეემთხვაო. თა-  
ვის მოკვლას რა მომაფიქრებდა!

— მაშ, ვინ იფიქრებდა. წამოდი, შე-  
ვიდეთ! — მითხრა ნიკომ და შინისკენ  
გამიმძღვარა. სულდარაგადაფარებული  
კუბოს ირგვლივ შოსანი დედაკაცები  
ისხდნენ. ტირილისაგან მოღლილები,  
ჩანს, ისვენებდნენ ხალხის მოსვლამდე  
და კიდევ ტირილამდე. ისხდნენ და ხმა-  
დაბლა საუბრობდნენ. მამიდა სამძიმა-  
რამ, როგორც კი თვალი მომკრა, გულია-  
ნად ამოჭეითინდა. მივედი, სულდარა გა-  
დავწიე სახიდან ბიძას ცხედარს და, —  
ჯვარი გეწეროს, ბიძაო, — ჩავესაუბრე.

— ბიჭო, ხმა გაეც შენ ძმისწულსა,  
ოჰოჰოჰოჰო! — შესძახა მამიდა სამძი-  
მარამ, ნელა წამოდგა, ბიძის ხანჯალი  
აიღო და კიდევ შესძახა:

— ქალაქიდან ამოგივიდა, ნადირობა  
მომენატრაო, ოჰოჰოჰოჰო!

— ოჰოჰოჰო, — ზარი მისცეს სხვა  
დედაკაცებმა.

ამ ტირილმა სულ მთლად შეძრა და მომშალა. მანამდე კიდევ თავს ვიმაგრებდი, ახლა კი ცრემლმა წარბთ შესაყარი დამძმარა და თქრიალით წამოვიდა.

— ბიძა წამიყვანს ნადირობაო, ჩემი ნადირთა მყლეტი ბიძაო, ოპოპოპო!

— ოპოპოპო!

— წამოდექ, ბალებს გულს ნუ დასწყევტ, შენსა ნიკოს და მამუკასა, ოპოპოპო!

— ოპოპოპო!

— ადუ კილდივანს დათვს ამბობენ, საორბეს შვლების ნავალ-კვალსა, ოპოპოპო!

— ოპოპოპო!

— თოფს ნუ გასწირავ დამარხულსა, პირმართალია, ცოდო არი, ოპოპოპო!

— ოპოპოპო!

— ღორს კი ნუ მაჰკლავ გოჭიანსა, გულჩვილი ხარ და ასტირდები, ოპოპოპო!

ეს სიტყვები კიდევ უფრო ცეცხლს მიკიდებდა. ვედარ გავუძელო, გამოვედი. ნიკო და სხვა ბიჭებიც გამომყენენ. შენდობის სათქმელ პატარა მაგიდასთან მივიყვანეს. ზედ მხოლოდ ერთი დოქი იდგა, გვერდს მოზერის ყანწი ედო, პური და ყველი. ნიკომ დამისხა. ყანწს თავი წაუქციე, დავკოე.

— სად მოიკლა თავი, ან თქვენ სად ვინ იყავით? — ვკითხე ნიკოს.

— სად და აქ, სახლის გვერდზე. გუშინწინ იყო ეს, კვირას, მე და ჩემი ცოლი არ ვიყავით შინ, მამაჩემი იყო, სიდდერი და ბალდი. ჩაუცვამს საგარეო ტანისამოსი, გადასულა საპარიკმახეროში, პირი გაუპარსია. კარგ გუნებაზე იყო, თქვა პარიკმახერმა, გავეხუმრეთ. ქვრივის სათხოვნელად ხომ არსად ემზადებო. იცინოდა თვითონაცაო. ის კი თურმე პირსაც იმიტომ იპარსავდა, მერე ჩემი პირის გაპარსევაზე აღარ იწვალონო. გადმოსულა იქიდან, მისჯდომია რადიოს და ამღერა და ამღერა თურმე. „გაფრინდი შო მერცხალო“ უყვარდა ძალიან. რატომ ერთი ოცჯერ მაინც არ დაუკრაო, თქვა ჩემმა სიდედ-

რმა. ბოსტანში მწვანილსა მარჯვნივ თურმე, იქ ესმოდა. ჯერ წერილი წერია, მერე თოფი აუღია. გასულა ამ სახლის გვერდზე, მხარცეროზე შემოწოლილა, მარცხენა ხელით თოფის ტუჩი მიუბჭენია გულთან. მარჯვენათი ორკაბი ჯოხი მიუხირებია სასხლეტისათვის და ზედ გულზე დაუკრია. ექიმები გაკვირდნენ, რა ზუსტად დამიზნებულაო, გული შუაში იყო გახვრეტილი. გულადი კაცი რომ იყო, ეტყობა, ხელი სულაც არ აჰკანკალებია. სიდდერს უფიქრია, ჩხიკვებს, შაშვებს თუ სთოფავსო, არც გადმოსულა. გვიანდა წასდგომია ზედ... წამოდი, გაჩვენო ის ადგილი!

სახლს შემოვუარეთ. ახლად გამენებულ ბაღში, ხასხასა მწვანე ბაღას ერთ ადგილას შავად ემჩნეოდა სისხლის კვალი. ის ორკაბი, ფიჩხში გამოტეხილი ჯოხიც იქვე ევლო.

— აი ამ ადგილას... რამ მოაფიქრა... ეხლა ხალხი, ქვეყანა ათას რამეს იტყვის. შეიძლება ისიც კი ვინმემ თქვას, ალბათ, ცუდად ექცეოდნენო. ღმერთი, რჯული, ბეწვის ოდენა ნაწყენობა არა ყოფილა. ძალიან სიამტილობით ვიყავით, თორემ წერილი იქ არ არი... მოდი, ბიჭო, გამოიტანე წერილი! — თავის შვილს მიუბრუნდა ნიკო. ბიჭი გაიქცა და იმავე წუთს მომიტანა რვეულის ფურცელზე გლეხური ხელით აცაბაყა ნაწერი.

„მშვიდობით, შვილ-რძალნო, მძახალო, სხვა ნათესავებო. მამატიეთ ჩემი ასეთი საქციელი, მაგრამ გინდა ისე, გინდა ესე ერთი წილი სიკვდილის მოხდა მაინც გვეკუთვნის. ჩემი სიკვდილი თქვენთვის რა ბედენაა, ცოტა ადრე იქნება თუ ცოტა გვიან, ჩემთვის კი აუცილებელია, ასეა საჭირო. მეორე წელია ამაზე ვფიქრობ, ბევრიც ვიფიქრე, ათასნაირად ავწონ-დავწონე, ასე სჯობია. შვილო ნიკო, რძალო, ვიცი თქვენ ცუდ დღეში გაყენებთ. იტყვიან, ალბათ ცუდად თუ ექცეოდნენო. ტყუილს იტყვიან. თქვენ მე ძალიან კარგები მყვანდით, სამდურავი არც სხვა რამისა





მეთქმოდა ცხოვრებაში, მაგრამ მე მი-  
ინც თავს ვიკლავ. რატომო, ამის ძიე-  
ბას ნურავინ დაიწყებთ, ვერ გაიგებთ  
და არც რა საჭიროა.

ხარჯი და ქელები არ მინდა, არ  
გადამიხადოთ, მშვიდობით“.

— საინტერესოა, რასა მალავდა გულ-  
ში.

— ავადობა მაგან არ იცოდა, რომ  
ავადობისათვის დაგვებრალა, — თქვა  
ნიკომ, — ჯანით ჩვენა გვჯობდა, კო-  
ლექტივის ნორმაც კიდევ გათოხნა, ნა-  
ხევარი ჰექტარი სიმინდი.

ცოტა ხანს მღუშარედ ვიდექით.

— აბა, ეხლა რაში მოგვხმართო, რა  
არი საქმე? — ვკითხე ნიკოს.

— საქმეს ჩვენ ვეყოფით, საკმარნი  
ვართ, შენ წამოდი სუფრასთან ჩამოს-  
ხედით, საქმელი ჭამეთ.

საჭმელს რა მაქმევდა ახლა, ისიც  
ხორცს. სადმე განცალკევებით მინდო-  
და ჩამოჯდომა. თვალი მოვავლე ირგე-  
ლივ. ტყის პირას გასვლა იქნებოდა ყვე-  
ლაზე კარგი, ვუთხარი კიდევ ნიკოს,  
წავალ, ჩრდილში ჩამოვჯდებიო.

— კარგი, როგორც გირჩეენიაო.

ჯვჯვალზე გადავიარე და ტყისპირას  
გავედი. ყვავილიანი ტყისპირი იყო, კარ-  
გი ჩრდილები. პიჯაკი დავიგე კირცხი-  
ლის ძირას და მივჯექი. ტყე! საწყალი  
ბიძაჩემი, როგორ უყვარდა ტყე. ტყეში  
იყო მისი სული და სიცოცხლე. ტყის  
გულისათვის ყველაფერს დასთმობდა.  
ჩემს მოსწრებას ტყე და ბიძაჩემი ერ-  
თიანობაში მახსოვდა და ვერც წარმო-  
მედგინა ისინი უერთმანეთოდ. ახლა  
კი, მიუხედავად კარგი ამინდისა, ტყის  
ჩვეულებრივი სილამაზისა, მეჩვენებო-  
და, რომ ტყე ისეთი ველარ იყო, რადაცა  
დიდი მოაკლდა, რადაც დიდი დაკარგა.  
დაკარგა თოფიანი კაცი, სახელოვანი  
მონადირე, ტყის კანონების უბადლო  
მცოდნე, ტყის დიდი მესაიდუმლო ქო-  
რია. ან ჩვენს ნადირობას რაღა შნო და  
ლაზათი ექნებოდა უქორიოდ, ან თუ  
შეიძლებოდა უიმისოდ სანადიროდ გას-  
ვლა, რაიმეს მონადირება. ვინ გაგვიწევ-  
და იმის მაგივრობას, ვინ გასწევდა ქო-

რიაობას. ვინ გაიგებდა მასაგით ნადი-  
რის კვალსა და გეზს? ვერავინ. მიწა-  
დარი კი არა, მისი ნახევარიც არავინ  
მეგულებოდა. მოკვდა ერთი იმ დიდი  
მონადირეთავანი, ოდესმე მთას რომ  
ჰყოლია და რომლის მსგავსიც, ალბათ,  
დიდხანს არც გამოჩნდებოდა.

მთიელი მონადირე ყოველთვის რა-  
ტომღაც მთაკაცად, დევკაცად წარმო-  
უდგენიათ. არა, ქორია ბაჩა კაცი იყო.  
ტანდაბალი, ჩია. „ბერდენკას“ თუ გარ-  
დივარდმო არა, პირდაპირ ვერ დაიკი-  
დებდა მხარზე, მიწაზე მოეხირობოდა.  
არა და მაინცდამაინც გრძელ „ბერდენ-  
კას“ ზიდავდა, „შტიკის ბერდენკად“  
წოდებულს. თვითონ „იმპერატორსკის“  
ეძახდა, რაკი ზედ „იმპერატორსკი ზა-  
ვოდ“ — ეწერა. შეეძლო თავისი ზო-  
მის თოფი, კარბინი ეშოვა, მაგრამ —  
რას ამბობთო, სად ამისი ძალა და მან-  
ძილიო, სად თოფიკეებისაო. არცა ტყუ-  
ოდა. რაც უნდა დიდი დათვი ყოფილი-  
ყო, ქორიას თოფისა ერთი ტყვია ჰყოფ-  
ნიდა. არც ესროდა ერთზე მეტს. ქო-  
რიას თოფი თუ სადმე ხევეებს ჩახვიე-  
ლებდა, უერთო იყო. ერთს ესროდა და  
იმედიანს, გაქცეულსა და უიმედოს  
აღალბედზე არ გააყოლებდა ტყვიას:  
რა საჭიროაო, მონადირემ მაყრულად არ  
უნდა ისროლოსო, წავა დაქირილი ნა-  
დირი, სადმე ჩაყვდება, ტყესაც აკლდე-  
ბა და კაცსაცო. გარბის? გაუშვი, წა-  
ვიდეს, დღეს იმან გვაჯობა, ხვალ ჩვენ  
ვაჯობებთო. აბა ყოველთვის რომ მოკე-  
ლათ, ხომ გაწყდა ნადირიო. რამდენჯერ  
ხელმოცარულნი დაგვრუნებულვართ.  
წყენას არ მაინცხნევდა: წესია მონადი-  
რისა, ხომ მაინც დავრჩით უვალად, —  
უყვარდა თქმა. თუ ვინმე გულს ჩაიმიჯი-  
ლავდა ბრაზისაგან, სიცილად არა ჰყოფ-  
ნიდა. უფრო მაშინ იცოდა გამხიარუ-  
ლება, თუ დათვი რაიმე ეშმაკური ხერ-  
ხით გაიპარებოდა, გაუძვრებოდა მარე-  
კებს.

— ყოჩაღ, ბიძაჩემო! — შესძახებდა

გიგი სოცნაული  
მორიცა

გაცინებული. დათვის ბიძას ეძახდა, —  
კაცო, ეს რა ჭკვიანური მოუფიქრებიაო.  
დაუძახე ესლა შენ მაგას დათვი და ზო-  
გიერთა კაცს კაციო!

გულალალი კაცი იყო, შეუბოვარი,  
ზედ წამოსული დაჭრილი დათვის ღრ-  
ალიც კი ვერ შეურხევდა თვალის ხაზს.  
მოუშვებდა სულ ახლოს და მერე ისე  
გულგრილად დააზღელდა ტყვიას შებლ-  
ში, თითქო გამძვინვარებული მხეცი კი  
არა, დაგორებული ხის კუნძი ყოფილი-  
ყოს. ასეთ ღროს გვერდით მყოფთათ-  
ვის ნგრევებს უმტყუნია, ხეებზე შებლა-  
ტებულან, ის კი მღვარა ფეხმოუცვლე-  
ლად.

ახლა საამხანაგოდ როგორი იყო!  
ერთგული, უტყუარი, უღალატო, ტყე-  
ში ყოველთვის ყველაზე მეტს აცემბ-  
და, მეტს დადიოდა, მეტს ეზიდებოდა,  
შინ კი ყველაზე ნაკლები მიჰქონდა. სი-  
ხარბე, წვრილმანობა სხვისიც ჭირივით  
ეჯავრებოდა. თავისი მოკლული დათვის  
ტყავს სხვებივით არა ჰყიდა, ვილაცას  
აჩუქებდა, თავისი წილი ხორციც ბევ-  
რჯერ სხვებისათვის მიუტია და შინ ცა-  
რიელი მისულა.

მაგრამ მაინცდამაინც ამისთანების გა-  
მო არ იყო ბიძაჩემი განთქმული მონა-  
ღირე — ყველა ნამდვილი მონადირე  
ვაჟკაცია ბუნებით, ბევრია კარგი მსრო-  
ლელი, მუხლადი, მეგობრებისათვის  
მწვადის შემწველი — არა, ბიძაჩემი  
სხვა მონადირეებისაგან გამოირჩეოდა  
რალაცა გასაოცარი მონადირული ალ-  
ლოთი, აზრიანობით, ნადირთა ზნისა და  
ჩვევების გასაოცარი ცოდნით. ამ საქ-  
მეში მართლაც რომ პროფესორი იყო.  
წლის დროთა მიხედვით, ამინდის მი-  
ხედვით ზუსტად იტყოდა, სად და რო-  
მელ ღენგარში იწვებოდა დათვი —  
დაბლა, ხევის პირებზე თუ მაღლა არ-  
ყიან-კლდიანებში. საზრავდა, დამფრთ-  
ხალი ნადირი საით გაიქცეოდა, საით არ  
გაიქცეოდა, რას მოიმოქმედებდა, სა-  
დამდე ირბენდა, სად გაჩერდებოდა.  
იცოდა, როდის იკერშებოდნენ, როდის  
მაკეობდნენ, როდის მოიკლვოდა, რო-  
დის არ მოიკლვოდა. როდის კარგი ხორ-

ცი ჰქონდა, როდის ზინზლისსუნინა და  
სხვა უამრავი წვრილმანი. ნაჭირობის  
გემას ამიტომ ყოველთვის ის აწყობდა  
და მის ნათქვამს გვერდი არ ექცეოდა.

რაიონის ხელმძღვანელთა ყურამდეც  
მიადწია, ეტყობა, ქორიას ქებამ, თან-  
დათან მოუხშირეს სანადიროდ მასთან  
სიარულს, ეს იმის უფროსიაო, ეს ამის  
უფროსიაო, საპატივეცემლო კაციაო, აბა  
შენ რცი, ახლა არ შეგვარცხვინოო, ხელ-  
მოცარულები არ გაგვიშვაო. ბიძაჩემ-  
საც ეამაყებოდა, რომ მასთან მოდიოდა  
ეს ნასწავლი ხალხი, სთხოვდნენ, ეხვე-  
წებოდნენ და ისიც თავს არა ზოგავდა:  
კი თქვენი ჭირიმეთო, თქვენდ მოკვდას  
ქორიანო, წავიდეთო, მოვკლათო, მაგა-  
ზე როგორ დავზარდებითო, მაგაზე რო-  
გორ გაწყენინებთო. ან კი უარს რად  
ეტყოდა, როცა თვითონაც ნადირობის  
მეტი არაფერი ახსოვდა. მისთვის არ  
არსებობდა საქმე ნადირობაზე წინ და-  
საყენები. ნადირობისთვის ყველაფერს  
დასთმობდა, ყველაფერს გადასდებდა.  
„ამიტომაც არისო, — ჯავრობდა ქო-  
რიას ცოლი, — ქვეყანამ სახლები აიშე-  
ნა, ჩვენ ისევ მიწურში ვყრივართო, ეშ-  
მაკებს დასდევ, ეშმაკის მუშა ხარო“.

ქორია კი ყურსაც არ უგდებდა ნაუ-  
ბარს. ის კი არა, დატუქსული ჰყავდა,  
სტუმრებთან ხმა არ გამაგონო, თორემ  
ერთი ტყვია არც შენთვის დამენანებაო.  
მთხოვნელებს უკან არ გაბარუნებდა,  
წაიყვანდა, ანადირებდა, მოუკლავდა და  
ტყავავაუხდელს ჩაუდებდა მანქანაში სი-  
ხარულისაგან გადარეულ მონადირეებს.  
ნადირი იმათ რჩებოდათ, ბიძაჩემს კი  
სახელი და პატარა სამკუთხა ჭდე თო-  
ფის კონდასზე. იზრდებოდა ჭდეების  
რიცხვი და იზრდებოდა ბიძაჩემის სა-  
ხელი. ახლა უკვე საღლა არ იცოდნენ  
ქორიას სახელი, საიდანა არ მოდიოდ-  
ნენ მასთან მონადირეები, თბილისიდან  
გინდა — თიანეთიდან, გორიდანა თუ  
თელავიდან. როგორც კი შემოდგომის  
სუსხი დაჰკარავდა ტყეებს და წითელ-  
ყვითლად შეფერადდებოდა, შაბათ-კვი-  
რა ისე არ გავიდოდა, მანქანებით არ  
მოსდგომოდნენ კარს. მოდიოდნენ ნაირ-

ნაირი — სასმელ-საჭმელებით დატვირთულნი. იმ ღამეს ცოტას გადაჰკრავდნენ, ბევრი არ გვინდა; მუხლი მოგვეკრებაო. მეორე დღეს კი ნანადირევითა და მწვადით დალაღებულნი, გრძნობებდ იღვრებოდნენ, ჰკოცნიდნენ ჭორიას, თავისთან ებატიებოდნენ, მისამართებს აძლევდნენ, ჩამოდიო, გვესტუმრეო; თუ რამე დაგვირდეს, მოგვაკითხეო, შენთვის ყველაფერს გავაკეთებთო. წასვლისას ვინ ვაზნებს უტოვებდა, ვინ ნანადირო დანას, ფარანს, რალაც ჩასაცმელებს, საწვიმრებს. ამით ნასიამოვნები ბიძა ჭორიაც თავდადებდა ეფიცებოდა — კიდევ ამოდითო, ნუ დამივიწყებთო, როცა კი ნადირობა მოგინდეთ, მზადა ვარო, თქვენდ მოკვდას ჭორიათო.

ჭორიას მანამდე ეტყობა, არცა ჰქონდა იმედი მეორე აზარის ათაგებისა, არც უფიქრია, მაგრამ მონადირეთა ასეთმა რიარიათ, ამდენი ნადირის ხოცვამ იმედი გაუჩინა ორასის გადაბიჯებისა.

მთელ მონადირეთა წესი იყო: როცა მესამე ნადირს მოჰკლავდნენ — აზარს ათაგებდნენ, თოფს ერთი ან სამი წლით მიწაში მარხავდნენ — ცოდვებისაგან გაიცალოსო.

თითო აზარი ბევრს ჰქონდა ათაგებული, მათ შორის ჭორიასაც — ორი აზარის ამთაგებელი კი ცოცხლებში არავინ გაიგონებოდა, ძველებზეც თითო-ოროლა ლეგენდარულ მონადირეზე ჰყვებოდნენ, ორჯერ ჰქონიათ თოფი დამარხულიო. ერთ მათგანს ჭორიას პაპას ამბობდნენ — თორელს. მათ იხსენიებდნენ ქებით, ათას რალაცას ჰყვებოდნენ მათი საკვირველი ნადირობისას. ეტყობა, ჭორიასაც ეწადა მათსავით სახელიანობა, თუმცა ადრე ამაზე არც რამე უთქვამს, არც სხვები რამეს ამბობდნენ, რადგან სიბერე უფრო ადრე მოუსწრებდა, ვიდრე მეორე აზარს ათაგებდა. ახლა კი თავისდაუნებურად ისე ხდებოდა, შეიძლება კიდევაც გადაქარბებინა ძველებსათვის. უსრულდებოდა ჩუმ-ჩუმად ნაოცნებარი.

მთერალს წამოსცდნოდა კიდევ რამდენჯერმე: ორასი შემასრულებინა მერე მომკლაო. მაშინ მითხარით კარგი მონადირე ხარ, მანამდე კი ბევრი არაფერი მონადირე ვარო.

რაც უფრო ახლოვდებოდა ეს საოცნებო რიცხვი ორასი, მით კიდევ უფრო მეტი ყინი ემატებოდა ნადირობისა. თითქო მხოლოდ მარტო იმისთვისდა ცოცხლობდა, მეორე აზარი აეთავა, ენადირა, ეხოდა: ახლა უკვე გაქცეულ ნადირს ისე ღიმილით აღარ ისტუმრებდა, ტყვიას აყრიდა, სანამ კი თვალ სწვდებოდა. მთაზე გადასულსაც გადაჰყვებოდა, მიინც სადმე ჩაეწეოდა, ჩაჰკლავდა, ჩაზოცავდა. სანამ სხვებიც მოვიდოდნენ, გამოშიგნავდა, თბილ-თბილი გულ-ღვიძლის მწვადს აასხამდა თხილის შამფურზე, ცეცხლზე ერთ-ორჯერ შეაბრუნებდა, ცვრიანს წაჰყრიდა სისხლიანი ხელით: მწვადი რა მწვადია, კბილი თუ არ გაასისხლიანაო. ღეჰკავდა ნახევრად უმ ხორცს, სისხლიანი წვენი ჩამოსდიოდა ნიკაპზე: მგელი სულ უმსა სქამსო, მაგრამ მგელიაო, — დააყოლებდა. უცხო მონადირეებში თუ ვინმეს სვანს ან რაჰველს გაიგონებდა, მაშინვე გამოელაპარაკებოდა: თქვენსკენ კარგ სანადიროებს ამბობენ, კარგ მონადირეებს. ვინა გყავთ ეხლა კარგი მონადირეო, რამდენი ეყოლება მოკლულიო? ჭორიამდე ვერავინ მოდიოდა.

გაზეთებიდანაც ყველაზე მეტად ნადირობის ამბები აინტერესებდა. დაგვსვამდა მე და ნიკოს და გვაკითხებდა. იქ კი სულ ერთნაირად ეწერა: ამა და ამ კოლმეურნეობის საქონელს დათვი შეეჩვია, წყეფმსებმა დახმარებისათვის მამართეს განთქმულ მონადირეს ამას და ამას, რომელსაც ოცამდე დათვი, ამდენივე მგელი, ხუთი მელია და ოცდაათი ტურა ჰყავს მოკლულიო.

— დათვი რამდენიო?! — ჩაგვეკითხებოდა ჭორია.

— ოციო.

**გივი ხორნაშული**  
ჭორია

ჩაეცინებოდა თავისთვის.

იმ ბოლო ხანებში ერთბაშად რაღაც დიდი ამბავი ატყდა გაზეთებში: გაიქულიტა ნადირო, ტყეები გაიჩეხა, ბუნება გაგვინადგურდაო. უნდა შეიზღუდოსო, უნდა აიკრძალოსო, სულ ნუ გადავაშენებთ ჩვენი ტყეების მშვენებასო, შვილებსაც და ვუტოვოთ რაიმე სანახავი და გასართობიო. ყოველ გაზეთში რაღაცა ეწერა ბრაკონიერებისა, „ვთი მონადირეებისა“, საცოდავი ამბები შველებისა და ირმების ხოცვისა.

ბიძაჩემი ყველა წერილს გვაკითხებდა ხან მე და ხან ნიკოს და ჩაფიქრებულნი გვისმენდა.

— კაცო, — თქვა ერთხელ, — საკვირველია! თუ ამისთანა ამბავია და მთავრობაც წინააღმდეგია, მაშ ეს მთავრობის ხალხი რაღას მოდის და არიქა გვანადირე, არიქა მოვკლათო! ხელავ შენ, სადამდე მისულა საქმეო!

ერთი ეგ იყო: კარზე მოსულ ხალხს უარს ველარ ეუბნებოდა, თორემ ნადირობისა რაღაცა იმდენი ხალისი აღარ ემჩნეოდა. ალბათ ამ გუნება-განწყობილებაშია ქნა, ბოლო ნადირობა ტრაგედიად რომ ექცა.

იმ ზამთარს მე და ნიკო მეცხრე კლასში ვსწავლობდით ვუღელას სკოლა-ინტერნატში. საიანგროდ შინ ჩამოსულებს ქორიამ მოგვახარა: ბალებო, კარგი ნადირობა ველით, ის დიდი ღორი საიდანაც ვადმოვარდნილა კილდოვანაშიო!

სიხარულისგან ცას ვეწიეთ. ბიძაჩემსაც სხვანაირად უელავდა თვალები. ეს ცნობილი ტახი იყო, ათასისაგან ნათოფი და ნადეგნი — ჩვენც ბევრჯერ ვლიეთ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოვიგდეთ. გამოცდილი იყო, ფრთხილი, კაცის მიახლოებას შორიდანვე იგებდა, გეზზეც არ მიდიოდა. დამფრთხალმა შორს იცოდა გადავარდნა, ერთს დიქმუტუნებდა ფშავის ტყეებში და ხევსურეთში გადავიდოდა, ხევსურეთში დიქმუტუნებდა და — ფშავში. ხან თიანეთის ტყეებში იტყოდნენ, ხან — მთიულ-გუდამაყრისას. ბევრი მონადირე

ექადნებოდა, ბევრს ენატრებოდა მისი მოკლა, ბევრს დაეჭრა კიდეც მისი სასიკვდილო ტყვია ჯერ არავისი მოხვედროდა. ქორიას ჯერ არ ესროლა მისთვის და თუ ესროდა, ალბათ ჩააჩოქებდა კიდეც. თვითონაც იმედი ჰქონდა. ბევრჯერ უნატრია — ახ, ნეტავი ერთი თვალი გამაბმენიაო. სხვებსაც ბევრჯერ უთქვამთ, მაგას ქორიას მეტი ვერავინ მოჰკლავსო, ბოლოს მაინც მაგისი თოფის წერა გახდებაო.

შევეშხადენით მეორე დღისათვის.

გავიხედოთ და სადამო ხანზე სოფლის ბოლოს ვილატეები შემოჩნდნენ ხუთნი. ჩაცმულობასა და აბარგულობაზე მივხვდით, მონადირეები უნდა ყოფილიყვნენ. თოვლის ბილიკზე ტაატით მოდიოდნენ, მოყაყანობდნენ. მოვიდნენ, მოვიდნენ და ერთი რაიციკაეშირის თავმჯდომარე იყო — ლევან ნამორაძე. ის რამდენიმეჯერ იყო ჩვენთან სანადიროდ ნამყოფი. ქორიას თავის ძმაცაცად თვლიდა.

— ქორია გამაგრდი, მოვედით! — დაიძახა ხარხებთან მოსულმა.

— ქორია გამაგრებულა, მოდით, მობრძანდით! — ღიმილით მივეგება ბიძაჩემი. მე, ნიკო და ნიკოს უფროსი ძმა ვანოც მივეგებეთ, მივესალმეთ.

— ქორია, ეს ჩემი სიძეა თბილისიდან, ესენიც მისი თანამშრომლები, ამხანაგები! — გაცნო ლევანმა ბიძაჩემს.

— კეთილი, კეთილი! წამოდი თინ! — შეიბატყა ქორიამ.

პატარა ამბის კითხვა, აქეთ-იქით და ბიძაჩემმა უთხრა:

— კარგ დროს ამოხვედით, ერთი დიდი მხეცი გვყავს შეთვალთვალბებულიო.

აჰ! დაგიყდნენ სიხარულისგან. დახსნეს ზურგჩანთები, ამოყარეს და რა ამოყარეს! მოხარული ქათმებიო, კვერცხებიო, ძეხვიო, შაშხიო, კონსერვებიო, კანფეტებიო, ხილიო. ახლა სასმელები! რა კონიაკები და რა ლვინოები. თამადად ლევანი დადგა. თითო-ორო-ლა კი დალიეს და ფეხზე წამოდგა.

— მეგობრებო, მე მინდა შემოგთავაზოთ ჩვენი ქორიას სადღეგრძელო!



— ოო, კარგია, შესანიშნავია! — შესძახეს პატარა მაგიდის ირგვლივ ჩაქედლიშა მონადირეებმა და ქიქები შემარტეს.

— ჩვენი ქორია, მეგობრებო, როგორც უკვე გითხარით, შესანიშნავი კაცი გახლავთ, შესანიშნავი მონადირე. მისი ბადალი არამც თუ ფშვ-ხევისურეთში, მთელ საქართველოშიც არსად მეგულება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ასამდე დათვისა და ამდენივე სხვადასხვა ნადირის მოკვლა. ის, სადაც არის. მეორე აზარს აათავებს, მეორედ დამარხავს თოფს. ორჯერ კი თითო-ოროლა კაცს თუ დაუმარხავს თოფი მთაში... რამდენი გიკლიათ, ძია ქორია, მეორე აზარს?

— ბევრი აღარა — ექვსი.  
— ექვსი! შეგისრულებიათ და ეგ არი. ერთი-ორ წელში ორასს გადააბიჯებთ.

— ალბათ.  
— ძია ქორია, თუ არ შეწუხდებით, ერთი აჩვენეთ ამათ თქვენი თოფი, ზედ ქდეები რომ გაქვთ.

— არა, რა შეწუხებაა, — თქვა ძია ქორიამ იქვე. კარადის გვერდით, გადაჰყო ხელი და გამოათრია წვერში ძონძჩატანებული თავისი „ბერდენკა“. სწვდნენ, ხელში შეატრიალეს, ახედდახედეს და მერე კონდახზე სამ რიგად ამოღებულ სამკუთხა ქდეებს დაამტერდნენ.

— ესენია ნადირთა აღმნიშვნელი?  
— ეგენია.  
— ყველაზე გრძელი რიგი რომ არის, ეგ დათვებია, — მაგიდის მეორე მხრიდან გადმოიხარა ლევანი.

— აუჰ, მალადეც ძმაო!  
— ესა? — მეორე რიგზე იკითხეს.  
— ეს ღორებია, ტახები, — უპასუხა ქორიამ.

— ეს, ალბათ, შვლები? — მესამე რიგზე იკითხეს.

— შვლები, არჩეები, ჯიხეები...  
— ჯიხეებიც იცის თქვენთან?  
— არა, პირაქეთში არ არის, პირით ხევისურეთშია, შატილში — არ-

ხოტში. იქ ძმობილებთან გადავიდვარათასში ერთხელ, თითო-ოროლა მყავს მოკლული, ცალკე ქდეების ამოღება არ ღირდა, შვლებთან შევრია.

— ორასს რამდენი გიკლიათ?  
— ექვსი.  
— ექვსსაც მოჰკლავთ და მერე მიწაში უნდა ჩამარხოთ თოფი?

— კი.  
— რამდენი ხნით?  
— ერთი წლით ჩავმარხავ, ვბერდები უკვე, სამი წელი ბევრი იქნება ეს-ლა ჩემთვის.

— ერთი წლის მერე ამოიღებთ?  
— კი.  
— ივარგებს მერე, ერთ წელს მიწაში ნადები თოფი?

ქორიას გაეცინა.  
— ივარგებს. ეს თოფი ერთხელ უკვე მქონდა დამარხული, ერთხელ უკვე გადავთვალე ქდეები კონდახზე. პირდაპირ კი არ ჩავმარხავთ. უმარილო დუმით გავბოხავთ სქლად, მერე ტყლაბებში გავახვევთ და გამოქვაბულში სადმე ჩავმარხავთ, მშრალ ადგილას.

— იცოცხლეთ, ძია ქორია, — განაგრძო ლევანმა სადღეგრძელო. — მუხლში ძალა, თვალში სინათლე დიდხანს არ მოგკლებოდეთ ჩვენდა სასიხარულოდ. კიდევ ბევრჯერ გაგეხარებინოთ კარგი ნადირობით. გახსოვთ, ერთხელ სამი დათვი რომ მოჰკალით?

— სამი?! — გაოცდნენ.  
— ბელებიანი დათვი იყო, ბელებიანად დავხოცე, — თავდაბლურად ჩაიღიმა ქორიამ.

— ან კიდევ ის ბეშახევაზე ხუთი ლორი რომ მოგკალით. ხუთივე ქორიამ მოგვიკლა. როგორ ისერის ამ „ბერდენკას“, როგორ ასწრებს ასე სწრაფად, გასაოცარია.

— ეჰ, მაშინ ბევრიც იყო. სადღა ეხლა, გათავდა ნადირი, თითო-ოროლა-ლა დარბის, — ჩაილაპარაკა ქორიამ.

— მაშ, რამდენი იყო მაშინ, ოცი,

**გივი ხორნაშული**  
ძორია

ორმოცი სული თითო ფარაში... კარ-  
გად იყავით, ძია ქორია! გიცოცხლოთ  
ეს კარგი, სტუმართმოყვარე ოჯახი.  
აგერ, შვილიშვილი გყოლიათ უკვე  
(იქვე, აკვანში ვანოს პირველა იწვა არ-  
ტახებიდან ხელებამოხსნილი და უღ-  
ელზე ჩამობმულ ტახის ეშვსა და მძი-  
ვებს აჩხკუნებდა), გაზრდილიყოს პა-  
პასავით სახელოვანი მონადირე, ვაჟკა-  
ცი. იცოცხლეთ, თქვენი ჭირიმეთ, ძია  
ქორია!

ქორია აკნისკენ შებრუნდა:

— მამ, მამ, კარგი ვაჟკაცი ეზრდება  
პაპასა. ხვალაც ტყეში წამოვა მამა,  
ტახს მოუკლავს პაპასა. ალა, პაპაის,  
კაცი! — ჩაესაუბრა შვილიშვილს და  
თავისი დაყოყნებული, ხეშეში თითი  
გაუწოდა. ბავშვიც თავისი თეთრი,  
ფუნჩულა ხელებით ჩააფრინდა. ყვე-  
ლანი უხმოდ მიაჩრდნენ ამ წამიერ  
ალერსს პაპა-შვილიშვილისას. მერე  
ყველანი წამოიშალნენ და გულიანი  
სადღეგრძელოები უთხრეს ქორიას.

მეორე დილით თენებაზე გავედით.  
ქანქანა ყინვა იყო. ცუფქა თოვლი  
ფეხქვეშ ღრატუნობდა. კრიალა ტყვიის-  
ფერ ცაზე თითო-ოროლა ვერცხლის-  
ფერი ვარსკვლავიდა კიაფობდა. თოვ-  
ლით გადაღესილი მთების დაყოლება-  
ზე ტყიანი გორები ტახის ზურგებივით  
შეჯავრილიყვნენ. ერთ ასეთ დაყოლე-  
ბულ გორს შევუბრუნდით. წინ ჩვეუ-  
ლებრივ ქორია მიდიოდა თავისი გამო-  
ზომილი ნაბიჯით. აქშინდნენ სტუმრები,  
დაიოფლნენ, მალიმალ ჩერდებოდნენ,  
ჯავრობდნენ: წუხელ არ უნდა დგვე-  
ლიაო. ვიარეთ, ვიარეთ და როგორც  
იყო ავედით წვრილიან გორზე. აქე-  
დან უნდა გავყრილიყავით მარეკები  
და გზის შემკრავები. ქორიამ ხელი შე-  
მოუტაცუნა თავის „ძმობილ“ ბებერ  
მუხას. ასეთი „ძმობილები“ ბებერი ჰყავ-  
და. ზოგს ფუტკარი ჰყავდა ფულტრო-  
ში და თავლს ქორიას „აძლედა“,  
ზოგს კვერნების საქრომთადა კვერ-  
ნებს აჭერინებდა, ზოგიც ნადირის-

თვის კარგ სათვალთვალ ადგილას  
იღვა.

— როგორა ხარ, ძმობილო, ეტყობა  
დავებრდით მე და შენ, ფუტკარები გი-  
წუნებენ რაღაცას ამ ბოლო დროს, —  
ჯერ მალლა შეაჩერდა, მერე ძირთან  
მოუქექა თოვლი.

— რაზე ამჩნევთ, რომ შიგ აღარ  
არის ფუტკარი? — ჰკითხა ლევანმა.

— რაზე და ძირთან უნდა ეყაროს  
ნახოცი ფუტკარი, კვერნა უნდა ძვრე-  
ბოდეს, დათვი დაიწყებდა ბლატილს...  
დასხედით, შევისვენოთ.

თქმაც აღარ იყო საჭირო; ზოგი უკ-  
ვე იჯდა. ქორიამ წვეო ამოდო და პირ-  
ში ჩაიტენა შლამაშლუმით, დაღეჭა,  
გადაწრინტა და მე და ნიკოს მოგვიბ-  
რუნდა:

— ბალღებო, თქვენ კინჭუნის გორი-  
დან უნდა მორეკოთ. ერთი ხოვლიდან  
მოჰყვებით თხილიან-წვრილიანებს,  
მეორე — ნაჯაგას თავიდან. ძალიან  
უნდა იხმაუროთ, თითო კიდეც ისრო-  
ლეთ, თორემ შეიძლება გაიტრუნოს,  
არ ადგეს ჩვენ წვრილიანის ხეცს შევ-  
კრავთ.

ცოტა ხანიც ვისხედით და წამოდგა  
ქორია.

— აბა, წავიდეთ, თორემ ერთი დამ-  
თქნარება დღეა, დაგვიდამდება.

ქორიას ნაჯდომ ადგილას თოვლზე  
სისხლის ლაქები დარჩა. ეს წინა კვი-  
რებში ნახოცი ნადირის სისხლი იყო.  
შარვალი, ჯუბა ყოველთვის სისხლით  
ჰქონდა მოსვრილი. ვის ეცალა იმით  
გასარეცხად, ან რა აზრი ჰქონდა, გაშ-  
რობას ვერ მოასწრებდა, ისევ სის-  
ხლით მოისვრებოდა. ჰოდა, საცა კი  
თოვლზე ჩამოჯდებოდა, ყველგან სის-  
ხლის კვალი რჩებოდა.

ისინი წვრილიანის ხევისკენ დაწა-  
ლიკდნენ ბილიკზე, მე და ნიკო ტყიანს  
შევუყვებით. თავზე წამოსვლა მე მერ-  
გო. ავედი ხოვლასთან და როგორც კი  
საწოლებს მივაღეჭი, თოფი მივუქუხე.  
ჯერ ქშუტტუნი შემომესმა, მერე ერთი  
გალაწუნება და სიწყინარე ჩამოვარდა.  
მივხვდი, ღორი გეზზე წავიდა. დაველო-



დღე, როდის გავარდებოდა თოფი. ერთი წუთი, ორი, სამი და წვრილიანის ხევე-ზე ისროლეს. მიჰყვა, მიჰყვა ზედიზედ-ცენტრალეები ტყერებოდა. ერთიც „ბერდენკამ“ დაიგრგვინა და მიწყნარ-და ყველაფერი. რაკი ქორიას თოფიც გავარდა, მივხვდი, ნალირობა დამთავ-რებული იყო, ნიკოს ჩავძახე „მოკ-ლესო“ და სირბილ-სირბილით გადავი-არეთ ფერდობები.

წვრილიანის ხევე ერთად მოგრო-ვილიყვნენ გზის შემკრავები და ხმა-მალლა ლაპარაკობდნენ:

— რა ჰქენით?! — გავძახეთ შორი-დანვე

— მოკვდა, მოკვდა! — გვიბასუხა ლევანმა.

მივცივიდით გახარებულები, რას ვხე-დავთ! დედა ღორი გდია, ძუძუებდა-ბერილი, ვეებერთელა.

— ეს რა არის, ტახი რა იქნა? — ვიკითხე ვაოცებულმა.

— ეგ არის ტახი, — რაღაცა უგე-მურად ჩაეღიმა ქორიას.

— როგორ ტახი?

— როგორა და... მე რაკი დიდი ნა-ვალი ვნახე, დიდი კვალი, ვიფიქრე, ტა-ხიაო, თურმე ამ დედაღორისა ყოფი-ლა; დედაღორს მაკეობაში ჩლიქი უდიდ-დება და აბა რა მომაფიქრებდა.

ჩვენც უცებ გუნება წაგვიხდა.

— კაცო, ღორი; ღორია, როგორ გე-კადრებათ, — გულს უყეთებდა ქორი-ას ლევანი, — მთავარია, ხელცარიე-ლები არ დავრჩით. დედაღორს უყეთე-სი ხორცი აქვს, ვიდრე მამალს.

— ვინ დაჰკრა? — იკითხა ნიკომ.

— ვინ დაჰკრავდა? — უბასუხა ისევ ლევანმა: — ქორია რომ არა, წასული იყო. ავირიენით, ავჩქარდით, ყველამ ბათქაბუთქი ავუტეხეთ; რა ვიცი, რანაირად ვაცილებდით, ყველამ და-ცილა, ის იყო გაგვცდა კიდევ; რომ მა-მაშენმა გამოუგზავნა აი საიდან და იმ წუთს დააგორა.

— მეც დავაგორე რა... — ჩაილაპა-რაკა ქორიამ. — ხელი გამხმობოდა და არ მესროლა.

ქალაზე ჩამოვიტანეთ. ქორიამ დანა გასსნა. ყოველთვის ის წალავდა ნა-ღირს, ჩვენ ფეხებს ვუჭერდით. ახლაც მე და ნიკომ ფეხებში ჩავავლეოთ ხელე-ბი ღორს და ზურგზე დავაწვინეთ. ძუ-ძუებს შუა დაუსვა ბასრი დანა და ნა-სერიდან ითქრიალა რძემ; გოჭებისა-თვის შემზადებულმა თბილმა რძემ.

— საწყალი, — ჩაილაპარაკა ქორი-ამ. მერე მუცლის პერანგს ორი თათი ამოუღლო ქვეშიდან და დანის წვერი ფრთხილად მიაყოლა, სიფრთხილე აღარ იყო საჭირო — ტყვიას შიგნეუ-ლზე გაევლო, ფაშვიც გახეთქილი იყო და ნაწლავებიც — გაჭრილ პერანგი-დან სისხლიანი ნაწლავები ამოეჩარა, გადმოცვივდა. სუნიც რაღაცა გულის-ამრევი ამოუშვა.

ქორიამ დანა გვერდზე დადო, ხე-ლით უნდოდა ნაწლავების გადმოყრა. ჩაყო კიდევ და... გველნაკებენივით ამოიტაცა.

— ჰმ... გოჭები ცოცხლები ჰყოლია-ფრთხილად გადმოხილა ნაწლავები. გამოჩნდა. სისხლიანი გამჭვირვალე ბუდეში ზოლებიანი პაწაწკინტელა გოჭი საცოდავად იფხლანებოდა. მე-ორე შუაზე გაეგლიჯა ტყვიას, მერე მესამე გამოჩნდა. მეოთხე, მეხუთე, მე-ექვსე, მეშვიდე. შვიდი გოჭი ჰყოლო-და. ისინი ახლა უკვე სისხლისა და უჭა-ერობისგან იგუდებოდნენ. ოღნავლა ფუთფუთებდნენ. ქორიამ დანა აიღო, მარცხენა ხელით ბუდეს ამოსწია. ამო-ჭრა, მიიხედ-მოიხედა, ეტყობა მშრალ ადგილას სადმე უნდოდა მიეგლო, თით-ქო ამით შეღავათი ექნებოდათ დასა-ხოცად განწირულ ხრუტუნებს. მშრალ-ლი ადგილი ახლოს არსად იყო, თოვ-ლში გადაყრაზე ხელი შეუჩერდა.

— ფუი! — რაღაცა ბრახნარევი ზიზ-ლით ჩაიბურტყუნა ქორიამ, გოჭებიანი ბუდე ზედვე დააგლო ღორს, — რაც გინდა, ის უყავით, — თოვლით გადაი-ბანა სისხლიანი ხელები, დაიბერტყა, კიდევ გადაიბანა, დაიბერტყა, მერე

გივი ხორნაული  
ქორისა

ჯუბის სარჩულზე შეიმშრალა, თოფი  
აიღო და დაუმშვიდობებლად გაუყვა  
შინისაკენ.

რალას ვიზამდით. მე და ნიკომ გა-  
მოვწალეთ, გავატყავეთ, ავკაფეთ,  
ზურგანთებში ჩავუწყვეთ და გავატა-  
ნეთ.

— კარგი გიქნიათ, რომ ხორცი არ  
წამოვიღიათო, — გვითხრა ქორიამ, —  
სულერთია, შინ არ შემოვატანიხებდი-  
თო: იმისი ხორცი ცოდვით არ შეიკმე-  
ბოდაო.

ქათამყიულში ამდგარიყო, თოფი  
სადღაცა წაეღო და დაემარხა.

— შეიდ-შვიდი გოჭი, მერვე დედა  
ლორი. აზარს ორით კიდევაც გადამი-  
ქარბდა, — გულმოკლული ანგარიშობ-

და ქორია, — მერე ეს საცოდლობა ეს  
ცოდვა ერთი აზარის ცოდვას უდრისო;  
სამი წლით დავმარხეო. დამარხა და  
დარჩა დამარხული. მომდევნო წელს  
თიანეთში ჩამოსახლება მოიწადინეს  
მისმა შვილებმა, მესამე ზაფხულიც  
ეს იყო.

●  
ხალხის მოდენამ იმატა ქორიათ კარ-  
ზე. აღარა წყდებოდა ხმით ტირილი-  
ნიკო გამოვიდა ჯეჯილის პირთან და  
ჯოხზე ჩამოცმული ქუდი თავს ზემოთ  
დაატრიალა: ნადირობის დროს ეს იყო  
ჩვენი შეკრების ნიშანი. საათს დავხე-  
დე, დრო დამდგარიყო ბიძა ქორიას  
გასვენებისა.







მზია კობერიძე

## ოქროს ხელები

ოცდაათიოდე ბიჭი სულგანაბული შესცქერის მასწავლებელს. ათასგვარი აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილ კაბინეტში, ჩვეულებრივ, ყოველთვის მოუხარიათ მათ. ყოველთვის იხიდავთ აქ ეს ჯადოსნური ხელსაწყოები, რომლებიც დენის წყაროსთან შეერთების შემდეგ თითქოს სულს ჩაიდგამენ და ცოცხალ არსებებად იქცევიან. დიახ, რკინიგზის ტრანსპორტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის კაბინეტში მუდამ იპოვის კაცი საინტერესოსა და მიმზიდველს, მით უფრო, თუ ეს „კაცი“ 15-16 წლის ჩხირკედლა ბიჭია.

მაგრამ ახლა ავტომატიკასა და ტელემექანიკაზე როდი საუბრობს მასწავლებელი. გაყვითლის თემა — ცხოვრებასთან სკოლის კავშირი და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარება.

შთაგონებით ლაპარაკობს გიორგი გულაძე. ნაამბობს თვალსაჩინოსა და ხელშესახებს ხდის ცოცხალი მაგალითები მისი მდიდარი ბიოგრაფიიდან. აი, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ნათქვამიც გაიხსენა: შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი უმიზოდ, თუ ახალგაზრდა თაობის სწავლება ნაყოფიერ შრომასთან არ იქნება შეერთებული: ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აყვანილი იმ სიმბოლურ, რომელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს.

აი ეს „მომავალი საზოგადოება“ მთელი არსებით უსმენს მასწავლებელს და კანონიერი საიმაყის შეგრძნებით ეთანხმება მას, თანხმება იმ ცნობილ კუმპარიტ აზრში, რომ პროფესიულ-ტექნიკური მასწავლებელი, სადაც

ისინი სწავლობენ, და მისი ტიპის სხვა მასწავლებლები ლენინის ნაზრების ცოცხალი განსახიერებაა.

მაგრამ რას ფსუფსებს გიგა? თანაც ისე აშკარად და ისე გამომწვევად აჩენს თავის უყურადღებობას, თითქოს დაუფარავად ამბობს: — აბა სინჯეთ და შენიშვნა მოძეციოთ.

— რა იყო, გიგა? საინტერესოდ ვერ გიამბობთ, თუ ნათქვამს არ ეთანხმები? — მშვილად ეკითხება მასწავლებელი.

— არა, მასწავლებელო, საინტერესოდ კი გვიამბობთ, მაგონი ზედმეტად საინტერესოდაც. მაგრამ ზეინკობა, ხარატობა და თუნდაც ეგ თქვენი შემანქანებაც ამდენ ქებას არ იმსახურებს. თუ ასე კარგია, რატომ თქვენს შვილებს არ მოიყვანთ აქ?

ეს იყო მოულოდნელი და თანაც ისე მკვეთრად დასმული კითხვა, რომ ზოგადი პასუხის გაცემა არასავით არ ივარგებდა.

— ერთხანს დავიბენი, — მიამბობს გიორგი გულაძე. — მანამდე ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრია. არა და შეკითხვა სწორედ რომ მე მეხებოდა. ჩემი ბიჭი — სერგო სწორედ იმ წელიწადს ამთავრებდა რვა კლასს.

— სერგოს, თუ მოიყვანთ აქ? — თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, დამიკონკრეტა ბიჭმა.

უკან დასახევი გზა აღარ მქონდა. დაფიქრებაც უხებრულად შეჩვენა და პირდაპირვე ეუპასუხე:

— მოიყვან, რატომ არ მოიყვან! — ვნახოთ! — არ შემაწია დაუფიქრებელი პასუხი იმ ბიჭმა, რომელიც, ამდენი ხანი გავიდა და მაინც მასხოვს, შუბაშვილი იყო გვარად, ავჭალელი.

— ბიჭი ხომ არ შეირცხვინეთ იმ შუბაშვილთან, გიორგი ბატონო?

— აჰ, როგორ გეკადრებათ. აშენდა მისი

ოჯახი, თორემ ვინ იცის რა გზას აირჩევდა ნემი ბიჭი ან როგორ გაუმართლებდა არჩევანი.

არჩევანმა კი მართლაც გაუმართლა სერგო გულაძეს. თუმცა ეს მხოლოდ ასეც არ ითქმის. თვითონ მაშინ არავითარი არჩევანი არ ჰქონდა. რაც მართალია, მართალია, ტექნიკა კი უყვარდა, ისედაც დაუზარელი, მშრომელი ბიჭი იყო. და იოლად დაჰყვა მამის სურვილს — რკინიგზის პროფტექნიკურ სასწავლებელში დაიწყო სწავლა, თან მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში საშუალო განათლებას აღებულბდა.

სერგო გულაძემ სასწავლებელი წარჩინებით დამთავრა, მიიღო მეხუთე თანრიგის ელექტრომონტიორის წოდება და საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის ვალიც წმინდად აღასრულა. მერე იმავე სასწავლებელში, რომელიც დაასრულა, ოთხი წლის განმავლობაში საწარმოო სწავლების ოსტატად იმუშავა, თან დაუსწრებლად სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ავტომატიკის ფაკულტეტზე. პროფესორის სიყვარულმა, ღრმა ცოდნამ, პროფესიულმა ჩვეულებამ და მუშურმა წრეობამ იგი შესანიშნავ სპეციალისტად ჩამოაყალიბა. ამას აღნიშნავენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც, ლენინგრადშიც, სადაც იგი ბოლო კურსებზე ვადავიდა სასწავლებლად და აღნიშნავენ ახლაც ამიერკავკასიის რკინიგზის ინსტიტუტ „კავკავტრანსშიც“. სადაც დღეს მუშაობს საპროექტო განყოფილების ჯგუფის უფროსად.

სერგო გულაძის ეს პატარა ბიოგრაფია თბილისის რკინიგზის 31-ე ტექნიკური (ახლა ასე ჰქვია მას) სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ცხოვრების ერთი რიგითი მაგალითია. რესპუბლიკაში ამიერკავკასიის რკინიგზაზე მომუშავეთა თითქმის ნახევარი ამ სასწავლებელშია აღზრდილი. ზოგი რკინიგზაზე დაწინაურდა და ახლა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობს, არც თუ იშვიათად ვანაგებს კიდევ ამ ორგანოებს.

სასწავლებელს ესახებოდა თავისი აღზრდილები. ბევრ მათგანს ხშირად იწვევენ კიდევ აქ, როგორც საპატიო სტუმარს, შეხვედრებს უწყობენ, მათს ტრადიციებზე ზრდიან მომავალ თაობებს.

ვინ არიან ესენი?

სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ბოგვერაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ელმავალშენებელთა ცნობილი ბრძოლადი გურამ ჩაღუნელი და მემანქანე-ინსტრუქტორი ვენადი ბოგვერაძე, თბილისის სალოკომოტივო დეპოსტის ხელმძღვანელი ადამიანები შოთა ადამაშვილი, მჭირი ლიკლიკაძე, ვასილ ოსაძე და მრავალი სხვა.

არა, ასე ორიოდ სიტყვით გვერდს ვერ ავუვლით გრიგოლ ბოგვერაძეს. თუნდაც ერთი ტომ, რომ იგი, პროფტექნიკური სასწავლებლის აღზრდილი, ერთ-ერთი პირველი ჩამოაყალიბებელი კომუნისტური შრომის დამკვირვებელი საპატიო წოდების მოსაპოვებლად გაშლილ მოძრაობაში. მაშინ გრიგოლო კომკავშირული ელმავლის უფროსი მემანქანე გახლდათ. 1959 წელს, როცა მას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა და მთავრობის უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი და ოქროს ვარსკვლავი გადაეცა, ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას სალოკომოტივო დეპოსტის კოლექტივთან ერთად შეიმობდა და ამით ხარობდა 31-ე პროფტექნიკური სასწავლებელიც, ხარობდა ნამდვილი მშობლიური სხნარულით. ასეთი სხნარული ბევრჯერ არ გუნა მას სახელოვანმა აღზრდილმა. ერთი მაშინ იყო, საბჭოთა კავშირის კომუნისტთა ყრილობის დელეგატად რომ ეწვია მოსკოვს. კიდევ მაშინ, 1966 წელს, რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი წარჩინებით რომ დამთავრა, და განა ის ცოტას ნიშნავდა, სულ ცოტა ხნის წინ ამავე სასწავლებლის დირექტორად რომ მუშაობდა? ეს თითქმის საოცნებო პოსტი იყო გრიგოლისათვის. საოცნებო იმიტომაც არა, რომ სხვას ვერ შესძლებდა, თავს ვერ გაართმევდა. არა. დამეთანხმებით, რომ არის რაღაც თავისებური ხიბლი იმაში, რომ აღმზრდელად, მით უფრო დირექტორად აღუბრუნდე იმ სასწავლებელს, სადაც აღიზარდე. ამას, რა თქმა უნდა, დიდ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად საკმაოდ დროც სჭირდება. ამ ხნის მინძილზე იცვლება სწავლების მეთოდები, მოსწავლეთა განწყობილება, უმჯობესდება კაბინეტ-ლაბორატორიები, იხვეწება სასწავლო პროცესი.

და რა საბოიბა ახლებურად მართო ცხოვრებისათვის ეს მეტად საჭირო მექანიზმი, მართო მთელი შენი უნარით, ცოდნით, ენერჯით, შემართებითა და საუკეთესო სურვილებით.

სწორედ ასე სურდა ემართა გრიგოლ ბოგვერაძეს, მაგრამ ლენინის რაიონის, მშობლიური რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დააწინაურეს. ასეთი იყო დროის მოთხოვნა.

ასეთივე სურვილით წარმართავს სასწავლებლის მუშაობას მისი დღევანდელი ხელმძღვანელობა.

— მგონი, ჩვენ უკეთეს პირობებში მოგვიწევს მუშაობა, — ამბობს სასწავლებლის დირექტორი სიმონ ლომსაძე.

— ამას „მგონი“ რაღად უნდა, განა არა ჩანს უკვე? ამა ტყუილად ხომ არ მოვიარეთ მოსკოვი და სხვადასხვა რესპუბლიკები. თანაც ხომ დავგვირდნენ უკვე? — გოცვებით ამ-

ბობს საშუალო ტანის სიმათიური მამაკაცი და ღირებუტორს ავირდება, — დაგვირდნენ და გვირდლებენ კიდეთ.

— ეს ჩენი უფროსი ოსტატი ვახლათ, ანდრო ფოფხაძე, — წარმოგვიდგინა ღირებუტორმა. — ოდრე მასწავლებლად მუშაობდა, ახლანანს დავაწინაურეთ. ანდრო ამას წინათ ჩვენს მეორე მუშაკთან ერთად მისოვოს რკინიგზის 129-ე ტექნიკურ სასწავლებელში მივავლინეთ გამოცდილობის გასაზიარებლად. ამავე მისიით თან-ერთი ოსტატი დონეცკში გავაგზავნეთ, მე პირადად ბაქოში ვახლდით. ენახეთ ჩენი ტიპის სასწავლებლები. იმათგან ბევრი რამის გადმოღება მოგვიწევს, მაგრამ სასწავლებელი ამას მხარტო ვერ შესძლებდა. ამიტომ მივუწვდინეთ ზნა ამირკავკასიის რკინიგზის უფროსს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს. ისინი დიდი ენთუზიაზმით გამოგვეხმარნენ.

ან სხვანაირად როგორ შეიძლებოდა. რკინიგზას თუ მიაღკვეალიფიციური სპეციალისტები ჭირდება (და რომ ჭირდება, ამაში ექვი ვის შეუძლია შეიტანოს?), სპეციალისტთა სამეცდლოსადმი გულგრილი ხომ ვერ დარჩება? თუმცა ერთხანს დღინაცვლობა დაგვიპირა რკინიგზამ, ჩვენმა საბაზო ორგანიზაციამო, გულისტვილით თქვეს სასწავლებელში. ზან მოსწავლეთა ფასიანი პრაქტიკის მოწყისრებაჲ უჭირდათ თურმე, კაბინეტ-ლაბორატორიების აღჭურვილობა ხომ პრობლემად ყოფილა გადაქეუული.

— ზოგჯერ ლოკომოტივის ნაწილების მოპარვაზეც კი მივდიოდით, ოღონდ ბავშვებისთვის თვალსაჩინო მასალა გვექონოდა. ისე არ გვაძლევდნენ და!..

ახლა ეს საკითხები უკვე მოწყისრიგებულა. ამირკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამაც და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმაც მიიწონეს სასწავლებლის ღირებუტის მიერ შემუშავებელი წინადადებები, გულისყურით დაათვალერეს სასწავლებლის ყველა კუთხე-კუჩქული. მერე დაიწერა მათი ერთობლივი ბრძანება, სადაც ვარკვევით ჩაიწერა: „ტექნიკური სასწავლებელი ჩაითვალოს რკინიგზის ძირითად ობიექტად“.

იცით რას ნიშნავს ეს?

ეს ნიშნავს საუკეთესოდ მოწყობილ კაბინეტ-ლაბორატორიებს, მოსწავლეთა პრაქტიკის უმაღლეს დონეზე ჩატარებას, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარა, ეს ნიშნავს საუკეთესო სპეციალისტებს — ელშავლის მემანქანებს, მათ თანაშემწეებს, თბომავლის მემანქანებს, ელშავლის შემეკეთებელ ზეინკლებს, სადგურის მორჩივებს, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მონტიორებს, სალიანდაგო მეურნეობის ოსტატებს, საბოლოო

ჭამში კო ეს ნიშნავს გამართულ საქმეს და მშრომელთა კეთილმოშახურებას.

აი ისინიც, ვინც ხვალ უნდა ჩაღვეს მწყობრში და პრაქტიკულად განახორციელოს ის მეტად მნიშვნელოვანი და კეთილშობილური საქმე, რომელსაც ასე უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველო სახელი ჰქვია — მშრომელთა კეთილმოშახურება. ისინი მკვირცხლად მიმოდიან სასწავლებლის გრძელ დერეფანში. საცაა მეცადინეობა დაიწყება.

წევის კაბინეტი. შეიძლება ითქვას, ელშავლს აქ სწავლობს ბავშვი. აქ ნახეთ ამ დიდებული მანქანის არა მარტო ცალკეულ ნაწილებს, არამედ მის ევებერთელა მოედლსაც. დაფასთან რთულ ნახაზს ჩაიკრიტებს ბიჭი, ისე გაფაციცებთ ადვენებს თვალს ყოველ ხაზს, გეგონებათ საინტერესო წიგნს კითხულობს.

— დიახ, ვითხულობ, ნახასაც ხომ წაკითხვა უნდა, — ღიმილით მიხსნის ბიჭი. ეს ზურბად ერაქვა. ერთი-ორი თვეც და იგი სრულფასოვანი ელექტროშემეკეთებელი ზეინკალი იქნება. სპეციალობას ორი წლის განმავლობაში ეუფლებოდა აქ. თავიდან, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. ცოდა ვატეხილი სჯობს, უჭვირდა კიდევ, ამდენ საგანს რომ მასწავლიან, რა საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, მუშა უნდა გამოვიდე, ინეინერი ხომ არაა. დიახ, საგნები მრავლადაც იყო და საკმაოდ სოლიდური: სპეტექნიკოლოგია, ხაზვა, მასალათა გამძლეობა, რკინიგზის საერთო უტროს, სარემონტო საქმე, ელექტროტექნიკა, ავტომუხრუქები, სამართალმცოდნეობა, პოლიტეკონომია... ახლა კარგად იცის ზურბამა, რომ კვალიფიციური მუშისათვის, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს დღევანდელ მრეწველობას თუ საერთოდ სახალხო მეურნეობას, ამ საგნებთან ერთად კიდევ მრავალი რამის ცოდნა საჭიროა, რასაც ჭერ აქვე, სასწავლებლის კედლებში, მერე კი მრავალრიცხოვანი სასწავლო თუ საწარმოო პრაქტიკის დროს ძირითადად კარგად ეუფლებიან მოსწავლეები. ჰოდა, მართალია თეორიულმა სამუშაოებმა თავიდან ცოტა შეაკრთო ყმაწვილი, მაგრამ მალე აულო აოლო და წარმტებასაც მიაღწია. მერე კი, როცა საქმე პრაქტიკაზე მიდგა, ზურბად ერაქეს სწორედ რომ ოქროს ხელი აღმოჩნდა. თანაც ისეთი მუყაითობა და სიბეჯითე გამოიჩინა, რომელ საწარმოშიც კი მოხვდა, ყველგან მადლობა დაიშახურა, ყველგან შესთავაზეს: — რომ დაამთავრებ, ჩვენთან მოდი სამუშაოდ, სიამოვნებით მივღებთო. — ასე იყო ტრამევი-ტროლეიბუსების პარკში, სა-

**მზია კობარიძე**  
იმროს ხელეძი

ლოკომოტივთა დეპოში, ელმავალშენებელ ქა-  
ნანაში.

— განაწილებით კი სად განაწილებენ? —  
ვითხებ ზურაბს.

— ძირითადად საცხოვრებელი ადგილის  
მიხედვით. ჩვენთან, ამ ბოლო წლებში გან-  
საკუთრებით, რკინიგზასთან ახლომდებარე  
რაიონებიდან დებულობენ მოსწავლეებს.

— შენ სადაური ხარ?

— ონის რაიონიდან, სოფელ ფარახეთში  
ცხოვრობს ჩემი ოჯახი.

— მერე რკინიგზის სასწავლებელში რამ  
შეგიყვანა, სასოფლო-სამეურნეო სკოლები  
და ტექნიკუმიები ცოტაა?

— მეუშა კაცი ყველანა საჭიროა. მე ჯერ-  
ჯერობით ჩემი ყოფილი ოსტატებს მიწვევი.  
მიღება მომიწევს. მერე, ვინ იცის, რა იქნება.  
ცხოვრება სწრაფად იცვლება. უცხად რაჟამი  
რკინიგზა რომ გაიყვანონ, ადგილობრივი კა-  
ლდი არ უნდა გვყავდეს? — იცინის ბიჭი  
და თვლებში ეხატება როგორ შეხვარის ამ  
წუთიერ, თამამ ოცნებას.

რკინიგზის ტრანსპორტის ავტომატიკისა და  
ტელექმენიკის შესანიშნავად აღჭურვილ კა-  
ბინეტში. სადაც ავტომატური ტელეპარატუ-  
რა მოქმედებს, ყურადღებას იქცევს რკინი-  
გზის საერთო კურსის მოქმედი მოდელი. იგი  
მოსწავლეების ხელით არის შექმნილი. კედ-  
ლიდან წარჩინებულ მოსწავლეთა დაფა დაგე-  
ქვრის. ამჟამად იზიარებიან გურამ აფციათ-  
რი, გიორგი მახათაძე, ვახტანგ პაქაშვილი,  
გურამ ვახტანგაშვილი. მალე ისინი წარჩინე-  
ბის დიპლომით დასტოვებენ იმ სასწავლებ-  
ლის კედლებს, სადაც მათთვის არაგის დაუქ-  
ლია ცოდნა და გამოცდილება, სითბო და  
სიყვარული, სადაც მათ ნიჭსა და უნარს გზა  
გაეხსნა ცხოვრებაში. სტენდებზე ლამაზი, მსხვი-  
ლი ასოებით არის გამოყვანილი:

Пройдут года, наступят дни такие,  
Когда советский трудовой народ  
Вот эти руки, руки молодые,  
Руками золотыми назовет!

ეს სტრიქონები თურმე ძალიან უყვართ  
მოსწავლეებს. უყვართ იმიტომაც, რომ სწამთ  
— სწორედ ასე იქნება. ბევრს უკვე ახ-  
ლად ეახიან ოქროსხელიანს. აი, პატარა,  
მკვირცხლოვალბა, შვევგრემანი ბიჭი გივი  
გელაშვილი ავიდოთ თუნდაც. მას ეს სახელი  
ტრამვაი-ტროლიბუსების პარკში შეარქვეს.  
პრაქტიკაზე ყოფნისას მომავალი ზეინკალი  
ტრამვაი-ტროლიბუსების ნაწილებს ამზადებ-  
და. შესანიშნავად ათვისა დაზგა. დეტალი,  
რომელიც ამპარევი შემადგენლობისთვის კეთ-  
დება, დიდ სიზუსტეს მოითხოვს. თანამედ-  
როვე ტექნიკის პირობებში ამის მიღწევა  
ძნელი არ არის, საჭიროა მხოლოდ დანადგა-

რის ღრმა ცოდნა და შემსრულებლის კულ-  
ტურა, უბრალოდ რომ ვთქვათ, მარჯვე ხელი,  
რომელსაც, ჩვეულებრივ, ოქროს ხელს უწოდებ-  
როს მარჯვენას უწოდებენ.

სწორედ ასეთი სპეციალისტების სამკვდლო  
ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის 31-ე ტექ-  
ნიკური სასწავლებელი. ამ „სამკვდლოს“ აგერ  
უკვე 50 წელია არ გაუნდვია ქურა.

და მარტო კაბინეტებსა და ლაბორატორიებ-  
ში, საამქროებსა და ადგილობრივ საწარმოში  
როდი იქედება ოქროსხელიანთა კარგი საქმე-  
ები. სასწავლებელში ყველაფერი ახალგაზრ-  
დების ფიზიკურ და სულიერ აღზრდას ემსახუ-  
რება. მოსწავლეების საყვარელი ადგილია კულ-  
ბი და წითელი კუთხე, შექმნილია მრავალი  
თვითმოქმედი წრე და სპორტული სექცია.  
მთელს ქალაქშია ცნობილი მათი ფეხბურთელ-  
თა და კალაბურთელთა გუნდები.

შენობის შესასვლელშივე, ხელმარცხნივ,  
მუდროს, ნათელ ოთახში ბიბლიოთეკაა. აქ  
ყოველდღიურად იყრიან თავს არა მარტო მხატ-  
ვრული ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრ-  
დები, არამედ სხვებიც, ყველანი, ვისაც ქვე-  
ნის ახალი ამბები აინტერესებს. წიგნებისა და  
ქურნალ-გაზეთების ამ პატარა სამყაროს მშვე-  
ნიერი დიასახლისი ჰყავს. აღექვსანდრა ჩხეიძე  
აგერ მეთითხმეტე წელია მუშაობს აქ. რამდენ-  
მა თაობამ გაიარა მის ხელში, რამდენს შეაყვ-  
რა წიგნი, რამდენს დაეხმარა ისე ეგრძით აქ  
თავი, როგორც საკუთარ სახლში. ეს სითბო და  
ყურადღება ძალიან სჭირდებოდა და დღესაც  
სჭირდება ბევრს, რაიონებიდან ჩამოსული ბავ-  
შეები აქვე ცხოვრობენ, საერთო საცხოვრებელ-  
ში და მშობლებს მოწყვეტილებს ერთობ იზი-  
ადათ მისი მზრუნველობა. ბიბლიოთეკაში მო-  
მავალი მუშები არჩევენ ახალ წიგნებს, ამხა-  
ნაგების სამსჯავროზე გამოაქვთ თავიანთი შე-  
მოქმედება; შურა ჩხეიძის ინიციატივით ხედ-  
ებიან მწერლებს, რესპუბლიკის გამოჩენილ ადა-  
მიანებს.

სხვა მუშაკებთან ერთად შურამ სიყვარულით  
იმუშავა სასწავლებლის მუზეუმის შექმნისათ-  
ვის. მუზეუმისათვის მასალების შეგროვების  
დროს აქაურმა მუშაკებმა საინტერესო საარ-  
ჩიკო ჩანაწერები მოიძიეს. ამ ჩანაწერების მი-  
ხედვით, 1924 წელს რკინიგზის მთავარ სახე-  
ლოსნოში ბრიგადული სწავლების სკოლა შექ-  
მნილა, რომელიც ერთი წლის შემდეგ ამიერ-  
კავკასიის საფარბიკო-საქარხნო სკოლად გადა-  
კეთებულა. სახელწოდებუ მერჯე შეიცვალა, 1940  
წლიდან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად  
იქცა; შარშან, სექტემბრიდან კი ტექნიკური სას-  
წავლებელია. მიზანი კი ყოველთვის ერთი ჰქონ-  
და — რკინიგზის ტრანსპორტის უზრუნველყო-  
ფა კვალიფიციური სპეციალისტებით. რა თქმა  
უნდა, სახელწოდების ცვლა მხოლოდ ფორმა-  
ლური მხარე არ ყოფილა. ეს უშუალოდ დაკავ-  
შირებული იყო მუშების კვალიფიკაციასა და

სწავლების მეთოდებთან. პროფტექნიკურ სასწავლებელში არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებსაც ლებულობდნენ. ტექნიკურში კი მხოლოდ საშუალო სკოლის ატესტატით შეიძლება ჩარიცხვა. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემთხვევაში მოსწავლეები უფასოდ ჩაირიცხებიან შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლის საღამოს დასწრებულ თუ დაუსწრებელ განყოფილებებზე.

ამას წინათ სასწავლებელში, საწყობის ერთ კუთხეში უყურადღებოდ მიტოვებული საბუღალტრო არქივი აღმოაჩინეს. ერთ-ერთი თანამშრომლის შრომის წიგნაკში 1937 წლის ჩანაწერზე დასმულ ბეჭედზე სასწავლებლის დასახელების შემდეგ გარკვევით იკითხებოდა: **ИМЕНИ ЛКСМ.** იგივეს ადასტურებდა ამავე არქივში მიკვლეული ბრძანების წიგნიც. ისეთი აღმანიებიც აღმოჩნდნენ (ყოფილი მუშაკები), რომლებმაც დაბეჯითებით დაადასტურეს, რომ სასწავლებელს 1928 წელს მიენიჭა ლენინური კომპლექსის სახელი.

სასწავლებლის მთელმა კოლექტივმა მიიღო ეს ცნობა, როგორც დიდი პატივი, სასახელო ტრადიციების მქონე სკოლის დიდ ღირსება და მისი თითოეული თანამშრომლის, მის ჰერბეუმ ფეხშემოდგმული თითოეული მოსწავლის დიდი მოვალეობა.

1930 წლიდან (იქნებ უფრო ადრინადაც) დგას ორსართულიანი, რუხი შენობა თბილისში,

ოქტომბრის ქუჩაზე. თავის დროზე ის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი, ყველაზე მაშობილველი შენობა იყო ამ ქუჩაზე. გავიდა წლები, გაიზარდა, დამშვენდა, ამაღლდა ქალაქი. ცოტა დაიჩრდილა სასწავლებლის შემოგარენი. მაგრამ, რაც მთავარია, უფრო და უფრო გაღვივდა იქ საქართველოს ეროვნული შრომითი რევოლუციის ჩაუქმებელი კერა.

მომავალი წლიდან დაიწყო სასწავლებლის ახალი კომპლექსის მშენებლობა. ეს იქნება ათსამდე მოსწავლისათვის გათვალისწინებული კომპლექსი უახლესი დანადგარებით, ხელსაწყოებითა და დეტალებით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებით, სასწავლო საამქროებით, საერთო საცხოვრებელი, კლუბით, ბიბლიოთეკით და ყველა იმ სიკეთით, რაც კი დასჭირდება თანამედროვე კულტურული აღმინის სწავლასა და აღზრდას. იგი ფართოდ გაუხსნის კარს დაინტერესებულ ახალგაზრდობას, უფრო მეტად აღიმშენებს ლენინური კომპლექსის სახელს, უფრო დიდი ცხოვრებით იცხოვრებს.

და, ვფიქრობ, აღარც არასოდეს ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში აქაურ პედაგოგებს აბეზარი ბიჭუნების დაუფიქრებელი კითხვა: — თუ ასე კარგია, რატომ თქვენს შვილებს არ მოიყვანთ აქ?

შვილები თვითონ გაიკვლევნ გზას მისკენ, მათ უკვე თავიდანვე ეცოდინებათ: ეს გზა კარგია, კუშმარხიად დიდებული გზაა!



## როგორც მემკალიწილი

### „კია ქოკა“ და „კორიპონელაი“

იგი ეერთადერთ ვერ წარმოიდგენდა, რომ ამი უკრაინის ქალაქ შეპეტოვკაში მიიყვანდა, რომელიც შემდგომ მისი მეორე სამშობლო გახდა.

შეპეტოვკა დიდი სარკინიგზო კვანძია პოდოლიაში. შეპეტოვკის გავლით მიდიან მატარებლები კიევიში, ამიერკარპატებში, შვედეთში. აქ ყველაზე ჩქარი მატარებლები კი ანელემენ სვლას.

შეპეტოვკა დიდი რევოლუციური შრომითი ტრადიციების და ნიკოლოზ ოსტროვსკის სიკბაუტის ქალაქია.

შეპეტოვკაში ყველანი კარგად იცნობენ ლაერენტი გრიგოლის ძე კუხალეიშვილს. საკმარისია კონვერტზე დაწერო — „უკრაინა, ქ. შეპეტოვკა, კუხალეიშვილს“, და ფოსტალაონი უშეცდომოდ ჩააბარებს კორესპონდენციას აღრესას.

ლაერენტი დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში გაეცნო პირველად ადგილობრივ მცხოვრებლებს.

„მან თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პირველი კურსის დამთავრება ეერ მოასწრო, რომ არმიში გაიწვიეს. 19 წლის შაბუცი ავიაპოლკის სადესანტო ჯგუფში გააწვეს. პოლკი იმ ხანებში ჩერნოვიცში იდგა.

ომის ქარიშხალი მთელ დედაქოქას აზანზარებდა. მისი ექო ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში გაისმოდა, აძლიერებდა დაუოკებელი სიძულვილის გრანობას ფაშისტი დამპყრობლებისადმი.

1941... დაუსრულებელი უკანდახევა, გადამწერი ქალაქები და სოფლები... გაშმაგებამდე განრისხებული ხალხი... ჯარისკაცებისა და ოფიცრების მოღუშული სახეები, სიძულვილით მოკუშული ზაეეები...

ხეები უკროსდრად შემოსილყვენენ. შეზოღგომის თბილი მზე ნელ-ნელა ეშვებოდა

თვალუწედენი პორიზონტის მიღმა და თითქოს გამოსათხოვარ სხივებს აზვანენდა.

„მაღე რთველი იქნება“. — ნაღელიანად გაიფიქრა ლაერენტიმ და ქალაღში სქლად გახვეული მანორკა ღრმით მოქაჩა. თვალწინ განსაციფრებელი სიცხადით წარმოუღდა ზუგდიღის რაიონის მშობლიური სოფელი, გულისტიციელამდე საყვარელი ლამაზი ჩხორია თავისი ნარინჯის ბაღებითა და პლანტაციებით.

ზმანება ძახიღმა შეწყვიტა:

— კუხალეიშვილი, მეთაურთან!

ბრინება ლაკონური იყო — გამოციღლი მებროლოგისაგან შემდგარ რვაკაციან ჯგუფს ევალბოდა გადაეღაზა ფრონტის ხაზი, ჩასულიყო კამენეც-პოდოლსკის ოლქში, დაკავშირებოდა ადგილობრივ იატაკქვეშელებს და მათთან ერთად შეექმნა პარტიზანული რაზმები. ჯგუფის თითოეულ წევრს კონკრეტული დავაღება ჰქონდა მიცემული.

1941 წლის 19 ოქტომბრის ღამე ნისლიანი გამოღდა. ეს სწორედ რომ ხელს უწყობდა დესანტს. თვითმფრინავს, რომელსაც არავითარი გამოსაცნობი ნიშნება არა ჰქონდა, სოფელ კაჟუსანსკთან უნდა გადმოესხა დესანტი.

— ღროა! — გაისმა ბრანება.

ცივი ჰაერის ნაკღმა წამით სუნთქვა შეუქრა. გულმა აჩქარებით იწყო ძვერა. ცოტაც და ფეხებმა მყარი ნიადაგი იგრანეს. ყველანი მშვიდობით დაეშვენენ, მათ შორის ლაერენტის მეწყვილე მიხეილ ქიშპარიანიც. სასწრაფოდ შეკრეს პარაშუტები და მიწაში ჩამარხეს. ნათხარი მიწა ყვითელი ფოთლებითა და შტოებით შენიღბეს.

— ახლა კი საქმეს შევედგეთ. — თქვა ლაერენტიმ და კიდევ ერთხელ გულდასმით გასინჯა დოკუმენტები. მასში ეწერა, რომ ლაერენტის საბჭოთა ხელისუღლების, მერ



ათი წლის პატიმრობა ჰქონდა მისილი. იჯდა ჩერნოვიციის ციხეში, საიდანაც გერმანელებმა გაათავისუფლეს.

ლავრენტიმ და მიხეილმა, აღრე შემთხვევითი გეგმის თანახმად, ტარნოპოლში მიმავალ მატარებელზე აიღეს ბილეთები.

— შემოწმებაა, მოამზადეთ დოკუმენტები! — გაისმა მატარებლის გამყოლის ხმა.

ჯანდარში დიდხანს ატრიალებდა ხელში ლავრენტისა და მიხეილის საბუთებს, რომელიდაც შინაგანი გრძნობა აეჭვებდა.

— გამოწყვიტო. — უხეშად თქვა მან.

„ნუთუ ჩავვარდით?!“ — გაუელვა ლავრენტის. მეგობარს გადახედა, შეუჩინველად ანიშნა, არ შეშინდე, ყველაფერი კარგად იქნებაო.

ისინი ტარნოპოლის ჯანდარმერიაში მიყვანეს.

კომენდანტს ბევრი გამოკვლევა არ დაუწყია, მოკლედ ბრძანა:

— ბანაკში!

მატარებელი მეგობრებს შეპეტოვკის ტყვეთა ბანაკისაკენ მიაქროლებდა. სანამ შეპეტოვკაში შევიდოდნენ, მიხეილმა გაქცევა მოახერხა.

აი. მათელსლარათებით შემოდობილი ბანაკი. მთელსლში დენია ვაშვებელი.

კაცი უვლაფერს ეჩვენეო და ლავრენტიც აწვლდა, მაგრამ მიინც ეგუებოდა ბანაკის ცხოვრებას. სამხედრო ტყვეები ერთმანეთთან დახლოებას გაუბრუნდნენ, ეშინოდათ პროვოკატორს არ გადაყროდნენ. ლავრენტი ქვეშეცნულად გრძნობდა, მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდნენ. არ იცოდა მხოლოდ, ვინ იყვნენ ისინი, მტრები თუ მიყვარენი.

იმედის შეუქი მოულოდნელად გამოჩნდა. თურმე ბანაკში იატაკქვეშელთა ჭკუთი მოქმედებდა. მასში სანიტრებიც იყვნენ. სანიტრებს მოეწონათ ახოვანი, სიცოცხლითა და ძალღონით საევე ჰებუტი. სწორედ მათ ურჩიეს იატაკქვეშელთა ხელმძღვანელს, ბანაკის ექიმს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე იაკოვლევს კუხალეიშვილი ჭკუფში მიეღოთ.

იაკოვლევი უაღრესად მამაცი აღამიანი იყო. რაღაც ერთი კვირის განმავლობაში მან ბანაკიდან ოცდაათი კაცი გაათავისუფლა, ფანჯრებს ატყუებდა, ინვალიდები არიანო. ეს საქმე იაკოვლევს შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა — საკმარისი იყო ხელქვეითთა რაიმე გაუფრთხილებლობა და ექიმს სასრზობელისაგან ვერავითარი ძალა ვეღარ იხსნიდა. ყველაზე მეტად იაკოვლევს ის აწუხებდა, რომ ჩავარდნის შემთხვევაში ტყვეებს ვეღარავინ გაათავისუფლებდა.

ლავრენტის დავალებული ჰქონდა ბანაკში დაღუპულ ტყვეთა გვამები ოთხთვალათი ახ-

ლომდებარე სასაფლაოზე გაეტანა და სანიტრებთან ერთად დავარბა

ერთხელ ლავრენტიმ ტყვე ოფიცერს შესთავაზა, გვამებში ჩაწოლიყო. ეშმაკობაში გაჭრა — გერმანელმა მებადრაგემ, ოთხთვალას რომ აცილებდა, ვერაფერი შენიშნა. გადარჩა კიდევ ერთი სიცოცხლე.

კუხალეიშვილის იდეა ძალიან მოეწონათ იაკოვლევსა და სხვა იატაკქვეშელებს. სარისკო კი რყო, მაგრამ ვანა ურისკოდ რამეს შეძლებდნენ?

დაწვრილებით შეისწავლეს მებადრაგეების ხასიათი, ჩვეულება. წინასწარ აზნადებდნენ ტყვეებს. ვინც თანახმანი იყვნენ ასეთი გზით გაქცეულიყვნენ, ახლა უკვე თითო „გზობაზე“ რამდენიმე ტყვე გაჰყავდათ. თვითულის გაქცევის წინ კუხალეიშვილი ექიმ იატაკქვეშელ ზახაროვს აფრთხილებდა. ეს უკანასკნელი კი დაწვრილებით უხსნიდა გაქცევებს, სად და ვისთან მისულიყვნენ შეპეტოვკაში.

ლავრენტი კუხალეიშვილმა ასეთი ხერხით ათობით ტყვე დაიხსნა. მათ შორის ჩვენი თანამემამულენი სიმონ ხობიაშვილი, ლავრენტი ესებუა, გიორგი კეცხოველი. გერმანელებს ეჭვიც არაფერი შეზარდათ. რიგი მენაღმელთა ნაწილის კომისარ ნიკოლოზ სოკოლოვზე მიდგა. სოკოლოვი ფანსიტ ჯალათებს სიკვდილის პირას ჰყავდათ მიყვანილი. შეპეტოვკის იატაკქვეშელთა ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ბრძანება გასცეს აუცილებლად ეხსნათ ნ. სოკოლოვი. ლავრენტიმ ეს დავალებაც წარმატებით შესარულა.

ერთხელ ოთხთვალას გამოკომა ბადრაგმა შემხთვევით შენიშნა, რომ გვამებში ერთი სხეული იწმრეოდა. ვაისმა ავტომატის ჯერი უმედურმა ტყვემ „თავისუფლება“ სამიო საფლაგში ჰკოვა.

ეს ამბავი რომ გაიგო, იაკოვლევმა კუხალეიშვილი გამოიძახა და უთხრა:

— ლავრენტი, შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო. ახლა ბანაკი უნდა დატოვო, თორემ ხიფათი თავს დაგტრიალებს.

მან ახალი დოკუმენტები გადასცა ლავრენტის. საბუთებში ეწერა, თითქოს იგი გიორგი ვაბრიელის ძე დავითაია, ძმა შეპეტოვკის ხეტუნისამშეშევებელი ქარხნის თანამშრომლის კლიმენტ დავითაიას, რომელიც გერმანელების ნდობით სარგებლობდა.

ქარხნის დირექტორად ოსტაპ ანდრეის ძე გორბატეივი მუშაობდა. თვითონ ვაბიტ კომისარმა, იმპერის მრჩეველმა, ობერსტურმან-ფიურერმა გორბატეივს შესთავაზა მას ეს პოსტი. ბანაკიდან გაქცეული კუხალეიშვილი-დავითაია გორბატეივის რეკომენდაციის წყალო-

**როზარტ მამარალიშვილი**  
„ძინა ურბა“ დე „კორიგაზინელები“

ბით მოეწყო სადგურ შეპეტოვკაში მისრულდა. აქ იგი გაეცნო იატაკქვეშელებს იაფორსკის, მაკაროვსა და სხვებს.

ერთი თვის შემდეგ ლავრენტი სლავუტას საავადმყოფოში გააგზავნეს დაალებით.

მიღობდა დაცარილებულ, უკაცურ ქუჩებში და ბოლომდე ივსებოდა — ფაშისტებს თითქმის უოველ ფეხის ნაბიჯზე გამოეკრათ განცხადებები:

„ადგილობრივ მცხოვრებთა საყურადღებოდ! ვინც გაზედას და ხელყოფს გერმანელი ჯარისკაცის სიცოცხლეს, უმაღლეს დაისჯება სიკვდილით, ერთი მოკლული გერმანელისათვის დაიხვრითება ასი მცხოვრები“.

„მთლად გავიდნენ თავს“. — მწარედ ამოიხორა ლავრენტი.

კარებზე დააკაუნეს. ოთახში მაღალი, შავ-ქლავაშებიანი ახალგაზრდა შემოვიდა.

„ქართული იქნება“. — გაიფიქრა თევდორე მიხეილის ძე მიხაილოვმა.

— „შიშველეთ რამე. კრილობა ვაგეხსნა.“

ეს იყო პაროლი.

მიხაილოვმა სტუმარს დაჯდომა შესთავაზა.

— ლავრენტი გრიგოლის ძე კუხალიევილი. ახლა, დავითაია...

— გასაგებია, გასაგებია, — შეაწყვეტინა თევდორე ნიხეილის ძემ. — გავვიგონია შენი აშაუა.

კუხალიევილმა მოკლედ უამბო თავისი თავგადასავალი სლავუტას იატაკქვეშეთის ორგანიზაციის ზღმიდევანელს და დაუმატა, დიდი ხანი თქვენთან შეხედურაზე ვოცნებობდი.

— აი, რა ჩემო კარგო, — მკაცრი ტონით დაიწყო მიხაილოვმა. — დადგა დრო უფრო გაზედულად, ეფექტურად ვიმოქმედოთ. ერთი მითხარათ, რა ბიჭები შეგიკრებიათ შეპეტოვკაში? — თევდორე მიხეილის ძემ მოკუტულ თვლებით გამომდევალა შეხება ლავრენტის.

— ნამდვილი არწივები არიან, თუმცა 12-16 წელს არ გადასცილებიან.

— ბეგრნი არიან?

— დასხლებით ოცდაათი: ვალოდია კოვალჩუკი, მიშა პოპელინი, პეტია ვერბიკი, კოლია შვინჯი, ვალოდია ხუდოვი, ვალენტინ კოტიკი...

— ენდობი?

— როგორც საკუთარ თავს! მამაკი ბიჭები არიან. თანაც მოხერხებულნი. ფაშისტების ყურადღებას ნაკლებად იქცევენ.

— წყეული დრო დაგვიდგა. ბუშევიცი კი იბრძვიან. ხომ იცი, გერმანიაში ჩვენი შონაზლოვობის გაგზავნა დაიწყეს. ეშელონებს გაპლიერებით იცავენ. დავალება ასეთი იქნება — შეუმჩნეველად უნდა გადით ვაგონები და ხალხი გამოუშვათ. მათგან პარტიზანულ რაზმებს შეექმნით. ამ საქმეში მარტო

მამაცობა არ ემარა, გამჭირაობაც არის საჭირო. შეძლებთ?

— ჩემი ბიჭები არ დავგალატებენ, შეპეტოვკაში დადლილი, მაგრამ კმაყოფილი დაბრუნდა.

მალე მიხაილოვმა შეიტყო კუხალიევილის ჯგუფის მიერ ჩატარებული პირველი ოპერაციის წარმატების შესახებ.

...ეშელონის ვაგონები ისე იყო გაქედილი ახალგაზრდებით, რომ შიგ ნემსიც არ ჩავარდებოდა. ვაგონებიდან სულისშემძვრელი ნაღვლიანი სიმღერები ისმოდა.

15 წლის ვალოდია ხუდოვი გასაოცრად მამაკი ბიჭი გახლდათ. ეს იყო და ლ. კუხალიევილი. ამიტომაც გადაწყვიტა ოპერაცია მასთან ერთად მოეწყო.

— სადგურ შეპეტოვკაში ეშელონი დგას. — უთხრა ლავრენტემ ვალოდიას. — ქალიშვილებს მიგრეკებიან ჯალათები გერმანიაში სამუშაოდ. ისინი მე და შენ უნდა გავათავისუფლოთ.

ვალოდიას კარგად ესმოდა რაოდენ დიდ ნდობას უტყებდნენ უფროსები. ისიც ეამაყებოდა, რომ ძნელ საქმეზე ჯგუფის ხელმძღვანელს სწორად ის მიჰყავდა.

გვიან დამით მიიპარნენ სადგურთან კუხალიევილი და ხუდოვი. დიდხანს უტყდინენ ხელსაყრელ მომენტს. აჩქარება დალუქვას უღრიდა. აი, გერმანელი გუშაგი ბოლო ვაგონისავენი გაემართა. ვალოდიამ ერთი ხელის აკრით გაალო კარის საკეტი და ვაგონში შეჭრა. მოულოდნელობისაგან შემკრთალმა, გატანჯულმა და ძინებით შემოსილმა ქალიშვილებმა წამოიკიციეს.

— ნუ გეშინიათ, გოგოებო, თქვენიანი ვარ. აბა, ჩქარა, ყოველი წამი ძვირფასია, ვაგონის ქვეშ შეძვებით, მხოლოდ არ იხმაროთ, თორემ ჰიტლერელები შეგვიწინავენ.

გოგონებს რომ ადვილად გაეგნოთ გზა ხუდოვმა უთხრა, შეპეტოვკაში ვართ.

კმაყოფილები ბრუნდებოდნენ სახლში ლავრენტი და ვალოდია. პირველმა წარმატებამ ორივეს ფრთები შეასხა.

არც ისე საგრძნობი იყო ასაკობრივი სხვაობა ლავრენტისა და მისი ჯგუფის ბიჭებს შორის, მაგრამ ისინი მაინც დიდი მოყრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ მეთაურს, „ძია ყოროს“ ეძახდნენ. ეს მეტსახელი შერჩა კიდევ იატაკქვეშე ლ. კუხალიევილის.

ბიჭებს შორის განსაკუთრებული მოხერხებულობით, გამჭირაობით ვალოდია კოვალჩუკი გამოირჩეოდა. ამიტომაც დაავალეს სადგურთან ახლომდებარე საწვევის საწყობის აფეთქება. პარტიზანებს სურდათ ფაშისტების ყურადღება შეპეტოვკასკენ გადაეტანათ,





თვითონ კი ოსტროვოში ჩამომდგარ ესესელთა სატანკო ნაწილის ეშელონს უნდა დასხმოდნენ თავს.

შემოდგომის სიცივე მთელ სხეულში ატანდა. ლამის სიჩუმეში გერმანელი გუშაგის ფეხის ხმა ყრუდ გაისმოდა. ვალოდია დაელოდა, სანამ გუშაგი საკმაოდ შორს წაივლიდა. კატისებური უხმაურო ნახტომებით ბენზინით საესე კასრთან გაჩნდა, ნაღმი ჩადო და ბიკფორდის ზონარს ცეცხლი წაუკიდა.

„ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!“ — გარბოდა და თანისთანეს ჩურჩულვით აჩქარებდა ვალოდია.

მძლავრი აფეთქების ხმამ მთელი ქალაქი შეაზანზარა.

— ძია ეორა, დავალება შესრულებულია! — რამდენიმე წუთის შემდეგ მოახსენა მან კუხალიშვილი.

— აბა, ეხლა დასაძინებლად ვასწი. — უთხრა გახარებულმა „ძია ეორამ“.

პირველ აფეთქებას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... უგზო-უველოდ იყარგებოდნენ გერმანელი ოფიცრები, მოღალატე პოლიციები. გამწვარებულმა ჰიტლერებმა მოუხშირეს ტერორი. იატაკქვეშელებს რომ ვერ იჭერდნენ, უღანაშულო ადამიანებს აპატიმრებდნენ, სასტიკად უსწორდებოდნენ, მაგრამ პატრიოტებს ვერც სახარზობელებით აშინებდნენ და ვერც დახვრტობთ.

თითქმის ყოველ დღეს ჰიტლერულთა სასამსახურო სახეობაში შეპეტოკვაში, სლაუტაში, გიტომირში, ოსტროვოში ასობით ჩნდებოდა ფურცლები, რომლებიც იწყებოდა სიტყვებით: „სიკვდილი ფაშისტ ოკუპანტებს!“. ხელს კი აწერდნენ „კორჩაგინელები“.

ასეთი ფურცლები ერთხელ შეპეტოკვის ობერშტურმანფიურერის ვორბსის მაგიდაზეც აღმოჩნდა.

განრისხებულმა ვორბსმა შეპეტოკვის ოლქის ყველა ქალაქის კომენდანტი შეკრიბა და პირზე დორბლობრულმა უბრძანა, გადამკრული ზომები მიეღოთ იატაკქვეშელთა აღმოსაჩენად, ჩუქუელი წითელი კორჩაგინელების“ გასანადგურებლად.

გახშირდა დაკერები. საბუთებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე სინჯავდნენ. „ძია ეორას“ ბიკები კი კვლავ მოუხელთებულნი რჩებოდნენ. კიდევ მეტრი, სულ უფრო აფართოებდნენ თავიანთ სამოქმედო ასპარეზს, მოულოდნენ იარაღს, ავროვებდნენ ცნობებს ფაშისტების ნაწილების განლაგების შესახებ, უსწორდებოდნენ სამშობლოს მოღალატეებს.

1943-1944 წლების ზამთარი უკანასკნელი იყო ჰიტლერელებისათვის პოლოლიაში. ფრონტის ამ უბანზე საბჭოთა არმია დღითიდღე აძლიერებდა დარტყმას. გერმანელები აუნაზღაურებელ დანაკლისს განიცდიდნენ.

საგრძნობი ხლებოდა იატაკქვეშელებსა და პარტიზანების დანაკარგებით.

შეპეტოკვის რეინგზის ქანდარმერის ფეხებზე და პაულ კრიუგერი აღარ იცოდა ვის, ან რას მივარდნოდა. ვორბსი ბრძანებას ბრძანებაზე ისროდა:

„იატაკქვეშელები ადგილზევე დახვრტით!“ იატაკქვეშელები კი ყველგან იყვნენ და მაინც უჩინარნი რჩებოდნენ.

„კორჩაგინელებმა“ გადაწყვიტეს, „სიურპრისი“ მოეშაღებინათ გერმანელებისათვის ახალი, 1944 წლისათვის.

— ბიკები, მოეშაღეთ. — უთხრა ლავრენტიმ ვალოდია კოვალჩუკსა და ვასილი ეუკოვს. — ხელმძღვანელობამ გვიბრძანა ავადფეთხო სავშაგო ბლოკის ისარი სამგზავრო სადგურთან. ისრის აფეთქებით საკმაო ხნით შევაფერხებთ ფაშისტთა ჯარის ნაწილების გადაადგილებას შეპეტოკვის სარკინიგზო მაგისტრალზე.

ეს საუბარი 1943 წლის 30 დეკემბერს გაიმართა.

გერმანელებმა, თითქმის მოსალოდნელი უბედურება იგრძნესო, გააძლიერეს სადგურის დაცვა. მისი ტერიტორიის თითოეულ მეტრს, ყოველ კუთხეს გუშაგები შეუწინაღებელი ყურადღებით აკვირდებოდნენ. ჩვეულებრივზე მეტი პედანტობით უსინჯავდნენ ხალხს საბუთებს.

დღეოში ლავრენტი საღამოს ცელაში მოვიდა. შეუწინაველად დიმიტროხელა ვალოდია და ნაღმი გადასცა.

— დმერთმა ხელი მოვიმართოთ! — ლმერთი არა და ჩვენ თვითონ მოვეშარათათ ჩვენს თავს ხელს.

წინასახალწლო ღამით გაყინა, თოვლის მსხვილი ფანტელები მრდიოდა და მოდიოდა. ვალოდია და ვასილი ოცი ნაბიჯით ერთმანეთისაგან დაშორებით მიდიოდნენ. გერმანელი პატრულები ბევშვებს ყურადღებას არ აქცევდნენ. გამოჩნდა სავშაგო ბლოკის სამორიგეო. ბიკები, მცველს რომ არ შეენიშნა, ვაგონქვეშ შეტყვნენ. შესანიღბი თვითონ ხალხთები ჩაიკვეს. რეინგზის მეორე მხარეს, ორმოციოდ მეტრის დაშორებით „ძია ეორა“ გამოჩნდა. სიგნალი მისცა: „ყველაფერი რიგზეა, იმოქმედეთ!“.

ვალოდიამ ისართან მიიბრძინა, ლიანდაგსქვე მოთ სსწრაფოდ გამოთხარა მიწა და ნაღმი ჩადო. ორი-სამი წუთი, რომელიც ვალოდიამ ისართან დაჰყო, მასაც და ვასილსაც საუკუნედ მოეჩვენათ. ვალოდია უკან ჩამოცოცდა. ვასილი ეუკოვმაც დასტოვა სათვალთვლო პოსტი.

**როზმარტ მმგრაღიწვილი**  
„ძია შორა“ და „კორჩაგინელები“

მოხდა ვითვალისწინებელი რამ: რკინიგზაზე სამანევრო ორთქლმავალი გამოჩნდა. იგი ნელა უახლოვდებოდა ისარს. წუთიც და ორთქლმავალი სათამაშოსავით გადაიყარდა. აფეთქების ტალღამ ვალოდია რამდენიმე მეტრზე გადაისროლა.

კრიუგერის კაბინეტში მინები ჩაიმსხვრა. ენდარმერიის გამბორტებული შეფი, შინელის ჩაქმაც კი დააეწყდა, ისე გამოვარდა ქუჩაში. ქარისკაცები გასისხლიანებულ ქერათმიან ქაბუცს მოათრევდნენ.

„წყველუმბა რკინიგზის ისარი აფეთქეს“, — ელვასავით გაჰყრა თავში კრიუგერს. ქარისკაცებისკენ გაიქცა. თანდათან იპყრობდა ვამაგება.

— აბა, წითელი ჩიტო, ჩაეარდი? — მთელი ხმით იღრიალა კრიუგერმა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა წიხლი ჩაართვა ბიჭს. ვალოდიამ ამოიკენესა.

— ხმა ამოიღე, პარტიზანების ვირთხავ! — ისევ აღრიალა კრიუგერი და ახლა თავში ჩაართვა კოვალჩუქს. ვალოდიამ გრძნობა დაკარგა.

ცივი წყალი გადაასხეს.

— მე... არაფერი არ ვიცი...

სიმშაგისაგან გონსგადასული კრიუგერის ბრძანებით ქარისკაცებმა ვალოდია ლიანდაგთან მიათრიეს და ფეხი მოძრავი ორთქლმავლის ბორბალქვეშ შეაყოფინეს. გატეხილი ძვლების ტკაცანმა ორთქლმავლის ხმა დაფარა. მწვავე ტკივილმა დაღერბინა 16 წლის ჰაბუციის სხეულს. იქვე ახლოს კი იდგა „ძია ეორა“, ისი დავალბაძე მან შეასრულა. ლავრენტი ეუხალეიშვილმა ეხლაც არ იცის, როგორ შეძლო თავშეკავება და ჰაბუციის დასახმარებლად არ მიიღბინა. ეს ასსოვს მხოლოდ, თავში განუწყვეტლივ რეკდა სამადასამი სიტყვა: „მთელ საქმეს დავლუბავ“.

ვალოდია დუმდა.

— ასანთი! — ბრძანა ენდარმთა შეფმა.

კრიუგერმა ბენზინი გადაასხა ჰაბუცს, ჩვარი აანთო და ნახუერად — მკვდარ სხეულთან მიიტანა...

ე. კოვალჩუკის მშეცურმა დასჯამ ახალი ძალა შემატა „კორაგინელიებს“, ფიცი დადეს ასპავად ეზღვევიენებინათ ჰიტლერელებისათვის მეგობრის სიკვდილი. ბაძოლა მეტი სიმძლავრით გარტლდებოდა. დაღუპული გმირის ადვილზე ათობით სხვა გმირები მოდიოდნენ.

ერთხელ, მორიგე წარმატებით ოპერაციას როცა განიხილავდნენ, პეტია ვერემჩუკმა და ბრონისლავ ვასიკამ უთხრეს კუხალეიშვილს:

— ძია ეორა, დიდი ოქტომბრის 25-ე წლისათვის ახლოვდება. უნდა შეეპყნნით ფაშისტ ჯალათებს!

— აბა, დაუქვით, რა გაქვთ სათქმელი?

— წითელი დროშა გვინდა აღმართოთ სადგურის თავზე!

მეტად სახიფათო საქმე მოეფიქრებინათ ბიჭებს, მაგრამ იატაკქვეშა ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ მოიწონა მათი ნაზრევი.

ოპერაციაში მიხეილ პოპელინმა, პეტია ვერემჩუკიმ, ბოლსევიკ ეიენმა და ბორის ბიატამ მიიღეს მონაწილეობა.

სანამ დავალების შესასრულებლად წაედლოდნენ, კარგად შეისწავლეს ვოგზლის ყველა შესასვლელ-გასასვლელი.

ვერემჩუკი და ვასიკი სახანძრო კიბით შეუმჩნეველად ავიდნენ სხვენზე და, როცა ამხანაგებმა ანიშნეს, შეიძლება იმოქმედოთ, სახურავზე აიჭრნენ, ფაშისტურ სეპსტიკიანი დროშა ჩამოვლიეს და მის მავივრად წითელი დროშა აღმართეს.

7 ნოემბრის დილით მრავალმა შეპეტოვკელმა დაინახა სადგურის თავზე აღმართული ესოდენ ძვირფასი წითელი დროშა. შეპეტოვკელთა სინაზულს საზღვარი არ ჰქონდა. სონელა არხვედა ბიარალს. გერმანელებმა უმალ მოიბრბინეს, სახურავზე აიჭრნენ, მაგრამ დროშას ვერ მიეკარნენ — იქვე პატარა დაფა მიემაგრებინათ. დაფაზე ეწერა: „დანადუმულია“. მხოლოდ მეორე დღეს ჩამოხსნეს ფაშისტებმა წითელი დროშა. იქ არავითარი ნაღმი არ ყოფილა.

...— ასე გვიან სად მიდიხარ, შვილო? — ალერსით ჰკითხა ანა ნიკიტას ასულმა კოტიკმა ვალიას, რომელმაც, ღარიბული ვახშმის შემდეგ პალტო ჩაიცვა.

— დეიჯო, ბიჭებთან მივდივარ, მალე დაბრუნდები.

ანა ნიკიტას ასული ამჩნევდა, რომ ბოლო ხანებში მისი ბიჭი სახლიდან რომ მიდიოდა, უბეში რაღაცას მალავდა ხოლმე. ეჭვობდა იატაკქვეშელებთან ხომ არა აქვს კავშირი, მაგრამ ამ აზრს მყისვე უეუჯადებდა, თორმეტი წლის ბავშვს ვინ ენდობა, რისი გამკეთებელიაო.

სინამდვილეში პიონერი ვალია კოტიკი იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრებში იარაღისა და ტყვია-წამლის შოვნის „სპეციალისტად“ ითვლებოდა. ხშირად კოლია ტურხანოვთან ერთად მოქმედებდა. ერთ საღამოს ქალაქის პარკში გაიარა. საქაზე ტუბილად მძინარე მთვრალი უნტერ-ოფიცერი დაინახა. ირგვლივ არავინ ჩანდა. უცნოდან მიეპარა გერმანელს. საოცრად მოეზრხებულად, თითქოს არაერთგზის უვარჯიშნაო, რევოლვრის ბუდე გაუხსნა და პისტოლეტი ამოაცალა. სახლში რომ მოვიდა, მხოლოდ მამის შეეშინდა, როგორ ეიარსკეთ, მაგრამ მერე დიდი კაცივით დაიმიღდა თავი, „ურისკოდ არაფრის ვაქცეება არ შეიძლება“.



ერთხელ „ძია ქორაჲ“ ვალიას და კოლია ტურხანოვს უთხრა:

— არწივებო, ნაბრძანები გვაქვს დავახუხტოთ, რომელ საათზე მიდის ფაშისტი ჩალით ვორბისი სლავუტაში და რომელ საათზე ბრუნდება შეპეტოვკაში.

კოლია ცოტა უფროსი იყო ვალიაზე და ოპერაციის ხელმძღვანელობა მას დაეკავა.

ბიჭები კარგად იცნობდნენ ადგილობრივ მისამართებს და მოხერხებული სათვალთვალო ჰუნქტი შეარჩიეს — პატარა ბორცვი გზატყეცილის ახლოს. გრძნობდნენ, იატაკქვეშელებს ტყუილად არ აინტერესებდათ ვორბისის გზაკვლა.

პირველ დღეს გვიან საღამომდე მორიგეობდნენ.

მეორე დღეს თან „ლიმონკებიც“ წაიღეს. კვლავ საღამომდე მოუხდათ ლოდინი. კოლიას ის იყო იმედი გადაეწურა, რომ ვალიას ჩურჩული გაიგონა:

— შეხედე, კოლია, ოპელი გამოჩნდა გაბიტომისარის მანქანა. ბავშვებმა „ლიმონკები“ ისროლეს. გაისმა აფეთქების ხმები. ერთი „ლიმონკა“ პირდაპირ მანქანას მოხვდა. წუთიც და იმ ადგილზე ბიჭუნების ნაკვალევიც აღარც ჩანდა.

კოლია და ვალია მაგრად შეახურეს „ძია ქორაჲ“ და ოსტაპ გორბატიუკმა.

— ვინ მოგვცათ თვითნებობის უფლება? — გვაცხრად კითხულობდა ოსტაპ ანდრეის ძე. — გგ ვიბრძანებს?

ბავშვები ხმას არ იღებდნენ. გორბატიუკი გულს სიღრმეში ამართლებდა მათ საქციელს. მხოლოდ იმიტომ უწყობდა, რომ ბიჭუნებმა საფრთხეში ჩაივარდნა საკუთარი თავი.

როგორი იყო კოლია ტურხანისა და ვალია კოტიკის გაკვირვება, როცა გაიგეს, ვორბისი კი არ მოუტკლავთ, არამედ სხვა. არანაკლებ პირისისხლიანი ესესოველი ოფიცერი.

— გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო, ჩვენს საქმეში ყველაფერია მოსალოდნელი. — დაამშვიდა ისინი გორბატიუკმა.

მაღე ფაშისტებმა შეიტყვეს, რომ ანა ნიკიტას ასულ კოტიკის ოჯახი იატაკქვეშეთან იყო დაკავშირებული. 1943 წლის აგვისტოში, სანამ ფაშისტები მათ დაპატიმრებას მოასწრებდნენ, კოტიკები პარტიზანებთან გაგზავნეს. მამაკაცი პიონერი აქაც განაგრძობდა ბრძოლას, პარტიზანების დავალებით დახვეწაზე დადიოდა. ერთხელ ცვეტოხას რაიონში კოლია ტურხანთან ერთად აღმოაჩინა შეპეტოვკა-ვარშავის სატელეფონო კაბელი, რომლითაც იმპერიის აღმოსავლეთ მიწების რეიხინსტრუქციონის რიზენბერგი შეპეტოვკიდან ჰიტლერულთა მთავარბანაკს ელაპარაკებოდა. ბიჭებმა კაბელი გადაჭრეს და

ადგილი დანაღმეს, გერმანელებმა კავშირი ოსკირას ვერ აღადგინეს.

1944 წლის 11 თებერვალს საბჭოთა არმიამ შეპეტოვკა გაათავისუფლა და იზიასლავს მიუახლოვდა. იზიასლავთან ბრძოლაში უკანასკნელად მონაწილეობდა ვალია კოტიკი. იგი იარაღისა და ტყვიაწამლის საწყობს დარჩაობდა. გერმანელები თავს დაესხნენ საწყობს. პატარა ვალია მამაცთა სიკვდილით დაეცა.

გმირი პიონერი სამხედრო პატივით დაასაფლავეს შეპეტოვკის № 4 საშუალო სკოლის ეზოში, სადაც იგი სწავლობდა. ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის ორი მაისის ბრძანებულებით იგი სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს სამამული ომის პირველი ხარისხის ორდენითა და მედლით „სამამული ომის პარტიზანს“ მოგვიანებით, როცა ცნობილი გახდა მისი გმირობის სხვა ფაქტებიც, ვალია კოტიკს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

შეპეტოვკის გათავისუფლების შემდეგ ლეხალოვიშვილი და „მისი“ ბიჭები ო. გორბატიუკთან გამოიძახეს.

— ამხანაგებო, — მიმართა მათ ოსტაპ ანდრეის ძემ, — კარგი ამბავი მინდა გაუწყოთ, მრავალი თქვენგანი დაჯილდოებულია მედლებით, ხოლო „ძია ქორაჲ“ წითელი ვარსკვლავის ორდენით. გულწრფელად გილოცავთ.

— ვემსახურებთ საბჭოთა კავშირს! — გაისმა ერთსულოვანი პასუხი.

გათავისუფლებული შეპეტოვკიდან კვლავ მტრის ზურგში მრავალი იატაკქვეშელი წავიდა. პარტიზანულ რაზმებთან ერთად, მათ შორის ლაერენტი კუხალეიშვილიც. იგი იბრძოდა შენაერთში, რომელსაც სახელწოდებული პარტიზანი ა. ოდუხა ხელმძღვანელობდა. „ძია ქორას“ არც აქ შეუტრცხვენია თავი, მამაცური ბრძოლისათვის რამდენიმე მედლი დიმიტრია.

შეპეტოვკა მისი მეორე სამშობლო გახდა. ომის შემდეგ სამხედრო ფორმა რეინვიგულის ფორმით შეცვალა და შეპეტოვკაში დასახლდა. ცოლად შეირთო ყოფილი პარტიზანელი მეგობარი მარია ბაუხლიუცი. ლაერენტის ვაჟი იური კიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. ლ. კუხალეიშვილმა საბრძოლო ჯილდოებს მშვიდობიანი დროის ჯილდოც მიუმატა — შრომის წითელი დროშის ორდენი.

... ჩვენ ლაერენტი კუხალეიშვილთან ერთად მივდივართ შეპეტოვკის ქუჩებში. შეპეტოვკის ცენტრში, ნიკოლოზ ოსტროვსკის მუზეუმის

**როზმარტ მამბრლიშვილი**  
„ძია ქორაჲ“ და „კონრადინიშვილი“



გვერდით, ძველი დვას. პიედესტალზე აღმართულა ხელუფლებარინი ბიკუნას ფიგურა ქვემოთ წარწერა: „პიონერ-პარტიზანს ვალია კოტიკს უკრაინის პიონერებისაგან“.

საბჭოთა კავშირის გვირის ე. კოტიკის სახელი მინიჭებული აქვს შებენოვების № 4 საშუალო სკოლას, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას, პიონერთა სასახლეს, კიევის ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურ სადგურს.

— ახლა ვალენტინი 44 წლის იქნებოდა. — დანანებით თქვა ლავრენტიმ. — ეგპ, რამდენი რამ გადაიტანეს და განიცადეს ბიჭებმა. როგორ შეიძლება ისინი დავიფიქროთ!

ბევრნი გადაურჩნენ სიკვდილს. ყოფილი იტალიელები და პარტიზანები პ. ვერბიცი, ა. სიეტოვი, პ. ვერემჩუკი შებენოვების რკინი-

გზის სადგურში მუშაობენ. შებენოვების ცენტრში მარია გრიგოლის ასული და სხვები.

ყოველწლიურად, გამარჯვების დღეს მეგობრები ერთად იკრიბებიან, რათა კიდევ ერთხელ მოიგონონ უდროოდ დაღუპული მეგობრები, კიკა ღვინით შესვან მათი ხსოვნის სადღეგრძელო.

ტრადიციულად პირველი სიტყვა ლავრენტო კუხალიშვილს ეკუთვნის.

და სადღეგრძელოც ტრადიციულია:

— მსუბუქი იყოს გმირთა მკვლავ დაყრილი ის მშობლიური მიწა, რომლის თავისუფლება-საც შესწირეს თავიანთი ღამაზი სიცოცხლე. სამარადისო დიდება გმირებს!



## შალვა კოხიავილი

# ბუმის ნაკირებთან

... ვინც ბუმს იქით ყოფილა, ადვილად შეამჩნევდა, რა გემოვნებით არის გაშენებული პოლონეთის სოფლები: დაბალი სახლები, ფართო ეზოები — დაფარული გეორგინებისა და ვარდების ბუჩქებით, ალუბლისა და ვაშლის ხეთარტოები პირდაპირ ფანჯრებს აწყდება. ყოველ სოფელში რამდენიმე ქუჩაა. ერთი მთავარი ქუჩა სოფელს თავიდან ბოლომდე გასდევს. ყველგან, სოფლის დასაწყისში, ხის დიდი ჯვარია აღმართული, რომელშიც იესო ქრისტეს სურათია ჩასმული. ჯვარზე მუდამ თეთრი დროშა ფრიალებს. ეს პოლონელების რელიგიური რწმენის სიმბოლოა. ასეთივე ჩვეულებრივი სოფელი მდებარეობს პარჩევის ტყის ახლოს. მას რუღვი ჰქვია. სწორედ ამ სოფელში დადლილებმა შესვენება გამოვაცხადეთ. შაბათი დღე იყო, მზის ჩასვლის ხანი. ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი გარეთ იყო გამოსული და სიხარულით გვგვდებოდა. ერთი თვალცრემლიანი მოხუცი ქალი მოგვიხალოვდა და გვითხრა:

— თქვენა ხართ ჩვენი დამცველები, თქვენ რომ არ იყოთ, ახლა სოფელში ადამიანის ნასახიც არ იქნებოდა, ყველას გერმანიაში წარეკავდნენ.

მოხუცმა ცრემლები მანდილის ყურით მოიწმინდა და სახლში მიგვიპატივა.

— მობრძანდით, დედაშვილობას, პური გეშეგებათ.

სანამ მოხუცის მიპატივებას მივიღებდით და სახლში შევიდოდით, მანამ მეტროლები ოჯახებზე გაეანაწილეთ. სოფლის მცხოვრებნი სიხარულით, გულთბილად ღებულბინდნენ თავიანთ დამცველებს სახლებში. კვირა დღე იყო. მთელი დღის ნაჭაფი მზე ჩასასვლელად ეშვადებოდა. ნაციონალურ კონსტუმებში გამოწყობილი სოფლის ახალგაზრდობა პატარა მოედანზე შეგროვილიყო და ცეკვა-სიმღერით იქცევდა თავს.

— ძლივს თავისუფლად შეიკრიბნენ ჩვენი გოგო-ბიჭები, თქვენი იმედი აქვთ, — გვითხრა მოხუცმა. — სხვა დროს გარეთ გამოსვლას ვინ ვაბედავს გერმანელების შიშით, თავს ესხმებიან და რჩეულ ახალგაზრდებს გერმანიაში მიერეკებინან. აი, ეს გოგონა ჩემი ძმისშვილია. მამა ფაშისტებმა მოუტყლეს, დედა გერმანიაში წაიყვანეს, თვითონაც მიაყოლეს. მამის 16 წლისა იყო. ვინ იცის, რა ხვედრი ეწეოდა მას, ბრესლაუსთან ვაგონიდან რომ არ გადმოიხტარიყო. ორი კვირა მშვიერ-მწყურვალმა იარა და ძლივს მოადწია ჩვენამდე.

— რა გქვია, გოგონა?

— ვანდა, — მორცხვად მიპასუხა ცისფერ თვალებამ.

— მამ, შენი მშობლებიც გერმანიაში წაიყვანეს?

— დიახ, ბებიას ნამშობო მართალია, — ვანდას ცრემლი მოერია თვალში. მიწის-ფერი ტუჩები აუთრთოლდა და თვალეზით ერთ წერტილს მიაჩერდა. საუბარი აღარ გაეაგრძელე. არ მინდოდა გახსენებებით გამეძლიერებინა ის დიდი ტკივილი, რაც ვანდას ნორჩ გულში იყო სამუდამოდ დაბუდებული.

ვანდას ბებიას საქმელი გაეშვადებინა: ერთ-ბოკვერცხი, მოხარშული კარტოფილი, შინაური ძეხვი და თავგადადებული გვეხვეწებოდა, მიირთვითო. პატარა პური შევჭამეთ, მოხუცს მადლობა გადაუხადეთ და ვთხოვეთ, — ერთი დაჭირილი გვეყავს, იქნება რაიმე დამხარება აღმოუჩინოთ-მეტქი.

მოხუცი დაფაცურდა, შვილიშვილს თბილი წყალი მოატანინა. მან მ. გურაშვილს ჭრილობა მოჰპანა, ზედ ცხრაძარღვას ფოთოლი დაადვა და სუფთა ტილოთი შეუხვია. ის-ის იყო გამოსვლას ეპირებდით, რომ მორბოვიკმა შემოაღო კარი და მოგვახსენა: ვილაქ ველოდრია მოსული, თქვენი ნახვა უნდაო.

— შემოუშვი, — ვუთხარი მე.

ბეჭდვება შემოკლებით.

კარი გაიღო და ოთახში ასე 27-28 წლის საშუალო ტანის, ჩახსკენილი ახალგაზრდა შემოვიდა. ხელში პორტფელი ეჭირა. ტყავის მოკლე პიჯაკი ეცვა, თავზე წაბლისფერი ქელი ეხურა.

— გამარჯობათ! — მოგვესალმა ახალგაზრდა.

— გაგიმარჯოს! — იყო პასუხი.

ყველა ახალმოსულს უყურებდა.

— ბიჭებო, მე ძალზე გამეხარდა თქვენი მოსვლა პარჩევის ტყეში, — დაიწყო მან, — ჩვენი ჩვეულებები შესანიშნავად მოქმედებენ, მტერს მუსრს აედლებენ. ახლა საერთო ძალით კიდევ უფრო მეტს გავაქეთებთ სამშობლოსათვის, ფალსტუხის მალე დავამარცხებთ. — მერე პორტფელიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ამოიღო და განაგზავნა: — აი, საბუთი, მე ტელეორ ალბრეხტი (ფეოდორ კოვალოვი) დანიშნული ვარ პარტიზანული მოძრაობის უფროსად პოლონეთის ტერიტორიაზე და უნდა დამემორჩილოს აქ მოქმედი ყველა ჯგუფი და რაზმი.

— ჩვენ არ დაგემორჩილებით, ვიბრძოლოთ ურთიერთგაგებობით, — უთხრა გურაშვილმა.

— საიდან ხარ წარმომობით? — ვკითხვო ფეოდორს.

— ეროვნებით გერმანელი ვარ, დავიბადე და აღვიზარდე საბჭოთა კავშირში. დედა რუსი მყავს. მაქვს უფროსი ლეიტენანტის წოდება. ტყვეთა ბანაკიდან გამოვიქეცი და აქ პატარა პარტიზანული რაზმი შევექმენი. აი ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია.

— ხომ არ გვატყუებს? — ეჭვი გამოვთქვი მე.

— ბრძოლის დროს ყველაფერი ნათელი ვახდება, — მითხრა ბაბუნაშვილმა.

შეზინდდა. სოფლებმა საქონელი დააბინავეს, სახლებში შევიდნენ და ლამები აანთეს.

— სოფელში გაჩერება აღარ შეიძლება, ადგილი უნდა გამოვიცვალოთ, — წამოაყენა წინადადება გამცემლიძემ.

— პარჩევის ტყეში შევიდეთ, ღამეს იქ ვავათევთ, — ვკითხრა ფეოდორმა. — იუსუპოვში გერმანელებს დამზადების ღორები წავართვით და ალუხებს დაეუბრუნეთ. მათ ერთი დაკლული ტახი გამოგვაცანეს. ვიცი, ქართველებს მწვადი გიყვართ. ისეთი მწვადი გაგიმასპინძლდეთ, რომ თქვენი მოწონებულნი. სამწუხაროდ, კახურით ვერ ვაგიმასპინძლდებით, წინასწარ ბოდიშს მოვითხოვ.

— თქვენ საიდან იცით, რომ ქართველებს მწვადი და კახური უყვართ? — შევეკითხე ფეოდორს.

— როგორ არ ვიცი, მშობილო, ომამდე საქართველოში ვიყავი, ქართულ სუფრაზე მოგხვდები, მაშინ ვიგეგმე შამფურის ცერხიანი მწვადი და ყანწით წითელი ღვინო.

დიდხანს აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს დას და მის ბეზის მადლობა ვადგუქვით დავემშობილებთ და პარჩევის ტყეში წავიყვანეთ.

— ბიჭებო, ერთი დაპირილი მყავს, დონბასელი პეტია. გუშინწინ რკინიგზის სადგურთან დატრეს მუცელში. სოფლის ბოლოს ფურგონზე წეეს. ჩავიაროთ, ისიც წაიყვანათ...

სოფლის ბოლოს პოლიწვეთ გლეხი დაგვგვდა უფრგონით, რომელზეც მძიმედ დატრული ახალგაზრდა იწვა. ფურგონი ჭრილით დაიძრა და გზა განვაგრძეთ. მთვარიანი ღამე იყო. ლაპარაკში გაერთულებმა ვერც ვაგივეთ, როგორ შევედით ხშირ ნაძენარში. ირგვლივ ჩამობნდებოდა. მთვარის შუქი ნაძენარში ედღარ აღწევდა.

ერთ თავლს მივადგეთ, რომელიც გერმანელებს აეშენებინათ შუაეულ ტყეში, კარგად შეხამებულ ადგილას. სიგრძით ორას მეტრამდე იქნებოდა. ვარშემო მშვენიერი საძოვრები ჰქონდა, წყალიც ახლოს იყო. როდესაც პარჩევის ტყე პარტიზანების ბუდედ იქცა, გერმანელებმა გუდანაბადი აიკრეს. თავლის ყარაულად ერთი მოხუცი დატოვეს, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩამუში იყო და პარტიზანებს აბეზღებდა. თავლაში დგებანაკლით. ფეოდორმა თავის რაზმელებს უბრძანა, ღორის ხორცი მოეხარშათ, ზოგი შეეწვათ. ბიჭები მაშინვე დატრიალდნენ. მოხუცმა ყარაულმა ორმოდან კარტოფილი ამოიღო და გაეცქენა. ერთ ქვაში ღორის ხორცი იხარშებოდა, მეორეში — კარტოფილი. პუერი არ გექონდა. იმ ღამეს ცარიელი კარტოფილით და ხორციით გავედით იოლად. ვახშმის შემდეგ გუშავები დაეყენეთ პოსტებზე. ფეოდორმა მის რაზმში მებრძოლი ქართველები გავვაცნო: გრიგოლ სვანიშვილი, მიტო ვიგანეიშვილი, ჭიბუტი და კარლო რამიშვილი. გვიანობამდე ვბაასობდით. მერე თავლაში შევედით და თივაზე წამოვიქეთით. დალილებს მალე ჩაგვექინებოდა. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ თავლაში შემოეთებული ჭიბუტი შემოვარდა: ადევით, ლალატია, გერმანელებმა ალყაში მოგვაქციეს.

— სად არის მოხუცი ყარაული, ასლავე მოათრიეთ! — დავეუკირე ჭიბუტს.

მოხუცი ყარაული გაპარულიყო.

— ოხ, ნადვილად იმ ოჯახდასაქციემა გავეყიდა, — ბრაზით წარმოსთქვა ბაბუნაშვილმა.

— ეხლა მაგის გარკვევის დრო არ არის, — ჩაერთა ფეოდორი. — მოვეშვალეთ თავდაცვისათვის.

მებრძოლები ჩუმად გავიყვანეთ თავლიდან. უკუნეთი ღამე იყო. — ვათენებას დავეუცოდით, — მიიღო გადაწყვეტილება მეთაურთა თათბირმა.

— სულ ერთია, მტერს ხელში არ ჩავეუარდ-



ბით. ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. — ასეთი იყო თვითმკვლელობის ჩვენგანის საბრძოლო დევიზი. იარაღი მზად გვაქვს: შვიდი ხელის ტყვიამფრქვევი, თორმეტი ავტომატი, ორმოცდათხუთმეტი შაშხანა, ოცდასამი გრანატი. დაზვერვამ ამავე მოიტანა: ერთი პოლკის და „ესესელების“ ერთი ბატალიონის გარემოცვაში ვიმყოფებით. თითქმის ერთზე ათი მოდის, მაგრამ რაღაც არ უნდა დაგვიჩადეს ალყა უნდა გავარდეთოთ, თანაც უმოკლეს დროში, რადგან ერთი დღელამის სამყოფი ვაზნა გვაქვს, მეტი არა.

მტრდისფერად ინათა. ფრინველთაც ივრძნენს მოახლოებული დილის სიმშვენიერე და საამო ქიკვიკი მორთეს. ჩვენ კი ამ მშვენიერ დილას სისხლისმღვრელი ბრძოლისათვის ვემზადდებით. უნდაღოთ გამახსენდა გრ. ორბელიანის დიდებული სიტყვები:

**ამ მშვენიერსა დილასა  
კაცს რად სურს სისხლი კაცისა.**

ფიქრებიდან სროლის ხმამ გამომარკვია. გერმანელები კანტიკუნტად ისროდნენ.

— ყველა გზა გადაკრულია — ასეთი ცნობა მოიტანეს შტაბში; ტყის ბლიკებზე ტყვიამფრქვევები დგას, მთავარ გზებზე კი დაზვის ტყვიამფრქვევები დაუდგაშ.

მე, ფეოდორმა და ბაბუნაშვილმა პარტიზანებს ჩამოუკრათ და გაეაზხნეეთ: ადგილიდან არ დაძრათ; თუ ვაზნები გამოგველია, მაშინ ერთი უკანასკნელი ხერხი რჩება: არხის პირას, სამხრეთი მხარე გავარდეთ და თვითონ გადავიდეთ შეტევაზე, სხვა გამოსავალი არ არის. ასეთი შეთანხმება იყო მებრძოლებსა და მეთაურებს შორის. კარვად წამოთენდა. სროლა გახშირდა. ჩვენ პასუხს არ ვაძლევთ. ფორიდან პეტრის ყვესა ისმის. მას პოლონელი მეფურცონე უძღოს. მე და ფეოდორი ახლოს მივდით, პეტრას რევოლვერი აქვს მომარჯვებული. ტყვილებისაგან გაწამებულ მის სახეზე მაინც მტრის სიძულვილს ამოიკითხავდით. საკმარისი იყო რომელიმე ფაშისტტი მივარებოდა და რწოთზე გავარდეთ. გვარ ტყვილს დაიფიქვებდა და იქვე განგმირავდა. პეტრას საოფიცრო სკოლა დემოკრატებინა და ომის დაწყებამდე დაეწყო სამსახური საბჭოთა არმიის რიგებში. პეტრას სახეზე სიციხის აღმუერი ასდღოდა, ჭირღობა უფრო და უფრო ურთულდებოდა. ხანდახან მზრებს წამისწყევდა, თვალუმს უაზროდ მიმოავლებდა და წამოძახებდა:

— დაარტყით არამზადებს, მოკალით, არ გაუშვათ არც ერთი ფაშისტტი — მერე ისევე კონეზიხდით თივაზე მიწებოდა. სროლა კი ერთი წუთითაც არ წყდებოდა. გერმანელები სულ უფრო წინ მოიწევენ. ჩვენც ეს

გვინდა. გერმანელებს ჩვენი ცოცხლად შეპყრობის იმედი აქვთ. მაგრამ არ იციან, რომ პარტიზანები ტყვედ არ ვარდებოან. მტრეწეს სულ ახლო და ახლო სკდება. მეტის მოცდა აღარ შეიძლება. უნდა ვაიციეს საპასუხო ცეცხლის გახსნის ბრძანება. და აი, გაისმა მკექარე ხმა:

— ცეცხლი! ცეცხლი! — არხის მხარეს შალვა ბაბუნაშვილის ჯგუფმა შეუტია. თვითონ შალვა ფეხზე დგას და ისე აძლევს მებრძოლებს ბრძანებას. ნოხაძე და ციმიბირელი ვალოდა ფიჭვის ხეს ამოფარებოან და მუსრს ავლებენ მტერს. ხაშურელი ნ. კობიაშვილი ნაძვის ხეს შეხამებია და ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერით უმასპინძლებდა მტერს. რამდენიც წამოღებდა ფეხზე, იმდენი უსულოდ ეცემა ძირს. ჩხიკვაძის ჯგუფმა თავიდან გააჩაღა სროლა.

მე, ელადისლაი და ფეოდორი არხის მხარეს გადავდით, გეინდოდა მტრის ძალა მოგვესინჯა. მტრმა შეგვნიშნა და ხანდისებური ცეცხლი გაგვიხსნა. სამივენი არხის წყალში ჩაეწეეთ. მიხვდით, რომ სოფლის მხარეც გადაჭრილი აქვს მტერს და არხზე გადასვლა ძნელი საქმეა. წყალში რამდენიმე წუთი დავყავით. როგორც იქნა, ცეცხლი შეწყდა, წყლიდან ამოვედით და ისევე ფიჭვნარში შევედით. არნახული ბრძოლა გრძელდებოდა. ძალები აშკარად არათანაბარია, მაგრამ ჩვენი ბიჭები დევგმირებოივით დგანან. თითქოს ხმელეთზე ძალები არ ჰყოფინდნენო, გერმანელებმა მხვერავი თვითმფრინავი გამოუშვეს. თვითმფრინავმა რამდენიმე წრე გააკეთა ჩვენს თავზე და უკან გაბრუნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა შეიდი „იუნკერს-87“. ისინი პიკებზე წამოვიდნენ და 14 ბომბი ჩამოავდეს. ბებმა ლაწალუწი დაიწყო. ზოგს ძირფესვიანად გლეჯდა და ბურთოვით ისროდა პაერში. ირგვლევი ჩამოხნულდა. წამლის სუნი დატრიალდა. ბომბდამშენებმა გადაიარეს, მაგრამ მხვერავი თვითმფრინავი არ გვასვენებს, პატარ-პატარა ყუმბარებს გვაციოს თავზე. ტყვია-წამალიც შემოგველია. გადაწყვეტილება მივიღეთ — ხელუშუბარებოთ გავეკრდეთ მტრის რკალი არხის მხარეს და სამხრეთით წავწეულავივით. პირველი რიგში არხის პირას დაჭრილები გადავიყვანეთ. მევე ბაბუნაშვილის ჯგუფი ფეოდორის ჯგუფს შეუერთდა. ვაშას გრიალში რკალი გარდვეულ იქნა.

უცხად მტრმა ცეცხლი შეწყვიტა. მიხვდა, რომ პირდაპირ მეხვიით თავზე დავეციოთ. არხის პირას დადგმული ტყვიამფრქვევი მიატოვეს და მოკურცხლეს. ტყვიამფრქვევს გრიოთ სეანიშვილი დაეპატრონა და ას. მეტრზე ორი გერმანელი მოსპო.

დაჭრილები მოვიკითხეთ. იუსუფოვი მხარში

**შალვა კობიაშვილი**  
ბუმბის ნაპირბმთან

იყო დაჭრილი. პეტკაც დადმოეყვანათ. მალე საკაცით მოიყვანეს უგზოუკვლოდ დაკარგული მეფორნე ბოლონელი. ქაჩღალშვილი და ჩიქოვანი გმირულად დაიღუპნენ ამ ბრძოლაში და ბოლონეთის მიწაზე დაიდეს სამუდამო ბინა.

ბოლონელი მეფორნე თავის ცხენიანად მოეკლათ, უნიმეოდ მდგომარეობაში მყოფი პეტკაც იმ ღამეს ვარდაიცვალა.

ეს უმაგალითო ბრძოლა ღამის სამი საათიდან მეორე დღის საღამომდე გაგრძელდა.

იმ საღამოს ისევ სოფელ რუდას მივადექით. სახლებში გავნაწილდით სამ-სამი კაცი. მე ისევ ვანდასთან და ბეზამისთან მოვხვდი. ჩემთან იყვნენ ბაბუნაშვილი, გამცემლიძე და ვლადისლავი. ფეოდორი მეზობლად შევიდა. აარჩევის ბრძოლის შესახებ მთელმა სოფელმა იცოდა. ვარშავის მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსაც გაეგო.

ვანდას ბებია ღმერთს მადლობას სწირავდა ჩვენი უვნებლად ვადარჩენისათვის.

სოფელში დიდხანს არ დავრჩენილვართ. ერთი საათის შემდეგ ყველანი დანიშნულ ადგილას შევეკროდით. ის ღამე სოფლის განაზიარის გავათენეთ.

მეორე დღით ისევ პარჩევის ტყეში შევედით, წინა დღის ნაბრძოლი ადგილები მოვიინახულეთ და მერე შესვენება გამოვაცხადეთ. საღამოს წამოვიშალეთ და ადგილის გამოსაცვლელად შუაგულ ტყისაკენ გავწიეთ. მიტკეი თავისი რაზმით პარჩევის მხარეს წავიდა.

ცოტა მანძილი რომ გამოვიარეთ, ებრაელების ჯგუფს წააწყდით. ისინი სხვადსახვა სოფლებიდან იყვნენ გამოქცეულნი, გერმანელებსაგან შემწინებულნი. აქ იყვნენ ბავშვები, მოხუცები, მამაკაცები. თითქმის ყველას ტანსაცმელი შემოხვოდა. ზოგი სულ ფეხშიშველი იყო. სახეზე შიმშილის ნაკვალევი ეტყობოდა. ორი წელიწადია. თურმე ასე ტყე-ტყე დაგებებთან მშვიტ-მწყურვალნი. ჩვენ ღორის ხორცისა და კარტოფილის მეტი არაფერი გვებადა. რაც გვექონდა შეეთავაზეთ. ღორის ხორცი არ აიღეს; კარტოფილი დაიტოვეს. ჩვენ დავემშვიდობეთ მათ და აღმოსავლეთისაკენ განვაგრძეთ გზა.

როგორც გვიან შევიტყვეთ, ეს ებრაელები გერმანელებს ჩავარდნილად ხელში და ოთხმოიცი კაცი დიდპატარებიანად გაეულოტათ.

ამასობაში ტყვია-წამალი გამოგველია, შოშველი ხელემით რა ობერაციები უნდა გვეწარმოებინა. მალე ვარშავის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან ცნობა მოვიდა: საბჭოთა თვითმფრინავი პარჩევის ტყეში პარამუტებით ჩამოუშვებს ვაზნებს, ახალ ავტომატებს და მედიკამენტებსო. ჩვენს სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა. ცრემლები მოგედითოდა იმ ამბავზე, რომ თურმე ჩვენს დიად სამშობლოში იციან ჩვენს შესახებ, ფიქრობენ,

ზრუნავენ. იციან, რომ ჩვენ პოლონელ მებრთან ერთად სისხლს ვღვრით სამშობლოში. მიტკაც ადგილმდებარეობა დაგვიჩვენა, სადაც თვითმფრინავი იარაღსა და ტყვია-წამალს ჩამოყრიდა და დაგვავალა, იქ რამდენიმე ადგილას კოცონი დაგვეთო.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. დანიშნულ ადგილას მივედით. სამ ადგილას კოცონი დავანთეთ და მოუთმენლად ველოდით თვითმფრინავის გამოჩენას. მაშენ თვითმფრინავის მოტორის გუგუნი მოისმა. მე, როგორც სახენიეტო არტილერიის ყოფილი უფროსმა ლეიტენანტმა, მანძივ ვიცანი ჩვენი თვითმფრინავის ხმა.

თვითმფრინავმა ორჯერ შემოუარა კოცონს და პარამუტებით ტვირთი ჩამოყარა. მეორე დღეს იარაღი მოვაგროვეთ. ახალი საბჭოური წარმოების ავტომატები იყო. გულმ დაგვწვივით იმან, რომ ავტომატებს კონდახები დამტვრივოდა, მაგრამ მიტკაც დაგვამშვიდა: ეგ არაფერია, კონდახებს მე შევაკეთებინებ სამ დღეში, ყველაფერი წესრიგში იქნებაო.

ღუმლიანს მუშათა პარტიის სამაზრო კომიტეტისაგან დავალება მივიღეთ: სოფელ იაზლოჩნაისთან თავს უნდა დავესხათ გერმანელების გარნიზონის ნაწილებს, ადგილზე შევმუსროთ, გადავლახოთ მდინარე ბუგი და კავშირი დავამყაროთ ბრესტის პარტიზანებთან. ბუგზე გადასვლა ყველაზე მეტად პეტია მოროზიკის უხაროდა. ჩემს მშობლიურ მიწას დავდგამ ფეხს, — ამბობდა ის, — შევხვდები თანამემამულეებს, ბობრუსისკი უნდა მივაწვდინო ხმა. ვინ იცის, იქნებ რაღაც სასწაულებრივად გადავრჩენ ჩემი მშობლები გერმანულ ჯალათებსო.

სოფელ კონდენეცკი მობილიზაცია გავუქმეთ ცხენის ფორნებს დაჭრილების ვადასაცვანად. სოფელში ოცდაათამდე ფორანს მოუყურათ თავი და პოლონელი გლეხების დახმარებით ხეტორს მოვიკლდით. ფორნების ქარავანი ერთ კილომეტრზე გაიჭიმა. მთვარისი ღამის მყუდროებას ურმების ჭრალი არღვევდა, ფრთხილად მივუახლოვდით იაზლოჩნაისს. სოფელში არ შევსულვართ, მხარი ავუქციეთ და ბუგს მივადექით. პოლონელი მეგზურის დახმარებით ფონი მოვქმენეთ და დაჭრილები სწრაფად გადავიყვანეთ მდინარეზე. სოფელ ტამაშოვკაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ფსადუდებელი დახმარება გავვიწყეს. დაჭრილები ოჯახებში გაიანთილეს და მათი მოვლა-პატრონობა ითავეს. ჩვენ უკანვე დაბრუნდით. ჩვენი უმთავრესი ამოცანა ხომ გერმანელთა გარნიზონის განადგურება იყო. თავდასხმის ცეცხლა შევიმუშავეთ. ბაბუნაშვილის ჯგუფს მარცხენა მხრიდან უნდა გაეხსნა ეცესხო გერმანელებისათვის, დანარჩენი ოცეულები პირდაპირი დარტყმით შეიკ-





რებოდნენ გარნიზონის ტერიტორიაზე, ვატებდნენ იარაღის საწყობს, რამდენსაც შეძლებდნენ წამოიღებდნენ, დანარჩენს კი ააფეთქებდნენ.

დილის 4 საათზე გერმანელთა გარნიზონს ჩემად მივუახლოვდი. პაერში წითელი შუშუტინა ავარდა, რაც სროლის დაწყების ნიშანი იყო. ბაბუნაშვილის ჯგუფი შეტევებზე გადავიდა. ავტომატების მოკლე ჯერს ტყვიამფრქვევების გრძელი ჯერი ერთვოდა. დამფრთხალი გერმანელები საცვლების ამარა გამოიბოდნენ ბარაკებიდან. მაც/მ შორს სად წავიდოდნენ? სახალხო შურისმაძიებელი ადგილებზე ცელავდნენ ფაშისტებს. ბრძოლა სულ ერთ საათს გაგრძელდა. წინასწარი დათქმის თანახმად, ყველანი სოფლის დასაწყისში მოვგროვდით. მიტოვიანიშვილი, მოროზიკა და სვანიშვილი მა არაღი თ დატვირთული უბრალო მოაყენეს, ხუთი გერმანელი ტყვედ ჩაეგდო. ბაბუნაშვილის ჯგუფმა ხელყუმბარები და დაზვის ტყვიამფრქვევები მოიტანა.

დრო აღარ ითმენდა, რაც შეიძლება მალე უნდა ვადაგვეზახა ბუფი, სანამ გერმანელთა მამული ძალები მოვიდოდნენ.

ბაბუნაშვილისა და გურაშვილის ჯგუფებმა მშვიდობიანად გადალახეს ბუფი. დანარჩენები შუა დინებაში არ ვიყავით შესულები, რომ გერმანელთა მამული ბატალიონი წამოგვეწია და ტყვისი ქარ-ციხლში გაგვავსია. წყალი თითქმის ყელამდე გვეწვდებოდა. გაღმიდან ბაბუნაშვილის ჯგუფმა ორი დაზვის ტყვიამფრქვევი ამოშავა და მტრის ციცილი ცოტა მიწელიდა. სამოციანთაუბრეტი კაცი ვეყავურად გავუმკლავდით მტრის ერთ ბატალიონს და გადავლახეთ ბუფი. როგორც კი დაადგა ფეხი მოროზიკა ბუფის მეორე ნაპირს, დიჩოქა და მშობლიურ მიწას ეამბორა... ეამბორა... და ფეხზე ვვარდა ვამოვადგა. მტრის ტყვიამ ადვილზევე განგმირა.

მოროზიკის სიკვდილია ყველას გული დაგეწყვიტა. გულით შეგვეყვარა ქართველი თანამებრძოლები. სულ იმას ვეუბნებოდა: ნეტა მშობლიურ მიწაზე ვეადრადგებოდა არ მოვეცდებ, მინდა პატივი ვეთა ბელორუსული წესის, ჩვენც ხომ ქართველებივით სტუმართმოყვარე ხალხი ვართო.

მშობლიურ მიწას მივბარეთ მოროზიკი. მის საფლავთან ფიცი დავდეთ, რომ ერთი ათად ვაზღვევინებდით მეგობრის სისხლს ფაშისტებს.

ჩვენს მიერ ბუფთან წარმოებულ ბრძოლებს შესახებ ლენინის სახელობის ბრიგადას ვაგვოდა და მზერაყვები გამოუშვა; ორი ახოვანი ახალგაზრდა თამამად მოვიდა ჩვენთან. მათ გვითხარდა:

— ჩვენ ლენინის სახელობის ბრიგადიდან

ვართ. ბრიგადა სოფელ ჩერიკში დგას. თქვენთან მოსალაპარაკებლად მოვედით.

ლენინის სახელობის ბრიგადის წარმომადგენლები სკოლის ეზოში გველოდნენ. ამ ბრიგადაში აღმოჩნდა ჩემი კარგი ნაცნობი, ქართველი კოტე გოგებაშვილი, რომელსაც პირველად ნიკოლაევის ტყვეთა ბანაკში შევხვდი. ე. გოგებაშვილი კადრის ეპიტანი ვახლდათ. ტყვედ ჩაგარდნამდე გმირი ქალაქის — სევსტოპოლის დამცველი იყო. პარტიზანულ ნაწილში მხვევრავთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ყაზახ კავიტან სარაბაევთან ერთად.

ლენინის სახელობის ბრიგადის ხელმძღვანელებმა გრებნოვმა და კატკოვმა გეტხოვეს შევერთებოდით მათ და ერთიანი ძალით გვებრძოლა პირისხილიანი ფაშისტების წინააღმდეგ. ჩვენ რაზმებში გავნაწილდით. აქ ვავიციანთ თბილისელი მაიორი ვანო ავასარივი, რომელსაც თავისი ჯგუფით ბუფი გადმოვლახა. ვ. ავასარივი პოლონეთის ტერიტორიაზე ლუბლინის ახლოს უთანასწორო ბრძოლაში, უკანდახევის დროს, მძიმედ დაჭრილიყო.

... 1943 წლის შემოდგომა. ლენინის სახელობის ბრიგადა ჩერკის ტყეშია დაბანაკებული. ჩვენ ვოროშლოვის სახელობის რაზმში ჩავვრტიცხეს. ა. ზელენინის სახელობის რაზმის შტაბის უფროსად მიხეილ გურაშვილი მოვიტანა.

მაშინაც მეთაური ზელენინი ზანოლოტის გადმოსავალთან ხუტორში მოეკლათ გერმანელებს თავის ადიუტანტთან — უზბეკ აბრაზი მოვთან ერთად. ზელენინის უყვდავსაყოფად მისი სახელი რაზმს მიეკუთვნა, შემდეგ იატაკქვეშ მომუშავე საოლქო კომიტეტის მდივანმა ს. ი. სიკორსკიმ ფრუნზეს სახელობის რაზმის მეთაურად მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი კადრის კაპიტანი მ. გურაშვილი გადაიყვანა. მან პარტიზნოეთი და ფინეთის ომში მიღებული მედალი „მამაცობისათვის“ ფეხსაცმლის ლანჩებში გადამალული ატარა მთელი ომის მანძილზე.

ყოველ დღიას, როდესაც პარტიზანული რაზმი ხაზზე ეწყობოდა დღის დავალების მისაღებად, ვ. გრებნოვი გვაუწყებდა, რომ ესა და ეს დავალება უნდა შესრულდეს სერაგი ივანეს ძის ბრძანებითო. ვინ იყო ეს სერაგი ივანეს ძე დრომდე საიდუმლოებით იყო მოკული. მის შესახებ ალბათ მხოლოდ რაზმის მეთაურმა გრებნევმა, კომისარმა ვორობოვივმა და შტაბის უფროსმა კულიაევმა იცოდნენ. იატაკქვეშ მოქმედი საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ს. სიკორსკი, ბობროვი, აფანასიევი, პრონიკინი და პარტიზანთა შენაერთის მეთაურის მოადგილე, კომკავშირის საოლქო კომიტეტის მდივანი ფ. დ. რომა, იატაკქვეშა ვაზეთ

**შალვა კოგიაშვილი**  
ბუფის ნაპირბთანი

„ზარის“ რედაქტორი კალიბეროვი, კორესპონდენტები ა. პრიპოტენევი, ა. სირიტინი, ასოთამწეობი ნატალია ლოგინოვა.

ჩვენი პარტიზანული რაზმის მეთაური ვ. გრებნოვი მოთხვენალი კაცი იყო, კომისარი ვორობაიოვი კი უფრო დინჯი, აუჩქარებელი გახლდათ. მეთაურთა შემადგენლობა ყოველდღიურად შტაბში ვიცრებებოდი. შტაბის უფროსი გულბაიოვი რუქაზე გვაცნობდა ადგილმდებარეობას, ხან ჩვენც ეხატავდით და ვიწერდით სოფლების, რკინიგზის სადგურების სახელებს, სხვა-ნაირად შეუძლებელი იყო ადგილმდებარეობის შესწავლა.

პარტიზანულ რაზმში ზეთასამდე შეიარაღებული მებრძოლი იყო. პარტიზანებს ყველანაირი იარაღი ჰქონდათ: ჩეხური, გერმანული, იტალიური, რუმინული, ფინური, ფრანგული და რუსული. ამდენი ტყვიური მარკის იარაღს შესწავლა უნდოდა და ისეც ხდებოდა, რომ ხანდახან ტყვეები გვაწავლიდნენ გამოყენების წესებს.

ერთხელ გერმანული ჩქარმსროლელი ტყვიამფრქვევი დავშალეთ და ვეღარ ავაწყეთ. იმ საღამოს სერგეი ივანეს ძის ბრძანებით ბრძოლაში უნდა ჩაებმულთავით და ტყვიამფრქვევი აუცილებლად უნდა აგვეწყო.

— შენ ეი, ფრიცი, მოდი აქ, — დავეძახე ვილაც აულაყუდა, ოდნავ ბეჭებში მოხრილ გერმანულ ტყვეს. გერმანელი ზღაპრებით წამოიღა და მოვიდა ჩვენთან.

— ააწყე ტყვიამფრქვევი! — უბრძანეთ ჩვენ — არ ვიცოი — მოკლედ მოგვიჭრა მან.

— როგორ თუ არ იცი, ამ ტყვიამფრქვევით გვესროდი სოფელ მედნაში და ახლა არ იცი — უყვირა ბაბუნაშვილმა.

მეტი და გზა სქონდა, გერმანელმა უკრაინელი ხარჩენკოს ჰამარებით ტყვიამფრქვევი სრულ წესრიგში მოიყვანა.

რაზმის მხვერავმა პარანაშვიტმა ცნობა მოიტანა:

— სოფელ რაგონას გერმანელებმა ალყა შემოარტყეს. მსხვილფეხა საქონელს მიერეკებიან, კარტოფილს მანქანებზე ტვირთავენ. კოლონას იცავს გერმანელთა ბრესტის გარნიზონის ბატალიონი, აგრეთვე პოლიციისა და ყანდარმერის ნაწილები. საღამო ხანს ამირებენ სოფლდან გასვლას ბრესტის მიმართულებით.

მებრძოლები ფიქვენარში სოკოებივით ჩამოკრებივებულ კარებში ისვენებდნენ. კარებში მწვანე ზღაპრით იყო გადახურული.

— მეთაურები ყველა ჩემთან! რაზმმა ორმოც წუთში ისადილოს და მერე სასწრაფოდ მოაწყეთო! — უბრძანა გრებნოვმა ბანაის მორიგეს.

ნახევარ საათში რაზმი ბრესტის მიმართულებით დაიძრა. ბრესტის მისადგომებთან გერმანელებისათვის გზა უნდა მოგვეჭრა. ჩერსკის ტყე გავიარეთ და ბრესტის წინააღმდეგ გზატკეცილს გავყავით. უკვე ბინდმა მოიცვა მიდამო, როდესაც ერთ ადგილას, ახლად დარგულ ფიქვენარში შევეხამეთ და გერმანელების გამოვლას დაველოდეთ. დალოლ მებრძოლებს სახეზე ოფიციალური წესით ჩამოსვლიდა. მავრამ დასვენებაზე არაფერი უფიქრიათ ყველა ბრძოლისათვის ემზადებოდა. უკვე, სინებულე მანქანის ძლიერმა შუქმა გააკვეთა.

— მოდიან! — დაიძახა ვილაცამ.

— მოეზადეთ! ცეცხლი! — გასცა ბრძანება გურაშვილმა, როდესაც გერმანელები საკმაო მანძილზე დაგვიახლოვდნენ. ისეთი ძლიერი ცეცხლი გავხსენით, რომ მანქანები გზისპირა არხებში უწესრიგოდ ცვიოდნენ. გერმანელებმა უკანა კოლონის მანქანებიდან მოასწრეს ჩამოსვლა და არხის პირებში ჩასაფრდნენ. მერე ჩვენს მესამე ანუ ულს ზურგიდან შემოუარეს, პავრამ მეორე ასეულის მეთაურმა ავდვი ფილონიამ დროზე შენიშნა გერმანელთა მანქანა და მათკენ დაზვის ტყვიამფრქვევი აამუშავა.

— მოამზადეთ ხელუშუბარები! — გაისმა გოგებაშვილის ბრძანება. რამდენიმე ცალი ხელუშუბარა გზის მიპირდაპირე მხარეს აფეთქდა. არემარე ერთიანად განათდა. დამკრულთა კენესა, მროხების ბლაილი და ღორების ყვიტინი ერთმანეთში აირია. ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა ამ ბრძოლამ. კარვად რომ ინათა, ჩვენს წინ შემზარავი სურათი გადაიშალა: ბრძოლის ველი ფაშისტთა გვაშებით იყო მოფენილი. ჩვენი რიგებიდან ამ ოპერაციის დროს მხოლოდ გრებნოვი დაიჭრა. წართმეული საქონელი გლეხებს დაეუბრათენ, ნიღავი იარაღი და ტყვიაწამალი თან წამოიღეთ და გამარჯვებულნი დაბრუნდით ბანაკში. აქაც სასიხარულო ამბავი დაგვხვებდა ჩვენმა რადისტმა პიუსსევიჩმა. კურსკის რკალის გარღვევის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ასი კილომეტრი წაიწიეს წინ და მთელი რიგი რაიონული ცენტრები და სოფლები გაათავისუფლეს. უნაზური კაცია ჩვენი რადისტი. დღენიანდაგ ბრუნებით გადახურულ ფორანში ზის და რადიომიმღებს ჩაჰკირკიტებს. ელექტრომატარები არა აქვს, ფიჭვის ხეზე მიკრულ ველოსიპედის თვლებს ატრიალებს და ხელოვნურად ტენის. როცა გაუჭირდება, ჩვენ გვეძახის დასამარებლად: — ზღოპოცი, პომოგიტე!

— რას გვეტყვი, ბიძა მავსიმ, ახალს? — ხშირად ვაკითხებით მას.

— ბუდე, ბუდე, ზარა ბუდე, — ღიმილით გვეუბნება იგი.

პიუსსევიჩის მახლობლად, ფიჭვის მორზე ზის ახალგაზრდა ჯოგონა ვალენტინა, თავისი საბჭუნე მანქანით და სწრაფად ბეჭდავს საბჭოთა ინფორმბიუროს ცნობას, მერე ავრცელებს და პოლიტხელებს აძლევს სოფლებში დასარიგებლად.

მეორე დღე დასვენების დღედ გამოცხადდა. პარტიზანები კოცონს შემოსხდომოდნენ, შუაში ძია ონოფრე ჩაყვით და ოხუჩობდნენ. ძია ონოფრე ბანაის სამეურნეო საქმეებს განაგებს.



ბელორუსიაში პოლონელი პანების თარეშის დროს ონოფრე დემიუცი სოფლის თავაკაცად ითვლებოდა. 1938 წლიდან იყო არალეგალურად არსებული კომუნისტური პარტიის წევრი. ბევრი სიმწარე აგებდა ონოფრეს პანებში, დავა მუდამ მიწის საკითხზე ჰქონდათ. ონოფრე ყოველთვის ღარიბ გლეხობას ექომაგებოდა. ბევრჯერ მკადარა ბრესტის ციხეში, ვერ ურიგდებოდა პილსუდსკის მთავრობას. ომის დაწყებისთანავე გერმანელებმა ონოფრეს ოჯახი აუწიოეს: ცოლი მოუღლეს, სახლკარი გადაუწვეს, თვითონ კი ორი პატარა ბავშვით პარტიზანებს შეაფარა თავი. მისი თერთმეტი წლის ვაჟი ვასია, თავის ამხანაგ სევასტო სტარჩუხთან ერთად, პარტიზანთა საქონელს მწყემსავს. ვასიას უმცროსი და ცხრა წლისაა, სამზარეულოში ბელორუს ქალებს ეხმარება სადილების ყეთებაში. სანიტარულ ნაწილში დატრინტისათვის ცხელ-ცხელი საკმელი მიაქვს. ეს ცუფრუმელა გოგოა შვილის ნურრივით დაქვრტრუმობს ფიქვანარში. ყველა ოტიატელმა იცის ონოფრეს გამწარებული ოჯახის ამბავი, ყველა იცნობს მის დაობლებულ ბავშვებს.

ვახშობა გადასული იყო, როდესაც ბანაკში ჩვენი მზერავი ა. ვასიუკი მოვიდა და ახალი ცნობა მოიტანა: ხვალ დილის ათ საათზე ბრესტის მიმართულებით გერმანელთა ხუთი სატვირთო ავტომობილი გაივლის, საჭიროა მათი „დაკონსერვება“. გრებნოვმა მაშინვე შტაბში დაგვიბარა. ამ ოპერაციის შესრულება ჩვენს ასეთულს დაევალა.

ალიონზე ჩვენი ასეული დავალებს შესასრულებლად წავიდა. ჩემად მიყვებოდით მაღალი ბალახი დაფარულ ტყის ბოლეს. ნაბიანი ბალახი თითქმის მუხლებამდე გეწვდებოდა. მალე ტყე უკან ჩამოვტოვეთ, სოფელ ზბუნინს ჩავუარეთ და გზატკეცილზე გავედით. წინასწარ მითითებულ ადგილას ჩავსაფრდით. დასვით ტყვიამფრევეი ფიჭვის ხესთან დავდგით. ეს „მაქსიმკა“ ჩვენმა ბიჭებმა მალარეთში, კარტოფილის ნათესში აპოვეს. ეტყობა ჩვენმა ჯარის მაწილებმა უკანდახვევისას დატოვეს. ერთ კვირას მოვუნდით მის გაწმენდას და აწყობას. ასეთლის ნაწილი გზისპირა არხის პირებზე ჩასაღვრდა.

ვახა 10 საათი, 11... უკვე თორმეტიც სრულდება, გერმანელთა ავტომანქანები კი არ ჩანს.

— მოტორის ხმა ისმის! — ანძიხა ვილცამ. ცაში გერმანელების თვითმფრინავები გამოჩნდნენ და მალევე გაქრნენ.

— მიინდ არ სჩანან, — ოხვრით ამბობს ბაბუნაშვილი.

— გზა აქეთ აქეთ, სად წავლენ, — დავამშვიდე მეგობრები.

— მანქანები მოდიან, — გაგვაფრთხილა ვასიუკა.

— მოემზადეთ! — გაიცა ბრძანება. მანქანები პირდაპირ გაგვისწორდნენ. წინ მსუბუქი მანქანა მოუძღვოდა, რომელშიც ოფი-

ცერი იჯდა, უკანა სავარძელში ქალები ისხდნენ და თურქულ სიგარას აბოლებდნენ. ასეთლის მეთაურმა პისტოლეთი ისროლა, რაც ცეცხლის გახსნის ნიშანი იყო. ჩვენი „მაქსიმკა“ ზღაპრული გველუშავით ცეცხლს ყრიდა ლუღლიან. მთელი ათი წუთი არ დამცხრალა პარტიზანთა ავტომატები. ბოლო მანქანიდან გერმანელებმა ხელყუშბარა ისროლეს, მაგრამ ჩვენ და საბედნიეროდ, არ გამსკდარა, თორემ სუყველას ადგილზე ამოვწყვეტდა.

— ბიჭებო, ხუთი გერმანელი რკინიგზის მხარეს გარბის! — ვიყვირე და უკან დავედევნე, წამოვეწიე, ავტომატი მივეშვი და ხუთივე გზაზე მივაწიე. საშინელი სანახევები იყვნენ მანქანებზე ამოხრილი გერმანელები. ავტომატებში და თოფები ხელში ჩაბღუჯული დარჩნოდით. გერმანელი ოფიცერი მანქანის წინ ედგო გამშლართულ, ქალები არხის პირას ჩამალულიყვნენ. ერთი მთავანი ფეხში იყო დატვირთილი. ორი გერმანელი ჯარისკაცი და ქალები ტყვედ წამოვიყვანეთ, იარაღი და ტყვია-წამალი ფორანზე დაყარეთ და ჩერსკის ტყეში შევედით. სამი დღე და ღამე დამწვარი მანქანები და გერმანელთა გვამები შარავზაზე ეყარა, გერმანელების ნაწილები ახლოს ვერ ეკარებოდნენ ჩვენი შიშით, ბოლოს ბრესტის გარნიზონისა და ადგილობრივი გლეხების დახმარებით, დომაჩევში წაიღეს.

ოპერაციის ბრწყინვალე შესრულებისათვის რაშმის მეთაურმა პარტიზანთა ბანაკის მწყობრში ჩვენს ასეთულს მაღლობა გამოუტყდა.

ორ დღეს ვისვენებდით. პარალელურად დომაჩევის გარნიზონის გასანადგურებლად ემზადდებოდით. გერმანელმა ტყვეებმა ყველა ცნობები მოგვცეს დომაჩევის გარნიზონის განლაგების, შეიარაღების, საცეცხლე წერტილის, პატიმრების შესახებ. პატიმრებთან ჩვენი პარტიზანი იყო დაკავშირებული. მეტროლოგები სზაფხულო კარებში ისვენებდნენ. ერთი კარვიდან სიმღერის ხმა გამოდიოდა. ყური მივეუდღე, „სულიკოს“ მღეროდნენ. ამ სიმღერას რაზმში ყველა მღერობდა: ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი.

სალამოდებოდა. გრებნოვმა კარები ჩამოიარა და ყველა მეთაური შტაბში იხმო. შტაბის უფროსი მივიღაზე რუკა გაეშალა და იდაყვადყრდნობილი დაწყურებდა. როცა ყველა მოეგროვდით, გრებნოვმა დაიწყო:

— ამაღამ, ღამის სამ საათზე გავდივართ, ბრძოლაში უნდა ჩავებათ. სერგეი იანეს ძის ბრძანებაა მისუფი. დომაჩევის გარნიზონი უნდა გავანადგუროთ, ყველა მისალები შეგროვილია, მტრის ძალა შესწავლილია, ამოცანა ერთია: შური ვიძიოთ იმ ორმოცდაათთომეტე ბავშვისათვის, რომლებიც გერმანელებმა გასულ წელს

**შალვა კობახივილი**  
ბუმბის ნაპირბამიან

საბავშვო სახლიდან გამოყვანეს, წინასწარ მომზადებულ ორმოში ჩაყარეს და ავტომატებით შიგ ჩახოცეს. ორმოცდათხმეტეტიდან ერთი ცოცხალმკვდარი ბავშვი გადაარჩა, რომელიც სოფელ დღობიცაში მკვოვრებმა გლეხმა ნახა და შეიფარა. გზად ვაგივლით და ნახეთ იმ ადგილს. გამყოლები გვყავს: ა. გასეული და სტული დომანტიანი.

ბანაკში ონოფრეს მერი არაიენ დარჩენილა. მის მეორე დილისათვის სატყელი უნდა მოემზადებინა.

რახში ბავშვების სასაფლაოს მოუახლოვდა. ა. გასაუქმა წამოიძახა:

— ბავშვების სასაფლაო აქ არის! ჩვენ შევჩერდით. გარშემო წრე შემოვარტყით და თავები დავხარეთ.

გასაუქო მოგვიყვება, თუ როგორ აწამეს გერმანელმა მტარვალებმა ორმოცდათხმეტეტი ბავშვი.

— დომანტიანი უპატრონო ბავშვთა სახლი იყო. 1941 წელს გერმანელები შემოიჭრნენ. მათ დიკაევს სკოლები და ყველა სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება. მაგრამ, რატომღაც, მიანც ეოწროდ იგრძნეს თავი და თქვეს, მოლი უპატრონო ბავშვთა სახლი „გაფშინდოთო“. გესტაპოლებმა: გაძვალტყავებული ბავშვები გამოიყვანეს, სამი კილომეტრი ფეხით ატარეს, მერე... მერე კი თქვენითვის ცნობილია. რაც მოხდა, გახსენებაც აღარ მინდა...

... წუთიერი დემილის შემდეგ ჩვენ გზა განვივარდეთ. მალე დომანტიანი მიუთახლოვდით. ღამის საბნელოში აქა-იქ სინათლები გამოჩნდა. ჩვენი სამოქმედო გეგმა ასეთი იყო: პირველი ასეული ციხის მხრიდან მიიტანდა იერიშს, მეორე ასეული ცენტრალური ქუჩის მიმართულებით იბრძოლებდა, მესამე ასეული კი სკოლას შეუტედა, სადაც გერმანელთა გარნიზონის ნაწილები ისვენებდნენ. ერთი ჯგუფი ვარშავის გზაზე გაავაზავნეთ, ზურგში ხიდი უნდა აეფეთქებინა, რათა მასველი ძალები არ გადმოსულიყვნენ ვლადივას და დუბლინის გარნიზონიდან.

წინასწარი შეთანხმების თანახმად, წითელი შუშუნა ბრძოლის დაწყების ნიშანი იყო, ყვეთელი კი დამთავრების და დანიშნულ ადგილზე შეკრებასა.

დანიშნულ დროზე გრებნოვმა წითელი შუშუნა აუშვა ჰაერში. მთელი არემიარე განათდა. შეტევა დაიწყო. იწყება გერმანელთა იარაღის საწყობები, ცეცხლი ბენზონის ცისტერნებზე გადავიდა და აფეთქებამ დედამიწა შესწრა. ცეცხლის ალი ღამის ზეცას წვდებდა.

ჩვენს ასეულს ციხისათვის უკანა მხრიდან უნდა შემოველო, ღამის ყარაული უნდა მოეხსნა და ქანდარმერისა და პოლიციის ნაწილები გაენადგურებინა. შემოდგომის ნისლი სქლად დასწოლოდა ვარშოის და ისედაც ბნელ ღამეს კიდევ უფრო აბნელებდა.

ღამის გუშაგი წინასწარ გ. საჯიამ მოხსნა.

მავთულებში ხოხვით გაძვრა, პირში ცხვირის ხოცი ჩასტენა. მეორე სართულზე მოთხმეხმული შტაბი მთლიანად მოვსპეთ და ქვედა-საბნელო თულს მივაღდექით. იქიდან ყვერილი მოგვესმა:

— არ გვესრლოთ, თქვენიანები ვართ!

მე სარდაფის კარებს მივვარდი და კონდხით შევამტერიე. სარდაფიდან ცამეტი გაძვალტყავებული გლეხი გამოვიდა. მათ შორის იყო ჩვენი მეკავშირე, მალარეთელი ათანასე პიპია.

ბრძოლა გრძელდებოდა. ჩვენი მეორე ასეული სკოლის შენობას „წმუნდდა“. პანიკით მოცული გერმანელები უწყსრაგოდ გამობრბოდნენ შენობიდან და ბუგის მხარეს მიბრბოდნენ თავქუდ-მოგლეფილინი. მაგრამ ის მხარეც გამაგრებული ჰქონდათ ჩვენს ბიჭებს. დომანტიანი გარნიზონი, როგორც იტყვიან, თავისივე ბუნავში მოვახრჩვეთ. გათენებისას რაიონული ცენტრის მოედანზე შევეკრავდით, ნადავლი აყრიფეთ და კვლავ ჩერსკის ტყეს შევეხიზნეთ. მეორე დღეს დომანტიანი ბრესტის გარნიზონის უფროსი ამოსულიყო, თურმე პირიდან ცოფებს ჰყრიდა და გაპყვიროდა:

— სად წავივინებს ის თქვენი პარტიზანები, დახატრდება და შიმშილით ამოვხდით სულს...

მაგრამ ამოდ იქაინიდა გერმანელი გენერალი იორდანი. დომანტიანი, მის შემდეგ, რაც იქ გარნიზონი გაენადგურეთ, გერმანელები აღარ უნახავს. იგი პარტიზანების ცენტრს გახდა. ადგილობრივი მოსახლეობა, დიდი თუ პატარა, პარტიზანებს შემოგვიერთდა. ამით ლენინის სახელობის ბრიგადამ კარგი შეესება მიიღო.

1943 წლის შემოდგომაზე ჩერსკის ტყის გარშემო მდებარე სოფლები გერმანელთა 315-ე დივიზიამ დაიკავა. ჰელმუთაიდლინგის ჯავშან-სტანავო ნაწილებმა ბრესტში მისასვლელი გზები ჩააქეტეს. რკინის სალტე შემოართყეს ჩერსკის ტყეს. სადგურ ზაბოლოტიდან ვილაცა გლეხის ხელით გერმანელებმა ლენინის ბრიგადას წერილი გამოუგზავნეს:

„ჩვენი ჯარის ნაწილები თქვენს მიერ გათავისუფლებულ სოფლებს იკავებს. მოვედით ორი კვირით დასასვენებლად და გოხოვთ ხელი არ გვახლოთ. ჩვენც არ ვახლებთ ხელს“.

წერილმა მეთაურთა შემადგენლობას ათასი საფეკრალი და საზრუნავი გავვიჩინა. ყველა გასასვლელი გზა ჩერსკის ტყიდან ჩაკეტილია, სოფლებიდან პირი აღარ მოდის, ერთი კვირა იმბრძოლები კარკოფილზე და ხორცი აბიან. აღარც ტყვია-წამალი გვაქვს. მერე კიდევ, რა გეგმა აქვთ გერმანელებს, ეშმაკმა იცის. ბოლოს გრებნოვმა და კატკოვმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: ეს ამბავი სასწრაფოდ უნდა ვაცნობოთ ბრესტის პარტიზანულ შენაერთების შტაბს, იქიდან დაგვეხმარებინან. ბრესტში გასაგზავნად ოცდათერთამეტი მეტრძოლი გამოყვეს, გამყოლებად ადგილობრივი ახალგაზრდები დანიშნეს. რახშის მეთაურობა მე მომანდეს. გრებნოვმა გამოიძახა და მითხრა:



— აბა შენ იცი, ოცდათვრამეტ მებრძოლს გა-  
ბარებ. ეს წერილი სერგეი ივანეს-ძეს გადაეცე-  
პირადად აუხსენი ჩვენი მდგომარეობა.  
ეცადეთ, არ დაიგვიანოთ, ოქტომბრის დღესას-  
წაულისათვის აქ იყავით.

ღივემშვიდობებთ ამხანაგებს და ვზას გავუ-  
დგქით. ტყეს გავცდით და შებინდლა კიდევ.

— მანამ კარგად არ დაღამდება, ზაბოლოტი-  
ეში ვერ შევალთ, გერმანელებითაა სავსე, —  
ვუთხარია მებრძოლებს და დასვენება გამოვა-  
ხადე.

გამყოლი ა. ვასილიუკი ცალკე ეიზებ და გა-  
ვფრთხილე: სოფელი ზაბოლოტიე ისე უნდა  
გადავტარათ, რომ მტერმა ვერაფერი გაიგოს,  
იქიდან კი რკინიგზა ახლოა. რკინიგზას გადაე-  
ლახავთ და კობრინის რაიონში გავალთ, მერე  
დვინის რაიონში... აბა, შენ იცი, ყოჩაღად.

ა. ვასილიუკი ასე თვრამეტი წლის ყმაწვილი  
იქნებოდა. ძალზე გამბედავი და მამაცი ახალ-  
გაზრდა იყო.

კარგად რომ დაღამდა, სოფელ ზაბოლოტიე  
მარჯვნივ ჩავუარეთ და რკინიგზასთან გავჩერ-  
დით. რკინიგზაზე გერმანელი პატრულები და  
დიან, ყოველ ხუთას მეტრზე დაზვის ტყვია  
მფრქვევები უდგათ, როგორც გამყოლებმ.  
მითხრეს, თუ რამე გერმანელი პატრულები ყო-  
ველ საღამოს, როცა დაბინდდება, ტყვიამფრქ-  
ვევის ცეცხლს უშენენ ტყის ნაპირებს, ალბათ  
პატრინების დასაშინებლად ასე იყო ამ სა-

ღამოსაც, ჩვენს გარშემო ტყვიებს ზუზუნნი გაჰ-  
ქონდა. ხეათ რტოები ლაწალუწით ცვიოდ-  
დაბლა.

— მანამ მატარებელი არ გაივლის, ცეცხლი  
არ შეწყდება, — მითხრა პიპკამ. ჩვენც მეტი რა  
გზა გეჭონდა, დავუცადეთ მატარებლის გამოსე-  
ლას. თითქმის პირველმა საათმა მოატანა, რო-  
დესაც გერმანელების დრეზინა გამოჩნდა და წელა  
გაიარა, მაღლ შორიდან მატარებლის ყრუ გუ-  
გუნიც მოისმა. სროლა მაინც არ წყდება. ჩე-  
ლიაბინსკელ ბუროვს ზურგჩანთაში ორი ცალი  
ოთხასგრამიანი ტოლი ჰქონდა. ის ჩემთან მო-  
ვიდა და მორიდებით მითხრა:

— ამხანაგო მეთაურო, მოდიოთ, რაც იქნება,  
ქნება, კარგი მომენტი და ხელიდან ნუ გავუშ-  
ვებთ, ავაფეთქოთ მატარებელი.

— კარგი, — დავეთანხმე მე, — დანაღმე  
წელსი, ოღონდ ააფეთქებ რკინიგზაზე ჩვენი გა-  
დასვლის შემდეგ.

ჩვენ ხოხვით ვადავედით რკინიგზაზე. ბურო-  
კი ჩამოგვარჩა, მატარებლის მოახლოებას და-  
უცადა. მატარებელი, წელი სვლით გაუსწორდა  
ამ ადგილს, სადაც ბუროვმა ნაღმი ჩასდო.  
ორთქლმავალმა და რამდენიმე ვაგონმა გადა-  
იბრინა... და გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა,  
გავგონებოდათ მეზი გავარდაო. ჩვენ სწრაფად  
მოვიცილდით იქაურობას. გამთენიისას კობრი-  
ნის ახლოს, ერთ ხუტორს შევიფარეთ თავი...



თამაზ ნიჟარაძე

# მეტი კასუსისმგებლობა!

„აღბათ ქორბუდა თუ იყო,  
გოგოვ, შენს წინაპარადა“.

„მარტო შენ ხარ, სულელივით მეცინება“  
თანამედროვე სასიმილო ლექსებიდან

წერილში ქართულ სიმღერებზე ვისაუბრებ, უფრო ზუსტად, ამ სიმღერების ტექსტებზე.

ეს თემა არაა ახალი ამერიკა! მასზე ადრეც უმსჯელიათ. წერილობით, რასაკვირველია, ნაკლებად, ზემოთ განცხადებებში კი, მოგეცათ ლხენა, ბევრსაც და სასურველსაც უზომოდ მოვითხოვდით. და მაინც, კანტიკუნტად გამოთქმულ აზრს იმაზე მეტი არ მოუტანია, რასაც, საზოგადოდ, იძლევა ხმა მღალაღებლისა უდაბნოსა შინა!

და ავერ, კარგა ხანია, საქვეშორო პრესის ფურცლებზე, კერძოდ, „ლიტერატურაშია გაზეტას“ ბოლოდროინდელ ნომრებში, ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი სჯა-ბაასია. ეს ყველაფერი თვეობით გრძელდება!

ეტყობა, თემის პრობლემურობამ იმოქმედა განხილვის მასშტაბზეც.

„ლიტერატურაშია გაზეტას“ გვერდებზე, უმათერესად, რა თქმა უნდა, რუსული საესტრადო სიმღერების ტექსტებზე მსჯელობენ, და ეს ბუნებრივია, რადგან სხვათა ენაზე შექმნილი სიმღერების სიტყვებს, კაცმა რომ თქვას, ისინი, რუსი ავტორები, ნაკლებად ანდა სულაც არ იცნობენ. ამიტომ, როგორადაც არ უნდა დამთავრდეს ეს საგანგებო დისკუსია ენტრალურ პრესაში, ჩვენ ამის იმედზე ყოფნა არას გვარგებს.

წინდაწინვე ვგაჩნობ, რომ წერილში ყველაფერი რიგზე ვერ იქნება. ათასგვარი საყვედური შემზღდება ალბათ: ზოგი ჩემს მიერ მოკრძალებულად გამოთქმულ აზრს კატეგორიულად ჩაეთვლის, სხვები არაპროფესიონალისა და დილტანტის იარაღისადაც არ დაგვამადლიან...

დარწმუნებული ვარ, ჩემი ოპონენტები ზოგჯერ მართლნიც იქნებიან და, წარმოიდგინეთ, ეს არ მაშინებს! რადგან, ღმერთმა ხომ იცის,

ცუდად აკვიატებული წინასწარი განზრახვით არაფერი დამიწერია.

მქონდა სურვილი: წერილი გულწრფელი მოფერება და მოფრთხილება ყოფილიყო იმ საგნისა, რომელიც ყველა ჩვენგანს მეტისმეტად გვიყვარს და სახელიც დიდებული გვიქვია — ქართული სიმღერა!

ჩვენ ყოველთვის გვაქვს სურვილი, გულახდილები ვიყოთ, ოღონდ ამ საქმის დაწყებას მუდამ სახვალიოდ ვაპირებთ ხოლმე!

ქართული სიმღერის ტექსტი დღევანდელ დღეს მთელი საუკუნით ჩამორჩება! ეს სამწუხარო კემპარტება! და კიდევ უფრო გულსატყენი ის ამბავია, რომ ამ თემაზე კამათს გაუტრბივართ!

მე არა ვარ მუსიკის სპეციალისტი. ამდენად, ნაბიჯი, რომელსაც ახლა ვდგამ, სარისკოა! ჩემთვის იმის ახსნაც ძნელია, რატომ მიტაცებს ერთი სიმღერა და რატომ არ მოაწონს მეორე.

ამიტომ წერილში მხოლოდ იმას შევეხები, რისი ცოდნაც გამაჩნია ამ სფეროში, და რისი გარკვევის უნარიც შემწევს.

სიმღერა სამგანზომილებიანი მცნებაა: მუსიკა, ტექსტი, საშემსრულებლო ხელოვნება. „შეიძლება თუ არა ილაპარაკო ერთ-ერთ მათგანზე ან ორზე, მესამის გამოტოვებით?“

რასაკვირველია, შეიძლება და საჭიროა!

მე არ ვაპირებ და, გასაგები მიზეზების გამო, არც მაქვს უფლება შევიჭრა მუსიკის სფეროში. არც საშემსრულებლო ხელოვნებაზე კამათით შეგაწყენთ თავს. ხოლო რაც შეეხება სიმღერის ტექსტს, მის ლიტერატურულ საფუძველს, აქ კრიტიკოსის უფლებით (ყველას ვთხოვ, თუ სიტყვა „კრიტიკოსი“ პრეტენზიულად მოეჩვენოს, შეცვალოს იგი უფრო



მოკრძალებული გამოთქმით — „რეცენზენტ“) რამდენადმე ვკისრულობ პასუხისმგებლობას, რომ შეძლებისდაგვარად გავარკვიო სასიძლერო ლექსის ავტორი.

ეს საქმე, მგონი, სალიტერატურო კრიტიკის სფეროში ნამდვილად შედის. სიმღერის მიმართ დიდმა ინტერესმა, მისმა პოპულარობამ, ბუნებრივია, გამოიწვია ასეთი დიდი ყურადღება სასიძლერო ლიტერატურისადმი.

რა მდგომარეობაა დღეს ქართულ ესტრადაზე?

რა ტექსტებს მღერიან, და ვინ წერს მათ? პასუხისმგებლობით ვეკიდებით ამ საქმეს, თუ თვითდინებაზეა იგი მიშვებულნი?

თავში მოგახსენეთ, ქართული სიმღერის ტექსტრ დღევანდელ დღეს მთელი საუკუნით ჩამორჩება-მოქვითი.

ამ ნათქვამს საჭირო მტკიცებისა და საბუთის გარეშე არაფერს დაგვიჭერებს. ამიტომ ახლა გავარკვიოთ, მაქვს თუ არა უფლება ეს ვთქვა, და საიდან ვიცი, რომ ასეა!

„ყურანა“ „ცისკრის“ რედაქციის დავალებით თავებს მანძილზე ვეცნობოდი სიმღერის ტექსტებს თითქმის ყველა შემოქმედებით ორგანიზაციაში, სადაც მას ქმნიან და მღერიან: საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ხალხური შემოქმედების სახლში.

ქართული სიმღერის საქმეც ასეა დაახლოებით: ვინც არ უნდა დაწეროს სიმღერა, და სადაც არ უნდა დაიწეროს იგი, ხალხში გავსლის პასპორტს უმთავრესად ეს ორგანიზაციები იძლევიან.

ამათ გარეშე ყოველი სიმღერა ავტორის ერთუზიანობითა თუ აკრძელებს ცხოვრებას უღიმღამოდ, უკეთეს შემთხვევაში შემთხვევითან ერთად, მეგობრების წრეში წაილიდინებენ ხანდახან.

ამის მიუხედავად, ჩემს მიზანს არ შეადგენს ამ უწყებათა კრიტიკა, წერილში ყურადღება გამახვილდება მხოლოდ და მხოლოდ სასიძლერო ლიტერატურაზე, რომლის საერთო დონემ არ დაგვაკმაყოფილა.

ამიტომ საყვედური, რომლის გამოთქმისაგან, ეტყობა, თავს ვერ შევიკავებ, არა მარტო ამ ორგანიზაციათა მისამართით იქნება გაგზავნილი, არამედ, საზოგადოდ, ქართულ სიმღერასაც მთლიანად შეეხება!

საქმისთვის აჯობებს, ცალკეულ ავტორთა კონკრეტული ტექსტები თანდათან განვიხილოთ, ამასთან ერთად შევიცდებით ზოგადად შიუთითოთ სასიძლერო ლიტერატურის პრინციპულ ნაკლებანებებზე.

**ვინ წერს სიმღერის ტექსტს?**

1. მოყვარული მელექსენი, ანუ ლიტერატურისთვის შემთხვევითი ადამიანიც.

2. კომპოზიტორები, რომლებიც მუსიკისთვის თავადვე თხზავენ ტექსტს, ანდა სხვათა ნაწერების საკუთარ ინტერპრეტაციას მიმართავენ.

3. ისეთი პოეტები, რომელთაც პოეზიაში შეგირდობის ყავლი კარგახანია გავსლიათ, ოსტატები კი ვერ გამძაბრან.

4. სიმღერის ტექსტებს წერენ ნაფიცო პოეტებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათი გამოცდას იხსიან გარდა, ისინიც მდარე ლიტერატურულ პროდუქციას სთავაზობენ ქართულ ესტრადას.

ვიმეორებ, მე ამ წერილში მხოლოდ სასიძლერო ლიტერატურის ავტორებზე გავაძახებ ყურადღებას, მაგრამ მთლიანი წარმოდგენა რომ შეგვექმნას ქართულ საესტრადო სიმღერებზე, მკითხველებს რეგენი ცნობილი კომპოზიტორების აზრსაც მივაწვდი გზადავს.

**ანდრია ბალანჩიშვილი:** „...მიმაჩნია, რომ ჩვენში ჯერ ადრეა ლაპარაკი ესტრადაზე. ჩვენ მხოლოდ სიმღერები გვაქვს და არა გვაქვს ინსტრუმენტული საესტრადო მუსიკა. თვით შემსრულებლები ნიჭიერი ხალხია, ამ უნარში მომუშავე კარგი კომპოზიტორებიც გვეყვანან, მაგრამ ერთეულები. პროფესიონალები ცოტას წერენ და დიდტანტები (ისინი ბევრნი არიან) წერენ ტრაფარეტულად, ერთსა და იმავეს; რაც შეეხება ტექსტს, მიმართავენ ისინი ისეთ ტექსტს, რომელზედაც არც კარგი იოქმის და არც ავი და რატომღაც პოპულარობას პოვებენ მსმენელში. შეიძლება განვაცხადოთ: ამიერიდან არც ერთი ნაწარმოები არ მიიღება, თუ არ იქნა კომპოზიტორთა კავშირის ნებართვა, თუ იგი არ მოიწონა კავშირმა“.

მე არ ვპირებ ვედავო პატივცემულ კომპოზიტორს, რადგან მას, ანდრია ბალანჩიშვილს, კარვად მოეხსენება, რომ დღეს კომპოზიტორები მუსიკას წერენ ძალზე მდარე ლიტერატურულ ტექსტებზე, ისეთებზე, რომელთა გამო „კარგის თქმა“ მართლაც არ შეიძლება, ავისა კი — რამდენიც გნებავთ! კომპოზიტორმა ალექსანდრე ბუკიამ დაწერა მუსიკა ნ. მაღაზონიას ტექსტზე. სიმღერა მეჩაიეს ეძღვნება:

• შენ უკვე ხარ ჩაის მწკრივთან ხარობ მინი ბარაქით.  
**მანანანაძე ლაბინძვირთაძის,**  
**განა მარბო კალათი...**

და ეს ყველაფერი ყოჩად მეჩაიეს დიალუტენია მოუსწრია! იმ დრომდე, „როცა მთაში

**თამაზ წიფჩიშვიდი**  
 მეტი პასუხისმგებლობა!

სალამტრი სადილოს დასაბეგს, თორემ სა-  
ლამომდე ალბათ მატარებლის რამდენიმე შე-  
მადგენლობას დატვირთავს მოკრეფილი ჩაით!  
უნდა ვუთხრათ კომპოზიტორსა და ტექსტის  
ავტორს; თუ ჩაის კრეფაზე, ამ ძალზე მძიმე  
და შრომატევად სამუშაოზე, ასე გულუბრყ-  
ვილო წარმოდგენისა ვართ, ცუდად ყოფილა  
საქმე!

ამ „სიმღერით“ მეჩაიებს როდი „ვეშლე-  
რით“. თუ სიმართლე გინდათ, სასაცილო  
მღვთმარებლობაში ვიკვდებით თავს!

ყველგან ძალიან მომიწონეს და მიქვს კომ-  
პოზიტორი ოთარ თევდორაძის „სიმღერა ინგუ-  
რზე“. მუსიკის ტექსტი ბეტრე გრუზინსკის  
დაუწერია. ქართული ესტრადა ღიდადა დავე-  
ლებული სიმღერების ამ ნაცადი ოსტატით.  
მაგრამ ამჟერად საქმე კურიოზამდეა მისუ-  
ლი!

მთიდან მთაზე ისმის ხვალის ძახილი,  
**შუპი ნოღის, შუპი, ბნელის მახშილი,**  
მილულავს დაღლილ თვალებს  
ფერდაკარგული ღამე,  
შეშურდა ვარსკვლავს მოკამყამს.

მე, რა თქმა უნდა, შეშეშელო ამ ხმაურის  
გარეშე შეთქვა ბეტრე გრუზინსკისა და ოთარ  
თევდორაძისთვის, რომ „შუქი მოღის, შუქი,  
ბნელის მახვილი“, აზრობრივად საწინააღმდე-  
გოს გამოხატავს, ვიდრე იმას, რის თქმაც თავ-  
დაპირველად გვინდოდა. რომ შუქი ბნელის  
მახვილი კი არაა, არამედ სინათლის! და სა-  
მწუხაროა, ეს რომ ვერ შენიშნეს კომპოზი-  
ტორმა და ტექსტის ავტორმა.

მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს ამ შემ-  
თხვევაში:

სიმღერის ტექსტს, თავდაპირველად, ამო-  
წმებს და იწონებს სამხატვრო საბჭო. ემგებ-  
რეშეა, იქ სოლიდური და ავტორიტეტული  
პიროვნებანი სხედან. ყოველ შემთხვევაში,  
ასე უნდა იყოს! და სამწუხარო სწორედ ისაა,  
რომ ისინი რაღაც უკონტროლოდ ევიდებიან  
ამ საქმეში!

სხვა ახსნა ამ ფაქტისთვის ვერ მოგვიძებნია!  
ნათქვამს ერთი მავალითივე უნდა მოვყაყოლო:  
რაც თავი მახსოვს; საქართველოს რადიო  
ეთერში გადასცემს სიმღერას „რა ღამაში ხარ,  
ქალაუ“. ხალხური სიმღერა ვახლავთ. ყაზბეგის  
რადიოს თვითმოქმედი ანსამბლი ასრულებს  
აკაცი ურუშაძის ხელმძღვანელობით. მშვენიე-  
რი ხალხური მუსიკა! სიმღერის ტექსტს მი-  
ვაპყრობ თქვენს ყურადღებას.

**შპში: რა ღამაში ხარ, ქალაუ,  
ღერწმად აკრილი წელშია,  
ნეტავი ხელით შემახო.  
შენ რომ ვარდი ბაჟის მამარღვია.**

ცოტა უსწორო ფრაზაა, „შენ რომ ვარდი  
გაქვს მკერდშია“, მაგრამ ნუ მიაქცევთ ამას  
ყურადღებას, რადგან შეყვარებულნი ყველს  
ნათქვამია, და ისიც იმ დროს, როცა იგი ამ  
სიყვარულზე გოგონას სიტყვას გადუქრავს.  
ყური მიღვდეთ ქალის პასუხს. მართალია,  
მას სიყვარულზე ეს-ესაა მხოლოდ მიანიშნეს,  
მაგრამ იგი თურმე კარგახანია ელოდა გამო-  
ტყდომას და სრულიად შემზადებული შეხე-  
და ამ საპასუხისმგებლო წუთებს!

**ძალი: შენს იქით ვინარის იყოს  
ქალი, კაცო და ქვეყნა,  
ოღონდ კი შენთან მამყოფა  
თუ ბინად დავკვდ შენთანა.**

რა თქმა უნდა, სადავო აქ აზრის გამოხატვის  
ფორმაა, რომელიც გრამატიკული კანონების  
თვალსაზრისით აშკარად მოიკოტულებს. მაგ-  
რამ მიხვებდრი მაინც მიხვდება, რომ ქალი  
თანახმაა, თანაუტარძოს ვაჟს! ეს მისი უდი-  
დესი ნატურაც ყოფილა: „ოღონდ კი შენთან  
მამყოფა თუ ბინად დავკვდ შენთანა“. ვაჟი,  
ალბათ, გაერთო, რადგან მტყველობიდან გა-  
მორჩა გოგონას თანხმობა! ამას მომდევნო  
სტროფი გვაფიქრებინებს.

**შპში: ვარდი ხარ, ვარდი, ქალაუ,  
დამწყებინე გალობა,  
თუ ცოლად არ წამომყვები,  
დაიწვა შენი ქალობა.**

ნეტავ რა მოხდა აქ? რატომ გადაცეს სა-  
ბრალო ქალი ანათემას? რისთვის შეიქმნა  
საქირო საგანგებო ვაფრთხილება, „თუ ცო-  
ლად არ წამომყვები, დაიწვა შენი ქალო-  
ბა?“ ავი ვთქვამთ თავშივე უპასუხეს — „ოღონდ  
კი შენთან მამყოფა თუ ბინად დავკვდ შენთა-  
ნაო?“ იქნებ ამ ღამაზსა და ვარდივით ქალას  
საეშმაკო რამ უღვეს გულში? ეს კითხვები  
მართო მე გამიჩნდა, თორემ გოგონა, რაკი  
ღარწმუნდა, არ შენდობიანო, მეთოდურად  
ანვითარებს აზრს ცოლად გაყოლის მზად-  
ყოფნაზე!

**შენი ვარ, შენთვის მოკვდები,  
შენთვის ჩავიცვამ შავსაო,  
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,  
შემოგველები თავსაო.**

პირდაპირ საოცარია, მეტს რაღას ითხო-  
ვენ მისგან! საცხებთი ვრწმუნდებით, რომ  
ჩვენი გმირის თავს რაღაც უბედურებაა, ვერა  
და ვერ ირწმუნა სატრფოს თანხმობა! მსმენე-  
ლიც ერთ იმედზედაა, სიმღერაში მთელი გუნ-  
დი მონაწილეობს, იქნებ იმათგან როწყელიმე  
განმუხტოს შექმნილი უხერხული სიტუაცია.  
როგორც ჩანს, ჩვენს „ქალაუს“ ამის ბედი არ  
ქვინია!





გუნდები მთელი ხმით ვასძახის: „თუ ცოლად არ წამოყვები, დაიწვას შენი ქალობაო...“  
 ნუთუ გუნდის წევრებიდან არავის მიტუტია ყურა ქალის სასოებადელ მისული მოთქმისთვის: „შენი ვარ, შენთვის მოგკედლები, შენთვის ჩივიცვამ შევსაო, შენ შემოგწირავ სიაცობლეს, შემოგვევლები თვისაო?“ ამ განცხადების მერე იყო კი საჭირო ეს სიტყვები?! „თუ ცოლად არ წამოყვები, დაიწვას შენი ქალობა?!“

მე გულწრფელად მაინტერესებს, როცა ამ ტექსტს მღერიან, ერთმანეთს თუ მაინც უსმენენ მომდერალი ქალი და ვაჟი? ნამდვილად მჩიება შთაბეჭდილება, ქალ-ვაჟის სასიძღვრო ეპლეტები ცალ-ცალკე ჩაიწერეს ფირზე, მერე კი სახელდახელოდ, პაპირად დაამონტაჟეს!

თავს ნუ დავიმშვილებთ, რომ ეს სახელმართო სატრფიალო სიმღერაა! ჭერ ერთი, ამაზე არაფერს ეუბნებიან მსმენელებს. მეორეც, როცა ორი მხარე ხუმრობს, ისინი თანაბარ პირობებში უნდა ჩაეყენოთ, თორემ რა გაიშვია, თუ ერთი ხუმრობს და მეორეს ამ ხუმრობისა არა გაეგება რა.

მე ვრცლად შეეჩერდი ამ სიმღერაზე, როგორც უპასუხისმგებლობის და უკონტროლობის ნიშნულზე! და ეს საყვედური მართო თვით-მოქმედ ანსამბლს როდღაც ეკუთვნის. სიმღერა 1951 წელს ჩაუწერიათ და მას აქვთ შესაბამისი გულმოდგინებით და ინტენსივობით გადაცემა ეთერში!

და აი, ჩვენს საყვედურს გაუჩნდა მისამართი — საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი!

**ალექსანდრე მამბარაძე:** „მსუბუქი მუსიკა საჭიროა დიდ გზაზე გასასვლელი პატარა ბილიკით. მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა მსუბუქი მუსიკის ფარქვეშ არ ახმოვანდეს ხავევო მუსიკა. ჩვენს ესტრადაზე უმირად ეწევა ერთგვარი რეკლამა ასეთი მუსიკის ნიმუშებს. ასრულებენ მას დასაფორმებ ტექსტებზე დაწერილ ყურით მოთრეულ მელოდებებს, ახალგაზრდობა ეჩვენება მას და კარგავს დიდი მუსიკის გაგების უნარს. უფრო ვარკვევით — ხელი ეშლება ალტრადს. ამაზე დაფიქრება მართებთ საკონცერტო და თვით-მოქმედ ანსამბლებს, მათს ხელმძღვანელებს. „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, მაგალითად: მდარე მუსიკას სოავაზოს მსმენელს“...

ალვა ხარ თუ დაძვრული მინანქარი შვის ენება თუ მთაწმინდაზე კაკლის ჩერო, ვიცე, შენ ხარ დამღუბველი ჩემი ქარი, მაგრამ წამით მაინც მინდა შეგაჩერო: ყველ დილას ვხვდები შენი მოგონებით, ღამდება და შენზე ფიქრში მეძინება, საღ არიან თანღიზიანი გოგონებო,

**მარტო შენ ხარ, სულელივით მეცინება,**  
 რომ სამყარო ერთ ნაქუქში ჩაეცია,  
 ყველაფერი რომ მოთავსდა ნიჟარაში,  
 რომ შენს გარდა, ყველა ქალი ზედმეტია  
 ჩემი სულის ჩუქურთმიან ფანჯარაში.

ამ ტექსტზე შექმნილ სიმღერას „თბილისური სატრფიალო“ ჰქვია! ავტორი ბორის თბილელია. იგი კომპოზიტორია და ამდენად მე ვერ ვაპოვებდი ამ სტერეოტიპის მისი ტალანტის შემფასებლად. მაგრამ ის კი უნდა შევასხენოთ, რომ სიტყვის და მუსიკის გრძობა ერთი და იგივე არაა!

**ხალ არიან თბილისელი გოგონები,**  
**მარტო შენ ხარ, სულელივით მეცინება.**

აქ მკითხველს თუ მართლა ეცინება, უფრო სხვა რაშის გამო! აი, ძალიან სასაცილოა, მაგალითად, დღეს გოგონას ასე მივმართოთ: „ალვა ხარ თუ... მთაწმინდაზე კაკლის ჩერო“. ასე ხომ ასი წლის წინათ უმღეროდა ნეტარხსენებელი ლუარსაბ თათქარიძე თავის ღირსახსოვარ მეუღლეს, დარეჯანს:

**პაწაწინა ნიგვზის ტოტო!**  
**ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ**  
**ჩუპრი დარეჯანსა!**

ნუთუ ამას იქეთ ვერ წავსულვართ დღემდე? ნუთუ მაშინდელი „ნიგვზის ტოტიდან“ ახლანდელ „კაკლის ჩეროდან“ რომ მივსულიყავით, ამისთვის მართლა მთელი საუკუნე იყო საჭირო?

და ამას მე ვინმესთვის დიობის მოსაგვრელად რაღი ვამბობ!

დღეს ქართული საესტრადო სიმღერების 99 პროცენტი სატრფიალო ენარს განეკუთვნება. მე აქ დაუჭერებელს არაფერს ვამბობ, ეს ყველას მოეხსენება. მაგრამ ცოტა ვინმე თუ დაფიქრებულა იმაზე, როგორ მოძველდა ის შედარებები, მეტაფორები, სიმბოლოები, რომლებითაც მივმართავთ ძვირფას ადამიანს:

„სალამი ჩიტუნებო!“ „მოგიაღერებ ჩემო ჩიორა“; „დავლივარ, ნუშმა დახარა თავი“, „რა ლამაზი ვარდის შტო ხარ“, „ჩემო პატარა მერცხალო“, „თუაღებუფუფუნა მაისის ვარდო“, „პატარაო, უფროთ ჩიტი ხარ“, „სამოვნილა სულისა“, „გულთეთრა, გულწმინდა მერცხალო“, „შენს ესოში გადმორგული ბევიყო“, „მჩვენებები ახლა ანწლად“, „ჩემო უფუფუფო“, „ჩემო ყოჩივარდა“...

ახლა ვითხოვთ, მართლა ასე მიმართავდნენ ერთმანეთს ჩვენი შეყვარებული გოგონები

**თამაზ წიფჩიშვილი**  
**მეტი პაპუხისმგებლობა!**

ბეჭები? ხომ სასაცილოდ არ ვეყრავით ვოგონას, თუ გაგებდავთ და ვეტყვი:

„ჩემო ეზუნჯრუკო, ერთ რამეში მინდა გაგატყუო!“

ზემოთ დიდებული ილიას ლანდი შევაწუხებ მინდა, კიდევ მოვიტანო ადგილი იმავე მოთხრობიდან:

— „ეს არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა — მიატანა ღიმილითვე კნენიან.“

— ხომ გაგბტყუო, შენი კუქისა, სხვა რა გინდა.

— შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავა რა უნდა მინდოდეს სხვა.

— დარეჯანი... — უთხრა გულნატყვად და მორცხვითი ლუარსაბმა — დარეჯანი... თუ გიყვარდე, ტურფავს ნუ მტყუბ.

— რატომ შენი ქირიმე, რატომ?

— ჩემოდენა კაცს არ უხდება შენ გთყვანე; ტურფავს პატარა გოშისა ეძახიან, ემძაღლის სახელია, აბა, რა კაცის საკადრისია ემ სახელი?“

ღმერთო ჩემო, ამ ჩატბილებულ და ჩაშაქრულ მიმართვის ფორმებზე ვერც ჩვენი ლუარსაბი ყოფილა მაღალი აზრისა!

მას აქეთ ბევრმა წყაღმა ჩიარა, ბევრი რამ შეიცვალა. ასი წელი საქაო დროა იმისთვის, რამე რომ მოძველდეს. მასზე, ამ მოძველებულ ფორმებზე, უარის თქმა არ უნდა გაგვიპირდეს!

ახლა წმირად ვამბობთ, საქართველო მეღვინეობის კლასიკური ქვეყანააო. და ამას ისე გულმოდგინედ და ისე დაქინებით გავიძახებთ, რომ სრულიად მიგვაფიწყდა ადრინდელი, თითქმის დაკანონებული მცნება: საქართველო პოეზიის, ქვეყანაც რომაა!

ამ პოეზიის საფულოში ისეთ ტექსტებზე შექმნილ სიმღერებს ვისმენთ, სწორედ რომ სირცხვილია!

ეს საყვედური ჩვენმა მუსიკოსებმაც უნდა გაიზიარონ!

ღასანანი ისაა, რომ წმირად მუსიკისთვის სიტყვების დაწერას შემთხვევით პიროვნებებს ანდობენ.

აბა, ყურადღებით წაიკითხეთ ეს სტრიქონები:

...მპარლი იხმ აბჰსეზიბ, დავტყუობი

დემუ ხარ

სამი შვილი შენ გარული, სამი შვილი

მეცა მჰამს

რა იქნება, ახლა მაინც ვამიღიმე გეთაყვა.

გახსოვს ერთხელ იმერეთში, წყალწითლას

შახლობლად,

ჩქერში ჩადგმულ წისკვილებთან აღქაქი

რომ შეჩახლობდა.

გაზეწე და საყოცნელად არ მიმიმეცა აბლოხა.

ძნელი არის განახლება ხემაწვილის წყლულობისა; რა გავირდა ერთი კოცნა ბიჭის დაჩაგრულობისა; ახლა მაინც შეაკონინე, საყვარელს მტყურობისა! (ნოღარ ხუნწარია, „საყვარელო გულნა“).

სამი შვილის მამა ასე არ უნდა აცუნდრუკდეს! ვერც შვილებიანი ქალის ეტერხულღღემე ჩაყვრებას მოვეუწონებთ: აქტორს, და, სკოლოდოც, ცუდადა იმ აუდიტორიის გემოვნების საქმე, სადაც ეს სიმღერა მოეწონებო!

კარგ სიმღერას არ სჭირდება დამატებითი რეკომენდაციები, იგი გვეხმარება ვაყოთ ბედნიერნი. სიმღერა თან ახლავს აღმინას კირსა და ლხინში, ამასთან, დიდია მისი გავლენა ჩვენს ქცევაზე და აზრებზე.

სტ. ლსენვესკი („ლიტერატურნაი: გაზეტი“ № 24, 1973.). კარგად წერდა ამხუე: „ადგილი, რომელსაც სიმღერა იკავებს ხალხის ცხოვრებაში, გვაკვლავლებს ყურადღებით შევიწყოლოთ ყოველდღიური განვითარება ამ თანრისა, რომელიც ფლობს პოეზიისა და მუსიკის ხელისუფლებას“.

რასაკვირველია, ჩემთვის გასაგებია, რომ სიმღერის ტექსტი — თუთი სიმღერა არაა! შეგონამ რადგან სიმღერა არ არსებობს სიტყვების გარეშე, გამოდის, რომ სიმღერაში ტექსტი და მუსიკა თანაბრად უფლებამოსილნი არიან.

სულხან შინცაძე: „ძალიან ბევრის თქმა შეიძლება საესტრადო ხელოვნებაზე ეს ცალკე სტატიის თემაც უნდა იყოს გულისხმავი: ლით მინდა აღვნიშნო, რომ მხატვრულად დამალი დონის არა ერთა ნაწარმოებია იგი: დები ფებს ესტრადაზე. ისიც უნდა, რომ ზოგჯერ ნიჭიერი კომპოზიტორიც დალატობს თავის თავს, — მხედველობაში მყავს გიორგი ცაბაძე, რომლის ტალანტის თაყვანისცემელმაც გახლავართ — მას აქვს შეხანიშნავი საესტრადო ნაწარმოებები: „ლაღუ“, „აამ მთაზედა“ და სხვები, რომელთაც სიაზვნებით მოვაწერდა იელს. ამას ვერ ვიტყვი ამ ბოლო ხანს აზერბაიჯანულ უაიდაზე შექმნილ „მედიტაზე“. ისეთი კომპოზიტორისათვის, როგორც გიორგი ცაბაძე, ეს მიუტყვებლად მიმჩნია, ვიმეორებ — ამ თანრში ცოტანი არიან მისთანანი და მით უფრო დასანანი ეს ამბავი. მიმჩნია, რომ საქირთა თვითიული ახალი ნაწარმოების ერთგვარი კონტროლი, უფრო მეტი პროფესიული მუსიკოსების ჩარევა ამ კომულარულ თანრში... ჩემთვის გაუგებარია როცა ამბობენ — „მსუბუქი მუსიკა“. ძალიან ბევრი საესტრადო ნაწარმოებები ძნელად მოსახმენია თავისი „სიმძიმის“ გამო და პირიქით — ვთქვათ მოხტაკობის მცერტი სიმფონია სწორედ მსუბუქი, სახუმარო განწყობილებითაა აღსავსე“.

კომპოზიტორს არ მოსწონს გიორგი ცაბაძის „მედიტა“ („უქანასკნელი მეუღიტიონე“, თ. წ.).



როცა საქმე მუსიკას ეხება, მე მსაჯულის როლში სასაცილო ვიქნები, და არც ვეცდები მას. ალბათ სულხან ცინცაძე მართალია, როცა მუსიკას იწუნებს, ამ სიმღერის ტექსტი მორის ფოცხიშვილი ეყუთენის. ტექსტი ძალიან კარგია და კომპოზიტორის საყვედური მასზე არ გავრცელდება. მაგრამ გიორგი ცაბაძესთან სასაყვედურო მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს, სიმღერის ტექსტების არჩევის თაობაზე, მართლაც ბევრი გვაქვს. ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ მისი „მშობლიური მიწის“ მელოდია დიდებული რამაა! მას მთელი საქართველო მღერის, მაგრამ აქ ტექსტი (მ. კაპიტალაშვილის სიტყვები) ეფარება მელოდიას და ცოცხლობს მუსიკის ხარჭზე!

**ამ მაღლიან და დალოცვლად მიწაზე**  
ერთი წუთით არ ვყოფილვარ მერყევი .  
ცოცხალი ვარ შენი ტრფობით ვიწვები,  
მოკვდები და ფერფლად გადაგაყრები.  
ცოცხალი ვარ, ცოცხალი,  
შენი ტრფობით ვიწვები.  
მოკვდები და ფერფლად გადაგაყრები.  
ვინ დამჩრახავს სულით ცოცხე დადიანს  
არწივების საბუღარის მეხოტბეს,  
მე მომხედური ვერ მიხილავს დარდიანს,  
თუნდაც ტანჯვა და წამება მელოდეს.

მამ ასე:  
**მი მომხედური ვერ მიხილავს დარდიანს,**  
**თუნდაც ტანჯვა და წამება მელოდეს.**

თუკი მომხედურმა და გადამთიელმა ვაჟაკობა შეგიგინა, საქმე სატანჯველად და საწამებლად გავიხადე, უნდა დავდარდიანდეთ კიდევ და გულთანაც უნდა მივიტანოთ! სამარცხეიხოს ის უფრო იქნება; ამ ტრავადლის შემდეგ მტერს რომ მხიარული ვეჩვენოთ! ასეთ დროს უდარდელად კოფნა, მე რომ მკითხოთ, უხერხულიც კია!

ესტრადის უპირველესი დანიშნულებაა აუმალოს გემოვნება მსმენელს! ჩვენ კი, უნებლიეთ, საწინააღმდეგოს ვაკეთებთ.

ნიკოლოზ არუშიძე ჩვენი საესტრადო სიმღერების თითქმის პიონერია. ბევრი კარგი ლექსიც დაუწერია. ცნობილი კომპოზიტორებს შეუქმნიათ მათზე სიმღერები. მაგრამ სიმღერის ტექსტის ფრაგმენტი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ჩვენგან შექმნილ მისეულ სტრიქონების ნამდვილად არ განეკუთვნება. იგი სხვა რამის გამო უნდა მოვიტანო:

.. ლამაზ შუბლზე ჩამოყრილი ზღვის  
ტალღება ქოჩორია,  
შემხედავს და ავთროთოდები, როგორც  
ვერხვის ფოთლია.  
ყვავილების სურნელებად დილის ნიავს  
მოაქოლია  
ნახეთ ზალხო, ნახეთ ერთი როგორია,  
როგორია...

(„ერთი ბიჭის გამოხედვა“).

მოწონებულ ბიჭზე ვერას მოვახსენებთ როგორია, ლექსზე კი პირდაპირ ვიტყვი — დღევანდელი ვერაფერი შეილია!

ახლანდელ ვთქვი, ეს სტრიქონები სხვა რამის გამო შეირღება. მეოქი. ლექსის ქვემოთ საგანგებო მინაწერებია: „განხილულია და მოწონებულია ხალხური შემოქმედების სახლის მიერ“. ეს ოფიციალური ბეჭდიდან დაუმოწმებიათ. ახეივ მოქცეულა კულტურის სამინისტროც! „აღნიშნულ ტექსტზე ვერ მუსიკას. გ. ცაბაძე“.

ძალიან ცუდ დღეში აღმოვინდი, ღმერთმანი! ყველა გზა მომიტრეს: ლექსი მოსწონს კულტურის სამინისტროს! სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო საპკოს! ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლს! ცნობილ კომპოზიტორს!

მაგრამ ამ შემთხვევაში არც ამ უწყებათა ავტორიტეტი იქმარებს საიმისოდ, რომ უკან წავიღო ჩემი სიტყვა: ლექსი, რომელიც ყველას მოწონებია, მე უნდა დავიწუნო!

ამის საშუალებას კი ეს რედაქტორი ორგანიზაციები და სამინისტრო არ უნდა მაძლევდეს!

სასაცილოა ვამტკიცოთ, თითქმის ქართულ ესტრადაზე არ სრულდებოდეს კარგი სიმღერები. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს ჩინებული სიმღერები, მაგრამ ისინი ძალზე ცოტაა! ხოლო ასეთები, ვასტანგ კუციას ტექსტზე რომ მუსიკა მ. მონაშერიძეს დაუწერია, — რამდენიც გინდათ!

აღერსით თავს გვევლებოდი მშის სხივო  
დილისა  
შენს სახელს გულში ვნატრობდი, ჩემო  
ვაჟო სიზმრისა.  
დალბენა არ მიფიქრია, არც მითხოვნა რა  
სულ სიყვარული მინდოდა მე საოკონია  
სულისა.  
შენ, სიხარული, ოცნებები მხარე,  
ერთხელ მახილე სიყვარულის წამება  
გაქრა ბავშვობის წლებში,  
გვიყდის წინ დიდი გზა.  
საუტუნოდ მე შემოგაკვლე  
საოცებო გულისა.

(„საოცებო გულისა“).

მართალი გიოხრათ, გული დამწყდა, ამ ტექსტზე შექმნილი მუსიკა არ მომისმენია, მინტერესებდა კი. რადგან „ლექსი“, რომლის წაითხება ვერ მოგვიხერხებია, როგორღა იმღერებდა?!

„არ არის ადვილი საესტრადო სიმღერების დაწერა. დაწერო მწარე სიტყვები სიმღერის მისამართით, არც ეს არის ადვილი. მაგრამ უამისობაც არ იქნება იმიტომ, რომ ჩვენ უველას გვაწუხებს, გვაძლევებს საპკოთა ესტრადის ხვალინდელი დღე“.

**თამაზ წიფჩივაძე**  
მეტი პასუხისმგებლობა!



მე ხავსებით ვეოანხმები ამ სტრიქონების ავტორს ბულატ ოუჭავას.

„ლიტერატურაია გაზეთი“, № 25, 1978) ამ წერილიმ უკრადანალება სხვა გარემოებაც, კერძოდ ეს კითხვებზე:

1. „შეიძლება თუ არა ვლანძლოთ ადამიანი, რომელიც მხურვალედ, ნებისყოფის დაძაბვით ემსახურება სიმღერის შექმნას?“

2. და: „თუ ისინი მსხვერპლი ხდებიან, მაშინ ვინ არიან ბოროტები?“

„ღამნაშავეთა“ მისამართიც გარკვეულია! „ესენი პირველ რიგში ნიჭიერი კომპოზიტორები“, — წერს ოუჭავა, — „უფრო სწორედ, ისინი გულგრილნი არიან, რის გამოც მათთვის ლექსი ძირითადი როლია, სამწუხაროა სიმღერისთვის ამგვარი დახმარება. ისინი აღმართუბენ თავიანთ მულოდებებს, და სწუხან, რომ არ შეიძლება დაწერო სიმღერა ტექსტის გარეშე, და გათამამებულები ირჩევენ ლექსს (ზარისხხ უკრადლებას არ აქცევენ), მათთვის მთავარია არ ჩაიხშოს მულოლია“.

სამწუხაროდ, ეს აზრი ქართველ კომპოზიტორებზეც ვრცელდება.

ვერავინ დამაჯერებს, რუსთაველის, ბარათაშვილის, ჯეჯას, ილიას, აკაკის, გლაკტიონის ქვეყანაში, სადაც დღესაც ჩვენი დიდებული პოეტები მოღვაწეობენ, რაიმე აუცილებლობით იყოს გამოწვეული სიმღერების შექმნა ასეთ ტექსტებზე:

„დამშვენდნენ ჩვენი დღეები ცხოვრებით  
კმაყოფილითა,  
ხარობს ქვეყანა ივსება პურით, ღვინით და ხილითა  
მომავალს ვუცქერთ იმედით გწამს აღარ გავვირდებო“.

(„ღიად ებოქას ვუმღეროთ“, გრ. ცეცხლაძე).

„რა არის ქვეყნად მთავარი (სულ),  
ყველაფერზე მთავარი  
— გიყვარდეს ჩვენი ქვეყანა ეს ლამაზი მთაბარი  
ამას გვთხოვს იავნანური, ჩვენი დიდი მამული,  
მამების ნაშაგარი, ჩვენი ენა და ანბანი.

სიმღერა ია-ვარდული, საღამური (და) ფანდური მიწა და ზეცა ქართული ვაზი  
სიმგადახლართული“.

(„რა არის ქვეყნად მთავარი“, ნუნუ კერესელიძე).

„დაიხურა წლების ფარდა და სცენაზე  
მარტო ვარ,  
მან სიმღერის მანგის გარდა არაფერი დატოვა.  
მგარამ როცა სიმღერაა, მესმის ფერგადასული  
მაგონდება წარსული...“

(„მოგონება“, ტექსტი ბადრი კობახიძისა, მუსიკა გია ყაწჩელისა).

„შემოდგი ფეხი ახლო წელით,  
მეკვლიდ გაგვიხდი სვებედნიერი.  
შემოიტანე უხვი ბარაქა,  
ვარსკვლავზე შეტად ამრავლე ერი.  
ერი პურადი, ერი გულადი,  
ნიმინიბამით მინე დანიშნოს.  
მამ დაგვებუდე დიდი საქმენით,  
შემოდგი ფეხი ახლო წელით“.

(„სახალწლო“, მუს. ო. თევდორაძის, ტექსტი ს. ლაფაურის).

„გაშლილან საოცნებო ვარდები  
და დილაც დღისის ფერია.  
მოფრინდნენ, ნაწი, სიცოცხლის მერცხლები  
და თითქოს სიყვარულის მღერიაან.  
მზე მიციინს, მიხარია, წინ ლურჯთვალა ქედებია  
სიშპარპულში მარსკვლავებში არც მიწაზე  
ბარდებიან...“

(„საოცნებო ვარდები“ — ლექსი ა. შანიძის, მუსიკა ალ. ბუქიასი).

„ერთხელ, ვიხილე ბაღში ყვავილი  
მქცნარი უხულო გავსილი ხილით  
შენგნით უმიწნით ის მოწვევითილი  
გადაგდებულე იქვე სიცილით“.

(„ერთხელ ვიხილე“, ლექსი კ. ერისთავისა: ხალხური. მუსიკა დამუშ. ვ. კურტიდის მიერ)

„შულაშაგზე გიფინება მფუხრი,  
როგორც ტკბილი მოგონების ჩრდილი,  
მამი, ჩემო საყვარელო მამი,  
შენზე ფიქრით დაქანცულა შეილი“.

(„მამა“, ავთანდილ სვანიძე).

„ნუ გამირბიხარ, ნუ, ჩემო, კარგო  
გულს ენატრება დიმილი შენი,  
თვალბეჭუქუნა მაისის ვარდო  
მიოდი გიმღერო ზულაშულის ენით“.

(„მიოდი გიმღერო“, შოთა ამირანაშვილი).  
(მკითხველი უნდა გაავფრთხილო, რომ სტილი და პუნქტუაცია მოტანილი ტექსტებისა ყველგან დაცულია. თ. წ.)

სულბან ნსნიძე: „როგორია დღევანდელი ესტრადა და როგორი უნდა იყოს იგი? ისე როგორც ხელოვნების ყველა დარგი, საესტრადო ხელოვნებაც წითიხოვს ნათელ შემოქმედებით ინდივიდუალობას, მაღალ პროფესიონიზმსა და გემოვნებას. სამწუხაროდ, დღეს ქართული ესტრადა ამ მოთხოვნებებს ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს, ამის მიზეზი კი ის არის, რომ ხშირად მოყვარულები მისდევენ ამ საქმეს. მუსიკა და სიტყვა... ამის შესახებ ბევრი თქმულა, დაწერილა და საკამათო თითქოს აღარაფერია, მაგრამ თუ დღეს ქართველ კომპოზიტორთა მთელ რიგ კარგ ვოკალურ ნაწარმოებებში მაინც ხშირად ვხვდებით მდარე პოეზიის ნიმუშებს, ეს კომპოზიტორთა დაუდევრობის



და დაბალი მოთხოვნები ბრალია. და არც იმგვითა ისეთი სამწუხარო შემთხვევები, როდესაც მაღალი პოეზიის ნიმუშები სრულიად შეუფერებელ, დაბალი გემოვნების მუსიკალურ ქარგში მოქცევა ზოლში“.

ერთ სამწუხარო ფაქტზე მინდა ვიამბოთ. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამხატვრო საბჭოს მიერ მოწონებული და დაწუნებული სიმღერების ტექსტების გაცნობის დროს წავაწყდი ტიციან ტაბიძის ლექსს „ცისფერი სიმღერა“. გთავაზობთ მას:

ნუ მოხვალ ახლო, იყავი შორი,  
სიშორის ორმოს ავაგებთ სევდით,  
მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორი,  
ქვეყნის დასასრულს ორნი შევხვდებით.  
სად შემიყვარდა, რად შემიყვარდა?  
მე არ ვკითხულობ, არც მსურს გაგება,  
შენ გაუშლელი ტანჯვის ხარ ვარდი,  
და ჩემი სული ეკლად დაგება.

„ორბირის ფშანზე გაზრდილ ბიჭს“ ბედისწყრის მსახვრალმა ხელმა აქაც უწია! ლექსისთვის გულდამშვიდებით, აუთრთოლებლად შემდეგი მიუწერიათ: „ჩემი აზრით ამ ლექსის ამაჟამად სასიძღვრო ტექსტად გამოყენება მიზანუწონელია. ა. კობერიძე 1/II-78 წ.“

კარგი რა, თქვე კაი ხალხო! მერედა „ამჟამად“ რა განსაკუთრებული მდგომარეობაა საიმიხოდ, რომ ამ შეენიერ ლექსს უარი ეთქვას!

აბა, ავღვეთ ახლა და ვიმღეროთ, რაკი არავინ გვიშლის, ასეთი სტრიქონები:

წყალში ბატი, იხვი, თევზი  
რა ლამაზი გნოლებია,  
რა ლამაზი ფრინველია  
ყველა ჩემი მგონებია.  
ჩემისთანა მონადირე  
ჭერ არ გამოიგონებია...

ახლა მკითხველს განვუმარტოთ, რატომ დაიწუნეს ტიციან ტაბიძის ლექსი.

აქ, ზემოთ ნახსენებ უწყებაში, ვილაცის სურვილით თუ მოთხოვნით ტაბუ დაუღვიათ და მოქალაქეობრივი უფლება წაურთმევიით შემდეგი სიტყვებისთვის: ღმერთო, უფალი, ტკივილი, ცრემლი, სევდა, ტანჯვა, გლოვა... ამით შეიკერ უფრო საზეიმო სიტყვებს არჩევენ!

ამის თქმას საბუთი უნდა! ვისაც ხელი მიუწვდება, გადაათვალიეროს სამხატვრო საბჭოს მიერ მიღებული ტექსტები და იქ აღმოაჩინოს ფერადი ფანქრით სიტყვების ძველ გაღებულ ხაზებს, რაც იმის დასტურია,

რომ ლექსში ეს სიტყვები აუცილებლად უნდა გასწორდეს!

ტიციან ტაბიძის ლირიკულ ლექსში კი ნონგაგრეშე გამოცხადებული სიტყვები კარგა ბლომადაა: „სიშორის ორმოს ავაგებთ სევდით“, „მთელ ქვეყანაზე მარტო ვართ ორი, ქვეყნის დასასრულს ორნი შევხვდებით“, და ამ სიმღერის სხვაანაირი ბედი, რაკი სამხატვრო საბჭოს მუშაობის სტილი ციციო, ნამდვილად გავციკვირდებოდა!

სიტყვათა ამნაირი ათვალწუნება დიდი უღიერობაა! სულ სხვა საქმეა, როცა თავს ძალს ვატანთ და სიტყვებს გულდაგულ ვეძებთ, ისეთანიარად ვსვამთ კონტექსტში, რომ იქ სხვას, უკეთესს, ვერ ინატრებ! თორემ ხელაღებით, ყოველგვარი ფიქრის გარეშე ნახშიარი სიტყვები (საილუსტრაციო მავალითებს ქვემოთ გთავაზობთ), ვერაფერი საქმეა.

**ჩემი სოფლის გოგონები,  
სიყვარულში მხნეები**

(ნ. ხუნწარია)

თუ გოგონებს მეტი დამსახურება არ მიუძღვით სოფლის, ერის და ქვეყნის წინაშე იმის გარდა, რომ სიყვარულში არიან მხნეები, მაშინ მაინცდამაინც სახარბულოდ არ ყოფილა საქმე!

**მასხი მალამოვ ტუჩოთა ლაღები**

(მ. ამირანაშვილი).

მალამოს ათასი კარგი თვისება აქვს, მაგრამ სასამელად ყოვლად გამოუსადეგარია!

**გაქრა ბავშვობის წლები**

(ვ. კუცია).

ერი პურადი, ერი გულადი,  
ნიშინარბით ვინ დაიწუნოს.

(ს. ლაფაური).

დღისით მზე მწვავდა თაკარა  
ლეგა ღრუბლების ნაღბში

(ქ. ნიქაბაძე).

მე სიავნებოდ შევაჩერე ყურადღება სიტყვის უადგილო ხმარებაზე, მაგრამ კიდევ უფრო სავალალოა აზრები, რომლებიც ამ უადგილოდ ნახშიარი სიტყვებითაა ზოგჯერ გადმოცემული.

**ფეხმოტეხილი ძალი სჯობს  
უშვილო ცოლის ყოლასა.**

თამაზ წინჭინბაძე  
მბტი პასუხისმგებლობა!

ახლა ძნელი დასადგენია, ვის მოუვიდა პირველად აზრად, ეს „სიმღერა“ მთელი საქართველოს გასაგონად გადაეცა. რატომ არ დაფიქრებულან, ამით რამდენი ქალი იგარძნობდა დაუშასბურებელ შეურაცხყოფას? უბატყვემულობას? ნუთუ არ იციან, რომ ქვეყანაზე იშვიათია ქალი, დედობა არ ენატროს? და თუ განგებას ნებობთ, ესენი ვერასდროს ეღივრებიან ამ ბედნიერებას, ამისთვის სახალხოდ უნდა დაეცინოთ მათ?

დასანანი უტაქტობა!

ბოლო დროს ქართულ კინოფილმებში და ესტრადებზე ერთი განსაკუთრებული ხასიათის სიმღერები მომრავლდა. მე მათ, პირობითად, „დარგობრივ სიმღერებს“ დავაქმევ, რადგან თემატურად ძალზე გამოკვეთილი არიან და ცხოვრების რომელიმე ერთ დარგს გულისხმობენ მხოლოდ. ასეთებია: „სიმღერა თბილისის მერტოზე“ (ტექსტი ლ. ქუბაბაძისი, მუსიკა შ. მილორაძისი), „სიმღერა ჩაის მკრეფავზე“ (ნ. მაღაზონიას ტექსტი, მუსიკა ა. ბუკიასი), „რკინიგზელის სიმღერა“ (ბ. გრუზინსკის ტექსტი, მუსიკა გ. ცაბაძისი, კინოფილმიდან: „მოიტაცეს თამარ-ქალი“), „სიმღერა ელნათურებზე“ (ელ. დიდიმამიშვილის ტექსტი) და ბევრი სხვა.

ეს სიმღერები საჭიროა, როგორც ცდა ლირიკული ტექსტების მოსაწყენი კამერულობიდან თავის დაღწევისა. მაგრამ ენახოთ ახლა, როგორია მათი ხარისხი?

... თბილისში მერტო ამუშავდა. ეს ყველა ჭარბეულისთვის ღირსასხოვარი მოუღენია!

დღეს პირველად მესმა შენი ხმა,  
თბილისური მიწაც შეირხა  
სიხარულის ძალით,  
გრილით და ზარით,  
ჩემი მიწის მერცხალო,  
ვით ეს გული დღავს,  
შენს მგზავრებსაც ყველას  
ისე ეხაროს!..

და აი, ქართული სიმღერის ავტორებმა ახალი შესაძლებლობა აღმოაჩინეს! ჯერ კიდევ არ დამცხარალა საუბარი მიწისზედა მერცხლებზე და უკვე მიწისქვეშაც გავიჩინეთ ასეთი ფრთოსნები. გოგონებს გულისხმობენ! ნუ შეგვევიწყნდებ: ცისიერი კუდაკები არ დაგვივიწყებია: „მოვფრინავ და მომაქვს ჩემი ფეჭრები, ორი წუთის შემდეგ მასთან ვიქნები!“

მრცხვენია, როცა წარმოვიდგენ „მიწის მერცხალებ“ გადამჯდარ ლირიკულ გმირს, რომელიც ცისიერი მერცხლისავენ მიისწრათის!

მოვქრა როგორც ისარი  
როგორც სხივი მზის დარი!

დარგობრივი სიმღერების ტექსტის შექმნა შედარებით ადვილია. ცოტაოდენ ხელის გაწაფვა და... თუ ფოსტალიონზე ვსაუბრობთ, იგი

ხომ: „რა ხანია წერილების ჩანთას... სურველილით კარ-კარ დაატარებს“. მესასწავლეს ვუწოდებ? აი, სტრიქონები: „ყველა ქვეყანაზე ბუმჩი დათვლილი გვაქვს ათასჯერ, ჩვენი სახელგის დამრღვეველი სიკვდილს ვერსად გადაჩენს“. მასწავლებელს სხვანაირი ტექსტი მრუბდება: „შუბვედროსის ჩვენი გულის გამხარებელი სანიმუშო დისკობლინის მატარებელი...“ ვის არ ყავდა ვის არ ახსოვს მასწავლებელი! (ამ სიმღერაზე უფრო ვრცლად სხვა დროს შევჩერდებით). სულ ახლახან კი მივიღეთ კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის „რკინიგზელის სიმღერა“, პეტრე გრუზინსკის ტექსტზე:

სადგურ-სადგურ დადივარ და  
გულით სევდას დავატარებ,  
გულით სევდას დავატარებ, ვაი...  
ვეზრთიხილდები ყველა პანფიკს  
ნიავსაც კი არ ვაკარებ, ოი...

ახლა ენახოთ, როცა საესტრადო სიმღერის ტექსტებს წერენ ცნობილი პოეტები!

„ტალანტის მქონე პოეტებიც კი... დატყვევებული წარმატებისაგან, ან რაღაც მიზეზთა გამო, დალატობენ თავიანთ ტალანტს და აცხოვრებენ „ტექსტებს“ უამრავი რაოდენობით ყველა კომპოზიტორისთვის, წერენ სხვადასხვა გემოვნების ტექსტებს და ბოროტად იყენებენ საკუთარ სახელებს“ (ბ. ოყუაჯა, „ლიტერატურაშია გაზეთა“, № 25, 1973).

ქართულ ესტრადაზე ასეა? ენახოთ:

ნიკოლოზ ჩაჩაბა, „შენზე ნათქვამი“:  
ეს ჩემი დარდი სულ შენთვის არის,  
სულ შენთვის არის ეს გახლებაც.  
გულსაც ხომ შენით გაუჩნდა ბრანჯი,  
მარ დაბივიწყას ჩემს ხელეგაც.

...

ეს ჩემი დარდი სულ შენგან არის,  
გულსაც ხომ შენით გაუჩნდა ბრანჯი,

პატყვემული პოეტი, სხვა დროს, თავიდაც ოსტატურად დასხმია თავს სასიმღერო ლიტერატურაში შემთხვევით ბედისმამიებელთ. ამ შემთხვევაში კი, სამწუხაროდ, უგულისყურობა მისსავე-სტრიქონებს ეტყობა. „ეს ჩემი დარდი სულ შენგან არის“, — გასაგებია. მაგრამ, როცა ლირიკული გმირი გოგონას უთვლის თუ მიმართავს: — ეს ჩემი დარდი სულ შენთვის არის, სულ შენთვის არის ეს გახლებაც — მოსაწონი არაა.

ილია ხოშტარია:

...წმინდა, როგორც კაცის სიმართლე,  
მშობლიურ მხარის მთები, გორები,  
სადაც პირველად ვნახე სინათლე,  
იმ მიწას გრძნობით ვეამბოვები.

(„ქუთაისის დილა“).

ამირან აბშილაძე:

... გოჭისციხე... გოჭისციხე...

სისხლისა და ცრემლის ტბარი...

ბძ მედმა ღაწმებს იმავს —  
დაუჯარავს იაზონი.

ქართველი პოეტებიდან ჩვენი ესტრადისთვის, ჭერ-ჭერობით, ყველაზე დიდი სამასხური მოზრის ფოცხიშვილს აქვს გაწვეული.

მე მისი მშვენიერი პოეზიის თაყვანისმცემელიც ვარ, მაგრამ უმადურობა იქნებოდა არ გვეთქვა, რომ პოეტის ნიჭი ამ სფეროში გამორჩეულია!

დიდი ბედნიერებაა, შენს ლექსებს მთელი საქართველო მღეროდეს! მან ეს დაიმსახურა. მაგრამ ვისთვისაც ღმერთს მეტი მიუნიჭებია, მისგან მეტსაც მოითხოვე!

და სამწუხაროდ, შოროს იმდენი დამკვეთი გაუჩნდა მუსიკალურ სამყაროში, ისე ზშირად და ისე ბევრი მიმართავს თხოვნით: „დაგვეწერე მუსიკის ტექსტი“, რომ პირდაპირ ხათაბა-ლაში ჩაეარდება კაცი!

აქ, და სწორედ აქ იყო საჭირო დიდი სიფრთხილე, გაგვეძლო ცთუნებისთვის.

**„სიმღერა შარანელ გომონაზე“**

ტექსტი მ. ფოცხიშვილის  
მუსიკა რ. ქარუნიშვილის

შენი სიცილი, შენი სიმღერა,  
ჩემს სულში ახლაც შუქად იღვრება.

დაპქრიან გზა-გზა ლურჯი ნისლეები  
აა ქნა, ნისლეში შენ მესიზმრები.

შენ მელანდები, ამაყო, მწველო  
ლამაზო ქალო, უკრაინელო!

მზედ მევლინები და არ მიქრები,  
რატომღაც მჭერა ერთად ვიქნებით,

კვლავ შეხვედრების რეკენ ზარები,  
გულს გეფიცები სულ მეყვარები!

მე კითხვა დამებოდა: რატომ არის ეს სიმღერა მაინცდამაინც უკრაინელ ქალზე?

ოთარ გორდელი: „დედვანდელი მსოფლიო

საესტრადო მუსიკა გამოირჩევა მნიშვნელოვანი უანრული და მხატვრული მრავალფეროვნებით... გარკვეული მიღწევები ამ მხრივ ქართველ კომპოზიტორებსაც გვაქვს, მაგრამ ბოლო დროს ჩვენში მომრავლდა ლირიკული-ინტიმური ხასიათის საკმაოდ ერთფეროვანი, ერთმანეთის მსგავსი სიმღერები. ცოტა იწერება საესტრადო-ინსტრუმენტული და საცეკვაო მუსიკა, ჩვენს საესტრადო მუსიკას აქლია იუმორი, მხიარული განწყობილება, აქლია თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის შრომისა და დასვენების ამსახველი მხნე, ვაჟაკური რიტმები!

შესანიშნავადაა თქმული: „სიმღერიდან სიტყვებს ვერ ამოგადებ!“ სავსებით ვეთანხმები

ამ დებულებას. მიმაჩნია, რომ პოეტი და კომპოზიტორი, დიაბატურგი და კომპოზიტორი, ეს არის მტკიცე, ერთ იდეურ მხატვრულ მსოფიცობზე მდგარი კოლექტივი, აქ ორივე მხარე შემოქმედებითად სწორუფლებიანია. მაგრამ ზოგჯერ მაინც მახსენდება მოცარტის ფრთხიანი გამოთქმა — „იქ, სადაც მთავრდება სიტყვები — „იწყება მუსიკა!“

სწორია ოთარ გორდელი, როცა ამბობს, რომ ბოლო დროს ჩვენში მომრავლდა ლირიკული-ინტიმური ხასიათის საკმაოდ ერთფეროვანი, ერთმანეთის მსგავსი სიმღერები. მე აქამდე, დაახლოებით მაინც, შეეცადე წარმოდგენა შემექმნა მკითხველისთვის, თუ რა მდგომარეობაშია ლირიკული-ინტიმური სიმღერების ტექსტების საქმე ქართულ ესტრადაზე. არ ვიცი, სამართლიანად თუ უსამართლოდ, მაგრამ დიდი ნაწილი დავიწყენეთ. ახლა უნდა ვთქვა, რომ მაინც ამ უანრში ჩვენი ესტრადის მიღწევები ეიფელის კოშკი იმასთან შედარებით, რაც თანამედროვე ადამიანის შრომისა და დასვენების ამსახველი მხნე, ვაჟაკური რიტმების“ შექმნისთვის კეთდება! მსგავსი უგემოვნობა და გუნუიოხაობა ძნელი წარმოსადგენიც არის! სულერთია, ვინ წერს აქ ტექსტს, შელექსენი თუ ნაფიცი პოეტები, ისინი, მეტნაკლებად, მაინც სავსებით უფერულნი არიან! ზშირად უანრონიცი! მათ პრიმიტიულობასა და გულუბრყვილობას ნულარ იკითხავთ!

...ამდებებულან ველები ჩემი ლამაზი მთება,  
დიდი კაშხალის შენებით ხარობენ შრომის ძმები  
მორევს ტალღები მოსტაცეს მთაზე აზიდეს

ლაღად,  
ბრძოლის ღა შრომის ოსტატებს რიოდ  
სჩამვიათ დაღლა.

(ე. დიდიშანიშვილი, „სიმღერა ელნათურებზე“).

... კომუნისტურ შრომის მძლე და  
სასახელო ბრიგადად,

დაიდ საქმეს შეეჭიდე,  
თვალი ელვას გიზავდა

(„შრომის ახალი ზენიმი“,  
ტექსტი შ. ამირანაშვილის,  
მუსიკა შ. მილორავესის).

... როცა მთაში სალამური სადილაოხ დასძახებს,  
შენ უკვე ხარ ჩაის მწკრივთან, ხარობ მისი

ბარაქით,  
მანძანები დაბიბირთავს, განა მარტო  
ბალატი...

(„სიმღერა ჩაის მკრეფაზე“,  
ტექსტი ნ. მაღაზონიას,  
მუსიკა ა. ბუკიასა).

თამაზ წიგვიძამძე  
მიბი პასუხისმგებლობა!

... დღეს თავის შრომით ამაყობს გამარჯვლი მუშა კოვკელი, საპატიო სახელი დამკვერელი სტახანოვილი ვშრომობთ და ვიცით შეჭიბრი ზეიმით დაგვირგვინდება, დიად ეპოქას ვუმღერით სიმღერა არ მოგვწყენდება...

(გრ. ცეცხლაძე, „დიად ეპოქას ვუმღერით“).

მე მგონია, სადღესოდ აუცილებელია სერიოზული, საქმიანი საუბარი ამდაგვარ ტექსტებზე, რადგან მათზე შეთხზული სიმღერებით აივსო ეთერი და სასიმილო კრებულები.

„ძალიან ძნელია გასარჩევად საზეიმო, სადღესასწაულო, პათეტური სიმღერები — სიტყვები ამ სიმღერებისა „იმდენად მართალია“, შეიძლება ისინი გადავიტანოთ გაზეთის მოწინავეში (ან შეიძლება ისინი სულაც იქედან არიან ამოკრებილი). მათში გამოზატულია აზრი ჩვენთვის: ძვირფასია, ერთგულია, უღალატაო. მაგრამ ეს სიმღერისთვის ცოტა არ არის?“ (ალ. მიხაილოვი, „ლიტერატურაია გაზეთი“, № 19, 1978 წ.).

მართლაც რომ ცოტაა! მაგრამ მთელი უბედურება აქ მხოლოდ პოეზიის ნაკლებობა როდია! შორეულ ტალღებში მოსტაცეს მთაზე აზიდეს ლაღად, ბრძოლის და შრომის ოსტატებს როდი ხსენებია დაღლა“. ავღკეთ და ვიდავით ახლა, რომ ეს მართალი არ არის და გულბრყვილობაა? „ბრძოლის და შრომის ოსტატებიც“ ხომ ჩვენნაირი ადამიანები არიან? და ნუთუ მათთვის უცხოა დალილობა — ადამიანის ბუნებრივი თვისება? მაშ, პარტია და ხელი-სუფლება ტყუილბრალოდ ირყება, მუდამ რომ ცდილობს, მეტი თავისუფალი და დასვენების დრო გამოიზახოს მათთვის? მაშ, რა საჭირო ყოფილა კვირაში ორი დასვენების დღის შემოღება, სამუშაო საათების შემცირება?

აი, სანამდე შეიძლება მიგვიყვანოს გადაკარბებულმა, არაფრისმაქნისმა პათეტურობამ!

რა კარგად, რა ადამიანურად უთხრა ამის თაობაზე მწერლებს ფაბრიკა „კრწანისის“ ბრძოლითა მარინე აბულაძემ: „მუშა კაცს აქვს თავისი განსხვავებული ფსიქოლოგია, თავისი განსხვავებული ცხოვრება — განსხვავებული და ხშირად მეტად მწვავე პრობლემებით... ზოგჯერ ამ მართლაც რთულ და სინტერესო ცხოვრებას ისე წარმოგვიდგენენ ხოლმე, რომ ფიქრობ, ნეტა არ დაწერილიყო ეს სიტყვები და ის ფურცლები, სადაც ჩანს, რა პრიმიტიული წარმოდგენა ჰქონიათ შენზე. მოვიყვან მაგალიტყ ერთ მოთხრობაში მუშათა ცხოვრებაზე

ლაპარაკი... ავტორს რომ საკმაოდ პრიმიტიული წარმოდგენა აქვს მუშა კაცზე, მისივე დარწმუნდებით... მუშა „დილით გღგუნი“ მუშაო ხალხი ჩაიცვა — ბავშვობაში ნაც-ნებარი“ — რა არის ეს. ცუდად ნიჭებში ფრ-ზა თუ ღარიბი აზრი? მე მგონი ერთიც და მეორეც: შემდეგი ციტატა ალბათ დაგარწმუნებთ ჩემი აზრის სისწორეში. სიტუაცია ასეთია: შვილი ეკითხება დედას თავის თავზე, — „შენ ხომ გიყვარს გურამი? — მიყვარს. — ჰოდა, ისე მიყვარს მე ფაბრიკა“. ყალბია ეს ეპიზოდი. ყალბია ეს სიტყვები“.

ყველაფერი, რის ნათლად თქმაც მე გერ მოეხებრებ, ასე დალაგებით, ასე კვიანურად გავვაგებინა მუშა გოგონამ!

ახლა გულზე ხელი დავიდვათ და ვთქვათ: როცა მუშა ლიტერატურის ნიუანსებში ასე გათვითცნობიერებულა, მაგალიტყ, იმავე მარინე აბულაძის ბრიგადის წევრები, დაგვიჩვენებენ კი, რომ ვეუბნებით, „ბრძოლის და შრომის ოსტატებს როდი ჩვენია დაღლა?“

ან ამას:

კომუნისტურ შრომის მძლე და სახანგლო ბრიგადავ, დიად საქმეს შეექიდე, თვალი ელვას გიგავდა?

ან კი, რომელ ჭეენვანს უნახავს, დილაუთენიაზე მეჩაიე ქალს იმდენი ფოთოლი მოეკრფოს, რომ ასე გვეთქვა: „მაქანები დაგიტვირთავს განა მარტო კალათი?“

დღეს ასეთი გულიანარევი ქათინური არავის სჭირდება! აი, რისი თქმა მიწოდდა!

დაბოლოს კიდევ ერთ ნაკლებ.

ალბათ შეგიმჩნევიათ: მეტწილ ქართულ საესტრადო სიმღერებს სუფრზე დაქცეული ღვინის სუნი ასდის!

სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად: ღვინო, დუღუყი, ქალები, ღვინოს ვსვამ, დუღუყს ვამღერებ, ქალებო გენაცვალებით...

მე არ მაგონდება ახლა, სად და როდის თქვეს ეს სტრიქონები პირველად, მგონი, აღმოსავლურ მოტივზე შექმნილი ბიათი ფურთა, ანდა ამის დაგვარი რაღაც! მაგრამ. ბოლოდროინდელი ჩვენი სიმღერები, რატომღაც, ამ ხაზს აგრძელებენ!

„თვალს ჩავუტრავ, მერჩიოფე ადგება“, „დღელი და ადგვრდი გადმოდო, ვენაცვალე, ვინც ბოლომდე დაღია“ „დოქის ტუჩი მირჩენია ქალისას, ეს ცხოვრება ღვინომ გაახლიბა, ყველა ბრძენზე მეტი გქვა ჰქონია, ვისაც რომა ღვინო მოუყვონია“ „ქალო შენი ტუჩები ამ





კახურის ფერია“: „მამ დავლით, სულ დავლით, დავლით, ეს ცხოვრება ღოთობაში გავლით“, „ღვინოს დავლევ, წყალს არა, შენ გაცოცებ, სხვას არა, ახანდალი დანდალი, ჩემი თქალს შანდალი...“ „წინათ მათრობდენ შენი თვლები, დღეს კი იცოდევ ღვინომ დამათრო“, „ცარიელი ქაწი რათ მინდა“, „თუ სიკვდილი მიწერია ამ ხალაშოს, მერქიფევ, მირჩვენია მოკვდე მთვრალი“...

ვიმაროთ!.. ამ სტრუქტურების ცოდნით, მალეობა ღმერთს და ჩვენს კომპოზიტორებს, ერთმანეთს ვერ გავაკვირებთ!

დღესას გაცოცხლოთ ყველა! ოღონდ ნუ გვკნებიათ, რომ სიკვდილის ტრაგედიას ღვინომ რითიმე უსაშველოს! ეს ილუზიაა, ძალზე გულბრახვილი თანაც. ღოთი კაცის გასაპართლებლად მოგონილი, მგონი, მათ მიერვე!

**გურჯაანო, შენ კახეთის გული ხარ, ღათრობი და მუდამ მხიარული ხარ!**

მთლიანად აღებულ ქალაქს ამაზე „კარგად“ თავს ვერკრის მოჭრიდა! არადა გურჯაანს, მერომ ვიცო, ქართველი ერის წინაშე უფრო სხვაწიერი დამსახურება აქვს — ჩინებული!

**გაუმარჯოს პავლესა, დასახამს და დაღვესა!** ღვინის დასხმა და დაღვევა ჩვენმა წინაპრებმა რომ იცოდნენ, ისე უნდოდათ მაგრამ არსად გამოგონია, ამით თავი მოეწონებინათ!

ჩემს ფოლკლორულ განათლებას ვერ ვენდობი მინცადამაინც, მაგრამ ამ საქმისათვის თავდადაკლულ პირთ ჰკითხეთ, თუ გაიხსენებენ ქართული ზეპირსიტყვიერებიდან მავალითებს, ღოთობასა და თავაშვებული ღვინის კულტის შექმნას რომ ემსახურებოდეს!

არა და არა! მოვიგონათ ჩვენი სუფრული სიმღერები, ღვინის დღისათვის სახელდახელოდ შექმნილი! მერედა, სად არის იქ ღვინის სმის განდიდება? არსად, არც ერთ შემთხვევაში!

„შენ ხარ ვენახი!“ — მღეროდა ქართველ ხალხი! არ იყო ეს სიმღერა ვაზზე!

დღეს საწინააღმდეგო აზრი არ დავაკანონოთ დარწმუნებული ვარ, უცხოელს, ვისაც ენის უცოდინარობა ხელს არ შეუშლიდა და გაცნობოდა დღევანდელ ქართულ საესტრადო სიმღერებს, ასეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ეს ხალხი ღვინის სმას ვადაწყობლიათ.

ღმერთმა ხომ იცის, რომ ასე არაა! და სამწუხაროა, ჩვენდა უნებლიეთ ძალიან რომ ვედილობთ, სხვას ასერგიად ვეწვევით!

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაყუყებლობის სახელმწიფო კომიტეტში სიმღერის ტექსტებზე მუშაობის ღრის შემთხვევა მომე-

ცა გავცნობოდი სოფელ კვალითის თვითმომქმედი გუნდის სასიმღერო რეპერტუარს. ეს სიმღერები სახელმწიფო კომიტეტსთვის ამ გუნდის ხელმძღვანელ იოველ კუბატაძეს გამოუგზავნია

ცუღადაა საქმე, მეგობრებო, თუ ჩვენს რაიონებში ასეთ კომიტეტებს მღერიათ!

„მუსიკა და ტექსტი იოველ კუბატაძისა“ — აწერია ერთ მათგანს. ალბათ ღარტო ღმერთმა თუ იცის, საიდან მოგროვდა ეს, ერთმანეთს მიყოლებული, ნაცნობი და უცნობი სტრუქტურები! ტექსტი ნ. გუნცაძისა კი უნდა გავაცნოთ:

**შეხვედრისას ჩვენი გულის გამახარებელი სანიშნულო დისციპლინის მტარებელი წყვლიადიდან ნათელი გზის მარჯვენებელი, ვის არ ყავდა ვის არ ახსოვს მასწავლებელი...**

აქ შეეწყვიტოთ, ამის გაგრძელება აღარ შეიძლება!

აი, რა „შემოქმედებითად“ მიდგომიან „იოველ და მინი მისნი“ ხალხურ ტექსტს:

სახუმარო — ბებია  
ხალხური  
ჩარიამა ბებია  
**ჩინციღ და დინიშოჩი გაპალირვილდაჩი.**  
**შარ-შარული წინცხა ბაითითრა ყავაჩი...**

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა გუნებაზე დამაყენებდა ამ სიმღერების გაცნობა. ყოველი წაკითხული ტექსტის შემდეგ განაწყენებას ვერ ვმალავდი... და აი, კვალითელმა ამხანაგებმა, მათად უნებლიეთ, ერთი დიდებული იმერული თინი მომიწყვეს! უნებლიეთ მიტომ, რომ ასინი ხომ ვერ წარმოიდგენენ, თუ მათ გამოგზავნილ სიმღერების ტექსტებს სიგანგებოდ შეამოწმებდნენ! გადაფურცლე ბოლო გვერდი და... წავიკითხეთ: „**მრავალჟამიერ — უბამსტო...**“

ესეც შენ! გამეღიმა უნებურად, რას აგვიკითტებია ეს ტექსტები, ვისაც რა მოსწონს და რაც უხარია, იმას მღერის! წადი და არკვეო ახლა, უტექსტო მრავალჟამიერს როგორ აგუგუნებენ სოფელ კვალითში!

არ ვიცო, მოიწონა თუ არა ტელევიზიისა და რადიოს სამხატვრო საბჭომ ეს სიმღერები. მაგრამ ის, რაც ვიცო და არასწორად მიმანია, აუცილებლად უნდა ვუთხრა მათ!

ტელევიზიის მუსიკალურ გადაცემათა რედაქ-

**თამაზ წიციანიძე**  
**მიმბი პასუხისმგებლობა!**



ციას ვიზოვე, გაეცნო ჩვენთვის სიმღერების ტექსტები, რომელთაც ისინი ტელემყურებელს სთავაზობენ. არ გვაქვსო, გვითხრეს. ტელევიზიის ეკრანით მაყურებელს მხოლოდ ესტრადებსა და კლუბებში აწ შესრულებულ სიმღერებს გადავცემთ. რაკი ეს სიმღერები ერთხელ ვიზირებულია, ჩვენგან რაღა შემოწმება ესაქიროებაო.

არ არის სწორი პრაქტიკა! კლუბი და ესტრადა, რა დიდ აუდიტორიასაც უნდა მოიცავდეს, მთელი საქართველო არაა! შეიძლება მე-აბრეშუმეთა კლუბში ადგილობრივი ძალებით გაიპართონ კონცერტი, ანდა იქვე მოისმინონ რამელიმე კომპოზიტორის სიმღერა. მაგრამ ეს კონცერტი, თუნდაც ძალზე საინტერესო, ან კიდევ კომპოზიტორის იგივე სიმღერა, რაკი

ტელევიზიით გადაიცემა, მსმენელად შექმნილი ქართველ ხალხს გულისხმობს. ამიტომ უნდა ლებლად მკაცრად უნდა გაისინჯოს და ხელახლა შემოწმდეს. ამით თავიდან ავიცილებთ, რამდენადმე მაინც, კურორთულსა და სავალალო შემთხვევებს — მათზე კი ამ წერილში ბევრი ვილაპარაკეთ...

მე არ განმიზრახავს, და არც შემეძლო დაწერილებით შევებოდი ყველაფერს სასიმღერო ლიტერატურის სფეროში. დავეჭრდი იმას, რომ შეძლებისაგვარად ნათელმეყო მხოლოდ ისეთი რამ, რაც აშკარად უმართებულოდ მომეჩვენა და, მგონი, არავის არ მოეწონებოდა, თუკი დრო და სურვილი ექნებოდა, ჩემსავით მოეჩხრიკა ეს უბანი!



## ლილაკა ალიკვა

# საზერბაიჯანელი პოეტები ქართულად

მომე რესპუბლიკების მწერალთა შემოქმედების გაცნობისა და ხალხთა დაახლოების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ თარგმანს: ამით ერთი ერის წარმომადგენლები ეცნობიან მეორის ცხოვრებას, ყოფას, ზნე-ჩვეულებებს.

რა თქმა უნდა, ერთი ენიდან მეორეზე უნდა ითარგმნოს შერჩეული ლიტერატურა, რომ ერთი ერის შემოქმედებითი მიღწევები, მისი ეროვნული თავისებურებანი ცნობილი გახდეს მეორე ერისათვის, რამაც თავისთავად უნდა განპირობოს ამ უკანასკნელის მხატვრული ლიტერატურის გამდიდრება და არა პირიქით.

ასეთ კეთილსინდისიერად შერჩეულ ნაწარმოებებზე უნდა მივიჩნიოთ ქართულად ამტკველებულ აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტების ლექსებს, რომლის შემდგენელი და მთარგმნელი გახლავთ პოეტი ლეილა ერაქე.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ მწერალთა პლენუმებზე და შემდეგაც ბევრი რამ ითქვა მხატვრული თარგმანის როლის თაობაზე მოძმე ერების დაახლოების, სოციალისტურ კულტურათა ურთიერთგაგუნდვის საქმეში. თარგმანი, როგორც დამაკავშირებელი ხიდი სხვადასხვა ეროვნებათა შორის, მთელ საბჭოთა ხალხს აერთიანებს.

ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვხვდებით მთარგმნელებს, რომლებიც უშუალოდ ორიგინალიდან თარგმნიან. ამასთან ისინი არ კმაყოფილდებიან მხოლოდ ენის ცოდნით, არამედ სწავლობენ ერის ისტორიას, ეროვნულ თავისებურებებს, მწერლებთან ახლო მეგობრულ-შემოქმედებით ურთიერთობაში იმყოფებიან.

ორიგინალიდან თარგმანის ერთ-ერთი აღიარებული შემოქმედია ლეილა ერაქე. იმისათვის, რომ გულგულად შეირის გავეყოლე გზები და ბილიკები, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის ლექსები, საკმარისი არ არის მხოლოდ პოეტური ნიჭი, არამედ საჭიროა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობაც, ვინაიდან მხატვრული თარგმანი არის უდიდესი შემოქმედებითი მეგობრობის აქტი, რომელიც წარმოთმობს და ამტკიცებს ღრმა ურთიერთგაგებას.

ჩვენი მთარგმნელი სიყვარულით არჩევს ლექსებს, კარგად გრძნობს ორიგინალის სულს, ხასიათს და ხელახლა ქმნის ამ ლექსებს ქართულად. მან მრავალი წელიწადი მოახმარა მხატვრული თარგმანის კეთილშობილურ და სპასუხისმგებლო ხელოვნებას. მის თარგმანებში ვერ იპოვით გულგრილ და „გაუთლელ“ სტრიქონს. იგი ყოველი ლექსისათვის პოულობს სწორ ტონს, ცოცხალ, ბუნებრივ ინტონაციას, რიტმს, ზუსტ სიტყვებს, გამეორებებს, ამასთან ყოველთვის იცავს ორიგინალის განწყობილებას, არომატს. ქართული მკითხველი ალბათ ენდობა ასეთ კატეგორიულ განცხადებას, რადგან მე თბილისში დავიბადე და გავიზარდე და ქართული ენა ჩემთვის მეორე მშობლიური ენაა.

ლეილა ერაქე უნივერსიტეტის წლებიდანვე გულმოდგინედ დაეწაფა თურქულ და აზერბაიჯანული ენების შესწავლას. იგი განსაკუთრებით გაიტაცა დიდი ტრადიციების მქონე აზერბაიჯანულმა პოეზიამ. მისი პირველი პოეტური თარგმანი გამოქვეყნდა 1955 წელს. ეს იყო აზერბაიჯანული საბჭოთა პოეზიის კლასიკოსის სამედ ვურდუნის ლექსი „მუღანელი ქალიშვილი“. მას შემდეგ ლ. ერაქე იღვწის ამ კეთილშობილურ სარბიელზე და ქართველ



მკითხველს სისტემატურად აცნობს აზერბაიჯანულ პოეტურ, პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებებს. ქართველმა მკითხველმა მის მიერ თარგმნილი წიგნებით ფართოდ გაიცნო სამედ ვურლუნის, სულეიმან რუსთამის, ნაბი ხაზრისა და სხვათა ლექსები, ქალიშვილ მამედ-გულუ ზადეს, ილიას ეფენდიევის, ჰასან სეიდბეგლის, ისა ჰუსეინოვისა და სხვათა პროზაული ნაწარმოებები.

ლ. ვერაძის უთუოდ დიდი შემოქმედებითა გამარჯვება ამას წინათ გამოხული აზერბაიჯანელი პოეტების ლექსთა მოზრდილი კრებული. წიგნში შეტანილია თერთმეტი აზერბაიჯანელი საბჭოთა პოეტის — სამედ ვურლუნის, სულეიმან რუსთამის, მამედ რაჰიმის, რასულ რხას, ოსმან სარიევის, აჰმედ გაჰიმის, შირვარის დილბაზის, ნიგარ რაფიბეგლის, ნაბი ბაზრის, ბაჰთიარ ვაჰაბზადეს და ვასუჰ გუსეზადეს ლექსები. წიგნის წინასიტყვაობა წარუძმდვარა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ქემალ თალიზადემ. ავტორი წინასიტყვაობაში მოკლედ ახასიათებს მრავალსაუკუნოვან აზერბაიჯანულ პოეზიას, მის მხატვრულ დონეს, ფორმათა მრავალფეროვნებას, იდეურ სიღრმეს. ხაზს უსვამს აზერბაიჯანული პოეზიის ძირითად თვისებას — პატრიოტიზმს, ხალხურობას, პარტიულობას, ხალხთა მეგობრობას, თანამედროვე საკაცობრივ იდეალებს და ქართველ მკითხველს უამბობს, რომ აზერბაიჯანულ პოეზიაში ასახვა ჰქონდა ხალხის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, მისმა ბრძოლამ, ზნე-ჩვეულებებმა და ტრადიციებმა, ზნეობრივმა სიმდიდრემ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ლიტერატურა არის მთელი აზერბაიჯანის ხალხის ყოფის მხატვრული ასახვა. მოკლე დახასიათების შემდეგ ქ. თალიზადე მკითხველებს აცნობს კრებულში შესულ ლექსთა ავტორებს.

წიგნი იხსნება აზერბაიჯანული საბჭოთა პოეზიის კლასიკოსის სამედ ვურლუნის ლექსებით: „არ მეჩქარება“, „ოქტომბერი“, „მიწის წყურვილი“ (თარგმანი — „თეთმფრინავი“) და სხვ.

ვერ ვიტყვით, რომ მთარგმნელს სამედ ვურლუნის ყველა საუკეთესო ლექსი შეეტანოს ამ კრებულში, ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ ეს ლექსებიც გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ქართველ მკითხველს დიდ შემოქმედზე. აღსანიშნავია, რომ ლექსი „არ მეჩქარება“ ვურლუნის ერთ-ერთი უკანასკნელი ლექსთაგანია. იგი სიცოცხლის, სიყვარულის საგალობელი ჰქმნია და პოეტის დიდ ემოციურ ძალას გავრავლებს. მთარგმნელის სასახლოდ უნდა იქნას, რომ ეს ლექსი ისეა გადმოღებული, რომ არც რიტმია დაკარგული, არც პოეტურობა, არც ის დიდი სულიერ მღვლელობა,

რაც თავიდან ბოლომდე, არც ერთ სტრიქონში არ დალატობს ჩანაფიქრს:

გაგრძელდეს ასე! ეს სიცოცხლე რარიგად  
მატკობს,  
არ დაუბეროს უცაბედად დროთა ქარებში.  
მთის კალთაზე ვართ, წყაროს წყნარი  
რაკრაკი გვართობს,  
მე ახლა არსად, არც ერთ მხარეს არ  
მეჩქარება!..

კრებულში შესულია მეორე სახალხო პოეტის სულეიმან რუსთამის ლექსები. ამ პოეტის შემოქმედება აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა თბილისში და არა ერთი და ორი შესანიშნავი ლექსი უძღვნა საქართველოს და ქართველ ხალხს. კრებულში შეტანილია ს. რუსთამის ლექსები „საქართველოს“ ციციდან: „ქართველ ქალს“, „ვეამბოროები შენს მიწას“, „ტიციან ტაბიძეს“, „თბილისო“.

მიუვარს შენი ზვრები და  
ცად აწვილი ვორები,  
აუვავებულ გურჯისტანს  
გულით ვეამბოროები!

ამბობს პოეტი და ექვემდებარება მისი აღტაცება და სიყვარული ქართული მიწისადმი, მისი სიხარული ქართველი კაცის ნახვითა და დაახლოებით გამოწვევით. ს. რუსთამი მეგობარი პოეტის ტიციან ტაბიძის პორტრეტს ისე ხატავს, რომ მკითხველი ადვილად მიხვდება „მისი სული ვისთან ჰპოვებდა სიმშვიდეს.“

წითელ მიხაკს იბნევდა,  
ღიშს აფრქვევდა უზვადა,  
საქართველო უყვარდა,  
საქართველოს უყვარდა.

რასულ რზა და მამედ რაჰიმი — ორივე საბჭოთა აზერბაიჯანული პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენელია. მათი შემოქმედება კრებულში ათ-ათი ლექსით არის წარმოდგენილი. კითხულობთ ამ ოთხი სახალხო პოეტის — ს. ვურლუნის, ს. რუსთამის, რ. რზასა და მ. რაჰიმის ლექსებს და ვერ გრძნობთ მთარგმნელის ერთ ზელწერას, ერთ განწყობილებას. მათში ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვნებათა ლეღვას, ემოციასა და გარდასახვას განიცდით. მთარგმნელს ყოველი ლექსისათვის ორიგინალის სუნთქვა გამოუტანებია. მაკავითად, მამედ რაჰიმის ლექსი „შენი თუაღვი“ განსხვავდება ყველა დანარჩენთაგან თავისი რიტმით, ინტონაციით, აღმოსავლური ლექსისათვის დამახასიათებელი ელვადობით:



გაღმა ბილიკზე მიგოვმანობ ტანის რხევითა,  
 შეუ არ მიყურებ, გულმოკლული დავალ  
 შენითა,  
 ვისმა თვალებმა შემომინთო გულზე  
 ალღები? —  
 შენმა თვალებმა, მე შენს თვალებს  
 ვენაცავლები

ოსმან სარიველი და აჰმედ ჯამილი. უფრო-  
 სი თაობის საბჭოთა პოეტები გახლავთ. საბ-  
 ჭოთა წყობილების დამყარების პირველი  
 დღეებიდანვე გაისმა მათი ომსიანი ხმა და  
 ყველა თაობის მკითხველი დღემდე დიდი ინ-  
 ტერესით კითხულობს მათი შემოქმედების  
 საუკეთესო ნიმუშებს. კრებულში შესულია  
 ო. სარიველის ორი ვრცელი ლექსი, ა. ჯამი-  
 ლისა კი — ოთხი. სასურველი იყო ორივე ნი-  
 კიერი პოეტი უფრო ფართოდ ყოფილიყო წარ-  
 მოდგენილი, რადგან ქართულად მათი ლექსე-  
 ბის კრებული ჭერჭერობით არ არის. მაგრამ  
 რაც შეეხება თარგმნის ხარისხს, ლექსები საუ-  
 კეთესოდ არის თარგმნილი, უადრესად ადექ-  
 ვატურია და მაღალმხატვრული. ა. ჯამილის  
 ლექსი „ბუბია, მიაბე ზღაპარი“, რომელიც  
 დიდი სამამულო ომის წლებში საბრძოლო  
 ჰიმნივით გაისმოდა, ისეა თარგმნილი, რომ ამ  
 დიდი ზემოქმედების ძალას გაგრძნობინებთ:

**მწვიდობა იყოს**  
 და თეთრ ბატკნებს დავკლავთ მაშინვე,  
 მე აივანზე ჰრეკლ ხალიჩებს გამოვფენ  
 ლხენით.  
 იყოს სტუმარი,  
 ჩვენ მომსვლელი ვერ შეგვაშინებს,  
 დაე, იხილონ დროსტარება და ლხინი ჩვენის  
 მე სუფრას გავშლი,  
 მე იმნაირ პურ-მარღოს გავშლი,  
 ყველას უყვირდეს...  
 გააჩქელდება ლხინი კვირამდე,  
 და პაპაშენიც ხაზს დაუტრავს უთუოდ მაშინ,  
 აი, მაშინ კი მოგიყვები ზღაპრებს დიღამდე..

კრებულში ორი გამოჩენილი პოეტი ქალის  
 ლექსებია შესული და სრულიად დამახტურე-  
 ბულადაც: ესენი არიან მირეაზიდ დიღბაზი  
 და ნიგია რაფიბელი. მ. დიღბაზის ლექსს  
 „ორმოცი წლის ვარ“ ორიგინალში ჰქვია „ჩემს  
 მკითხველებს“. მაგრამ მთარგმნელს ვერ ვუ-  
 საყვედურებთ სათაურის შეცვლას, პარიკით,  
 „ორმოცი წლის ვარ“ უფრო მეტად ესადაგება  
 ამ შესანიშნავ ლექსის შინაარსს. მით უფრო,  
 რომ რამდენიმე სტროფში ეს სიტყვები მეორ-  
 დება:

მეგონა: ორმოცს მივადწევ თუკი,  
 დამხებურება ყველა კარები,  
 გამცირდება თვალებში შეუქი,  
 აღარ ვიქნები სათაყვანები.

მინდა გულახდილი ვიყო: ეს ლექსი საუკე-  
 თესო ლირიკული ლექსია პოეტი ქალის შე-  
 მოქმედებაში, მაგრამ რატომღაც თარგმანში  
 უფრო მოიგო მან, რაღაც ახალი სურნელმა  
 დაემატა, ახალი ნოტები და ფერები შესქინა  
 მთარგმნელმა და იგი თარგმნის კი არა  
 ორიგინალურის შთაბეჭდილებას უფრო სტო-  
 ეებს.

ლეილა ერაძეს მისთვის დამახასიათებელი  
 ოსტატობით უთარგმნია ნ. რაფიბელის ლექ-  
 სებიც და მათ შორის „ბაირამი“. აქაც მთარგ-  
 მნელს უსათაურო ლექსისათვის დაუტრქმევია  
 „ბაირამი“, ანუ დღესასწაული.

**მე შენი მოხვლა მირჩენია**  
 ლხინს და ბაირამს,  
 შენთან შეხვედრა უფრო დიდი ბაირამია,  
 მე შენს მოსვლაზე  
 დაუყრავდი თარს და დაირას,  
 შენთან შეხვედრა უფრო დიდი ბაირამია.

ლ. ერაძეს ბაბთარ ვაბაზაძეს ლირიკის თა-  
 ვისებურება ქართველი მკითხველისათვის შე-  
 მოქმედებითად მიუწოდებია. ჭერ კიდევ გა-  
 ზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა მისმა  
 ლექსმა „მამულიშვილი“ მკითხველთა დიდი  
 გამოხმაურება გამოიწვია. ამაში აქტორთან ერ-  
 თად მთარგმნელსაც მიუძღვის წვლილი:

**სამშობლო მიყვარს! —**  
 ასე რომ ამბობ,  
 ნეტავ რას ჰფიქრობ,  
 ან რა გგონია,  
 უსამშობლოოდ, უსიყვარულოდ  
 განა სიცოცხლე გაგაგონია?  
 ნუთუ ამისთვის ქებას მოითხოვ,  
 ნუთუ ამისთვის ჩილდოს მოელი.  
 შენ რაც გავქვს:  
 გული, სისხლი, გონება  
 სამშობლომ შენმა მოგცა ყოველი.

რაც შეეხება ნაბი ხაზრის, მას ქართველი  
 მკითხველი კარგად იცნობს ლ. ერაძის მიერ  
 თარგმნილ და ცალკე გამოქვეყნებული ლექს-  
 თა კრებულში. წელს ნ. ხაზრის ლექსებისა და  
 პოემების ორი კრებული სახელმწიფო პრემია-  
 ზეა წარდგენილი. ამიტომ მის შემოქმედებას  
 მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით  
 ხვდება. იგი უმღერის ხალხთა მეგობრობას,  
 აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ოდიოზან  
 მომდინარე ძმობას. ნ. ხაზრის „ქართველ  
 ძმებს“ დიდი პოპულარობით სარგებლობს  
 აზერბაიჯანელ მკითხველთა შორის. ლეილა  
 ერაძის თარგმანით შეიყვარა იგი ქართველმა  
 მკითხველმაც:

**დიღარა ალიყვბა**  
 აზირბაიჯანელი კომედიე ქართულად

ქართველო ხალხო, ოდითგანვე ძმობა გვაქვს  
თქვენთან,  
ქართველო ძმებო, სიყვარულით გიცქერდით  
მუღამ,  
ჩვენს მეგობრობას მეზობლობა სინათლეს  
ჰფენდა,  
მტრობა და შური იმთავითვე ორივეს  
გვაჭულდა.

კრებულში მეთერთმეტე პოეტად წარმოდ-  
გენილია გასიმ გასიმზადე, როგორც კრიტიკო-  
სი ქ. თალიზადე აღნიშნავს, „გ. გასიმზადეს  
ლექსები ცოცხალი, სასაუბრო ენით არის და-  
წერილი და ბუნებრიობითა და პარამონიული  
ფერადობით გამოირჩევა. პოეტის გრძნობები,  
ემოციები უერთდება გონების მოთხოვნებს.  
ეს ერთიანობა მის შემოქმედებას იდეურ ძა-  
ლას მატებს. „მისი ლექსები სიმღერებადაა  
ქცეული. „უარი“ მრავალი წლის განმავლო-  
ბაში აზერბაიჯანელთა საყვარელ სიმღერად  
რჩება. მთარგმნელმა ამ ლექსს, ისე როგორც  
სხვა დანარჩენს, შეუნარჩუნა ორიგინალის  
რიტმი და ცოცხალი ხალხური კილო.

სამედ ვურდუნ თარგმნის ავჯარგიანობაზე  
მსჯელობის დროს მიუთითებდა, რომ მთარგმ-  
ნელთა ორი კატეგორია არსებობს: ერთნი  
ცდილობენ ზუსტად გადაიღონ ორიგინალი,  
მეორენი კი, ამ საქმეს შემოქმედებითად უღ-  
გებინანო. სამედ ვურდუნ მეორე კატეგორიის  
მთარგმნელებს ანიჭებდა უპირატესობას. მათ  
რიცხვში კი ამ კრებულის მთარგმნელი პოეტი  
ლეილა ერაქე საპატიო ადგილს დაიკავებს. მის  
თარგმანებში წინა პლანზე იწევს პატრიოტიზ-

მის გრძნობაც, მშობლიური ქვეყნის სიყვარუ-  
ლიც, პოეტის ლირიზმიც, მისი სულიერ  
წყობილებაც. ეს ყოველივე კი იმასთან არის  
დაკავშირებული, რომ ლ. ერაქე აზერბაიჯან-  
ულ ლიტერატურას კითხულობს ორიგინალ-  
ში, კარგად გრძნობს და განიცდის ყოველ  
სტრიქონს, სახეს, ნიუანსს, ახლოს იცნობს  
აზერბაიჯანელ პოეტთა შემოქმედებით თავი-  
სებურებებს. ამიტომაც, რომ ლ. ერაქემ კრე-  
ბულში წარმოდგენილ პოეტებს ყველას შეუ-  
ნარჩუნა თავისი ინდივიდუალობა, პოეტური  
ხაზი და გამოხატვის საშუალებები.

ქართველი მკითხველი ეცნობა „აზერბაიჯან-  
ელ პოეტებს“ და ამ პოეტთა ღრმა ლირიზმს,  
მათ ფილოსოფიურ-პუბლიცისტურ აზროვნე-  
ბას, სიყვარულსა და მღელვარებას. მთარგმ-  
ნელმა ყოველ ლექსს თავისი ფორმა და ფერა  
მოუძებნა და ქართულად გადმოსცა პატრიო-  
ტიზმის, ხალხთა მეგობრობის, ინტერნაციონა-  
ლიზმის იდეით ნასულდგმულევი აზერბაიჯანუ-  
ლი ნაწარმოებები. ხოლო თუკი სადმე ლექსს  
სათაური შეუცვალა, ან ერთი სახე მეორით  
შეცვალა, რომელიმე აზრი წინ წამოსწია ან  
მიჩქმალა, ესეც სათარგმნი პოეტისა და ქარ-  
თველი მკითხველის სიყვარულის გამო, რომ  
ესა თუ ის გამოთქმა უფრო ძლიერად აუღერე-  
ბულიყო ორიგინალის სასარგებლოდ.

თუ ლეილა ერაქეს ვკითხავთ, როგორი ლექ-  
სი იზიდავს სათარგმნად, გვიასუხებთ, რომ ის  
ლექსი, რომელიც უფრო ახლოა მის პოეტურ  
ბუნებასთან, რომელიც უფრო მოხედება გულ-  
ზე ქართველ მკითხველს.



საქართველოს საბჭოთა მთავრობის  
გამომცემი ცენტრი

## იზოლდა ქაფიაშვილი

# ქეთევან დედოფალი

ძველ ხელნაწერებს უხვად შემოუნახავეთ ცნობები ქართველი ქალების ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ. როგორც ჩანს, ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შექმნაში აქტიურ მონაწილეობა იღებდნენ ქალები. ისინი ეწეოდნენ მრავალმხრივ მწიგნობრულ-შემოქმედებით მუშაობას — თხზავდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, თანამემამულეებს მოუწოდებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისაკენ და ა. შ. XVI-XVII საუკუნეების მწიგნობარ ქალთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ქეთევან დედოფალია. ქეთევანი ქართლის ფეოდალის, აშოთან მუხრანბატონის ასული იყო. დაიბადა 1575 წელს; 1587 წელს იგი მიათხოვეს კახეთის მეფის ალექსანდრეს (1574-1605) უფროს ვაჟს — დავითს, ქეთევანი დედა იყო სახელოვანი ქართველი პოეტის, მეფე თეიმურაზ პირველისა. ეპოქა, როდესაც ქეთევანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რთული პოლიტიკური ვითარებით ხასიათდება, აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობა მეტად გამწვავებულა იყო. 1605 წლიდან კახეთის სამეფოს მართავს დავითის უფროსი ვაჟი თეიმურაზ პირველი მისი მეფობის დროს შაჰ-აბასმა არა ერთხელ ააოხრა და ააწიოკა კახეთი. ერთ-ერთი ასეთი დარბევის წინ, 1614 წელს, შაჰ-აბასმა მძევლად წაიყვანა ქეთევან დედოფალი ორი შვილიშვილით — ალექსანდრეთი და ლევანით. ამ წელს მჭიდვარე შაჰმა კახეთიდან მრავალი ათასი ოჯახი გადაასახლა ირანში. აღარც ქეთევანი დაბრუნებულა სამშობლოში.

ქეთევანმა 10 წელი დაჰყო ტყვეობაში; შაჰმა მოსთხოვა მას სარწმუნოების გამოცვლა, ქეთევანმა არც სამშობლოს უღალატა და არც ქრისტიანულ რწმენას, რის გამოც შაჰმა იგი საშინელი წამებით მოაკვლევინა შირაზში (1624 წ.).

მრავალტანჯულმა მეფემ — თეიმურაზმა დედის ნეშტის ნაწილი ვადმოსვენა და დაკრძალა ალავერდის ტაძარში. დედის ტრაგიკულ აღსასრულს მიუძღვნა მან პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. ქართულმა მატიაანემ ეს ქალი გამოაცხადა გმირად, ეკლესიამ იგი ჩაირიცხა უდიდეს მარტივლთა პანთეონში. ქართველმა თუ უცხოელმა მწერლებმა ქეთევანს მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები უძღვნეს.

ქეთევან დედოფლისეულად რამდენიმე პოეტურ ნაწარმოებს მიიჩნევენ, თუმცა დღემდე დაუზუსტებელია, თუ ნამდვილად რომელი მათგანი ეკუთვნის მას. მოკლედ შეეჩერდებით ამ ნაწარმოებებზე.

ანბანთქება, რომელიც ცნობილია ქეთევანის სახელით, მრავალ ხელნაწერშია დაცული (S №№ 1512, 3704; AN № 1164; H № № 33, 479, 497, 1193, 1219; არქ. ხელნ. № № 101, 396, და სხვა). დავით რექტორის ცნობით, „ეს ანბანთქება წმიდის მოწამის ქეთეონ დედოფლისაგან არის ნაბრძანები, ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას-პირუჭმან შირაზს პყრობილად წარგზავნა, მუნ პყრობილებაში მწუხარემან ჰსთქვა ფისტიკაურად“.

ეს ანბანთქება ლ. ასათიანმა ასეთი სახით გამოაქვეყნა:

ამას ვსტირი ბნელსა მჯდომი,  
გულსა მდღურად დედაგული,  
ესრეთ ვება ვის მოება,  
ზედი-ზედ ჭე დართული! და ა. შ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბ., 1936 გვ. 36. ეს ლექსი ასეთი სახით დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1900 წელს (იხ. E. Такашвили, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения т. II, Тб. 1906. გვ. 200).



აღნიშნულ ლექსზე პროფ. ტ. რუხაძე წერდა: ქეთევანის „ერთ-ერთი ცნობილი ანბანთქება“, რომელიც მან „შირაზს მკყრობელობაში მწუხარემან სთქვა ფისტიკურად“, დღემდე დღევანტურად იყო დაბეჭდილი, სახელდობრ, მას არ შეარჩინეს ქართული ანბანის თანმიმდევრული რიგი და სავსებით დაკარგული ჰქონდა ასოთა დუბლირების სპეციფიკური წესი“.<sup>2</sup>

პროფ. ტ. რუხაძემ ანბანთქება ასეთი სახით დაბეჭდა

ან ამას ვსტირი,  
ბან ბნელსა მჭდომი,  
გან გულთა მდულრად  
დონ დადაგული.  
ენ ესრეთ ვნება  
ვინ ვის მოება  
ზენ ზედი ზედა  
მე დართული და ა. შ.<sup>3</sup>

ქეთევანი დასტორის თავის ბედს; უკუღმართმა წუთისოფელმა წაართვა მას დიდება, ბედნიერება, მოაშორა სამშობლოს; ეს არის გოდება დედოფლისა და გოდება ქალისა, რომელმაც ყველაფერთან ერთად ოჯახიც დაკარგა.

პროფ. მ. ჯანაშვილმა 1900 წელს გამოაქვეყნა „ვედრება წმ. ქეთევან დედოფლისა მოწამისა“.<sup>4</sup> იგი არაა მოხსენებული ლ. ასათიანის სპეციალურ გამოკვლევაში, რომელიც ქეთევან დედოფლის ლიტერატურულ საქმიანობას მიეძღვნა.

მ. ჯანაშვილის შრომის საფუძველზე, მეცნიერთა გარკვეულმა ნაწილმა „ვედრება — ჰიმნი“ ქეთევანისად სცნო. თითქოს ეს ჰიმნი გვიხსნის თეიმურაზ პირველის საისტორიო პოემის პოეტური წყაროს საკითხს. მათი აზრით, თეიმურაზს „ქეთევანისში“ შეუტანია ეპიკურად აღდის ჰიმნიდან.

ეკუთვნის თუ არა „ვედრება-ჰიმნი“ ქეთევანს და წარმოადგენს თუ არა იგი წყაროს თეიმურაზისათვის?

<sup>2</sup> ტ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, „ლიტერატურული გაზეთი“, 31. VIII, 1956, № 35 (997).

<sup>3</sup> ამ ანბანთქებას პატივცემული მკვლევარი აქვეყნებს შემდეგი ბელნიწერების საფუძველზე: ნავ. სიძველეთა (A) № 1164, საისტორიო ფონდის (H) № 33, № 479, № 1219, წერა კიოხვის (S) №№ 1512, 1534, არქივის ფონდი 233, № 101,230. ჩვენ შევისწავლეთ რამდენიმე მათგანი, მასალა უკანასკნელ პუბლიკაციას უტყობს მხარს. ასე გამოქვეყნდა ეს ლექსი გასულ საუკუნეში (იხ. „დროება“ 1.XII.1882, № 251). მაგრამ ჩვენი აზრით, ლექსის მხატვრულ ღირსებას ერთგვარ ჩრდილს აყენებს დართული ანბანთა რიგი, ჯობია გამარტივებული სახით.

<sup>4</sup> უკვდავთა ლაღებანი, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, თბ., 1900, გვ. 124-126.

„ვედრება-ჰიმნი“ და თეიმურაზის პოემის ცალკეულ ტექსტებში სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედნილობა ნამდვილად შეინიშნება. თეიმურაზ რამდენსამე მაგალითს: (ტექნიკური მიზეზების გამო მაგალითები მოვავსებს მიყოლებით).

**ვედრება-ჰიმნი**

შენ, დმერთსა სამებასა, ერთარსსა და თანარსსა გიცნობ.  
შენდამი გვალოხენ მღაღადებელნი ინდნი, ელინნი, ებრაელნი, პრომნი და სხვანი ენისაებრ მათისა სიტყვითთა ორღანითა და სამუსიკითა ძალებითა.  
არა არს რიცხვი ცოდვათა ჩემთა... მრწამსს კეშმარიტად, უოვლად წმიდაო ქალწულო უბიწოო, შობაჲ შენი და შენ, ქალწულ პირველ და შემდეგ შობისა, შემიწყალე მორწმუნე.  
მიეც ძესა ჩემსა მეფეს თეიმურაზს ძლევაჲ და რომელნი ჰყოფდენ ხსენებასა. ჩემსა, მინიჭე საუკუნო სუფევსა.

**თეიმურაზ პირველი**

გვედრებე სამებასა, ერთარსსა და თანარსსა.  
ძლიერნო, გიღაღადებენ ორღანოთა და ებნითა,  
ძნობითა ინდაურითა, სიტყვითა ბერძნულეებითა.  
ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლებინთა.

ვარ კეშმარიტად მოსავი შენის უბიწოდ შობისა,  
შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა, აწ შემიწყალე მორწმუნე...  
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,  
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.<sup>5</sup>

როგორც აღვნიშნეთ, სიტყვიერ-ლექსიკური თანხვედნილობა დამოწმებულ ძეგლებში ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ გასარკვევია, რომელია პირველი წყარო და ეკუთვნის თუ არა „ვედრება-ჰიმნი“ ქეთევან დედოფალს?

„ვედრება-ჰიმნის“ ტექსტმა და „უკვდავთა ლაღებთა“ ზოგიერთმა სხვა ნაწევთა ჩვენ დაგვაქვეა. საგანგებოდ შევისწავლეთ რამდენიმე მოღვაწის „ლაღებდა“ და მათი წყაროც დავეიხნეთ, მოვიტანთ ორიოდ მაგალითს:

**წმ. ნინოს სწავლბა**

კურთხეულ არს დმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყვაჲ წმიდაჲ მისი ცათა

<sup>5</sup> თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და გ. ჯაჭიბიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 130-131.





მალაქთაძე, თვით ძლიერისგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, უეჭუად მალაქთაძე კორციელად თესლისაგან დავითისა. დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისაგან და უბიწოთა, რომელი სათნო ეყო მას

და ამით მიწეწითა ცხორებამ ჩვენი შექმნა და ყოველი ცახა ქვეშე მყოფი განანათლა, და უმეტეს მისა მიმართ მორწმუნენი აცხოვნა, რამეთუ იშუა, ვითარცა კაცი.<sup>6</sup>

**ნიწონს ცხორებას**

კურთხეულ არს უფალი ჩუქნი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩუქნისა, რომელმან მოაველინა სიტუა მისი წმიდა ცათაგან მალაქთა თვით ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქვეყანად მდაბლად, შობილი უეჭუდლად თესლისაგან დავითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა, რომელი სათნო ეყო მას მიწეწითა მიწეწი ცხოვრებისა ჩუქნისა,

რომელმან ცახა ქულშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნა, რომელი იშუა, ვითარცა კაცი.<sup>7</sup>

**ვედრებას წმ. ლუარსაბს ვიწმინს მოწამისა**

ჲ, დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიც სასოებამ ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც შეწევნა წამებისა ამის ჩემისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა წმიდასა სულსა.<sup>8</sup>

**ლუარსაბის წამებას**

ჲოი დედოფალო ღვთისმშობელო, შენდამი დამიც სასოებამ ჩემი, შენ ხარ ნუგეშინის მცემელი ჩემი, შენ მომეც შეწევნა წამების ჩემისა ამის და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.<sup>9</sup>

საესებით ნათელია, რომ ამა თუ იმ მოღვაწის „სწავლა-ვედრების პუბლიკაციისას პირობ მ. ჯანაშვილი სარგებლობდა „საქართველოს სამოთხეში“ დაბეჭდილი ტექსტებით და იქიდან იღებდა ნაწევრებს, ასევე მოიტყა ის ქეთევან დე-

დოფლის „ვედრება-ჰიმნის“ ან „ვედრებებს“ ბეჭდვისას, ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგვრევენს ტანთ ვედრებასა“ და მისი წყაროს ანტისტიპირველის თხზულების, „შესხმა და მოთხრობა ლუწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან კახთ დედოფლისათა“ შესაბამის ადგილებს:

**ანტონ პირველი**

შენ, ღმერთსა სამებასა, ერთ არსსა და თანარსსა გიცნობ, უცნაურსა და უხილავსა, ვერ შემძლებელი თქმად საკურსლებათა შენთა; შენ ბრძანებითა შენითა შეგა სძრავ მათა და შეარყევ აფუძვლთა ქვეყნისათა, შენდამი ჰგალობენ მალაღებელნი ინდნი, ელღინნი, ებრაელნი, ჰრომნი და სხუანი ენისაებრ მათისა სიტყვითთა ორღანითა და სამუსიკითა ძაღვებითა. გვედრები ჰოი მეუფეო უფალო, შენეულნი მძღავრთაგან მცულთა ჰაერისათა, მომეფლენ მე ანგელოზნი მცულნი სულისა ჩემისა და მიითვალე სული ჩემი და განმიღე კარი სასქლოჲსა შენისა და აღმრაცხე მე გუნდსა თანა მოწამეთასა შენთასა: არა არს რიცხუ ცოდუათა ჩემთა და არცა ვისამე შენდამი მორწმუნეთაგანსა უცოდავს ჩემებრ და ვინაათგან ღირს შენდა აღსარებამ მონანულთა, აღვარებ ცოდუათა ჩემთა, ვითარმედ არა რამე არს დაფარული თუალთაგან შენთა; ვადიდებ აღსარებისამებრ შენისა, შენ განჰკურნენ წყულებანი ჩემნი, მოიხილე უფალო, მისხენ და მიიხიენ დროსა მას განხმისა წერილისა გულთასა, მიეც ძესა ჩემსა მეფესა თემურლანს ძლევა და რომელი ჰყოფდენ ხსენებასა ჩემსა მინიქე საუკუნო სუფევამ. მრწამს ჰეშმარტად, ყოვლად წმიდაო ქალწულო უბიწოო, შობამ შენი და შენ, ქალწულ პირულ და შემდეგ შობისა, შემეწყალე მორწმუნე განგებულებათა ძისა შენისათა.<sup>10</sup>

**„ვედრებას ჰიმნი“**

შენ, ღმერთსა სამებასა, ერთარსსა და თანარსსა გიცნობ, უცნაურსა და უხილავსა, ვერ შემძლებელი თქმად საკვირველებათა შენთა; შენ ბრძანებითა შენითა შესძრავ მათა და შეარყევ აფუძველთა ქვეყნისათა, შენდამი ჰგალობენ მალაღებელნი ინდნი, ელღინნი, ებრაელნი, ჰრომნი და სხვანი ენისაებრ მათისა სიტყვითთა ორღანითა და სამუსიკითა ძაღვებითა,

<sup>10</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 594.

<sup>6</sup> უეცდავთა ღალაღებანი, გვ. 3-4.  
<sup>7</sup> საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ლუწლთა და ვნებათა საქართველოს წმიდათა, მკერებელი ქრისტოლოგიურად და გამოცემული მ. ს. ბონინის მიერ, სპბ., 1882, გვ. 145.  
<sup>8</sup> უეცდავთა ღალაღებანი, გვ. 122.  
<sup>9</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 582.



გვედრები, მ მეუფეო უფალო, შენწეული მძღვართაგან მცველთა ჰაერისათა, მომივლინე მე ანგელოსი მცველი სულისა ჩემისა და მიითუალე სული ჩემი და განმიღე კარი სასძლოჲსა შენისა და აღმარცხე მე გუნდსა თანა მოწამეთასა შენთასა: არა არს რიცხვი ცოდვათა ჩემთა და არცა ვისამე შენდამი მორწმუნეთაგანსა უცოდავს ჩემებრ და ვინაჲთგან ღირს შენდა აღსარებაჲ მონანულთა, აღვიარებ ცოდვათა ჩემთა, ვითარმედ არა რამემ არს დაფარული თვალთაგან შენთა. ვადიდებ აღსარებისამებრ შენისა, შენ განჰკურნენ წულუღებანი ჩემნი, მოიხილე უფალო, მიხსენ და მიღხინე დროსა მას განხმისა წერილისა გულთასა, მიეც ძესა ჩემსა მეფესა თეიმურაზს ძლევაჲ და რომელნი ჰყოლდნენ ხსენებასა ჩემსა, მიანიჭე საუკუნო სუფევაჲ. მრწამს ქეშმარიტად, ყოვლად წმიდაო ქალწულო უბიწოო, შობაჲ შენი და შენ, ქალწულ პირველ და შვიდედგ შობისა, შემიწყალე მორწმუნე განგებულებითა ძისა შენისათა.<sup>11</sup>

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია, პროფ. მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა არა ქეთევან დედოფლის „ვედრება-ჰიმნი“, არამედ ანტონ პირველის აგიოგრაფიული თხზულების ერთი ნაწყვეტი, რომელიც, თავისთავად ქეთევანის ლოცვას წარმოადგენს. ვფიქრობთ, ზედმეტია საგანგებო მსჯელობა იმაზე, რომ რასაც აგიოგრაფიულ თხზულებებში წარმოთქვამენ წინო, ლუარსაბი, ქეთევანი და სხვა მოღვაწენი, ავტორებისა და არა მინცადამაინც გმირებისა. მას შემდეგ რაც გაირკვა ქეთევან დედოფლის „ვედრება-ჰიმნის“ რაობა, არაა ძნელი ასახსნელად მისი სიტყვიერ-ლექსიკური მსგავსება თეიმურაზ პირველის პოემასთან. ჩანს, ანტონ პირველი ისევე დაესესხა თეიმურაზის პოემას, როგორც ბებრ სხვა წყაროს, ასე, რომ „ვედ-

რება-ჰიმნი“ კი არაა წყარო თეიმურაზის პოემისა (როგორც აქამდე ეგონათ), არამედ პირდაპირ — „ვედრება-ჰიმნის“ ავტორია დავალებული თეიმურაზის პოემით.

ქეთევან დედოფალს მიაკუთვნებენ კიდევ სამ ლექსს: „აღვალს ზედსა“, „ამისთვის ბაგე გავსწირო“ და „ან აღვისა“. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოსაზრება დასაბუთებული არაა. ვიტყვით ორიოდ სიტყვას:

აღვალს ზედსა გვართ დავით ედემს ვრცელად ზის მე თხემსა...

გვხვდება რამდენსამე ხელნაწერში (S №1512, 25r; S № 3704, გვ. 165; H № 1193; A №1164, 20v). ზოგი მათგანი დავით რექტორის გადაწერილია. ყველგან ლექსი წარმოდგენილია ავტორის დასახელების გარეშე. არავითარი მინიშნება ქეთევანის ავტორობაზე არ გვაქვს.

2. ამისათვის ბაგე გავსძარ დადებით, ესმეს ვის ზრდანი მეთერის თემსა...

ხელნაწერებში (S № 1512, 25r; S № 3704, გვ. 165; H № 1193; A № 1164, 20v) წარმოდგენილია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე. ავტორი უცნობია.

3. ანო აღვისა, ბანო ბროლ-ვარდი, ვანო გარევი ნაყოფად ესხეს...

ხელნაწერებში თეიმურაზ პირველს მიეწერება (S № 1511, 9rv; S № 2694; H № 773; A № 1164, 7r) და მის თხზულებათა კრებულშია შეტანილი.<sup>12</sup>

ასე რომ, ჩვენი აზრით, არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ დასახელებულ ანბანთქებათა ავტორად ქეთევანი მივიჩნიოთ.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ქეთევანი ყოფილა ხელნაწერთა მომგებელიც, მისი ბრძანებით (1609 წ.) ქვათახევის წინამძღვარმა იოანე ავალიშვილმა გადაწერა „იზაკონი ღვთისმშობლისანი“ (H № 281).

<sup>12</sup> თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 159-160.

<sup>11</sup> უკვდავია ლაღადებანი, გვ. 124-126.





## ნანა კოპალიძე

# მერი ზელის რომანი „ფრანკენშტაინი“ და თანამედროვეობა

ლიტერატურის ისტორიაში არც ისე ხშირია შემთხვევა, როცა ახალგაზრდა შემოქმედის პირველივე ნაწარმოები საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს და უკვდავოფს ავტორის სახელს. ასეთი ნაწარმოები გამოდგა ინგლისელი მწერალი ქალის მერი ზელის მიერ ცხრამეტი წლის ასაკში დაწერილი პირველი რომანი „ფრანკენშტაინი, ანუ თანამედროვე პრომეთე“, რომელიც დღესაც, საუკუნე-ნახევრის შემდეგ, მნიშვნელოვან და საინტერესო წიგნად რჩება.

მერი ზელიმ და მისმა რომანმა მრავალი გამოჩენილი მოღვაწის ყურადღება მიიქცია, რომელთა შორის ვხვდავთ ისეთ დიდ მოაზროვნეთა და მხატვართა, როგორც იყო ფრიდრიხ ენგელსი, ჯორჯ ბაირონი, პერსი ბიში შელი, უოლტერ სკოტი, უილიამ გოდვინი, ელენორა მარქსი და სხვ.

ფრიდრიხ ენგელსი დიდად აფასებდა მწერალი ქალის შემოქმედებით ნიჭს, მის ანტირელიგიოზობას. „როცა ყველა ქალი ისეთი იქნება როგორცაა მერი ზელი, — წერდა ენგელსი, — დედაშიწაზე სოციალიზმი დამყარდება“.

„ფრანკენშტაინს, ანუ თანამედროვე პრომეთეს“ მერი ზელის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს. რომანი მკაფიოდ ასახავს მწერლის თანადროული ეპოქის მოწინავე იდეებს და მომდევნო ეპოქათა პრობლემებსაც თავისებურად ეხმიანება.

ფილოსოფიურ-ფანტასტიკური რომანი „ფრანკენშტაინი“ ბევრი რამით არის საგულისხმო XX საუკუნის აღმომავლებისათვის, რომელთა წინაშე მთელი სიმწვავით დგას უმნიშვნელოვანესი პრობლემა ატომური ენერჯის გამოყენებისა.

გუთუ რომანის საიდუმლოებათა და საშინელებათა ფონზე „ფრანკენშტაინში“ ნათლად არის გამოთქმული ის იდეა, რომ აღამიანის გონებისათვის, მისი შეუზღუდავი ძიებებისათვის ყველაფერი მისაწვდომია. ავტორი დიდებს შა-

რავანდელით მოსავეს აღამიანის გონების ძლევამოსილებას.

რომანის მთავარი გმირი — ახალგაზრდა შვეიცარიელი მეცნიერი ვიქტორ ფრანკენშტაინი შექმნის აღამიანის მსგავს გიგანტურ არსებას — მონსტრს, რომელიც მის მიმართ არაპუმანური დამოკიდებულების გამო გამანადგურებულ ძალად მოველინება აღამიანებს და პირველ რიგში თავისი შექმნელის ოჯახს.

ეს, რა თქმა უნდა, ფანტასტიკაა. მაგრამ სინამდვილეში ხომ აღამიანის გონება სულ უფრო და უფრო ამეღვანებს თავის სახიფათო ძლიერებას. აღამიანმა შექმნა დედამიწის პირველი თანამგზავრი, მაგრამ განა მისივე ცოდნის და გონების ნაყოფი არაა ატომური ენერჯია, ატომური იარაღი, რომელიც შეუღარებლად უფრო საშიში ურჩხულია, ვიდრე ფრანკენშტაინის საშინელი გიგანტი.

უქანასკნელ ხანებში ფრანკენშტაინის სახელი სულ უფრო ხშირად იხსენიება საზღვარგარეთის პრესაში, მეტადრე ინგლისისა და ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოცელებში.

რომანი უკვდავო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ავტორმა მასში განახორციელა რაციონალური თემის შერწყმა გუთური რომანისათვის დამახასიათებელ წარმოსახვით ელემენტებთან, რაც არაარსებული სიახლე იყო მანამდე ინგლისურ ლიტერატურაში.

მერი ზელის „ფრანკენშტაინი“ თავისებურ გამოძახილს პოულობს ჩვენს ეპოქაში და მეცნიერების განვითარების საინტერესო პრობლემებს უქავეობრდება.

ვიქტორ ფრანკენშტაინმა, რომლის მოქმედებაში იგრძნობა განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი მჩქეფარე ენთუზიაზმი, გამარჯვების დიდი რწმენა და გონებისა და ნებისყოფის ტრიუმფი, დაისახა უდიდესი მიზანი — ჩასწვდომოდა მკედარი მატერიისაგან ახალი სი-

ცოცხლის წარმოშობის საიდუმლოებას და გამოყენებინა იგი ადამიანთა ბუნებრივებისა და კეთილდღეობისათვის. მისი ოცნებაა ამ გამოკონების საშუალებით ადამიანებს უკეთესება მიაწიოს.

მაგრამ ფრანკენშტაინის ამ ხანგრძლივი მეცნიერული ექსპერიმენტების ბრწყინვალე შედეგი სინამდვილეში მისი დადებითი, კეთილშობილური იდეალების საწინააღმდეგოდ წარმოატანა — ფრანკენშტაინის მიერ შექმნილი გიგანტი განადგურებას უქადის მთელ კაცობრიობას.

მწუხარებით სასოწარკვეთაობამდე მისული ფრანკენშტაინი მწარედ ნანობს თავის გტაცებას მეცნიერებით და ცდილობს დაარწმუნოს ასევე გაცემბული რომერტ უოლტონი იმაში, თუ რაოდენ საშიშია ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობა და რა ზიანი შეიძლება მოუტანოს მეცნიერულმა აღმოჩენებმა კაცობრიობას. „მე არ მინდა, რომ თქვენ, ისეთივე თამამი და დიდები, როგორც მე მაშინ ვიყავი, დაღუპვების გზას დაადგეთ. და, არა ჩემმა შეგონებებმა, არამედ ჩემმა საკუთარმა მგალითმა გიჩვენოთ თქვენ, თუ რაოდენ საშიშრებას მოიცავს ცოდნა. ის ადამიანი, ვისთვისაც სამყარო შშობილური ქალაქით ვფარვლება, ბევრად უფრო ბედნიერია იმ პიროვნებაზე, ვისაც სურს გადალახოს ბუნების მიერ დაკანონებული საზღვრები.“<sup>2</sup>

ის აზრი, რომ სიბრძნისა და ცოდნის თანსდევს დარდი და გულისტკივილი, ჭრ კიდევ ბიბლიიდან მომდინარეობს. ეკლესიასტეს თქმით, „რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ღმერთი“<sup>3</sup> ვინაიდან „გული ბრძენთა სახლსა შინა გლოვისასა, და გული უბედურთა სახლსა შინა სიხარულისასა“<sup>4</sup> არისო.<sup>4</sup>

ეს უძველესი და მარად ახალი პრობლემა კაცობრიობის მსჯელობის საგანი იყო და იქნება მუდამ, რადგანაც არ შეიძლება ადამიანის გონებრივი განვითარების, ცნობისმოყვარეობის, *mabo* ძიების, ინტერესის შეჩერება, იმიტომ რომ ყოველივე ეს კანონზომიერი და ვარაუდვალის მოვლენაა ადამიანის მიერ სამყაროს დაუსრულებელი კვლევისა და შეცნობის პროცესში, ხოლო ყოველგვარი დიდი აღმოჩენა თავის თავში მოიცავს როგორც უაღრესად დადებით, ისე უკეთესესად უარყოფით თვისებებს — იმის მიხედვით, თუ როგორ იქნება ის გამოყენებული. „როგორც ეს ყოველთვის ხდება მეცნიერებაში, ჩვენს ცდებს შეუძლია მოგვეცეს როგორც საშინელი, ისე მაღალბუნებური შედეგები. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ახალ აღმოჩენას“<sup>5</sup> მართებულად შენიშნავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პავლე სიმონოვი.

მერი შელი თავის რომანში *ავითარებს* იმ აზრს, რომ ცოდნა იქცევა *გნებად*, რომელიც ათრობს, თავბრუს ახვევს ადამიანებს, და ის განსაკუთრებით საშიშია, როცა *ზომას* გადაა-

ჭარბებს, რადგან ამ შემთხვევაში ცოდნის დევი გველის შხამიანი კბილივით საშიშროებაა.<sup>6</sup>

„ფრანკენშტაინში“ დასმული ეს მთავარი საკითხი დღესაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ რთულ პრობლემათა შორის, რომლებსაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია აყენებს თანამედროვე მსოფლიოს წინაშე.

ჩვენ ვერ ვუსაყვედურებთ „ფრანკენშტაინის“ ავტორს იმის გამო, რომ მან ცალმხრივად გაიგო მეცნიერული აღმოჩენების განვითარების შესაძლებლობანი. მერი შელიმ საკითხი დასვა და გადაწყვიტა ისე, როგორც ეს შედეგებოდა მის თანადროულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას და როგორც მას ესმოდა ეს ვითარება იხანად მძევნარე რეაქციის წლებში.

„ფრანკენშტაინი“ აღმოცენდა წინარომანტიკული „გუთური რომანისა“ და განმანათლებლური პარათლეზურ-ფილოსოფიური რომანის ტრადიციების ზეგავრდინზე, იგი ემყარება ამ ლიტერატურული ტრადიციების პრინციპებს და გვამღვეს მათ თავისებურ გარდასახვას.

ფრანკენშტაინის გამარჯვება ადამიანის გონების გამარჯვებაა, ადამიანის გონების ყოველისშემძლეობის სადღესასწაულო ღმერთი. მაგრამ საზოგადოებამ არ მიიღო ფრანკენშტაინის მიერ ადამიანთა საკეთილდღეოდ მოვლენილი გიგანტი, რომელიც ადამიანებთან მეგობრობას ეძებდა და მზად იყო ყოველგვარი სამსახური გაეწია მათთვის. საზოგადოების მტრული დამოკიდებულების გამო ფრანკენშტაინის გიგანტი ადამიანთა დაუთინებელ მტრად იქცა და მოსპობას უქადდა მთელ კაცობრიობას. ფრანკენშტაინმა დაკარგა რწმენა იმისა, რომ ადამიანის გონებას ძალევის სასწაულები მოახდინოს და ამით გააუმჯობესოს ადამიანთა ცხოვრება.

აქ უკვე მერი შელი ახდენს განმანათლებლეთა ობტიმისტური შეხედულებების გადაფასებას, მას ეპვი შეაქვს განმანათლებელთა რწმენაში — კაცობრიობის საკეთილდღეოდ ადამიანთა გონების გამოყენებისა და გონების ყოველისშემძლეობის რწმენაში.

„გუთური რომანი“, რომელიც განმანათლებელთა იდეალების წინააღმდეგ მიმართულ ერთგვარ ბოლშევიკის წარმოადგენდა, განმანათლებლური ლიტერატურის კრიზისის მაუწყებელი იყო. საფრანგეთის რევოლუციის დამარცხებას თან მოჰყვა რეაქციის შეხებნილი ძალების გაბატონება, ყოველივე პროგრესულის ჩახშობა და განადგურება.

ახალგაზრდა მწერალი ქალის მიერ განმანათლებლობის პერიოდის ჰუმანისტებისაგან შეთვისებულ რწმენას — ადამიანის სიდიადისა და ძლევაშობილების რწმენას — „ფრანკენშტაინში“ ერწყმის იმის დაუჭერებლობა, რომ ადამიანის გონების აქტიური ჩარევით შეიძლება და არსებული მდგომარეობის შეცვლა.



ასეთ პირობებში, განმანათლებელთა იდეალების დამარცხებისა და რეაქციის შპინვარების წლებში, მერი შელიმ მძაფრი უშუალოდ გაიშალა თავისი შთაბეჭდილებანი და შეხედულებები მიმდინარე მოვლენების მიმართ. ამის შედეგია ფრანკენშტაინის პესიმისტური დასკვნები, რომ ყველაფერი ამაოა, რომ კეთილი საწყისი ბოროტებად იქცევა და ამიტომ ბედნიერების შესანარჩუნებლად საჭიროა არა მოქმედება, არა ძიება, არა მცენიერება და აღმოჩენა, არამედ უმოქმედობა, მოვლენების პასიური ქვერტა. „მე ცხოვრება დიდი ჩანაფიქრებით დაეწყო, მე მწყურდა მათი განხორციელება, რათა მახლობელთათვის სარგებლობა მომეტანა. ახლა ყველაფერი ამაოა“? — ამბობს ფრანკენშტაინი.

და მთავრად, ჩვენი აზრით, უმთავრესია ის გარემოება, რომ მერი შელის გმირი საბოლოოდ არ დრეკება, ქედს არ იხრის მომავალ სიძულეთა წინაშე და ყინულოვან არქტიკაში, სიცივისა და შიმშილისაგან ილაჯაწყვეტილს, სურს განაგრძოს მონსტრის დევნა, რათა კაცობრიობა განადგურებისაგან იხსნას.

ფრანკენშტაინის სიმამაცე, მისი შეუდრეკელი ხასიათი და უდიდესი ნებისყოფა ჩანს მის მიმართვაში მეზღვაურებისადმი. სასოწარკვეთილების მომენტშიც კი, სტიქიასთან ბრძოლის დროს, როცა შეშინებული ეკიპაგი, რომელიც უოლტონის არქტიკის გამოსაყვლევად მიჰყავს, თხოულობს უკან დაბრუნებას, ფრანკენშტაინი უოლტონის მეზღვაურებს იმედით აღავსებს და სიმამაცისაგან მოუწოდებს:

„თქვენ ადამიანის მოდგმის კეთილისყოფელთა დიდება უნდა მოგვეპოვებინათ. თქვენს სახელებს ისევე მოწიწებით გაიმეორებდნენ, როგორც კაცობრიობის სიკეთისათვის დაღუპულ გმირთა სახელებს. თქვენ ნამდვილ მთავრებათა სიმტკიცე გმართებთ, უფრო მეტიც, თქვენ კლდესავით ურყევად უნდა იდგეთ: შესაძლოა, ეს ყინული ისეთი მტკიცე არ იყოს, როგორც თქვენი გული. ყინული დნება, იგი ვერ გავიწვთ წინააღმდეგობას, თუ მოინდობებთ.“

არ დაბრუნდით თქვენს მახლობლებთან შერცხენილი სახელით. დაბრუნდით როგორც გმირები, რომლებიც იბრძოდნენ და გაიმარჯვეს, და გმირები, რომელთაც არ სჩვეოდათ მტრისათვის ზურგი ეჩვენებინათ.“<sup>8</sup>

ფრანკენშტაინი გრძნობს, რომ მისი დამარცხების მიზეზია არა მისი აღმოჩენა, არამედ ამ აღმოჩენის არასწორად წარმართვა, მისი უკუღმართად გამოყენება. ამდენად, მერი შელის რომანში არ ჩანს, რომ საკითხი საბოლოოდ უიმედოდ იყოს გადაწყვეტილი.

მომხდარი უბედურებების გახსენებით შეჭრულუნებული, სიკვდილის წინა აგონიაში მყოფი ფრანკენშტაინი ჭერ ემუღდარება უოლტონს თავი შეიკავოს ყოველგვარი აღმოჩენის ძიებისაგან, ხოლო შემდეგ გამოთქვას იმ აზრს, რომ

ჩემი წარმატებლობა არ ნიშნავს წერტილებს დასმის აუცილებლობას — შეიძლება სხვა განმარტებულმა უფრო ბედნიერი გამოდგეს და მისმა მოჩენამ კეთილი შედეგი მოიტანოს:

„შეიძლება, უოლტონ! სიმშვიდეში ეძებთ ბედნიერებას და ცეზინორდულ პატივმოყვარეობას. ერიდეთ მცენიერულ კვლევას, თუნდაც მცირეოდენ წარმატებასაც მიაღწიოთ.“

თუმცა რატომ ვამბობ ამას!

მე დავმარცხდი, მაგრამ სხვა შეიძლება ჩემზე ბედნიერი იყოს.“<sup>9</sup>

ეს სიტყვები მოწმობს ფრანკენშტაინის რწმენას, რომ საჭიროა კვლევა, ახალ-ახალი ექსპერიმენტები, და შესაძლოა გამოინახოს საშუალება, რომელიც მცენიერული კვლევის უდიდეს სიკეთეს იხსნის უდიდეს ბოროტებად მისი გადაქცევის საშიშროებისაგან.

ასე იხსნება ამ რომანში (მართალია, დიდი წინააღმდეგობრიობათა ვითარებაში და მეტად თავისებურად) საყოველთაო პროგრესის გარდაუვალობა, ადამიანის მისწრაფებათა ზღვარდუღებლობა, გონებისა და აზრის ჭიდილი არსებულთან ჭერ კიდევ მიუღწევლის მისაღწევად და ის რწმენა, რომ ბრძოლის წაგება ჭერ კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას.

ფრანკენშტაინის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული, უოლტონისადმი მიმართული სინანულით სავსე სიტყვები არ ნიშნავს მისი აღმოდელი სურვილებისა და მისწრაფებების უარყოფას, არამედ ეს არის კეთილი ჩანაფიქრის ტრაგიკული დასასრულით გამოწვეული უდიდესი სევდა.

გარდა იმ საერთო სულისკვეთებისა, რითაც „ფრანკენშტაინი“ ყოველი დროის ადამიანის საუკეთესო ზრახვებსა და იდეალებს შეესაბამება, რომანში ვხვდებით ისეთ ადგილებს, რომლებიც კონკრეტულად ეხმარება ჩვენს თანადროულობას.

ის საკითხები, რაც მერი შელიმ XIX საუკუნის დასაწყისში დააყენა, დღესაც მცენიერთა გაცხოველებულ მსჯელობის საგანია.

ახალგაზრდა ინგლისელი მცენიერი, პიტერ ხარპერი, რომელიც ადამიანის თავის ტვინზე ექსპერიმენტებს ახდენს, გამოდის დევიზით: „ვინც ამრავლებს ცოდნას, ამრავლებს ბოროტებას“.<sup>10</sup> იგი წინადადებას იძლევა მცენიერებმა თავი შეიკავონ ექსპერიმენტული კვლევისაგან, რადგან არაიენ არ არის დაზღვეული, რომ ექსპერიმენტის შედეგები საშიშროებად არ იქცევა კაცობრიობისათვის. მისი აზრით, ეს თავშეკრება უნდა გავრცელდეს მანამდე, სანამ საზოგადოება არ გარდაიქმნება, რადგანაც თანამედროვე კაპიტალისტური საწყარო კა-

**ნანა კოპალეიშვილი**  
მერი შელის რომანი „ფრანკენშტაინი“  
და თანამედროვეობა

კობრიობისათვის საშიშ ძალად აქცევს მეცნიერების უდიდეს მიღწევებს.<sup>11</sup>

არა მარტო პიტერ ხარპერი, არამედ საზღვარგარეთის ახალგაზრდა მეცნიერთა სულ უფრო დიდი ნაწილი უარს აცხადებს გაყვეს მეცნიერული კვლევის გზას, ვინაიდან მეცნიერების ან ტექნიკის მრავალი წარმატება კაცობრიობისათვის დიდ საშიშროებად ესახებათ. ეს საშიშროება უსაფუძვლო არაა. საქმარისია გავიხსენოთ ატომური დაბოლოება ზიროსიში ან ის მრავალრიცხოვანი და მრავალნაირი ექსპერიმენტები ადამიანის თავის ტვინზე, რასაც მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკებში ეწეოდნენ ფაშიზმის მომხრე მეცნიერები. ამ ექსპერიმენტებს რომ დასცლოდათ და შესაფერისი მომენტიც დაიმდგარიყო, ისინი ატომურ იარაღზე ნაკლებ საშიშროებად როდღი მოეცლინებოდნენ ადამიანებს.

საზოგადოება, სადაც ცხოვრების უაღრესად არათანაბარი პირობები არსებობს, სადაც საზოგადოების ფენები ქონებრივად და უფლებრივად ასე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ბუნებრივია, საშიშ ნიღდაც წარმოადგენს მეცნიერული აღმოჩენებისათვის. ამგვარ საზოგადოებაში ხომ შეიძლება, რომ გამოიღრუბოსა და მსოფლიო ბატონობის მოპოვების სურვილით შეპყრობილმა ადამიანებმა მეცნიერული აღმოჩენა საყოველთაო დაპყრობის ან განადგურების უძლიერეს იარაღად გამოიყენონ.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მწვავე საკითხები მერა შელომ XIX საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელი მოვლენების ფონზე რომანტიკული მანერით დასვა და გადაწყვიტა.

გაბორტებული მონსტრი თავის შემქმნელს — ფრანკენშტაინს პასუხს სთხოვს იმ მტრული დამოკიდებულების გამო, რითაც საზოგადოება შეხვდა მის გამოჩენას. „რატომ უნდა დავინდო ადამიანები, — კითხულობს იგი, — როცა მათ მე ვეჯავრებ? ადამიანს ჩემთან შეთანხმებულად და მეგობრულად რომ ეცხოვრა, მაშინ მას ბოროტებით კი არა, სიკეთით ავაგსებდი და, ცრემლმორეული, მადლობას შეაწირავდი იმისთვისაც კი, რომ იგი ჩემგან ამ სიკეთეს მიიღებდა.

მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ადამიანური გრძნობები ჩვენი ურთიერთობისათვის გადაუღალაბავ ზღვარს ქმნიან. მე კი საზოგადოებრივი მონა არა ვარ, რომ ეს ავიტანო.

რადგან არ ძალმიძს ვინმეს სიყვარულის გრძნობა აღეუძრა, მე ვავხდები ძროხისა და საშიშვლების გამომწვევი, უპირველეს ყოვლისა, შენთვის, ფრანკენშტაინ“.<sup>12</sup>

ასე გახდა სიკეთისათვის შექმნილი ძალა ბოროტების განსახიერება მის მიმართ საზოგადოების არაქმუნიერი, უსამართლო დამოკიდებულების გამო.

როცა გოეთეს ფაუსტზე ვესჯელობთ, მობთ, რომ ფაუსტი მეცნიერია იმდენად, რამდენად დენადაც მოაზროვნეა: აზროვნებს, კმნის, სტრუქტურა და საწყაროში. ფაუსტისაგან განსხვავებით, ფრანკენშტაინი ცოცხალ არსებას ქმნის ზელოვნურად. ამ თვალსაზრისით იგი რომანტიკული ხელოვანიც არის და ამასთან ერთად როგორც გამოგონებელი — თანამედროვე მეცნიერის პოტენციული სახეც.

თუ პირობითად ფრანკენშტაინსაც მეცნიერს ვუწოდებთ მის მიერ საწყაროს შეცნობის თამაში ცდის გამო, მაშინ შესაძლებლობა მოგვეცემა პარალელი გავალოთ და ვნახოთ, როგორ აიძულეს მეცნიერული სინდისი, მეცნიერის მოვალეობა ჩვენს თანამედროვე ახალგაზრდა ინგლისელ მეცნიერს პიტერ ჰარპერს დათმოს თავისი მისწრაფებები, ინტერესები, მიზნები და ფრანკენშტაინს — გავიროს საყვარელ ადამიანთა სიცოცხლე.

„მე გადავწყვიტე შემეწყვიტა მეცნიერული გამოკვლევები, — ამბობს პიტერ ჰარპერი, — რადგანაც ვგრძნობ, რომ ვდგავარ იდუმალებაში შექრის საზღვარზე, შეპყრისა, რაც შეიძლება გადაიქცეს ბოროტების ძალთა ზეიმიად. რა თქმა უნდა, ყოველივე ამაზე უარის თქმა ჩემთვის ილია არ ყოფილა. თუ გასურს რაიმეს მიაღწიო, უფრო მეტი მსხვერპლი უნდა გაიღო, ვიდრე შენ სხვებისაგან მოელო.

მრავალი წლის განმავლობაში მე ვცდილობდი ნამდვილი მეცნიერი, ნამდვილი სპეციალისტი ვამედროყავი, ახლა კი უარს ვამბობ მეცნიერებაზე, და იცით რატომ?

იმიტომ, რომ მე ახლა მინდა უბრალოდ ნამდვილი ადამიანი ვავხდე. დღესდღეობით არსებობს ახალგაზრდა მეცნიერთა მოძრაობა. ისინი უარს ამბობენ მეცნიერებაზე, თუკი იგი საშიშროებას წარმოადგენს კაცობრიობისთვის“.<sup>13</sup>

ფრანკენშტაინი იმისათვის, რომ კაცობრიობის ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრება უზრუნველყო, თავისი ოჯახის წევრების, სატრფოსა და სერკის მეგობრის სიცოცხლის ფასად წინააღმდეგა კაცობრიობის მომავალ საშიშროებას. მას საამისოდ სამსხვერპლოზე მიაქვს როგორც საყვარელი ადამიანების, ისე საკუთარი სიცოცხლაც. იგი უოლტონს ეუბნება:

„მე სხვა, უფრო დიდი მოვალეობა დამეკისრა ეს იყო მოვალეობა ჩემი თანამომქმნების, ადამიანების წინაშე, და ეს იყო ჩემთვის უპირველესი, რადგან საქმე ეხებოდა მრავალთა ბედს. ამ მოვალეობით რომ ვხელმძღვანელობდი, უარი ვანაცხადე — და, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილება სწორია — შემეძინა მეუღლე ჩემი პირველი ქმნილებისათვის. მან ენით აუწყებელი გაბოროტება და ეგოიზმი გამოამყვანა: დახოცა ჩემი ახლობლები, მოსპო ბედნიერი, კვიანი და მგრძობიარე ადამიანები.



არ ვიცი, სადა აქვს მის შურისძიებას საზღვა-  
რი“.<sup>14</sup>

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც პიტერ ჰარპერი  
და არც ფრანკენშტაინი მართალი არ არიან,  
თუმცა მათი შიში უსაფუძვლო როდია. ადამიანის  
აბსოლუტიზმით შემოქმედებითი უნარი  
ისე უფრო და უფრო ამჟღავნებს თავის  
ძალას. მან შექმნა ისეთი საშინელი პოტენცი-  
ური მონსტრი, როგორცაა ატომური იარაღი.

ფრანკენშტაინის მონსტრი სხვა არაფერია,  
თუ არა ადამიანის აბსოლუტიზმული შემოქ-  
მედებითი უნარის მიერ შექმნილი უდიდესი  
სიმძლავრის დამორჩილებელი ძალა, რომელიც,  
თუკი იგი ბოროტების გზას დაადგა, ადამიანს  
უმწიფოს ხდის ებრაძოლს, წინააღმდეგობა გა-  
უფრის მას. მაგრამ ყველა ანალოგიურ შემთხ-  
ვევაში, როცა მეცნიერული აღმოჩენა რაიმე  
საშიშროებას წარმოშობს, ისევე მეცნიერებამ  
უნდა მიავნოს ამ საშიშროების წინააღმდეგ საბ-  
რაძოლველ საშუალებას. ასეთია პროგრესულად  
მოაზროვნე საბჭოთა მეცნიერთა აზრი.

ცოდნა არ უნდა იმალებოდეს ბოროტების  
შიშით, პირიქით, ცოდნა, მეცნიერება უნდა გა-  
მოვიყენოთ ბოროტების წინააღმდეგ — ეს  
არის ჰემშარიტების მაძიებლის ერთადერთი  
მართებული გზა.

უწებლივთ — გვახსენდება ჟან ჟაკ რუსოს  
სიტყვები: ცთომილებისაკენ ათასი გზა მიდის,  
ჰემშარიტებისაკენ კი — მხოლოდ ერთით. ეს  
გზა ყველაზე ნათლად ესახება თანამედროვე  
ადამიანს.

ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, კაცობრიო-  
ბის ისტორიაში უდიდესი შემობრუნების მოწ-  
მენი ვავხდით. ჩვენ დიდი იმედით შევეყურებთ  
კაცობრიობის მომავალს, ვინაიდან რეალური  
ხდება თანამედროვე მსოფლიოსათვის ყველაზე  
მნიშვნელოვანი პრობლემის დადებითად გადა-  
წყვეტა — ატომური ენერჯის საბრაძოლ იარა-  
ღად გამოყენების აღკვეთა და საყოველთაო  
მშვიდობის დამკვიდრება დედამიწაზე. ამდენ-  
ად, ადამიანებს, მეცნიერებს, დედამიწის რომ-  
მეღ კონტინენტზეც არ უნდა მოღვაწეობდნენ  
ისინი, საშუალება ეძლევათ სინდისის ქენჯნის  
გარეშე ემსახურებოდნენ კაცობრიობის მარა-  
დიულ პროგრესის გარდაუვალ მოთხოვნებს,  
საშუალება ეძლევათ დაუბრკოლებლად განავი-  
თარონ მეცნიერული აზრი.

მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის  
დაულალავმა მებრძოლმა, სკკ ცენტრალური  
კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრე-  
ნევმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ახორციე-  
ლებდა რა დიდი ლენინის ანდერძს, ჩვენი პარ-  
ტიის XXIV ყრილობამ წამოაყენა მშვიდობის  
რეალისტური და, როგორც ცხოვრებამ გვიჩ-  
ვენა, ნაყოფიერი პროგრამა. ეს პროგრამა შთა-  
გონებულება მალალო მისწრაფებით — მივალ-

წითოთ იმას, რომ ცა მუდამ მოწმენდილი იყოს,  
რომ სამუდამოდ დადუმდნენ ჰემეხები, ხოლო  
რაკეტებს ვიყენებდეთ მხოლოდ მშვიდობიან  
საქმეებისათვის, რომ ატომური ენერჯის და-  
უშრეტელი ძალა ემსახურებოდეს მხოლოდ და  
მხოლოდ აღმშენებლობის მიზნებს, სიყვითისა და  
მშრომელთა ბედნიერების მიზნებს“.<sup>15</sup>

ამდენად, ატომური ომის აჩრდილი, რომელიც  
ჰემეხობიერად მუდამ სდევდა თანამედროვე  
ადამიანს და ხელს უშლიდა მისი შემოქმედ-  
ებითი უნარის სრულყოფილად განვითარებას,  
ვეფიქრობთ, ახლო მომავალში დაიწყებას მიე-  
ცემა, რადგანაც „საერთაშორისო პრინციპი იქ-  
ნება მშვიდობა“, ხოლო ადამიანის უდიდესი  
აღმოჩენა — ატომური ენერჯის დაუშრეტელი  
წყარო მოხმარდება უკეთესი მომავლის აშე-  
ნების, ხალხის ბედნიერ და შეგნებულ ცხოვრ-  
ებას.

ვიქტორ ფრანკენშტაინი მარადიული პროგ-  
რესის თავისი რწმენით მსოფლიოს კეთილი ადა-  
მიანების მისწრაფებებს გამოხატავს. იგი და-  
ულალავი კვლევა-ძიებით ცდილობდა იერში  
მიეტანა შეუღლებულობა და შეუცნობის სფე-  
როზე. ფრანკენშტაინი ეყრდნობოდა საკუთარ  
რწმენას, ნებისყოფას, შინაგან ძალას. მისი  
დიდი მეცნიერული აღმოჩენა არაადამიანურად  
მძიმე შრომისა და ხანგრძლივი ექსპერიმენტუ-  
ლი კვლევა-ძიების შედეგი იყო.

რომანში „ფრანკენშტაინი, ანუ თანამედროვე  
პრომეთე“ ერთმანეთს ბუნებრივად ერწყმის  
მხატვრული სიმღიდრე და ფილოსოფიური  
სიღრმე. მასში დასმული მეტად საყურადღებო  
პრობლემებითა და თემის აქტუალურობით იგი  
დღესაც იზიდავს მკითხველის გულსა და გო-  
ნებას.

საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული მერი  
შელის ამ რომანის შესახებ ი. კარაგლიციის:  
„არის განუყენებელი ცოდნისა და მთელი ძა-  
ლებისა, რომელთაც ეს ცოდნა წარმოშობს,  
პარადოქსულია. ერთი მხრივ, იგი ემორჩილე-  
ბა განვითარების საკუთარ კანონებს. აქ მას  
არ შეიძლება სხვა რაიმე მივაწეროთ. მეორე  
მხრივ, ბოროტი ან კეთილი მიზნით მისი გამო-  
ყენება მთლიანად ადამიანთა ნება-სურვილს  
ემორჩილება.“

ეს საკითხი დასვა XX საუკუნის ლიტერატუ-  
რამ, რომელიც მიდრეკილებას იჩენს ფი-  
ლოსოფიურად გაიაზროს ობიექტური კანონ-  
ზომიერება, და მეცნიერულმა ფანტასტიკამ.  
კერძოდ, მერი შელამ ასეთი წიგნი დაწერა გა-

**ნანა კოპალევიშვილი**  
გერი შელის რომანი „ფრანკენშტაინი“  
და თანამედროვეობა

სული საუკუნის დასაწყისში. ნამდვილად საკვირველი წიგნია 150 წლის წინათ. მცხოვრები ადამიანისათვის.<sup>10</sup>

ვიქტორ ფრანკენშტაინი უკვდავებისა და ბედნერების მამიებელი პიროვნებაა, რომელიც

მარადიული პროგრესის სიმბოლოდ იქცა. ვფიქრობთ, ამანაც განაპირობა ის, რომ მწიგნობარის ეს შესანიშნავი რომანი დღესაც, საუკუნელო პროგრესის ეპოქაში, მძაფრად ეხმიანება დროს აქტუალურ პრობლემებს.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

<sup>1</sup> История Зарубежной Литературы XIX в Москва. Просвещение, 1972, стр. 165.

<sup>2</sup> Mary W. Shelley «Frankenstein Or, The Modern Prometheus», London, 1818, v. I, p. 86-87.

<sup>3</sup> დაბადება (ბიბლია), ნაწილი მეორე, ტფილისი, 1884, გვ. 240.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>5</sup> Литературная Газета, 1970, 21 октября, среда Статья «Научные Среды».

<sup>6</sup> Mary W. Shelley «Frankenstein Or, The Modern Prometheus», v. I, p. 35.

<sup>7</sup> Mary W. Shelley «Frankenstein Or, The Modern Prometheus», v. III, p. 180.

<sup>8</sup> Mary W. Shelley «Frankenstein Or, The Modern Prometheus». London, 1818, v. III, p. 170.

<sup>9</sup> Ibid., p. 177.

<sup>10</sup> Литературная Газета, 1970, 21 октября, среда.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> Mary W. Shelley «Frankenstein Or, The Modern Prometheus», v. II, p. 144.

<sup>13</sup> Литературная Газета, 1970, 21 октября, среда.

<sup>14</sup> Mary W. Shelley «Frankenstein Or, The Modern Prometheus», v. III, p. 175-176.

<sup>15</sup> Газета «Правда», 1973, 12 июля, стр. 3. Речь товарища Л. И. Брежнева.

<sup>16</sup> Журнал Иностранная Литература 1966, № 1; стр. 15. Ю. Караглицкий—Роман Мэри Шелли «Франкенштейн».





## ნიმუ ქილრაქე, გუკამ ლორთქიფანიძე

### დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორიიდან

კოლხეთის არქეოლოგიური შესწავლის ცდებს ვერ კიდევ XIX ს. ჰქონდა ადგილი. ანტიკური კოლხეთის სიძველეებით, ზღვისპირა ქალაქების ბედით დაინტერესებულნი იყვნენ როგორც ევროპელი, ასევე რუსი და ქართველი მეცნიერები. ამ დროს არქეოლოგიური გათხრები შემთხვევითი, უპირატესად დაზვერვითი ხასიათისა იყო. არქეოლოგიური მასალის სიმცირის პირობებში შეუძლებელი იყო კოლხეთის ისტორიის მეტნაკლებად რეალური სურათის წარმოდგენა. ამ დროის ნაშრომებში კოლხეთზე საუბარი მხოლოდ ზოგად ხასიათს ატარებს. კოლხეთის არქეოლოგიის შესწავლის ამ ეტაპზე აქტიურ როლს ე. წ. „მოყვარული მხარეთმცოდნენი“, „მოყვარული არქეოლოგები“ თამაშობდნენ. ესენი იყვნენ ძირითადად რუსეთიდან ჩამოსული და საქართველოში დასახლებული მოხელეები, მასწავლებლები და სხვა. სამწუხაროდ, მათი ძირითადი გატაცება უმეტესად ძველი ნივთებისა და მონეტების შეგროვება-კოლექციონერობა იყო.

აჭარაში დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ნ. გარმანი, რომელმაც სასკოლო მუზეუმსაც კი ჩაუყარა საფუძველი. ცნობილი იყო კოლხური სიძველეებით დაინტერესებული ქუთაისელი მხარეთმცოდნე ნ. შაფრანოვი. აფხაზეთში ცხოვრობდა დ მთელი 50 წლის მანძილზე ეწეოდა შემგროვებლობას მხარეთმცოდნე, განათლებით ზოოლოგი, ვ. ჩერნიავსკი, მან რამდენიმე ნაშრომიც გამოაქვეყნა. მის მიერ გამოვლენილი და შეგროვებული არქეოლოგიური მასალების უმეტესობა მეცნიერებისათვის დაიკარგა. ისევე როგორც ქუთაისის და შემდეგ ბათუმის გიმნაზიის დირექტორის ა. სტოიანოვის მიერ დასავლეთ საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები. ა. სტოიანოვის 1889

წლის მაისის ბოლო რიცხვებში ვანის ნაქალაქარზე (ვინმე იაკობთან ერთად), მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით, არქეოლოგიური გათხრები ჩატარებია. ვიცით მხოლოდ, რომ მათ ვანში უპოვიან „ძველებრძნული ეპოქის“ მდიდრული სამარხები. ვანის ნაქალაქარზე თუ გურია-აჭარაში აღმოჩენილი ნივთები არაერთხელ ვამხდარა ყიფდა-გაყიდვისა და უცხოეთში გატანის საგანი, რაც იმ დროისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. უამრავი ძველი განადგურდა სოხუმში და მის შემოგარენში 90-იან წლებში გაშლილი საამშენებლო სამუშაოების დროს. იგივე შეიძლება ითქვას შავი ზღვისპირეთის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით. ეს კარგად იცოდა 1873 წელს დაარსებულმა კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებამაც და მისმა მემკვიდრემ „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებამ“, ისინი ერთგვარად ცდილობდნენ კიდევ კონტროლი დაეწესებინათ დიდ მშენებლობებზე და ვანადგურებისაგან გადაერჩინათ ნივთიერი კულტურის ძეგლები. მოგვიანებით, 1901 წელს დაარსებული მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომებზეც ეს მტკივნეული საკითხი არაერთხელ ვამხდარა განხილვის საგანი. მიუხედავად ამისა, კავკასიის მუზეუმებამდე თითო-ორთა ნივთი თუ აღწევდა დასავლეთ საქართველოდან. ანტიკური ეპოქის სხვადასხვა ნივთები შესყიდული იყო პეტერბურგისა და მოსკოვის მუზეუმების მიერ.

ქართველი საზოგადოების ეროვნული სიძველეებით დაინტერესების საქმეში განსაკუთრებული როლი გაზეთ „დროებამ“ და სხვა პერიოდულმა გამოცემებმა — „ივერიაში“, „სასაბულო ვაზეთმა“, „ესიკარმა“ — შეასრულეს. წლე-

ბის განმავლობაში, განსაკუთრებით რუსეთის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის წინა მოსამზადებელ პერიოდში, იბეჭდებოდა წერილები საქართველოში, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებისა და მათი დაცვის აუცილებლობის შესახებ (ი. ალხაზიშვილის, ი. დავითაშვილის, დ. წერეთლის (სხვიტორელი), ს. მესხის, ი. მეუნარგისა და სხვათა კორესპონდენციები) ყურადღებას იპყრობს ვინმე ნაწიეშვილის წერილი ბათუმშიდან, რომელშიც იგი იტყობინებდა მდ. კინტრიშის ნაპირზე მიწის სამუშაოების დროს ძველი ნივთების პოვნას (დროება, 1881, VIII, 26, №177). ხშირია ცნობები სვანეთში ძველი ნივთებისა და მონეტების აღმოჩენების შესახებ (დროება, 1876, VII, 25, №177; 1879, №11, 19, №172 და სხვ.) „დროება“ სასტიკად ილაშქრებდა გადამთიელი სიძველეთამოყვარულების წინააღმდეგ, რომლებიც საეჭვო ხასიათის ექსპედიციებს აწყობდნენ საქართველოში. „დროება“ მათ ევითომ არქეოლოგებს“ უწოდებდა და სამართლიანად აცხადებდა ერის შტრებად („დროება“, 1 თებერვალი, 1876, № 12, № 15.)

ბუნებრივია, ცარიზმი არ იყო დაინტერესებული საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლით, რაც ეროვნული თვითგანარკვევის საქმეს ემსახურებოდა, იმ ხანად ჩვენში მხოლოდ „კოლონიური არქეოლოგია“ ზოგინობდა (ა. აფაქიძე). ამ სახის არქეოლოგიის ტიპური წარმომადგენელი, გენერალ კომაროვებთან ერთად, იყო გრაფი როზმორდიუცი; მან 1864 წელს მტაცებლურად გათხარა რამოდენიმე „ყორღანი“, გორა-ნამოსახლარი ახალ სენაკის მახრამში.

ცენტრალური კოლხეთის პეოზაგისათვის დამახასიათებელმა ამ ძეგლებმა, გორა-ნამოსახლარებმა, უკვე XIX ს. მეორე ნახევარში მიიპყრეს სპეციალისტების ყურადღება. მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე 1870 წლის 14 დეკემბერს მ. სმირნოვი აღწერდა მარტილის ველის, ბანძის გორა-ნამოსახლარს. მან ასეთივე ძეგლები დაადასტურა ხობთან, ფოთი-სამტრედიან-ჭუათისის რკინიგზის სადგურებს შორის. ერთი ასეთი „ყორღანი“ რკინიგზის მშენებლობის დროს დაუნგრევიათ და სხვა ნივთებთან ერთად მონეტებიც უპოვიათ. გარდა ამისა, ენჭურის მარჯვენა ნაპირზე, ს. განარჯია მუხუტთან გათხარა ყორღანში თიხისა და მინის ჭურჭლის გარდა, ადამიანის ჩონჩხებიც აღმოჩენილა. ნივთები გენერალ ბართლომეისათვის გადაუციათ

1881 წელს თბილისში ჩატარებულმა რუსეთის მეხუთე არქეოლოგიურმა ყრილობამ ერთგვარად შეაჯამა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მცირე შედეგები. ქართველი ერის მოწინავე

შვილები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების შესასრულებლად, მაგრამ ამ დროს არქეოლოგიური მუშაობა ჩვენში მხოლოდ ცალკეულ პირთა, საზოგადოებათა, ძველმოქმედებასა და ენთუზიაზმზე იყო დამოკიდებული.

1917 წლამდე თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც რუსეთის არქეოლოგიური კომისიის ე. წ. „დიდი ფურცელით“ ეწეოდა ჩვენში მეცნიერულ გათხრებს, ე. თაყაიშვილი იყო. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო მისი ღვაწლი კოლხეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ 1896 წელს ვანში ჩატარებული მცირე არქეოლოგიური სამუშაოების შემდეგ მან პირველმა განსაზღვრა, რომ აქ საქმე გვაქვს ანტიკური კოლხეთის დიდი და მდიდარ ქალაქთან.

1917 წელს თბილისში ჩამოყალიბდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ე. წ. „კავკასიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ინსტიტუტი“, მაგრამ ამ სამეცნიერო დაწესებულებას ბევრი არაფერი გაუკეთებია საქართველოს არქეოლოგიური შესწავლისათვის. კოლხეთის არქეოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში სამხარეთმცოდნეო მუზეუმების შექმნას და ბათუმის, სოხუმის მუზეუმების ორგანიზაციულ განმტკიცებას. მათ დაეკისრა დიდი ეროვნული მისიის შესრულება — აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების დაცვა-პოპულარიზაცია. 1924 წლის 4 ივლისს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება-დებულება: „სიძველეთა, ბუნებისა და ხელოვნების ძეგლების დაცვის შესახებ“. ამიერიდან საქართველოში სათანადო სამეცნიერო დაწესებულებათა ნებაზოგის გარეშე ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრების წარმოება იკრძალებოდა. გარდა ამისა, ყველა არქეოლოგიური აღმოჩენები, განძებისა თუ ცალკეული სამუზეუმო მნიშვნელობის ნივთების სახით, სახელმწიფო მუზეუმებს უნდა ჩაბარებოდათ. 1924 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან, რომელიც 1907 წლიდან არსებობდა, შეიქმნა საარქეოლოგიო სექცია. მას ევალებოდა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების დაცვა. საზოგადოება დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა და ამიტომ სათანადო არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობას ვერ ახერხებდა. 1922 წელს დაარსდა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა მხარის არქეოლოგიურ შესწავლას. გარკვეული ყურადღება ეთმობოდა ანტიკურ ეპოქას.

1924 წელს სოხუმში ჩატარდა შვიზღვისპირეთის მხარეთმცოდნეთა I საკავშირო ყრი-



ლობა, სადაც დღის წესრიგში იდგა აფხაზე-  
თის არქეოლოგიის საკითხებიც. კერძოდ, სო-  
ხუმელმა მხარეთმცოდნეებმა ა. ლუკინმა და  
სხვებმა ინფორმაცია გააკეთეს მათ მიერ აფხა-  
ზეთში შეგროვებული არქეოლოგიური ნივთე-  
ბის შესახებ. მოხსენებით გამოვიდნენ ვ. სტრა-  
ევი და მ. ივამჭენკო. ყრილობის ორგანიზატო-  
რი იყო აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება,  
რომელშიც ამ შეკრებაზე მონაწილე ი. მარი,  
ბ. ფარმაკოვსკი და სხვ. პირველ ყრი-  
ლობაში მონაწილეობა არ მიუღიათ საქართ-  
ველოს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებს,  
რამაც, ბუნებრივია უარყოფითი გავლენა იქო-  
ნია მისი მუშაობის შედეგებზე. ეს ნაყოი გა-  
მოსწორდა მეორე ყრილობაზე, რომელიც ჩა-  
ტარდა ბათუმში, 1926 წელს. როგორც პირ-  
ველ, ასევე მეორე ყრილობაზე იყო ცდა სა-  
ქართველოს შავიზღვისპირეთი რადაც განკალ-  
კეებული მეცნიერული ინტერესების მხარედ  
ყოფილიყო გამოყოფილი, რასაც სამართლი-  
ანად დაუპირისპირდა ქართველ მეცნიერთა ხა-  
ზი. ბუნებრივია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვის-  
პირეთის ისტორია საქართველოს საერთო ის-  
ტორიულ პრობლემასთან იყო დაკავშირებული  
და მისი ცალკე, იზოლირებული შესწავლა გაუ-  
მართლებელი იქნებოდა.

ამ პერიოდში მუხტუმების ფონდების შევ-  
სება ძირითადად შემთხვევით აღმოჩენილი და  
შემოწიერი არქეოლოგიური ნივთებით ხდებ-  
ოდა.

ამ შემთხვევით აღმოჩენებს არ მოჰყოლია  
რამდენააღმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ექს-  
პედიციები. ივ. ჭავჭავაძის სწორედ ამ დროს  
აღნიშნავდა გულისტკივილით, აქამდე არ არ-  
სებობს საქართველოში დაწესებულება, რო-  
მელსაც გინდა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მულ-  
მივი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა  
ჰქონდეს დავალებული. საერთოდ, 1934  
წლამდე, კოლხეთის არქეოლოგიური შესწავლა  
არ ყოფილა დავალებული არც „ამიერკავკასიის  
ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის“ და  
არც მისი მემკვიდრეების „კავკასიათმცოდნე-  
ობის და არქეოლოგიის ინსტიტუტების“ მიერ.  
ისინი არსებობდნენ ჯერ კიდევ 1917 წელს ზი-  
ქმნილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კავ-  
კასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუ-  
ტის ბაზაზე. მათი მუშაობის არაფექტურობის  
ძირითადი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ  
ისინი თავიდანვე მოწყვეტილი იყვნენ ქარ-  
თულ ეროვნულ სამეცნიერო ცენტრებსა და  
ინტერესებს. დასავლეთ საქართველოს არქეო-  
ლოგიურ შესწავლაში თავისი წველი შეიტანა  
საქართველოს ცაკ-თან არსებულმა ძეგლთა  
დაცვის კომიტეტმა, რომელსაც დიდხანს უ.  
მახარაძე თავმჯდომარეობდა. კოლხეთის ვე-  
ლის ათვისებისა და ჭობების ამოწმობასთან  
დაკავშირებით, ოჩამჩირისა და სოხუმპეის

მშენებლობების გაშლის გამო, მთავრობამ ვარ-  
კეული თანხა გამოყო არქეოლოგიური ძეგ-  
ლების შესასწავლად. ეს ტრადიცია, რომელსაც  
ცხლა საბჭოთა კანონმდებლობას ეყრდნობა,  
დღესაც ვრცელდება. მთელი რიგი არქეოლო-  
გიური ექსპედიციები ახალმშენებლობების  
მიერ არის დაფინანსებული.

1934 — 1935 წწ. კოლხეთის ახალმშენებლო-  
ბასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანი  
ანტიკური ხანის ძეგლები გამოავლინა ე. წ.  
აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ  
აქად. ი. მემქანიანის ხელმძღვანელობით.  
ამ ექსპედიციის ანტიკური რაზმის წინაშე (ბ.  
კუფტინი, მ. ივამჭენკო, ა. ლუკინი) იდგა კონ-  
კრეტული ამოცანა: არქეოლოგიური მასალების  
მეშვეობით გაერკვიათ გვიანოვანი საზოგადო-  
ების განვითარების ეტაპები, საქართველოში სა-  
ხელმწიფოებრივი ფორმების წარმოშობის პრო-  
ცესები, შეესწავლათ ადგილობრივი მოსახლეო-  
ბის საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრება ბერ-  
ძნული კოლონიზაციის ეპოქაში. ცხადია, ამ  
საკითხების ერთბაშად ვადკრა შეუძლებელი  
იყო, მით უმეტეს, რომ კოლხეთის არქეოლო-  
გიისა და ისტორიის საკითხები ბერძნულ-რო-  
მაული წყაროების გამოყენებით ასე ფართოდ  
პირველად ისმებოდა ჩვენი მეცნიერების წი-  
ნაშე. საკითხის ამგვარად დაყენებას დადებით  
მხარეებთან ერთად ჰქონდა ერთი დიდი მე-  
თოდოლოგიური ნაკლი. ბ. კუფტინი და სხვები  
გამოდიოდნენ წინასწარ შემუშავებული სქე-  
მიდან, რომ ანტიკური კოლხეთი თავის განვი-  
თარებაში ბევრად ჩამორჩებოდა ბერძნულ სამ-  
ყაროს. გარდა ამისა, ბ. კუფტინსა და სხვებს  
ეპევიც კი არ ეპარებოდათ იმაში, რომ კოლხე-  
თის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაციის შე-  
დევი აქ პოლისური ტიპის ბერძნული ქალა-  
ქების წარმოშობა იყო. საქართველოს ზღვის-  
პირეთის ქალაქებს ისინი ბერძნულ პოლისებად,  
ქალაქ-სახელმწიფოებად მიიჩნევდნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, აფხაზეთში ჩა-  
ტარებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას დი-  
დი მნიშვნელობა ჰქონდა. ექსპედიციამ ძოთ-  
პოვა ანტიკური ხანის მრავალრიცხოვანი არქე-  
ოლოგიური მასალა, ძირითადად სწორად განი-  
სახლება ადგილობრივი ნივთიერი კულტურის  
ძეგლები და იმპორტული მასალა; ამასთანავე  
ბ. კუფტინმა ფართოდ გამოიყენა საქართვე-  
ლოს მუხტუმებში დაკული მრავალფეროვანი  
თანადროული კოლექციები და მოგვცა კოლ-  
ხეთის კულტურულ-ეკონომიური განვითარე-  
ბის სინტერესო სურათი. მისი ინტერესების  
სფეროში შედიოდა არა მარტო ზღვისპირეთი,  
არამედ კოლხეთის შიდა რაიონები, რომლებ-

**ნილო კილუარამ, გურამ ლორთქიფანიძე**  
დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის  
ძეგლების შესწავლის ისტორიიდან

საც მისი ვიარაღით ანტიკურ ხანაში განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევიათ.

ბ. კუფტინმა შეისწავლა სოხუმთან ჩრდილოეთით 11 კმ-ით დაშორებული ემერის ანტიკური სამოსახლოების წყება და მათთან დაკავშირებული საბაროვანი. ძარბალია, აქ საბაროვანი იქნა მრავალრიცხოვანი კრამიტის ფრაგმენტები, წყალგაყვანილობის თიხის მილები, ამფორების ხატკამები, იმპორტული კერამიკა და სხვა ნივთები, მაგრამ ქალაქის არსებობის უტყუარი მასალები არ გავაჩნია. დასახლებას აქაც კოლხეთისათვის ტრადიციული ფორმა აქვს. იგი გორაკებზეა გაალაგებული. აქვე გათხარა ელენისტური ხანის არა საბარბი, ერთი მათგანი კრემაციულია. მიცვალებულის დამწვარი ძვლების ნაშთი ეწყო, როგორც მოგვიანებით განისაზღვრა, ძვ. წ. III ს. ამფორაში. სამარხზე ინვენტარს წარმოადგენდა ორი ლოქი, ორი ამფორისკი, ოთხი ბრინჯაოს სამაჯური. ამ ურნისგან სამხრეთით, ერთი მეტრის დაშორებით აღმოჩნდა მეორე, ინჰუმაციური სამარხი. მიცვალებული იწვა ზურგზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. ორივე ხელზე გვეთა თითო-თითო თხელმეთლდანი ბრინჯაოს სამაჯური, ზუსტად ისეთივე, როგორც კრემაციურში. მარჯვენა ხელის თითებზე წამოცმული ჰქონდა ბრინჯაოს ორი ბეჭედი. ფეხებთან ედო ისეთივე ლოქი, როგორც კრემაციულ სამარხში აღმოჩნდა და შველკიანი ქუსლმოტეხილი ჩაწი. სამარხში აღმოჩნდა მძივებიც, მათ შორის ე. წ. მოოქროვილი. ბ. კუფტინი დაწვრილებით განიხილავს თითოეულ ნივთს, მოჰყავს პარალელური მასალა და, როგორც აღვნიშნეთ, სამარხებს ათარიღებს ელენისტური ხანით. მიცვალებულის კრემაციას იგი ბერძენების გავლენით ხსნიდა, თუმცა ინვენტარის მეყეთად გამოხატული ადგილობრივი იერი არ აძლევდა საშუალებას სამარხი უყოყმანოდ ელენური ეთნოსისთვის დაკავშირებას. იგივე ითქმის ინჰუმაციურ სამარხზეც, რომლის გარკვეულ სახლოვესაც კრემაციულთან იგი გვერდს ვერ აუვლიდა. მიცვალებულის კრემაცია, რაზედაც ქვემოთ შეეჩერდით, საკმაოდ გავრცელებული იყო კოლხეთში, ჯერ კიდევ ბერძენების გამოჩენამდე, და ამის გამო ემერის სამარხის წესებს ბერძნული სამყაროს გავლენის ვერ დავუკავშირებთ.

მნიშვნელოვანი მასალები იქნა მოპოვებული ოჩამჩირეთში, სადაც გაითხარა მშენებლობის მიერ ნაჩვენებრივ დაზიანებული სამი გორანამოსახლარი. მათ ვარშემო ფართო თხრილები ერტყათ. ეს გორანამოსახლარი ძველად ერთმანეთთან ზღვის კენჭებით მოფენილი გზით ყოფილან დაკავშირებული. მათ გავრცელებაზე, ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონეზე დაბლა, აღმოჩნდა ძველი ხიდის ნაშთებიც. ჯერ კიდევ ანაკრედის მასალის მეშვეობით ბ. კუფტინმა გააკრეა, რომ აღნიშნული პუნქტი დასახლებული

ყოფილა ადრეანტიკური ხანიდან. მან შეაფასა ძვ. წ. V ს. ანტიკური შველკიანი კრემაციული ფრაგმენტები, კრამიტებისა და ამფორების ტიპები, საწაფება და სხვა. 1936 წ. ოჩამჩირეთში გათხრები გააგრძელა მ. ივამჩენკომ, რომელმაც ძველთან ერთად დაუზიანებელი ანტიკური ეპოქის ფენები და სამარხების ნაშთები გამოაღწია. ბ. კუფტინმა და მ. ივამჩენკოს ვიარაღით, აქ ბერძნული ფაქტორია არსებობდა, რომელსაც მდიდარ ეპართა ფენაც უყოლია. მათი აზრით, ეს ფაქტორია წყაროებში მოხსენიებული ბერძნული ქალაქი გენოსი უნდა იყოს. ამისთანავე ისინი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ ნამოსახლარზე წამყვანი ადგილი ადგილობრივ ელემენტს ეკავა. ბერძენთა ცხოვრების უტყუარ კვალად მიჩნეულია ხამანწყების ნივთები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ჩვეულებრივ საკვებად არ იყენებდა შესწავლილი ძვლები, როგორც აღვნიშნეთ, კლასიკური ტიპის კოლხურ სამოსახლოებს წარმოადგენდნენ (ხელოვნურად მოზენიულ, თხრილით გარშემოვლებულ გორაკებზე აგებული იყო ხის საცხოვრებელი და საძებრეო ნაგებობები), რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ჩაეყარა და არა ბერძნული ქალაქის ტიპს. ზოგაერთი ავტორი თვლის, რომ ოჩამჩირეთში გამოვლენილი ხის ნაგებობები, დამკველი წყლიანი თხრილი ეკუთვნოდნენ ბერძენებს, რომლებსაც საშიშროების შემთხვევაში თავს აფარებდნენ ისინი (ლ. სოლოვიოვი). უახლესი გამოკვლევების საფუძველზე (დ. კაჭარავა) თვლიან, რომ ანტიკური ოჩამჩირე იყო კოლხური დასახლება, სადაც ბერძნული საუბარე ფაქტორიაც არსებობდა.

კოლხეთის გორანამოსახლარების აღრიცხვა და გათხრა 1933 წლიდან დაიწყო (ქვალონის ნოიხაშუ, ანაკლის დიხა-გუძება), მაგრამ მათი შესწავლა ბოლომდის ჯერაც არაა მიყვანილი. სამართლიანად აღნიშნავდა გ. ნიორაძე, რომ ნოიხაშუს მთლიანი სურათის აღსადაგებად საჭიროა მოთადგეს მისი არქეოლოგიური გათხრები, მთლიანად უნდა გაიწმინდოს ის დიდი ხის ნაგებობა, რომელიც გარშემო შემოუყვება საცხოვრებელ ბორცვს. ო. ნ. ხოშტარიაძე კოლხეთის დაბლობში 1943—1945 წწ. ჩატარებულ დაზვერვებში შემდეგ გამოთქვა ვიარაღი, რომ გორანამოსახლარში დადასტურებული ხის მორებისაგან გაკეთებული დიდი შენობის ნაშთები შეიძლება ბერძნული წყაროების „მოსინებს“ ანუ „ხის ციხე-კოშკებს“ დავუკავშიროთ. იგი ფიქრობდა, რომ ანტიკურ დროში ეს მოსახლეობა ამთავრებს თავის არსებობას, ტოვებს სანაპირო ხაზს და იხვეს მთებისაკენ. ამ მოკლედის ძირითად მიზეზად კოლხეთის ველის დაქობების პროცესი იყო მიჩნეული. შემდგომმა კვლევა-ძიებამ არ დადასტურა ეს ვიარაღი. გამოირკვა, რომ მოსახლეობა აქ ფოლად-



ლურ ხანაშიც განაგრძობს. არსებობას (თ. მიქელაძე, გ. გრიგოლია).

კოლხეთის დაბლობში ოცდაათიან და ორმოციან წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევები გორა-ნამოსახლარების შესწავლის შედეგები ერთგვარად შეაჯამა ბ. კუფტინმა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ გათხრები ბოლომდე არ იქნება მიყვანილი არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს ამ ძეგლის დანიშნულებისა და ხასიათის გარკვევისათვის. იგი ვარაუდობდა, რომ ეს გორა-ნამოსახლარები არ იყო ერთდროულად მოხენიული და თანდათანობით კულტურულ ფენათა წარმოშობასთან ერთად იზრდებოდა. გორა-ნამოსახლარები გამოვლენილი ხის ნაგებობები მას მიანინდა სქელი თიხატექნილი კედლის საძირკველად, თუმცა არც იმას უარყოფდა, რომ აქ შეიძლება პატარა საოჯახო-სავაჭარელო დასახლებასთან და ხის სახლებთან გვეკონოდა საქმე.

კოლხეთის გორა-ნამოსახლარები სხვადასხვა სიღრმისაა. მათი დიამეტრი 10—200 მ-მდე, სიმაღლე კი 1-10 მ-მდე მერყეობს. კოლხეთის ველზე ეს გორა-ნამოსახლარები მეტწილად რაოდენობით, ჭკუფებად არიან განლაგებული, ზოგჯერ ისინი თავს იყრები ერთი მაღალი ბორცვის გარშემო (ამის სოციალურ ბუნებას ყურადღება ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა მიაქცია). ა. იესენის, ნ. ხოშტარიას, შემდეგ კი თ. მიქელაძისა და გ. გრიგოლიას და სხვ. დაზვერვითმა სამუშაოებმა დაადასტურა ამ ხელოვნურ ბორცვებზე ხის მოზრდილი ნაგებობის ნაშთების არსებობა. ისინი, როგორც წესი, გარშემორტყმულია ვანიერი თხრილით, რომელსაც როგორც სადრენაჟო, ასევე თავდაცვითი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ხშირად ეს თხრილები ერთმანეთთან სავანგებო არხებით არიან დაკავშირებულნი უკანასკნელი კი მდინარეებს უერთდებიან და ერთიან საწყლოსანტრანსპორტო სისტემას ქმნიან. გარდა ამისა, არხების ეს რთული ქსელი, ნალექებით უხვი კოლხეთის ჰავის პირობებში, ზედმეტი წყლის განტვირთვის და განახლებასაც ემსახურებოდა; დაგუბებული წყალი კოლხეთში მალე გამოიწვევდა ნიადაგის დაქოპებისა. ასეთი არხების საყმაღრო თუთული ქსელის შექმნა და რეგულარული მოვლა-პატრონობა ეკონომიურად დაწინაურებულ ჯერ გვიანოვულ და მერე სასოფლო თემს თუ შეეძლო. ვარაუდობენ, რომ მათ შექმნაში მონურ შრომასაც იყენებდნენ არაა გამორიცხული, რომ ცალკეული გორა-ნამოსახლარებმა ნართლაც გვიარებად გაერთიანებულ ოჯახებს ეუთვნებოდათ.

ამ გორა-ნამოსახლარების შესწავლა კოლხეთის არქეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ამგვარად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ანტიურ ხანაში ცენტრალურ კოლხეთის, რო-

გორც შიდა, ასევე ზღვისპირა ნაწილში გავრცელებული ყოფილა ხელოვნურ ან ბუნებრივ ბორცვ-გორაკებზე განლაგებული სამოსახლარები, რომლებიც ცალკეულ სოფლებს ან შესაძლოა ქალაქებსაც წარმოადგენდნენ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით სახლები ხისა იყო, თიხით, ბათქაშით შელესილი. პიოკრატეს ცნობით, კოლხეთის დაბლობში, მის ზღვისპირა ნაწილში, ადამიანებს საცხოვრებელი კაობებში აქვთ და მათი ხისა და ლურწობის სახლები წყალზეა გამართული. ჯერ კიდევ ი. პანტიუხოვი ფიქრობდა, რომ პიოკრატეს მხედველობაში ჰქონდა კაობიან მიწაზე მდგარი კოლხთა ხიმიწვანი სახლები. ხის მრავალფეროვანი სახლები შენების ტრადიცია დასავლეთ საქართველოში ჩვენს დრომდე შემოინახა.

1936 წელს თბილისში მთავრობის დადგენილებით ჩამოყალიბდა კემშირითად ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო ცენტრი — ნ. მარის სახელობის ენის ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ს. ჯანაშია. 1941 წელს მას გამოეყო აქამდე არსებული იე. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. აქედან მოყოლებული ანტიურთი ეპოქის კოლხეთის, დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე დადგა. ახლებურად დასცა კოლხეთის სამეფოს ისტორიის საკითხები, რომელთა გადაჭრა არქეოლოგიური გათხრების გაუმშენებლად შეუძლებელი იყო.

1951 წლიდან დაიწყო აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქების გეგმარბოშიერი შესწავლა (ა. აფაქიძე). დღის წესრიგში დადგა დიოსკურია-სებასტოპოლის გამოკვლევის საკითხი. სამართლო დადასტურება, რომ ანტიურთი სამყაროსათვის კარგად ცნობილი ქალაქი დიოსკურია, თანამედროვე სოხუმის წინაპარი, ტრანგრესიის პრეცესის შედეგად ზღვის დაუღარავს საქართველოში პირველმა წყალქვეშა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომლებსაც ა. აფაქიძე ხელმძღვანელობდა, სოხუმის ზღვის ფსკერზე ამის დამადასტურებელი ბევრი მასალა მოიპოვა. ამ ვარაუდს კარგად აუბა მხარი სოხუმის ყურეში 1952 წ. აღმოჩენილმა ძვ. წ. IV ს. დასაწყისით დათარიღებულმა (ა. ლორთქიფანიძე) მერძნული ხელოვნების შესანიშნავმა ნიმუშმა, მარმარილოს სტელამ, საფლავის ქვამ, 1952-1960 წწ. გაითხარა დიოსკურია-სთან დაკავშირებული კოლხური ნამოსახლარები და მათი სამაროვნები. საყურადღებო შედეგები მოგვცა სოხუმის მთის არქეოლოგიუ-

ნილო კიდეშტამე. ბუბამ ლორთქიფანიძე  
 აღსავლეთ-სამხარეთშილოს ანტიკური ხანის  
 ძეგლების შესწავლის ისტორიიდან

რმა გათხრებმა (ლ. კალანდაძე, მ. თრავში ვარაუდობენ, რომ სოხუმის მთის დასახლება დიოსკურიის ერთ-ერთი მკიდრო გარეუბანს, წარმოადგენდა, სადაც განლაგებული იყო ქალაქური ტიპის ნაგებობანი (მ. ინაძე). ამ ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც ტერიტორიული სიახლოვის გამო ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა დიოსკურიასთან. ძნიშვნელოვანი მასალები მოგვცა სოხუმის მთის, გუდა იხუს, წითელი შუქურის სამართლებმა. მათ ნათლად ვეჩინებს, რომ დიოსკურიის გარეუბნები ძვ. წ. VI-II სს. მთლიანად ადგილობრივ მოსახლეობას ეკავა და ასე იყო ბერძენთა გამოჩენამდეც.

სოხუმის მთის სამართლიანი ორი სახის სამარხებისაგან შედგებოდა. ინჰუმაციური სამარხების უმრავლესობა შემოხვევით აღმოჩნდა და ამიტომ დაკრძალვის წესზე საუბარი ძნელია. ალ. კალანდაძის მიხედვით, ამ აღმოჩენილი მრავალფეროვანი სამარხული კომპლექსები ძვ. წ. VI-II სს. თარიღდება. ყურადღებას იპყრობს იარაღის არაჩვეულებრივი სიმრავლე. მაგალითად: № 5 სამარხული კომპლექსი წარმოადგენილია: რკინის კვარცხლის, მახვილის, ზუთი შუბისპირი და ერთი ხელმუხის პირისაგან, ამ იყო შემოტანილი ვავლაკიანი ჭურჭელი და ამფორისი. იარაღი შევლდება სოხუმის მთის რვავე სამარხულ კომპლექსში. ვარდა ამისა, ამ გათხარა ორი კრემაციული სამარხი ძვ. წ. VII-VI სს, რომლებშიც აღმოჩნდა ვერცხლის შეილდასკინძეები, ბრინჯაოს სამაჯურები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სამარხული ინვენტარის ნაწილი დაშვარი ჩანდა, რაც ალ. კალანდაძის დაკვირვებით „ჩაცულ-დახურული მიცვალებულის“ კრემაციის შედეგია. ძალზე დაშვარ-დაფერფლილი ნეშტი, ყოველგვარი ურნის ვარგეშ, სამარხულ ობიექტში იდებოდა. (მოგვიანებით კრემაციის ნაშთებს საგანგებო ჭურჭელში ათავსებენ). როგორც აღვნიშნეთ, ბ. ფუტინი კოლხეთში კრემაციის გავრცელებას ბერძენების გავლენით ხსნიდა. ალ. კალანდაძის დაკვირვებით სოხუმის მთის კრემაციული სამარხების თარიღი „კიდევაც რომ დაეწიეთ ძვ. წ. V-IV სს. კოლხეთში ამ წესის გავრცელების ბერძნულ ჩვეულებათა გავლენით ახსნა, მაინც არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან ძალიან საკუევა ადგილობრივი მოსახლეობას უცხო ეთნიკური ელემენტის შემოსვლისთანავე შეეცვალა თავისი დაკრძალვის წესი, რომელიც თავისთავად, ყველა ხალხებში, გარკვეული კონსერვატიულობით ხასიათდება“-ო. მარალად, ვარდა აღწერილისა, გუდა იხუს, ღების და სხვა სამარხებშიც გვიჩვენებენ, რომ ადრეანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოში მიცვალებულის კრემაცია არ იყო რაღაც უჩვეულო მოვლენა. ზოგიერთი არქეოლოგი დაკრძალვის ამ წესს რატომღაც უცნაურს უწოდებს, თუმცა უცნაური ან რა-

მდენადღე უჩვეულო ამ არაფერია: ამ დროს არსებული რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით ხომ კრემაცია ამქარბდა მიცვალებულს სულისა და ხორცის გაყრას.

კრემაცია, ღების (ბრილის) სამართლის მასალების მიხედვით, (გ. გობეჯიშვილის გათხრები) ძვ. წ. X ს. გვხვდება და საერთოდ ქრისტიანობის გავრცელებამდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს (ჩხობოწყუ და წებელდა). შედარებით უკეთ არის შესწავლილი წებელდის სამართლებანი (ახ. წ. VI-II სს.) ამ თანარსებობის დაკრძალვის ორი წესი — ინჰუმაციისა და კრემაციის, რაც ტრადიციული ჩანს კოლხეთისათვის. ამასთანავე კრემაციული სამარხები პროცენტულად ბევრად ნაკლებია. სამარხულ ურნად ხშირად გამოყენებულა ქვევრები, რომელშიც აწყობენ მიცვალებულის დაშვარი-დაფერფლილი ნაშთს, სამკაულს, იარაღს და სხვა. ქვევრს ხან გვერდზე აწვენდნენ, ხან პირით ქვემოთ. ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს წესი ძველ კოლხურ ქვევრსამარხების ტრადიციებს არ უკავშირდებოდეს.

მეცნიერებს კარგა ხანია ანტიკურსებთ საკითხი, თუ ერთი არის გამოწვეული ერთსა და იმავე სამართლებზე, ერთსა და იმავე დროს ზოგჯერ დაკრძალვის სხვადასხვა წესის არსებობა. თავის დროზე გ. ნიორაძე აღნიშნავდა, ასეთ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ, რომ ორი სხვადასხვა სახის სამარხების წესი ერთდამდე ეროვნებას ჰქონდა შემოტანილი, ვინაიდან თუ მხედველობაში მივადებთ ძველი დროის რელიგიურ ფანატრზმს, ორი სხვადასხვა ეროვნების ხალხს სხვადასხვა ადგილას ეწნებოდა სასაფლაოები. ანტიკური დროისათვის ყოველთვის როდი დასტურდება ეს ვარაუდობა, მაგრამ ჩვენ კონკრეტულ შემთხვევებში ერთ თანადრებულ სამართლებზე არსებული დაკრძალვის ორი წესი მართლაც გარდაცვლილთა ეთნიკური სხვაობით არ შეიძლება აიხსნას.

ანალოგიური სურათი, ინჰუმაციური და კრემაციული სამარხების თანარსებობა დადასტურებულია ანტიკური სამყაროს მთელი რიგი ცენტრების სამართლებზე. ათენსა და საერთოდ მთელ ატიკაში, კრემაციული სამარხები ძვ. წ. XI ს. ჩნდება, მათ ამ გამოჩენას იონიურებს უკავშირებენ. კ. კლიუბერმა ოთნის ერთ-ერთ ნეკროპოლზე ვაიხარა ძვ. წ. X — VIII სს. ასზე მეტი სამარხი და აქედან 41 იყო კრემაციული. ამასთანავე გამოიჩვენა, რომ კრემაციული სამარხების რაოდენობა, რომლებიც გვაროვნულ არისტოკრატის უკავშირდება, ძვ. წ. VIII ს. საკრძნობლად კლებულია. კლასიკური ხანის ათენში 186 სამარხიდან მხოლოდ 53 იყო კრემაციული, ოლანთოში კი ძვ. წ. V — IV სს. 600 სამარხიდან მხოლოდ 53-ი (ე.ი. 9 — 11%). ანალოგიური მდგომარეობაა როდოსის სამართლებზე ძვ. წ. VIII — IV სს. 341 სამარხიდან 96 კრემაციულია,



ხლო დანარჩენი ინჰუმაციური. ასეთივე სურათია აპოლონიაში და ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიების სამაროვანზე (პანტიკაპეონი, ფანაგორია, ოლბია), ხლო ტომის ნეკროპოლზე — პირიქით, 75 სამარხიდან უმეტესობა კრემაციულია.

სპეციალისტების უმრავლესობა თვლის, რომ კრემაცია ძირითადად დაკავშირებულია საზოგადოების მაღალ ფენებთან, რადგან კრემაცია შედარებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ინჰუმაცია. ზოგიერთი ავტორი ამ ფაქტორს იმდენად ღივ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მხოლოდ შეშაზე ფასის მომატებით ხსნიდა იმპერიის ეპოქის რომში ინჰუმაციური სამარხების გაბატონებას. დასავლეთ საქართველოშიც კრემაციული სამარხების პროცენტული რაოდენობა ასევე ბევრად ნაკლებია ინჰუმაციურზე, რომლებთანაც ისინი თანაარსებობენ; თუმცა ტყით მდიდარ კოლხეთში საწვავის პრობლემა არ არსებობდა და ამის გამო არც კრემაცია უნდა ყოფილიყო დაკავშირებული რაღაც განსაკუთრებულ სახსრებთან. ამიტომ კოლხეთის ზოგიერთ ნაწილში დადასტურებული კრემაციის წესი სოციალური ფაქტორების გარდა ადგილობრივ ლოკალურ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და მათ გადმონაშთებს უნდა დაუკავშირდეს. ამავე დროს მხედველობაში მისაღები გარდაცვლილის სოციალური მდგომარეობის გარდა მისი სქესი და, შესაძლოა, სიკვდილის ხასიათიც. ამ მიზეზებით მიცვალებულების სხვადასხვა წესით დაწარხვა დადასტურებულია როგორც ეთნოგრაფიული, ასევე არქეოლოგიური ფაქტებითაც.

როგორც აღვნიშნეთ, კრემაციული სამარხები გაითხარა გულ-იხუს სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს სოხუმის მთის ჩრდილოეთი ვაგრძელებების მაღლობზე, სოხუმსა და სოფელ ბირცხას შორის. სულ შესწავლილი იქნა 91 სამარხი, აქედან 32 დათარიღდა ძვ. წ. VIII-V სს., ხლო 59 ძვ. წ. V-II სს. სამარხების ორივე ქრონოლოგიურ ჯგუფში (მ. თრაფშის მიხედვით), დაკრძალვის ორი წესი დასტურდება: 1) მიცვალებულის სრული კრემაცია; 2) ნაწილობრივი კრემაცია, მიცვალებულის ძვლებამდე დაწვა. განსხვავებულია სამარხული ორმოები. პირველ შემთხვევაში იგი დიდი, ოთხკუთხა ორმოა, მეორე შემთხვევაში კი—პატარა და მრგვალი. მიუხედავად ნაწილობრივი კრემაციისა, თითქოს შესაძლებელი ხდება მიცვალებულის დახრობის განსაზღვრა. მაგალითად: №8,9,11,25,29 სამარხების მიხედვით—მიცვალებული ჩაუწვევიათ ზურგზე, გამოტილ მდგომარეობაში თავით დასავლეთისაკენ. მიცვალებულის არასრული კრემაცია ხდებოდა პირდაპირ სამარხულ ორმოში, სრული კი სამარხულ ორმოსაგან მოშორებით, ისევე როგორც ეს სოხუმის მთაზე დადასტურდა. დ. რობინსონის მიხედვით ოლინოში, იშვიათი გა-

მონაკლისი გარდა, მიცვალებულის კრემაცია ხდებოდა სამარხულ ტრანშეაში, რომელსაც შემდეგ მიწით ამოვსებდნენ. კოცონის ინტენსივობაც სხვადასხვა იყო. (ოლინოში მიცვალებულების უმრავლესობა ბოლომდე დაფერულია.)

ამგვარად, გულ იხუს ნაწილობრივ კრემაციული სამარხების არსებობა შემთხვევითობით არ აიხსნება. გაუგებარია მხოლოდ ის ვარაუზება, რომ მ. თრაფშის დაკვირვებით მიცვალებულის ძვლები ნაწილობრივი კრემაციის შემდეგ იმდენად წესიერ მდგომარეობაშია ჩალაგებული, რომ დამხობის განსაზღვრა ხერხდება. მიცვალებული საგანგებოდ დალაგებულ შეშაზე, ძელებზე უნდა დაეწვიანთ, თორემ სხვაანირად კოცინენ, თუნდაც მისი ნაწილობრივ დაწვა, შეუძლებელი იქნებოდა, ხლო ხორცის დაწვის შემდეგ ძვლები უწესრიგოდ უნდა ჩაყრილიყო სამარხში. მ. თრაფში აღნიშნავს, რომ ამ სამარხებში ჩალაგებულ იარაღ და ქურჩულს ცეცხლის კვალი არ ეტყობა და მერე უნდა იყოს ჩატანებული.

ამ სამაროვნებზე დაკრძალვის პრინციპულად ერთნაირი ორი წესი—სრული და ნაწილობრივი კრემაცია, ჩვენი აზრით, მამაკაცებისა და დედაკაცების სამარხებს უნდა დაუკავშიროთ. ჩვენ მოსაზრებას თითქოს მხარს უჭერს გულ იხუს აღრეული ჯგუფის სამარხების ინვენტარის ანალიზი. ასე, მაგალითად, ნაწილობრივ კრემაციულ სამარხებში, № 1, 2, 7, 8, 10, 11, 13, 19, 29, 30, 31, 32 აღმოჩნდა სხვადასხვა იარაღი, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს ისინი მამაკაცების სამარხულეზად მივიჩნიოთ, ხლო, სრულ კრემაციულ სამარხებში: №3, 4, 6, 14, 15, 16, 17, 18, 29, 21, 22, 27, 28 კი სხვადასხვა სამკაული იყო, იარაღი კი არ გვხვდება. სამკაულის ზოგიერთ სახეობას: სამაჭურები, მიწები და სხვა, ზოგჯერ მეომართა სამარხებშიც ვხვდებით, მაგრამ უიარაღო სამარხები, სადაც მრავალფეროვანი სამკაულები გვხვდება, აშკარად დედაკაცებს უნდა დაუკავშიროთ. დ. რობინსონი აღნიშნავს, რომ კრემაციულ სამარხებში მიცვალებულთა სქესის დადგენა არ ხერხდება, მაგრამ სამარხული ინვენტარის მიხედვით ოლინოში უმეტესობა ქალებია.

გულ-იხუს სამაროვანზე კარგად ჩანს მკვეთრი ქანებრივი უთანასწორობა. ყურადღებას იპყრობს ბრინჯაოს გრეხილტანიანი, ბოლოებ რომისებურად ვაბრტყელებული დიადემა—გვირგვინები, რომლებსაც საკონსერვო რგოლად მიიჩნევენ. ისინი მმართველი წრეების, მოსახლეობის ზედა ფენების წარმომადგენლებს უნდა დაუკავშიროთ. მათი შედარებითი სიმრავლე ვანის მდიდრულ სამარხებ-

**ენო კილაშაძე, გურამ ლორთქიფანიძე**  
დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორიულ

ში გვაფიქრებინებს, რომ ისინი ნამდვილად დასაყრდენად ღიადგებენ წარმოადგენენ. როგორც სოხუმის მთაზე, აქაც ყურადღებას იპყრობს იარაღის დიდი რაოდენობა, რაც არ ახასიათებს ცენტრალური კოლხეთის ამ დროის სამაროვნებს და რაც ძნელია შემთხვევითი ფაქტორებით ან იარაღის სიძვირით ავსხნათ. ჩანს, დიოსკურიის შემოგარენის მოსახლეობა სოციალური განვითარების გარკვეულ საფეხურზე მდგარი მკვეთრად გამოხატული მეორეული ბუნებისაა და კარგად არის შეიარაღებული. ამასთანავე, მათი ურთიერთობა მეზობლებთან, ბერძენ მოახალშენებთან ყოველთვის მშვიდობიანი ხასიათის არ უნდა ყოფილიყო.

გუდალ-იხუს სამაროვნის მასალებთან ძალიან ახლოს დგას, როგორც ეს ჯერ კიდევ მ. თრაფშმა აღნიშნა, წითელ შუქურის სამარხეული ინვენტარი. ეს სამაროვანი მდებარეობს ქალაქ სოხუმის დასავლეთ გარეუბანში. აქ მთელი 700 წლის მანძილზე, ძვ. წ. VIII-II სს. ადგილობრივი მოსახლეობის ნეკროპოლი იყო განლაგებული. შესწავილილი 152 სამარხიდან 104 აღრეულია, ძვ. წ. VIII-VI სს. ხოლო 48 — ძვ. წ. V-II სს. თარიღდება. მ. იმნაძის აზრით, ძვ. წ. V-III სს. ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს, რადგან ამ ხნის სამარხების რაოდენობა მართლაც შედარებით მცირეა. ხომ არ არის ეს მოვლენა დაკავშირებული დიოსკურიის მოსახლეობის კონცენტრაციის ზრდასთან? ბუნებრივია, ამ პროცესში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქ დიოსკურიასთან დაკავშირებული უახლოესი კოლხური დასახლებები. ამგვარად, აღვილობრივი მოსახლეობის ხედარითი წონა ზღვი-სპირა ქალაქებში, ამ მავალითს მიუხედავად, დიდი უნდა ყოფილიყო.

წითელ შუქურის სამარხების ადრეულ ჩვენს დაცრძალვის სამი თანადროული წესია დადასტურებული, მაგრამ მათ შორის კრემაცია არ ჩანს. 1) მიცვალებული ზურგზე წევს, გაშოტილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ; 2) მიცვალებული მოკუნტულია, ხელ-ფეხ მოკეცილი, წვეს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე; 3) მეორადი დაკრძალვა, მიცვალებულის ძვლები იწყობა სამარხეულ ორმოში (18 შემთხვევა) ან სამარხეულ ორმოში ჩადგომულ ქვევარსებრ ჭურჭელში, (8 შემთხვევა) ძვ. წ. V-II სს. სამარხებში მეორადი დამარხვის წესი უკვე აღარ გვხვდება, საერთოდ კი, კოლხეთის სხვა ნაწილში, კერძოდ, ვანში, ამ ტიპის სამარხები ელნი-სტურ ხანაშიც განავრცობს არსებობს. ეს კი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სიახლოვისა და ერთიანობის მაჩვენებლად შეიძლება გამოდგეს.

გუდალ-იხუსა და წითელი შუქურის სამაროვნების ძვ. წ. V-III სს. სამარხების მიხედვით ადგილობრივი მოსახლეობაში ქონებრივი, აქედან გამომდინარე ალაბთ სოციალური უთანა-

სწორობა საგრძობია. საქმარისია ითქვას, რომ წითელი შუქურის სამაროვნზე 19 უმცირესი, რომ სამარხია გათხრილი, გუდალ-იხუსზე უმცირესი ხშირია ისეთი სამარხებიც, რომელშიც მხოლოდ თითო-ორილა ნივთია აღმოჩენილი. მათ ფონზე მდიდრულად გამოიყურება ის სამარხები, რომლებშიც სხვა ნივთებთან ერთად ოქროს სამაყულებიც გვხვდება. შემცირებულია იარაღის შემცველი სამარხების რაოდენობაც. იარაღი აღმოჩნდა მხოლოდ სამ სამარხში.

ამრიგად, სოხუმის (დიოსკურია) შემოგარენში ძვ. წ. V-III სს. დადასტურებულია დაკრძალვის სხვადასხვა წესი. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ წითელი შუქურის და სოხუმის მათის მოსახლეობა ერთმანეთისაგან ეთნიკურად განსხვავდებოდა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ წითელ შუქურაზე და სოხუმის მთა გუდალ-იხუსზე დადასტურებული დაკრძალვის წესები არ იყო უცხო დასავლეთ საქართველოს სხვა, მათ შორის მთიანი კუთხეებისათვის, და ამიტომ ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ჩრდილო-დასავლეთი კოლხეთი ახლო, მონათესავე ტომებით იყო დასახლებული. ერთ სამაროვნზე დადასტურებული ორი განსხვავებული წესის არსებობა კი გასადაცვლილთა სოციალური მდგომარეობით, ან სპეცობრივი განსხვავებით უნდა ავსხნათ. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. III ს. პოეტის მეცნიერი აპოლონ როდოსელი პირდაპირ მიუთითებდა: „კოლხეთში ჯერ კიდევ ახლაც ცოცხლად ითვლება მიცვალებული მამაკაცების ცეცხლით დაწვა; არც ის არის წესი, რომ მიწაში დაფლან და ზემოდან ტაგრუცი დააყარონ. მათ ხარის ტყავეში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. პაერის თანაბრად მიწაც ღებულებს თავის წილს, რადგან ქალებს მიწაში მარხავენ. ამ ისეთი ჩვეულება იქ დამკვიდრებული“. მთელ კოლხეთზე ამ აზრს ვერ გავაერცელებთ, მაგრამ ანტიკურ ხანაში მეორადი დამარხვის წესი მართლაც დადასტურებული, წითელი შუქურის სამაროვნაზე და ვანში. გარდა ამისა პაერს დაკრძალვის წესმა, გადმონაშთის სახით, აფხაზეთში XX ს. დასაწყისამდე მოაღწია. რაც აპოლონ როდოსელის ცნობის ერთგვარი დადასტურებაა.<sup>1</sup>

დაკრძალვის სხვადასხვა წესის თანაარსებობა კარგად ჩანს ცნობილ ბრილის სამაროვნაზეც, ზემო რაჭის ამ მდალამთან სამაროვნაზე თითქმის 2500 წლის განმავლობაში მარხავდნენ მი-

<sup>1</sup> აპოლონ როდოსელი, ნიკოლოზ დამასკოელისა და კლავდიოს ელიანეს ცნობებზე დაყრდნობით გასული საუკუნის ცნობილი ფრანგი მკვლევარი ე. მორგანი ფიქრობდა, რომ ძვ. წ. V-I სს. მიცვალებულებს დასავლეთ საქართველოში მიწაში საერთოდ არ მარხავდნენ. როგორც ვხედავთ, ეს არ შეეფერება სინამდვილეს.



ცვალებულებს (ბრინჯაოს ხანიდან—ახ. წ. მე-IV საუკუნემდე). ჩანს, რომ მოსახლეობა ამ ხნის განმავლობაში აქ არ შეცვლილა, სასაფლაოს გათქმება კი ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. გ. გობეჯიშვილის მიხედვით, მთელი ამ ხნის განმავლობაში ძირითადად დაკრძალვის ორი წესი—ორმოსამარხები და ქვასამარხები თანაარსებობდა. მიცვალებულის აქაც, ისევე როგორც კოლხეთის ბარში, მოკუნტულს, ხელ-ფეხ მოკეცილს მარხავდნენ, ქალებს მარცხენა, ხოლო კაცებს მარჯვენა გვერდზე. ზემოდან, ვანისა და ითხვისის სამარხების უსაგვსად, სხვადასხვა სიდიდის ქვაყრილობით შეთავსდებოდა. ძვ. წ. X-V სს. განმავლობაში მათ გვერდით თანაარსებობდა დაკრძალვის კიდევ ერთი წესი—მიცვალებულის კრემაცია. შესწავლილია რამოდენიმე, კოლექტიური, საკმაოდ მდიდარული კრემაციული სამარხი. აღმოჩენილია მრავალჯეროვანი საბარხლო იარაღი, ამის გამო გ. გობეჯიშვილი ვარაუდობდა, რომ ამ წესით მხოლოდ მამაკაცებს ასაფლავებდნენ. სამკაულებს, სამარხეულ ინვენტარში მეორეხარისხოვანი ადგილი უკავია, ისინი წარმოდგენილია: კარკაბით, სამკურებლად და საყურებით; შესაძლოა მართლაც ძალა-უფლების ნიშნებს—ინსიგნიებს წარმოადგენდა. განსხვავება დაკრძალვის წესში აქაც გამოწვეული უნდა იყოს სოციალური ფაქტორი. წარჩინებულ მემარხები, რომლებიც გვარის რიგით წევრებზე ქონებრივი და იურიდიული ღვაწლმართობით მალა ღვანან, განსაკუთრებული წესით და დიდი პატივით იმარხებიან. უფრო ადრეულ ბრილურ სამარხებშიც კარგად ჩანს გვარის მეთაურთა საბარხო დაწინაურებული მსოფადოების რღვევის პროცესი საკმაოდ შორს წასული და სახეზეა კლასთა წარმოშობის უცილობელი ნიშნები.

ძვ. წ. V-III სს. ბრილი მიმკაცების ქვასამარხებში, ზოლო დედაკაცებს ძირითადად ორმოსამარხებში ასაფლავებდნენ. ამ გარემოებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ერთსა და იმავე სამარხოვანზე არსებულ დაკრძალვის განსხვავებულ წესების გააზრებისათვის, რომელზედაც ზემოთ გვეჩვენა საუბარი. ძირითადი ძვ. წ. V-III სს. ბრილის სამარხოვანზე დადასტურებული დაკრძალვის წესი იმეორებს ცენტრალური კოლხეთისათვის დამახასიათებელ დაკრძალვის ფორმებს, განსხვავება სამარხის ტიპშია. კოლხეთის ბარში ამ დროს სამარხებს ქვევრებს იყენებენ. მევენახე-მეღვინის ეს სპეციალური ჭურჭელი, ცხადია, მაღალმთიან რაიონებში არ გააჩნდათ. საყურადღებოა, რომ ბარისაგან განსხვავებით, აქ კვლავ გვხვდებით იარაღიან სამარხებს, თუმცა ძვ. წ. მე-IVს. (გ. გობეჯიშვილი) მათი რაოდენობა აქაც მცირდება, ეს კი სავსებით სპარტოლიანად, დიდი სოციალური ძვრების მიხედვითაა.

მიანიით. ბრილის ამ ხანის მდიდარულ სამარხებში, როგორც აღნიშნული გვეჩვენა, ვხვდებით გერცხლის რომბულბლოკებიან დიადემებს, რომლებიც ვანური ანალოგიების მიხედვით სოზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლებს უნდა მიეკუთვნებოდნენ. სწორედ ისინი გამოდიან იმ უცხოური ფუფუნების საგნების მომხმარებლად, რომლებიც კოლხეთის ბარიდან შემოდის აქ ადრე ანტიკური ხანიდან დაწყებული; როგორც ვხედავთ, ანტიკურ ხანაში მთაშიც ვითარდება რთული, კლასობრივი ურთიერთობანი, მიუხედავად იმისა, განვითარების დონითა და ტრეპით მთა ერთგვარად მაინც ჩამორჩებოდა ბარს, სადაც უკვე სახელმწიფო არსებობს. მთას მკიდრო ეკონომიურ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა ბართან. ასეთივე სურათი უნდა იყოს ანტიკურ ხანის სვანეთშიც, რომელიც არქეოლოგიურად ჯერ კიდევ სუსტადაა შესწავლილი. 1964-1967 წწ. ქუბერის ხეობაში ე.წ. ლარიალის სამარხოვანზე გაითხარა კრემაციული მიწები, სადაც აღმოჩნდა ეგრამიული ჭურჭლის ფრაგმენტები, იარაღ-ჭურჭელი და სამკაული. შ. ჩართოლის დაცვირებით, კრემაციული მიწების გვერდით ინჰუმაციური სამარხებიც უნდა არსებობდეს (შემთხვევითი აღმოჩენები, აღექსნადრე მაკედონელის სტატეგები, სამარხოვანზე ამოკრილი ძვლები და სხვა) აქაც ვარაუდობენ, რომ ეს სამარხოვანი განეკუთვნება ქონებრივად დაწინაურებულ საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებს. სამარხოვანი ძვ. წ. VI-IV სს. თარიღდება.

განსხვავებული დაკრძალვის წესი ჰქონდათ კოლხეთის სანაპიროს ბერძენ მოახალშენეებს და როგორც აღვნიშნეთ, აუცილებლად კრემაციასთან როდი არის იგი დაკავშირებული. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ. წ. VI-II სს. დათარიღებული ვრცელი სანაროვანი. განსაკუთრებით ფართოდ გავშალა ამ ანტიკური ხანის ნაქალაქის შესწავლა 1958 წლიდან. როდესაც დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. გამოიკვია, რომ კოლხური გორა-ნამოსახლარების ზაზაზე ძვ. წ. VI ს. აქ ქალაქური ტიპის მსხვილი დასახლება ჩნდება.

ძვ. წ. VI ს. დასავლეთ საქართველოში სასოფლო დასახლებების გვერდით უკვე არსებობენ ასეთი მსხვილი, საქალაქო ტიპის პუნქტები, რომლებიც სათავეში უდგებიან გარშემო მყოფ ეკონომიურად მძლავრ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს და წარმოადგენენ ე.წ. „ქვეყანას“, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცენტრს. ასეთებია დასავლეთ საქართველოში: ზუგდიდი-

ნიწო აიღუჩაძე, გურამ ლორთქიფანიძე  
დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის  
ძვლებიან მონეტარულ ისტორიულ

დის, სამხერის, ითხვისის, ვანის, ქუთაისის და სხვა „ქვეყნები“, რომლებიც კოლხეთის სამეფოს საფუძველს წარმოადგენდნენ.

ფიქნარი ძვ. წ. VI-II სს. წარმოადგენდა საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთ ასეთ მძლავრ სავაჭრო სახელსნო ცენტრს. ა. კახიძის მიერ ქობულეთ-ფიქნარში წლების განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესაძლებელი გახდა ბერძენთა უბნის, ემპორიონის და ძვ. წ. V ს. მათი სამაროვნის გამოყოფა. ქალაქის სამაროვნზე გრავირებული გათხრილია 100-ზე მეტი სამარხი. გამოიყო უინვენტარო, საშუალო და მდიდრული სამარხები, რაც აქ დაკრძალულთა სხვადასხვა ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე მეტყველებს. ამასთან სამარხებში თითქმის არ გვხვდება იარაღი, რაც მოქალაქეთა მშვიდობიანი საქმიანობის მიჩვენებლია. (იხილეთ ნ. ხოშტარია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის პოლისების მოქალაქეთა სამარხებში!) ფიქნარში სამარხების უმრავლესობა ინჟუმაციურია, მაგრამ გვხვდება კრემაციის შემთხვევებიც. მიცვალებულთა ძირითადი დამხრობილი არიან თავით აღმოსავლეთისაკენ, რაც ბერძნული წესისათვის არის დამახასიათებელი. გვხვდება ჩრდილოეთის ორიენტაცია.

ნ. ხოშტარია აღნიშნავდა, რომ ქობულეთ-ფიქნარში აღმოჩენილია ძვ. წ. V-IV სს. ქვევრსამარხები. ამ გარემოებას არ უარყოფდა ა. კახიძე, რომელიც წერდა, რომ ფიქნარში ქვევრსამარხებიც გვხვდება. ფიქნარის ნეკროპოლზე, რომელიც საკმაოდ მჭიდროდ განლაგებულ სამარხებს შეიცავს, შემდგომი კვლევა-ძიებების ქვევრსამარხები არ აღმოჩენილა. შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ წინათ აღმოჩენილი ქვევრსამარხები ექუთუნის ქობულეთ-ფიქნარის შემოგარენის სოფლის მისახლეობას, რომელიც დაკრძალვის წესებით განსხვავდებოდა ქალაქის მცხოვრებლებისაგან. რის მივალთივ ვანშიც გვაქვს.

ცენტრალური კოლხეთის სოფლის მისახლეობისათვის წინაეღონისტურ და ელინისტურ ხანაში დამახასიათებელია სამარხის სწორედ ეს ტიპი, ქვევრსამარხები. ქვევრები, როგორც ვარაუდობენ, მევენახეობა-მეღვინეობაში დაოსტატებული მეურნე-მიწათმოქმედნი იკრძალებოდნენ. მართლაც, ქვევრსამარხები გვხვდება იქ, სადაც ვენახი იყო კულტივირებული

<sup>1</sup> ქვევრსამარხში დამარხვის წესი არც ბერძნული სავაჭროსათვის იყო უცხო. ქვევრში დაკრძალვის ფაქტები ძვ. წ. V-IV სს. დადასტურებულია ათენში, ოლინთოში, აპოლონიადი და სხვა კოლხეთისაგან განსხვავებით, აქ ქვევრებში უპირატესად მოხარდებს მარხავდნენ. გარდა ამისა, საბერძნეთში ქვევრსამარხების კიდევ უფრო მჭიდრო ტრადიცია არსებობდა.

ლი და მევენახეობა-მეღვინეობა მეურნეობა განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. ძირითადად დაბლობი და მთისწინა რაიონებისათვის არის დამახასიათებელი. ჩვენში ქვევრსამარხების შესწავლას საფუძველი მ. მაკალათიამ ჩაუყარა, შემდგომ კი ამ პრობლემით დაინტერესდნენ ბ. კუფტინი, ნ. ხოშტარია, მ. ივანიშვილი, გ. ცეიტივილი, ვ. თოლორდავა და სხვა.

ჯერ კიდევ ორმოციან წლებში სამტრედიის რაიონში, ნ. დაბლაგოში გათხარა 35 სამარხი, რომლებიც არ გამოირჩევა ინვენტარის განსაკუთრებული სიმდიდრით ან მრავალფეროვნებით. უმეტესობა შეიცავს ერთ-ორ თიხის ქურქულს, მძივებს, ბრინჯაოს, იშვიათად ვერცხლის სამკაულებს და წვირილ კოლხურ ფულებს-ნახევარდრაქმებს. ძირითადად აქ საშუალო, ერთნაირი შეძლებისა და მდგომარეობის გლეხები არიან დაკრძალულნი, ამასთანავე ნ. ხოშტარიას ვარაუდით, აქ სოციალურად დაწინაურებული წრეების წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ, რომლებსაც უნდა დავუკავშიროთ კოლხურ თეთრის განძი და ოქროს ცალკეული ნივთიერების აღმოჩენის ფაქტები. ქვევრსამარხებში კი ოქროს ნივთები დადი იშვიათობაა. ბ. კუფტინისა და ნ. ხოშტარიას მონაცემებით ძვ. წ. VI — V სს. ქვევრსამარხებს თავდაყირა, პირით მიწისკენ დებდნენ. მოგვიანებით კი ძვ. წ. IV — III სს. სამარხად გამოყენებულ ქვევრებს პორიზონტალურად აწვენენ. ნ. ხოშტარიას მიხედვით, 12 უტყუარი შემთხვევიდან, როცა მოხერხდა ქვევრის მდგომარეობის შესწრა დადგენა, პირით მიწისკენ იყო ჩადგმული 7, ძირით 2, პორიზონტალურად 3. მიცვალებული იწვა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, ან ჩრდილო-დასავლეთისაკენ (ჩონჩხი აქ ძალიან ცუდად იყო დაცული დაფარისაგან განსხვავებით). შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიცვალებულთა დახრობას არ ექვევოდა ყურადღება. ნ. ხოშტარიას აზრით, დამხრობაში არსებული სხვაობა შეიძლება ასაკისა და სქესის განსხვავებით იყოს გამოწვეული.

ბ. კუფტინი წერს, რომ დაბლაგოში სავანებო სისაფლაო არ არსებობდა, მიცვალებულებს მარხავდნენ საცხოვრებელიან ახლო მდებარე მიწის ფართობებზე, რაც ტრადიციული ჩანს ანტიკური კოლხეთისათვის. ბ. კუფტინი დაბლაგოში ქვევრსამარხების ზედა ქრონოლოგიურ სახზვრად VI ს. იღებდა, ამასთანავე სივანებოლ აღნიშნავდა, რომ ძვ. წ. V — IV სს. მიწა კოლხეთისათვის მათი ფართი ვავრცელების ხანა იყო. ნ. ხოშტარიას გამოკვლევით, დაბლაგოში გათხრილი 35 სამარხიდან ძვ. წ. VI ს. თარიღდება 4 ქვევრსამარხი, ძვ. წ. V ს. 22, ძვ. წ. IV — III სს. მხოლოდ 7 ქვევრსამარხი. ვ. თოლორდავას დაკვირვებით, რასაც დაფარის მასალები უბამს მხარს, დაბლაგოში ქვევრსამარხების ქრონოლოგია დაუსუსტებას მოითხოვს და მათი ძირითადი ნაწი-

ლი ადრეელინისტური ხანით ძვ. წ. IV—III სს. უნდა დათარიღდეს.

ძვ. წ. III ს. თარიღდება ქუთაისთან, სოფელ ფარცხანაყანევში 1937 წ. გათხრილი ქვევოსამარხების ჯგუფი. მ. ივანიშვილი ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში რომაულ ხანამდე იარსებებს. შემდეგ კოლხეთის რიგგორც ზაგრაპირა, ასევე შიდა რაიონებში კრემაციის გავრცელება. როგორც აღნიშნული გაქონდა, ასეთი სამარხები მართლაც არსებობენ რომაულ ხანაშიც, მაგრამ არ უჭირავთ გაბატონებული ადგილი და მათ არც ქვევოსამარხები შეუცვლიათ. ამ ხანის ქვევოსამარხები გვხვდება ბორში, ბანძაში და სხვ. გვიანტიტულურ ხანაში, ახ. წ. I—III ს. შედარებით მცირე ტერიტორიაზე კვლავ გავრცელებულია მიცვალებულის დაკრძალვის სხვადასხვა წესი: 1) ქვევოში დამარხვა, 2) ორმოსამარხში დამარხვა, 3) ქვისამარხები, 4) მიცვალებულის დაწვა და ფერფლის ქვევოში დამარხვა. ამ მიმართებით საინტერესოა აფხაზეთში, წებელდში გამოვლენილი ახ. წ. II—V სს. დათარიღებული (მ. გუნდა) ე. წ. აფიანჩას სამაროვანი, 18 სამარხიდან აქ მხოლოდ 6 იყო კრემაციული. კრემაციის ნაშთები ქვევოებში იყო მოთავსებული. ამ სამაროვანს გარკვეულ ტომობრივ ერთეულს, კერძოდ, ძველ წყაროებში დადასტურებულ აზნოლების ტომს უკავშირებენ. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი გარემოება. ახ. წ. II ს. ქვევოებში მიცვალებულის კრემაციის ნაშთების დაკრძალვა დადასტურებულია თერჯოლის რაიონის ს. ძვერშიც, და ორმოსამარხები, რომლებსაც ბუნებრივია აზნოლებს ვერ დაუეკავშირებთ. როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველო ანტიკურ ხანაში ახლო მონათესავე ტომებით იყო დასახლებული და დაკრძალვის მსგავსი წესები იყო გავრცელებული.

განსაკუთრებით ხშირია ქვევოსამარხების აღმოჩენების შემთხვევები ცენტრალურ კოლხეთში, კერძოდ, ქუთაისის მიდამოებში, რომელიც კოლხეთის ერთ-ერთ დაწინაურებულ ოლქს წარმოადგენდა. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მიერ შედგენილი არქეოლოგიური რუკის მიხედვით, ქვევოსამარხები დადასტურებულია: ქუთაისში, ბანოჯაში, მალჯაში, ქვედა მესხეთში, ქვიტირში, აჯამეთში, ოდილაურში, გოდოვანში, ფარცხანაყანევში, წყალტუბოში და სხვ. მათი თარიღი ზოგადად ძვ. წ. VI—I სს. არის განსაზღვრული. (ხილეთ გამოკვლევების მიხედვით კი ისინი ძალიანად ძვ. წ. IV—III სს. უნდა დათარიღდეს.)

ელინისტური ხანის ქვევოსამარხები გვხვდება სამეგრელოშიც, კერძოდ, ცხაკიაში და აბაშატიხურის ორმონარეთში: ქ. ცხაკია, სოფ. ზანათი, ისულა, თელავის საერარგე მესურნობის ტერიტორიაზე, ტახურ-აბაშის შესავართან

(გ. ელიავა). ჯერჯერობით ქვევოსამარხების აღმოჩენის უდავო ფაქტი დადასტურებული არ არის ზღვისპირა ზოლში და ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ქვევოსამარხებს უწოდებენ ეშერის ე. წ. ოსუარებებს, რომლებშიც გვიანბრინჯაოს ხანის მეორადი დაკრძალვა დადასტურებული. ამ სახეობის დაკრძალვის განსხვავებული წესის გამო მათზე ვერ გავავრცელებთ. ამასთანავე არ უნდა იყოს გამორიცხული ის გარემოებაც, რომ ეშერ-წითელშუქუტის ოსუარები ცენტრალური კოლხეთის ქვევოსამარხები, გვიანდელი, ფერფლის შესანახი ქვევოები — ერთმანეთთან გენეტიურად არიან დაკავშირებულნი და განვითარების ერთიანი ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენენ.

ჯერ კიდევ არ არის დადგენილი კოლხეთში ქვევოსამარხების გავრცელების სამხრეთი საზღვარი. ამ ბოლო დროს ელინისტური ხანის მთელი რიგი ქვევოსამარხები აღმოჩნდა სუფსა-ნატანების ორმონარეთში, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონების მთელ რიგ პუნქტებში: ზემოფარცხა, წიფნარი, დიდვანი, ზენობანი, ქვემონეთი, გოგორეთი, ბუისციხე, ჩობათი და სხვ. ისინი ნ. ვაშაქიძის დაკვირვებით, დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ცენტრალური კოლხეთის სხვა ქვევოსამარხებთან და მათ კულტურულ-ტერიტორიალურ გავრცელებასაც წარმოადგენენ. გეოგრაფიულად უტოლის ეს ნაწილი მთის წინა ზოლს წარმოადგენს. მთიან ნაწილში და უფრო სამხრეთით, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქვევოსამარხები ჯერ არ აღმოჩენილა.

ქვევოსამარხები მიჰყვება მთისწინა ზოლს აღმოსავლეთისკენაც, ამ ხაზზე დაფნარ-დაბლაგომის გარდა ქვევოსამარხები დადასტურებულია საჯავახოში, მთისძირში, ვანის რაიონის სოფლებში (ციხესულოში, ტყეღანაში) და სხვ.

როგორც დაგრწმუნდით, წინაელინისტურ და ელინისტური ხანის კოლხეთის ცენტრალური რაიონებისათვის დამახასიათებელი ყოფილა მიცვალებულის დაკრძალვის ერთგვაროვანი წესი — ქვევოსამარხები. დასავლეთ საქართველოში ერთ სამაროვანზე ქვევოსამარხების გვერდით, დამარხვის სხვა წესი ჯერჯერობით არ დადასტურებულია. ეს გარემოება შეიძლება გამოვლდეს იმის საბუთად, რომ აქ ეთნიკურად ერთიანი მოსახლეობა ვივარაუდოთ. გარდა ამისა, ეს სამარხები გარკვეულ სოციალურ კატეგორიასაც უკავშირდება, კერძოდ, კოლხეთის სოფლის მოსახლეობას. ეს გარემოება კარგად ჩანს ჩვენს მიერ გათხრილი დაფნარის (სამტრედიის რაიონი) ქვევოსამარხების მაგალითითაც, სადაც

**ინოე კიდუბაძე, გურამ ლორთქიფანიძე**  
დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ინსტიტუტი



დასაწყისით არის დათარიღებული (ო. ლორთქიფანიძე).

აღწერილი სამარხიდან 40-მის სამხრეთით აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. კიდევ ერთი მეტად მდიდრული № 11 სამარხი (ო. ლორთქიფანიძე). აქაც კლდოვან ფენაში თირში ამოკრილი იყო 3,10 მ X 3,40 მ ზომის სამარხეული ობო, რომელშიც ტრადიციული დასაკრძალავი ხის, რაღაც ძელოური ნაგებობა ჩაუდგამთ, რომლისაგანაც მხოლოდ დიდი ზომის რკინის ლურსმნეში ვაღარჩენილა. ზემოდან მთელი სამარხი დაფარული იყო რიყის ქვებით. სარკოფაგის გარეთ აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი და ლავანი. სამარხში ერთდროულად იყო დამარხული ოთხი ადამიანი, ისინი გამოტოლი იყვნენ, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ინვენტარის მიხედვით არქეოლოგიები ოთხი მიცვალებულიდან გამოპყოფენ ერთ, ძალზე მდიდრულად დაკრძალულ, ოქროს დიადემიან ქალს. სწორედ ეს გარემოება იძლევა საშუალებას, რომ დანარჩენი სამი მიცვალებული მის ერთდროულად გარდაცვლად ახლო ნათესავეებად კი არ წარმოვიდგინოთ, არამედ სოციალურად დაბლა მდგომ, შესაძლოა მონა-მსახურთა კატეგორიად ჩავთვალოთ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ მათაც აღმოაჩნდათ ვერცხლის, რომბულეობიანი დიადემები, ოქროს სხივანა საყურეები, პასტის მიფესაკები და ვერცხლის სამაჯურები. ოქროსა და პასტის მიფეების ყელსაბაში. მეოთხეს (მაშაქაცი?) მხოლოდ ოქროს ცალი საყურე ჰქონდა (ოქროს ნივთებიან მონა-მსახურთა სამარხები აღმოჩენილია ძვ. წ. IV-III სს. დათარიღებულ მთელ რიგ სკვითურ სამეფო ყორანებში.)

ანტიკური კოლხეთის სინამდვილისათვის მონა-მსახურთა პატრონებთან ერთად დაკრძალვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი უდავოდ პირველად ვანის ნაქალაქარზე დადასტურდა.<sup>1</sup> ეს წესი უკვეშირდება მონათმფლობელური საზოგადოების ზედა ფენებს, რომელთა ხელში უდიდესი სიმდიდრეა თავმოყრილი. მისახლეობის საშუალო და დაბალ ფენებში

<sup>1</sup> დ. წერეთლის (სხვიტორელის) გადმოცემით, ვანში ვასულ საუკუნეში უმოკლესად სამარხი, სადაც ჩაკვით დაბმული კაცი იყო დაკრძალული. მისი აღწერით „ჩაკვი ერთის მხრივ, რგოლის მეშვეობით კისერზე ჰქონდა ჩამოცმული, მეორე მხრივ კი წვივზე მიბმული“ (დროება, 1876, № 51). ე. თაყაიშვილსაც აქვს დადასტურებული ვანში დაკრძალვის თავისებური წესი-მიცვალებულის შეკვრა ჩაკვებით. ვარაუდობენ, რომ შეიძლება ეს იყო სიკვდილით დასჯილი ადამიანი, სამხედრო ტყვე ან მონა. ეს ჰიპოთეზა სავსებით მოსალობა თუ ვაგისხეებით, რომ ანალოგიური შემთხვევები საქმოდ კარგად არის ცნობილი ანტიკურ სამყაროში (ოლინთო, ავოლიონა და სხვა).

დაკრძალვის ეს წესი არ გვგვხვდება. ამ თვალსაზრისით ანალოგიურ მდგომარეობას გვხვდეთ სკვითურ-სარმატულ სამყაროშიც. ბერძნულ რომაულ საზოგადოებისაგან განსხვავებით, ყუბანის, დნუპრის მეორე-სკვითურ-სავრომატ-სარმატებში ძვ. წ. V-III სს. ხშირია დიდებულთა გორა-სამარხებში მსახური ქალების, საკურველომტვირთველების, მსახურების პატრონთან ერთად დაკრძალვის შემთხვევები (ჩვეულებრივია ამ სამარხებში ცხენებისა და ძაღლების ჩატანება). სამწუხაროდ, ეს სოციალური კატეგორია სავანებო შესწავლის სავანი ჯერ არ გამხდარა და კოლხეთის კლასობრივი საზოგადოების სტრუქტურაზე საუბარი ქვას.

ამგვარად, ვანის ნაქალაქარმა მოგვცა კოლხეთის სამეფოს მმართველი წრეების ზედა ფენების წარმომადგენლების სამარხები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ხალხის ფართო მასების, უშუალო მწარმოებლების დაკრძალვის წესებისაგან. ეს განსხვავება აქ სოციალური ხასიათისა და არაა აუცილებელი ისინი ეთნიკურ სხვაობას დაუკავშიროთ.

სამარხების ტიპის და დაკრძალვის წესების მიხედვით ანალოგიური სამარხებს ვხვდებით კოხთურის რაიონის სოფ. ითხვისშიც (ძვ. წ. V-IV სს. რ. აბრამიშვილი, ი. ვაგოშიძე).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ძვ. წ. V-IV სს. დათარიღებული სამარხი №2, რომელიც, როგორც ეს დამახასიათებელია ვანის, მთისძირის და სხვა მდიდრული სამარხებისათვის, წარმოადგენს კლდეში ამოკრულ ოთხკუთხა, რიყის ქვებით დეფარულ ორმოს; ორმოში ჩადგმული ყოფილა ხის დასაკრძალავი ნაგებობა, რომლისგანაც მხოლოდ რკინის სამაჯურებმა და ნაჭედმა ლურსმნებმა მოაღწია.

ხის ნაგებობის გარეთ, სამარხ ორმოს დასავლეთ ნაწილში, აღმოჩენილია მარჯვენა გვერდზე დაწოლილი ცხენისა და ძაღლის ჩონჩხი. სამარხში, რ. აბრამიშვილის მიხედვით, დაკრძალული იყო ორი წარჩინებული მაშაქაცი და შედარებით მცირე ინვენტარის მქონე დემაქაცი. მაშაქაცის ჩონჩხთან მიერთებულია ბავშვის ძვლებიც აღმოჩნდა. მაშაქაცი ჩაუსვენებიათ ზურგზე მწოლარე, ისევე როგორც ვანელი წარჩინებული მეომარი, თავით აღმოსავლეთისაკენ, ფეხები თითქოს მოხრილი აქვს, სამარხულ ინვენტარს შეადგენს: რკინის მახელი (მაქარა), სამი შუბისპირი, ბრინჯაოსა და თხის პურკელი, ოქროს საყურეები, საკისრე რგოლი, ვერცხლის სამაჯურები. ქალი განსხვავებული წესით იყო დაკრძალული. ის იწვა ისე, როგორც ამას ქვევრსამარხებში გვხვდათ — მოკუნტულა, ხელ-ფეხ მოკეცილი, თავისკენ აზიდული ხელ-

ნიწო კიღუბამი, ვურამ ლორთქიფანიძე  
დასავლეთ ნაპარტიველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორიიდან

ბით. მის სამკაულს შეადგენდა სამი რკინის სამკაური, რკინის კირკალი, ვერცხლის სამკაურები და შიშვეები. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ იქ პატრონთან ერთად მისი მხეველიც დაუკრძალავდა. 1963 წელს ითხვისში გაითხარა ძვ. წ. IV-V სს. დათარიღებული კიდევ რვა ორმოსამარხი. მიცვალებულები გვერდზე ესვენა მარჯვენაზე კაცები, მარცხენაზე — ქალები, მონხრილ კიდურებით, თავით დასავლეთისაკენ. სამარხეული ინვენტარი დაკრძალულთა საშუალო შეძლებას მტკიცეებს. დამხრობით, პოზით და სხვ. ისინი კოლხეთის ქვევრსამარხებს უკავშირდებიან, მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალვა ორმოსამარხში მომხდარი. საყურადღებოა, რომ მამაკაცებისა და დედაკაცების ტრადიციულად, სხვადასხვა გვერდზე დაწვენით დაკრძალვა, რაც დაფნარის ქვევრსამარხებშიც დასტურდება, ქრისტიანობის ხანამდე შემორჩა დასავლეთ საქართველოს. ასე, მაგალითად, საჩხერის რაიონში, მოდინახეს ციხის სამხრეთის ფერდის აღრე ანტიკური ხანის მდიდრულ სამაროვანზე, დედაკაცები მარცხენა, ხოლო მამაკაცები მარჯვენა გვერდზე იმარხებოდნენ. აქაც უმრავლესობა ხელფეხმობრილი, მოკრუნხულ პოზიშია დასაფლავებული (ჯ. ნადირაძე). როგორც დაკრძალვით, ვანსა და ითხვისში დადასტურებულ მდიდრულ სამარხებში, დაკრძალვის წესების თავისებურება კარგად იხსენება მიცვალებულთა სოციალური მდგომარეობით.

თუ შევედარებთ ვანი-ითხვისის და სხვა მდიდრულ სამარხეულ ინვენტარს ქვევრსამარხებში აღმოჩენილ ნივთებს, კარგად დავინახავთ, თუ რა შორს წასულა კოლხეთში ქონებრივი უთანასწორობის, სოციალური დიფერენციაციის პროცესი. მმართველი ფენის ხელში თავმოყრილია აურაცხელი სიმდიდრე, რომელიც ძირითადად მშრომელი ხალხის ფართო მასების ექსპლუატაციის შედეგადაა დაგროვებული. სახზევა კლასობრივი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ვითარება—მკვეთრი ქონებრივი და სოციალური დაყოფა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და აქედან გამომდინარე, ანტაგონისტური კლასების არსებობა. ცნობილია, რომ ასეთ ვითარებაში ექსპლოატორული კლასების დასაზრუნავად, ექსპლოატატორთა ქონებისა და

უფლებების დასაცავად ჩნდება სახელმწიფო. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო არის კლასობრივ წინააღმდეგობათა შესწორების პროდუქტი და გამოხატულება. სახელმწიფო ჩნდება იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც კლასობრივ წინააღმდეგობათა შერიგება ობიექტურად შეუძლებელია“<sup>1</sup>.

ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვანში ძვ. წ. V-IV სს. დადასტურებული მსახურმონათა (ტყვეთა?) ნაძალადევი, საწესლო-რიტუალური სიკვდილი და პატრონთან ერთად დამარხვის არქაული წესი, უპირველეს ყოვლისა, კოლხეთის სამეფოს ადრეკლასობრივ ხასიათზე მტკიცეებს, რადგან მონის პატრონის ვარდაცვლების გამო მოკვდინება საზოგადოების ვარკვეულ კონკრეტულ ეტაპს ახასიათებს. ეს პერიოდი ადრემონთმფლობელობის ეპოქაა, რომელიც ხასიათდება მონობის პატრიარქალური პრიმიტიული ფორმით. განვითარებულ კლასობრივ საზოგადოებაში მონობის ინტენსიფიკაციასთან ერთად იზრდება მონის შრომის სამეურნეო, ეკონომიური მნიშვნელობა, მატულობს ნაყიდი (და არა მხოლოდ ტყვედჩაგდებულნი) მონების რაოდენობა. მათი მოსპობა აღარ არის ეკონომიურად ხელსაყრელი, თორემ იურიდიულად მონის სიცოცხლე არასოდეს არ იყო დატული. კოლხეთის სამეფოსა და მონათმფლობელობის ხანასთან დაკავშირებით ჩვენ ისტორიოგრაფიაში მთელი რიგი პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია, არა გვაქვს ნათლად წარმოდგენილი განვითარების სურათი. სწორი ჩანს გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კოლხეთი შედარებით სუსტ, ადრემონათმფლობელური ტიპის სახელმწიფოს წარმოდგენდა. მონობის ძირითად წყაროს კოლხეთში ომები შეადგენდა, მაგრამ მათი რაოდენობა არ იყო დიდი. ასევე შეზღუდული ჩანს მათი გამოყენების არეალი, რაც ჩვენს მიერ მიმოხილული არქეოლოგიური მასალების ანალიზითაც დასტურდება.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, სახელმწიფოს შესახებ, თბ. ტ. 25, 1952, გვ. 472.



## გიორგი ჩივაია, ლევან ზრუჭია

# ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი

საქართველო „არს შემოკლებილი მითითა და ბარითა, რამეთუ არა არს ადგილი რომელსა მთა-ბარი არ იყოს ესრეთ“, — წერს ვახუშტი, ვახუშტიმ საქართველოს მთა და ბარი მხოლოდ გეოგრაფიულ-ბოტანიკური ფაქტორების გათვალისწინებით გამოიყენა. მთასა და ბარს ხალხიც ამჟამად ნიშნით ყოფს.

ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის შედეგად საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო არეები შემდეგ ძირითად ზოლებად წარმოგვიდგება: მთა, მთისძირი ანუ ფერდა და ბარი. თვითველ ძირითად ზოლს თავის შიგნით თავისი ბარი, თავისი ფერდა და თავისი მთა გაანჩნია, დაყოფის ეს ძირითადი მაჩვენებლები მიკრორაიონებისათვისაც დამახასიათებელია.

საქართველოს მთისა და ბარის გეოგრაფიულ-ბოტანიკური საზღვარი კარგა ხანია გარკვეულია, მაგრამ სოციალური საზღვარი ჯერ-ჯერობით არავის დაუდგენია. რადგან იგი არ არსებობს. მთასა და ბარს შორის მოსახლეობის მიგრაცია თითქმის ვანუწყებულა. ის შეპირებულა საწარმოო ძალთა განვითარების კანონზომიერებით, აგრეთვე გეოგრაფიულ-სამეურნეო პირობებით. ეს პროცესი ხორციელდება არა ერთდროულად, არამედ თანდათანობით. მთისა და ბარის მოსახლეობის მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას ისტორიულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „საქართველოს ეკონომიური წონასწორობისა“ და მისი „სახელმწიფოებრიობისათვის“ (ივ. ჭავჭავაძე). ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ ქართველი მთიელები საუკუნეთა განმავლობაში ბარად ეწოდნენ მევენახეობას, უცოდნენ ვახს, აყენებდნენ ღვინოს, ჰქონდათ შრომის ორგანიზაციის დახვეწილი სისტემა. რაც შეეხება მესაქონლეობას, იგი ჯერ კიდევ უძველეს დროიდან მთასა და ბარს აკავშირებდა. მეურნეო-

ბის ეს ორივე დარგი, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებდა მოსახლეობის გაყოფას მთიდან ბარში და პირუტყუ, რაც კანონზომიერი პროცესი იყო. საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური ისტორია, როგორც წესი, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული. ამდენად, მთისა და ბარის სოციალურ-ეკონომიური განვითარების პროცესების ერთმანეთისაგან მოწყვეტის წარმოდგენა, რასაკვირველია, მიუღებელია.

მე-19 საუკუნიდან ეთნოგრაფია საერთოდ კოლონიალიზმის იარაღად იქცა და ჩამორჩენილ ხალხთა შემსწავლელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა. მეტროპოლიის პოლიტიკური ხაზის გამტარებელი მეკლერებში, კოლონიური ჩაგვრის გამართლების მიზნით, აშკარა ტენდენციურობას იჩენდნენ, დაპყრობილი ხალხების კულტურაში „პირველყოფილობის“, „გვაროვნულობის“ დამადასტურებელ ფაქტებს ეძებდნენ, ყოველგვარ რელიქტურს, რუდიმენტურს განმამოგადობებელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ხალხთა არასრულფასოვნების, უკულტურობის უზადრეკ თეორიებს ქმნიდნენ.

ზოგიერთი ეთნოგრაფი თუ ისტორიკოსი კავკასიის ხალხებსა თუ ცალკეულ რეგიონში ეძებს პირველყოფილობის ნაკვალევს და კაცობრიობის ბავშვობის დროინდელ დღემდე თავშემონახულ ინსტიტუტად ასაღებს. ყოველგვარ ეს სათავეს კავკასიის ხალხების ჩამორჩენილობის დრომოქმულ თეორიებში პოუვებს. საბჭოთა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ ეს „თეორიები“ დიდი ხანია უარყო. საქართველოს მთა და ბარი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს, მათი ურთიერთობა განმარტებულია შეცდომაში. მართალია, საქართველოს ცალკეულ კუთხეებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, მაგრამ მთავარი და არსებითია არა ეს, არამედ ქართ-

ველი ხალხის ისტორიული ერთიანობა, რასაც ზოგიერთი თანამედროვე მეკლევარი ჯეროვან შეფასებას ვერ აძლევს. „მალაღმთიანობის“ გამო საქართველოს ცალკეული კუთხის სოციალურ და კულტურულ-ისტორიული ჩამორჩენილობის (როგორც მუდმივი კატეგორიის) თეორია დრომოქმედია.

ქართველები „მიწაზე მქდომი“ უძველესი ხალხია. ჩვენი მიწაწყლის ყოველი მტკველი წინაპართან მაქსიმალურად იყო ათვისებული. თვითველ ხეობას თუ სოფელს თავისი ეკონომიური მონაცემების მიხედვით ვაზის, ხეხილის, მარცვლულის, შინაური პირუტყვის და სხვათა საყუთარი ჯიშები ვაჩნდა, რაც ქართული ხალხის საწარმოო კულტურის, შრომის ელანობა-დანაწილების მძალი განვითარებულობის, ქვეყნის რვეიონთა სამეურნეო კავშირებისა და შინაგანი გაცევა-გამოცვლის უწყვეტობის და ერთიანობის ამსახველია. ივ. ჯავახიშვილს არა ერთჯერს აღნიშნავს, რომ საქართველო განადგურებისაგან მაღალმა საწარმოო ყოფამ იხსნა. მჭურთ მიწათმოქმედება დაბალი განვითარების მარვევბელი არაა, ის ცოდნა-გამოცდილების ხარისხით „ემგერიაზე“ მაღლა დგას. მაგალითად, სახენულ იარაღთა გვირგვინი — რაქული სახენელი განვითარების დონითა და ხენის მაღალი ტექნიკით დიდ გუთანს არ ჩამოუვარდება, შესაბამის გეოგრაფიულ გარემოში ორივე იარაღი ხალხური სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების უმაღლესი დონის განსახიერებაა. ხევესურული ერბოს ტექნოლოგიის დონე არ ჩამოუვარდება კახური დვინის დაყენების მაღალ ხელოვენებს. ორივე ხომ მსოფლიო მნიშვნელობის სტანდარტია. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წავიყვანდა.

საქართველოს მთისა და ბარის კულტურული ისტორიული ერთიანობის თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გერონტი გასვიანის მონოგრაფია „დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან“ (თბ. 1973, გვ. 1-364)<sup>1</sup>. ავტორი განიხილავს დასავლეთ საქართველოს მთიანეთის, სახელდობრ, XI-XIX საუკუნეების სვანეთის ისტორიულ ცხოვრებას: სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურას, მიწის-მფლობელობის ფორმებს, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათს, სამართლებრივ ინსტიტუტებს და სხვ. როგორც ვხედავთ, გ. გასვიანმა პრობლემათა ფართო წრე გამოიკვლია. სცადა შეეჯამებინა სვანეთის შესახებ დღემდე არსებული მდიდარი ლიტერატურის წინააღმდეგობებიდან აღსავსე მონაცემები. იმის ნათელსაყოფად თუ როგორ გაართვა ყოველივე ამას თავი ავტორმა, მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს.

შესავალში ავტორი კრიტიკულად განიხი-

ლავს სვანეთის შესახებ ჩამოყალიბებულ ცუდ ცუდებებს, რომელთაგან ორ უმთავრესს, გასვიანის მოყოფს.

პირველი თვალსაზრისი ჯეროვნად აფასებს ფეოდალური ხანის სვანეთის განვითარების დონეს, მის როლს ფეოდალური საქართველოს ცხოვრებაში; ამასთანავე ე.წ. „თავისუფალ სვანეთს“ განიხილავს როგორც საქართველოს და მისი შემდგომ წარმომადგენს, მთისა და ბარის დროებითი გაითმვის შედეგს.

მეორე თვალსაზრისი კი სვანეთის როლისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარ შეცვლებულობას იჩენს. მხარის მთიან მდებარეობას მიიჩნევს ისეთ ფაქტორად, რომლის გამო თითქმის სვანეთში არ შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა. მართალია, ამ თვალსაზრისის მიხედვით საქართველოში ფეოდალიზმის აღორძინების დროიდან სვანეთშიც დიწყო საზოგადოების წოდებრივი დიფერენციაცია; მაგრამ აქ იგი მე-19 საუკუნეშიც ვერ გასცდა ნახევრად ფეოდალურ-ნახევრად პატრიარქალურ კოფას; ხოლო ე. წ. „თავისუფალი სვანეთი“ კიდევ უფრო ჩამორჩენილი იყო (ამ შეხედულებას ფაქტორად არ ემჯინება უნიდაგო მონაზრება, რომლის მიხედვით, ე. წ. „თავისუფალ სვანეთში“ ფეოდალიზაციის პროცესი მე-19 საუკუნეში დიწყო). აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ფეოდალური მონარქიის და ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის მოშლის დროისათვის მთაში ფეოდალიზაციის პროცესის დაუსრულებლობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს, „რომელიც საქმრო ნიადაგს უქმნიდა საქართველოს მთიანეთში სოციალურ ურთიერთობათა წინაფეოდალური ფორმების არა მარტო შემონახულობას, არამედ ხშირად მათ „გალვანიზაციასც“. ამ პოზიციასზე მდგომი მეკლევარები „თავისუფალი სვანეთის“ სოციალურ ურთიერთობას უმთავრესად წინაფეოდალური (პატრიარქალური და ზოგჯერ მატრიარქალური) ფორმების თვალთახედვით განიხილავენ (გვ. 7-8).

პირველი მოსაზრების ფუძემდებელმა, მე-19 ს. 60-იანი წლების გამოჩენილმა მეცნიერმა დიმიტრი ბაქრაძემ ჩვეული სიღრმითა და დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ სვანეთი საქართველოს ორგანული ადმინისტრაციული ერთეული (საერისთავო) იყო. ყოველივე ამის შესახებ საკითხის დაამა და მტკიცებანი საჭირო არც იქნებოდა, რომ თავის დროზე არ შექმნილიყო სვანეთის და. ეგრძოდ, ე. წ. „თავისუფალი სვანეთის“ პირველყოფილობის თეორია. ეს თეორია საშუალო მკითხველის ცნობის-

<sup>1</sup> გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორები: პ. რ. ბ. ანჩაბაძე, ნ. გონიშვილი.



მოყვარობას მომგებანად აკმაყოფილებდა, ხოლო „გათიშეს და იბატონეს“ აპოლიტეტებს „თეორიულ“ საყრდენს აძლევდა.

სევანეთის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესწავლის დიმიტრი ბაქრაძისეული სწორი მეცნიერული თვალსაზრისი (საკითხის დაყენება) ექ. თაყაიშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა და სხვებმა არა თუ გაიზიარეს, არამედ წარმატებით განავითარეს. განსაკუთრებით ეს შესაძლებელი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა ისტორიული ნეკნეიკება მარქსისტულ-ლენინური მოდერნობით შეიარაღდა.

გ. გასვიანის ნაშრომის მიზანია, გაარკვიოს შუა საუკუნეების დროინდელი სევანეთის სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურა და ისტორიული წყაროების, ეთნოგრაფიული, ენობრივი, სამართლებრივი, ემიგრაციული, ფოლკლორული, საარქივო და სხვა მასალების მეცნიერული ანალიზის შედეგად განსაზღვროს და ნათელი სევანეთის ადგილი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, უარყოს „პირველყოფილობის“ და „გვაროვნელობის“ თეორია“.

1964 წელს სევანეთში შემორჩენილი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლის მიზნით ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით საგანგებო კომპლექსური ექსპედიცია მოეწყო. ექსპედიციის შედეგების შემაჯამებელი მოხსენებაში აკად. ნ. ბერძენიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა: „მეტისმეტად დიდი და თვალსაჩინოა ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სასწორის სევანეთის ცხოვრების რიგი არსებითი მხარის შესახებ“.

ერთი მხრივ, სევანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორცაა: მთიანეთში ხმაგანთქმული „მითი“ სევანეთის („კოლხეთის“) სიმდიდრის შესახებ, მისი სამეურნეო-მეტალურგიული მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებით შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წესები... ქვითხურობის განსაკვივრებელი ნიმუშები, ქვითხურობის საერთო და საკულტო ნაგებობათა მაღალგანვითარებულობა, სამეურნეო და სამომარი იარაღის მჭიდრობა და სამკაულთა ოქრომჭედლობა, უაღრესად განვითარებული ფერწერა, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სევანთა სამეურნეო კარნაქტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სევანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ. დამეთანხმებით, საკითხის აგრე დატოვება საბჭოური ისტორიული მეცნიერებისათვის შეუწყარბებელია და მისი შესაფერისი გამართვა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსების საქმა“ (თხზ., ტ. 5, გვ. 67-68).

გ. გასვიანი სწორედ დ. ბაქრაძის, ექ. თაყაიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის დებულებათა შეტყე საფუძვლიანად შეხიზილავს და წარმატებით ამუშავებს XI-XIX საუკუნეების სევანეთის ისტორიას. მოცემულ დებულებათა დასაბუთებასთან ერთად, მკვლევარი მრავალ ახალ საკითხს სვამს და დღემდე უცნობი საისტორიო წყაროების მონაცემების შესწავლის საფუძველზე ახალ, საყურადღებო დასკვნებს აყალიბებს.

გ. გასვიანის მონოგრაფიის პირველ თავში განუქმებულა ფეოდალური ხანის სევანეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. ავტორმა განიხილა და დაადგინა სოციალურ-წოდებრივი შინაარსის მქონე ტერმინები, როგორც ზოგადი ისე რეგიონალური ხასიითის, დაასაბუთა, რომ ამ ტერმინთა ნომენკლატურა შესასაზღვრებოდა შემსავსებულების სევანეთის სოციალურ ბუნებას. განსაკუთრებით ღირებულა სევანეთის წოდებრივი ნომენკლატურის განსაზღვრა. მისი არსის და სპეციფიკის ჩვენება. ავტორი არკვევს რა „ვარგის“ არსს სამართლიანად დასძინს: „სევანური“ „ვარგის“, „ახნაურის“ ანალოგიური მნიშვნელობა სათუოდ რომ იქნეს მიჩნეული და ამ ცნების არსებობის უარყოფაც რომ შეიძლებოდეს, იმ შემთხვევაშიც სევანეთის საზოგადოების წოდებრივი დანაწილების ფაქტის მაჩვენებლად სრულიად საკმარისია, თუნდაც ის, რომ აქაური გამბატონებული წოდების გამომატრელება მრავალ საბუთში ახნაური იხმარება“ (გვ. 26, შეადარეთ „ვარგის“ ცნების ს, ჯანაშიასეულ განსაზღვრას). ავტორის განმაზოგადებელი დასკვნა ასეთია: „საზოგადოების სხვადასხვა წოდების და ფენის გამომატრეელი საერთო ქართული ცნების შესატყვისი სპეციფიური სევანური ტერმინების შექმნა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს გარემოება შესასწავლი ხანის სევანეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური დიფერენციაციის მაჩვენებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული სევანური ტერმინები არ უნდა წარმოშობილიყო“ (გვ. 28-29).

სევანეთში ფეოდალიზაციის პროცესი ორგანულად არის დაკავშირებული დასავლურ ქართულ სახელმწიფოთა (კოლხეთი, ეგრისი) მიმდინარე სოციალურ ძვრებთან. ბუნებრივია, ეს იყო ერთიანი პროცესი ქვეყნის ყველა კუთხის ე. ი. ეთნოგრაფიულ-სამეურნეო ერთეულისათვის. რასაკვირველია, არსებობდა ლოკალური თავისებურებანიც. მოგვიანებით, სახელმძღვრე-11 საუკუნიდან გვაქვს შემორჩენილი წერილობითი საბუთები, რომლებიც პირდაპირ ადასტურებენ სევანეთის საზოგადოებაში ფეოდა-

**გიორგი ნიბაია, ლეჰან ფრუიძე**  
ქართული ისტორიოგრაფიის  
მნიშვნელოვანი შენამძინე

საბუთო  
არქივი

ლრი წყობილების არსებობას. მკვლევარს უამრავი ასეთი დოკუმენტი მოაქვს და ნათლყოფს, რომ გულმტრევილო მოსაზრებანი — ბალსნებო სვანეთში დაყმევების პროცესის მე-19 ს. პირველ ნახევარში დაწყების შესახებ საისტორიო წყაროების მონაცემთა გაუთვალისწინებლობაზეა დამყარებული.

ბიზანტიური წყაროების მიხედვით, მე-6 საუკუნეში სვანეთს მართავს მთავარი („ბაზილესი“). ისტორიაში ცნობილი სვანთა პირველი ერისთავია ვარდანი, რომელიც მოხსენიებულია გიორგი II მეფის (1702-1089) დროს. შესაძლოა, ეს იყოს სვანეთის ერისთავ ვარდანიძე მამამთავარი.

სვანეთის ერისთავები ვარდანიძენი დიდ-დიდნი ფეოდალები იყვნენ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ერთიანი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ სამეფო კარზე მაღალი თანამდებობანი (მეჭურჭლეუბუცეულობა, მანდატურთუხუცესობა, მსახურთუხუცესობა და სხვ.) ეჭირათ. ერისთავის თანამდებობა, მემკვიდრეობით გადადიოდა, ოღონდ ახალ ერისთავს მეფე ამტკიცებდა. საშუალო საუკუნეების სვანეთში ყველა ის წოდება ფიგურირებს, რაც ჩვეულებრივ მამონდელ ფეოდალურ საქართველოში იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, სვანეთის საერისთავო ცალკე საგამგებლო ნაწილებად იყოფოდა, რომელსაც ხევი ერქვა. იქ საერო და საეკლესიო კანონმდებლობა, სამართალი, ზეგარა-გადასახადები, მოლაშქრება და სხვა მუდმივით თუ ერთდროული ვალდებულება არსებითად ისეთივე იყო, როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში. ასე გრძელდებოდა ვიდრე ცენტრალურ ზებულო სახელმწიფო არსებობდა, მეფის ხელისუფლებას ძალა ჰქონდა და ქვეყანა გათიშვისა და გადაგვარების დამდებელი ზეგავლენისაგან დაცული იყო.

ტერმინი „ერთობილი“ გვაროვნული გაერთიანების და პირველყოფილი კომუნისმის დროინდელი სოციალური თანასწორობის გამოხატველი კი არ არის, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება. არამედ კრებობის მარჩვეულებია, რომელშიც შედიან ამა თუ იმ რეგიონის სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანები. ამ გაგებით „ერთობილი“, არა მარტო სვანეთში იხმარებოდა, არამედ მთელ საქართველოშიც, რისი დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა სარეკონსო წიგნში უხვადაა მოტანილი. შემოხვევითი არ შიქილება იყოს ქართულ ნარატულ და დოკუმენტურ წყაროებში „სვანნი დიდებულნი“-ს თუ „დიდი და მცირე აზნაურნი“-ს მრავალჯერ მოხსენიება.

სვანეთში, საქართველოს სხვა პროვინციების მსგავსად, მიწის ფეოდალური საკუთრება არსებობდა. მკვლევარი გამოყოფს მიწის სა-

კუთრების სამ ფორმას: ფეოდალური (აზნაურული და საეკლესიო), ინდივიდუალურ-გლეხური და სოფლურ-თემური. მიწის დიდწილად (საკუთრების უფლებით) აზნაურები და ეკლესია ფლობდნენ, ნაწილს დამოკიდებულნი და, აგრეთვე, კერძომესაკუთრე გლეხები. სიღარიბე არც ისაა, რომ აზნაურთა და ეკლესიის განკარგულებაში არსებული მიწა ფეოდალურ საკუთრებას წარმოადგენდა, რაც შეეხება საძოვარს, ის სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სოფლის საერთო სარგებლობაში იყო.

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, მემკვიდრეობით გადადიოდა, ხდებოდა მისი ყიდვა-გაყიდვა. ამასთან დაკავშირებით, სამართლებრივი ფორმები ძირითადად განისაზღვრებოდა ფეოდალური სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით. დოკუმენტური მასალიდან დადგინდა, რომ სვანეთში კერძო საკუთრებაში იყო არა მარტო სახლი და კარმიდამო, არამედ მთელი სახნავ-სათესი მიწა, სათიბი და ტყე, ყოველივე ის, რაც საზოგადოების არსებობის მთავარ საშუალებას წარმოადგენდა (გვ. 97).

მკვლევარი ნათლყოფს, რომ სვანეთში XVIII-XIX საუკუნეებში ე. წ. „თავისუფალ მეთემთა“ გამოსვლები და წინააღმდეგობანი სოციალურ-ეკონომიური ჩაგვრის შედეგი იყო, რომ „თავისუფალ თემებს“ არავითარი კავშირი არ ჰქონდა პატრიარქალურ-გვაროვნულ წყობასთან, რომელიც აქ უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა. ფეოდალიზმის პროცესი სვანეთში ისეთნაირად წარიმართა, რომ მე-18 საუკუნისათვის აზნაურთა წოდებას გამოეყო შეღლებულ და გავლენიან თავადთა ფენა, რომელიც შედარებით მსხვილი ფეოდალური სამამულო მეურნეობა შექმნა. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ქვემო სვანეთში: გელოვანები, გარდაფხაძეები. ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილში — რინგვანები, დადიშქელიანები, ხოლო ბალსნებო მრავალრიცხოვან აზნაურთაგან ჩარკვიანებმა და ყიფიანებმა წამოიწიეს (გვ. 108).

დასასრულად, ავტორი ასკვნის, რომ მე-11 — მე-18 საუკუნეებში სვანეთის საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება ფეოდალური იყო. მიწათმფლობელობის არსებული ფორმებიდან წამყვანი და გამბატონებული ადგილი ეკავა ფეოდალურ მიწათმფლობელობას, რომელიც იერარქიულ პრინციპზე იყო აგებული და ზოგჯერ დანაწევრებულ საკუთრებას წარმოადგენდა. საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის მოშლის შედეგად შექმნილი კონკრეტულმა ვითარებამ სვანეთში ფეოდალიზმის ნორმალური განვითარება შეაფერხა და ბალსნებო სვანეთში წერილ-აზნაურული მეურნეობა გაბატონდა, ფეოდალიზმი ბუნებრივი გზით რომ



განვითარებულიყო, მთელ სვანეთში შედარებით მსხვილი ფეოდალური (თავადური) მეურნეობები ჩამოყალიბდებოდა (თუმცა, ასეთ ვითარებაშიც ბარის მეურნეობის მასშტაბს ვერ მაღლევდა) და წვრილსაზურგელი დამოუკიდებელი მეურნეობა (მით უფრო დამოუკიდებელი გლეხური) მთელ სვანეთშიც ისევე გაქრებოდა, როგორც ეს საქართველოს ბარის უმეტეს ნაწილში მოხდა (გვ. 110-111).

ავტორი სვანეთში მოქმედ ჩვეულებითი სამართლის ბუნების განხილვამდე ხაზგასმით აღნიშნავს: ეს კუთხე საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ქვეყნის დამლაშაქცემაციების ეპისოდ სვანები არა მარტო სულიერ წონასწორობას ინარჩუნებდნენ, არამედ თავი მოდებოდა იცავდნენ საერთო-ქართულ მატერიალურ და სულიერ კულტურას.

წერილობითი წყაროების გულდასმით შესწავლამ მკვლევარი დაარწმუნა, რომ სვანეთის საზოგადოებაში მოქმედებდა ფეოდალური საერთო-ქართული სამართლის ყველა ძირითადი ნორმა-სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოებისა და, საერთოდ, ფეოდალური წყობილებისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები (გვ. 154). ცენტრალოზებული ბელისუფლების შესუსტების შედეგად, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იმერეთის სამეფოს დაქვეითების დროს გახდა, სვანეთში წინ წამოიწია ე. წ. ადათობრივი სამართალი, რომელიც ფაქტურად ძველ-ქართული კანონმდებლობის დაუქველვებლად მოქმედებდა. ძალაში იყო „სამაგრობლები“ — წერილობით გაფორმებული „სრულიად სვანეთის ხევის“ ან ცალკეული „ხევის“ მიხედვით, ასევე „ძველნი“ და „ახალნი“ წესნი. ამ სამართლის ძველების საფუძველი ისევე და ისევე ძველქართული კანონმდებლობა იყო. ისინი არა მარტო სისხლისა და სამოქალაქო სამართალს აწესრიგებდნენ, არამედ ბევრად-გადასახადების ოდენობასაც.

„სახალსო კრება“ წოდებრივად დაყოფილი მთელი საზოგადოების საქართველოთა საკითხების გადასაწყვეტად შეკრება იყო და არა გვაროვნულ-თემური წყობილების პრინციპებზე აგებული ყრილობა.

რაც შეეხება სისხლის აღებას, იგი სვანეთისათვის ლოკალურ მოვლენას არ წარმოადგენდა. უამრავი წერილობითი ძეგლიდან კარგად ჩანს, რომ სისხლის აღებას ადგილი ჰქონდა ფეოდალური საქართველოს სხვა კუთხეებშიც, თანაც ამ ჩვეულებას მაღალი და ძლიერი წოდების წარმომადგენლებიც მისდევდნენ (გვ. 173). მოცემულ პერიოდში სისხლის აღება წოდებრივ-კლასობრივ საზოგადოებასთან (ყერძო საკუთრებასთან და მფლობელობის ახალ ფორმებთან) იყო დაკავშირებული და ახლებურ ში-

ნაოსს ატარებდა. ამიტომ, სწორი არ არიან ის მკვლევარნი, რომლებიც ფეოდალიზმის ეპოქაში სისხლის აღების წესს პირველყოფილურ-გვანოვანულ შინაარსის მატარებლად მიიჩნევენ.

მე-18 ს. მიწურულს ფეოდალური დაქვეითების პროცესი დასავლეთ საქართველოშიც ისე წარიმართა, რომ გაბატონებულმა წოდებამ საკუთარი ინტერესები ცენტრალიზებულ საქართველოს ინტერესებზე მდლა დააყენა. თავის მხრივ, გლეხობა კლასობრივ ბრძოლას იწყებს, რაც ზოგჯერ ბატონების ამოწყვეტით და მათი ადგილ-მანულის დატაცებით მთავრდება. ამჯერად აჯანყებულ გლეხთა დამსჯელი არაჲინ იყო და ასე შეიქმნა გლეხთა თავისუფალი ფენა. აქ მთა და ბარი, რასაკვირველია, არაფერ შუაშია. კლასობრივ წინააღმდეგობათა ლოკალურ განვითარებას საგრძნობი მნიშვნელობა ენიჭება (გაეხსენით „თავისუფალ სვანეთთან“ ერთად „უბატონო ქიზიყი“).

ავტორი მოკლედ, მაგრამ მართებულად ახასიათებს სვანეთის სოფლის მეურნეობას. გეოგრაფიულ-სამეურნეო პირობები საგარეულთა სიმდიერეს აპირობებდა. მიწის დამუშავების მაღალი კულტურის მეოხებით სახნავ-სათესად და სათიბად გამოყენებული იყო ყოველი მტკაველი — „სადაც კი კაცი ფეხს მოიკიდებდა“. მიუხედავად ამისა, გლეხური კომლი ზემო სვანეთში დაახლოებით იმდენ მიწას ფლობდა, რამდენიც დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ჰქონდა (საქ. ისტ. ნარკ., ტ. 5, გვ. 154-5; 167-9). მაგრამ მიწის ხამციერე გლეხს მაინც მძიმე პირობებში აყენებდა და აიძულებდა საარსებო საშუალებათა დანაკლისი გარესამუშაოზე სიარულით შეეცხო. არსებულ ნაკვეთებს გლეხი ვულმოადგენდა ამუშავებდა და უხვი მოსავალი მოჰყავდა. ამას აღწევდნენ ცოდნა-გამოცდილებით, მიწის-დასამუშავებელი, იმ დროისათვის სრულყოფილი იარაღებით, თესლბრუნვით და სათეს კულტურათა მრავალფეროვნებით. მარტო ხორბალი 15 სხვადასხვა ჯიშისა ითესებოდა, ნიადაგის მოთხოვნილებათა და ვერტიკალური ზონილობის ზუსტი შესაბამისობით. ავტორს მოტანილი აქვს სათანადო ცხრილები, რომელთა მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაასკვნის: არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა და ნიადაგის სიმწირის მიუხედავად, მცირე ნაკვეთებზე ზოგჯერ მაღალი მოსავლის მოყვანას ახერხებდნენ (საშუალოდ, ხუთჯერადი, ზოგჯერ ათჯერადიკი), ეს გარემოება სვანეთის პირობებში მიწათმოქმედების დიდ ტრადიციებსა და მაღალ კულტურაზე უნდა მიუთითებდეს (გვ. 246-7).

მეურნეობის მპროფილებელი და წამყვანი

**გიორგი ჩიჩაძე, ლევან ფრუიძე**  
 ძანათული ინსტრუმენტების  
 მნიშვნელოვანი უნდაინერ

დარგი იყო მიწათმოქმედება, რომლის შესაბამისად ვითარდებოდა მესაქონლეობა. ალპური საძოვრების სიმრავლემ ზოგიერთი მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თითქოსდა მესაქონლეობა სვანეთისათვის წამყვან დარგს წარმოადგენდა. სვანეთისათვის უცხო იყო მთაბარული (ადგილობრივად) მესაქონლეობა. მიუხედავად ამისა, მესაქონლეობის კულტურა არ დაქვეითებულა და სვანები ამ დარგშიც შესაძლებლობის მაქსიმუმს აღწევდნენ (ამას ბუნების მკაცრი პირობები და ცხოვრების აუცილებლობაც უქარახებდათ). მ. გეგეშოძის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი სათბობა რწყვის კომპლექსური სისტემები მოწმობენ მესაქონლეობის მაღალ კულტურას.

დოკუმენტური მასალა ნათელყოფს, რომ მესაქონლეობას უფრო მნიშვნელოვანი ადგილი ბარის სოფლებში ეჭირა, ხოლო მთამთალაში ბუნებრივი პირობების გამო მეტად შეზღუდული იყო. ამიტომ საფუძველს მოკლებულია ზოგიერთი ეთნოგრაფის მტკიცება, რომ ბალზემო სვანეთში მესაქონლეობა ბატონობდა. სვანეთს მჭიდრო ეკონომიური კავშირი ჰქონდა საქართველოს მეზობელ ხალხებთან. ეს კავშირები იმდენად აუცილებელი იყო, რომ მთური მდებარეობა და მასთან დაკავშირებული სიძინელები მთაბარის მჭიდრო ურთიერთობას ვერ გამოირცხვდა. ამდენად, ე. წ. „მთის კარჩაკეტილობის თეორია“ ყოფილი რეალისტის გაუთვალისწინებლობის შედეგია. მთა „კარჩაკეტილი“ ვაილებით გვიან ხდება, როცა ტრანსპორტის თანამედროვე საშუალებებმა კეთილმოწყობილი გზები მოითხოვა, რომ შელთა გაყვანას მთის პირობებში ძლიერ დიდი ხარჯი და ძალა სჭირდება. სამწუხაროდ, ეს დაბრკოლება ვერც არ არის მთლიანად დაძლეული, რაც მთიანი რაიონებიდან მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი ხდება. მთის პრობლემა ასე მწვავედ სწორედ ამიტომ წამოიჭრა ჩვენი რესპუბლიკის წინაშე.

ბოლო-მეექვსე თვეში გარკვეული სვანეთის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური ურთიერთობა და პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში. მკვლევარი სამართლიანად მიუთითებს, რომ მეფის რუსეთის მიერ დასაღწეობი საქართველოს ცენტრალური ნაწილის შეერთების შედეგად სვანეთის საერთო პოლიტიკური თვალსაზრისით არსებობდა უკვე გაღატოლი იყო (გვ. 306). მიუხედავად ამისა, რომ საქართველოს ყველა კუთხე ცარიზმის კოლონიად იქცა, სვანეთი მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე „დამოუკიდებლობას“ ინარჩუნებს. დადიშქელიანებს „სათხოვარი პუნქტები“ შეადგინან და რუსეთის ქვეშევრდომებად აქციეს (1833 წ.). მეფის თვითმპყრობელობის მოხელეებმა მეტად პოპულარულ

რულ ვახადეს ბალზემო ანუ „თავისუფალი სვანეთის“ პრობლემა. სწორედ, ამერიკელი ხამს ხორცს სვანთა ჩამორჩენილობის, მძინელო ყოფილობის და გვაროვნელობის ნაირგვარი „თეორიები“.

სვანეთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ხასიათის და მისი განვითარების დონის სწორად გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურ ძეგლებს, რომელიც მნიშვნელობა ეროვნულ ფარგლებს სცილდება და ღირსიულ ადგილს ზოგადსაქობრივი ცივილიზაციის საგანძურში იმკვდრებს. ეს ითქმის მონუმენტური ხელოვნების, ოქრომჭანდაკელობის და ოქრომკვდლობის, ქართული დამწერლობის ბრწყინვალე და უძველესი ნიმუშების, გრაფიკის, ფერწერის, გამოყენებითი ხელოვნების შედეგების და სხვათა შესახებ. უახლესი გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ამ შედეგების დიდი ნაწილი ადგილობრივ მხატვართა სკოლების წარმომადგენლების ნახელავია (ეჭვ. თაყაიშვილი, ვ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე და სხვ.), საკმარისი ვაგისხნით თევდრის „მეფის მხატვარი“. განსაკუთრებით იჭრებოდა სვანეთში ქრისტიანული კულტურის მაღალი დონე ჯერ კიდევ უძველესი დროიდან. თავი რომ დავანებოთ ეკლესია-მონასტრების მრავალრიცხოვნებას, ვასაოცარა განმთასაცავთა სიმდიდრე და ეროვნული საუჩუის დაცვის მაღალი კულტურა. ყოველგვ ეს ქართული ხალხის ერთობლივი მოღვაწეობის, ერთ სახელმწიფოში გაერთიანების, საერთო ქართული კულტურის ჩამოყალიბების ნაყოფია.

სვანეთშიც, როგორც საქართველოს დანარჩენ მხარეებში, აწინებდნენ ხელთუქმნელ ტარებს, ზვიად კოშკებს და ციხე-სახლებს, ქმნიდნენ უბადლო ფრესკებს. წერდნენ საღვთო წიგნებს. ახლა სულიერი კულტურის და ხალხური ხელოვნების სხვა დარგებიც ვაგისხნით: მწიგნობრობა, ფოლკლორი, ცეცხლოვანი ცეკვები და შეუღარებელი სიმღერები... ყოველგვ ეს რამდენიმე ქართული და ყველა ჩვენი განისათვის გულში ჩამოვლენილი; ადგილობრივი და თავისთავადი, „ერთობლივი“ საქართველოს მაღალი კულტურის დამადასტურებელი.

სვანეთში შექმნილ თუ შემონახულ სახარებებსა და ხელნაწერებზე მსგელობისას, არ შეიძლება ანგარიში არ გავიწიოთ იმს, რომ ამ მრავალრიცხოვანი ძეგლების შექმნა-შემონახელობა შემთხვევითი არ შეიძლება ყოფილიყო, რომ მათ ადგილობრივადაც ჰყავდა შემოქმედი მწერალი, მკითხველი და მსმენელი. ამ ძეგლებს ცხოველმყოფელი გავლენა გააჩნდათ და საზოგადოების სულიერ ცხოვრებას ესისხლ ხორცებდნენ.



საქართველოს დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გამაგრების კრიტიკული რელიგიის, როგორც ფეოდალური იდეოლოგიის როლი თანდათან დევს, ეს მეტ-ნაკლებად იგრძნობა სვანეთშიც, მაგრამ მოსახლეობამ მაინც შესძლო სახალხო რელიგიების შენარჩუნება.

ამ ეპოქაში სვანეთი და, საერთოდ, საქართველოს მთიანეთი გარეშე შტრისაგან აიხრებინა ნაკლებად განიცდიდა, იქ მოსახლეობას შესამლებლობა ჰქონდა უკეთ დევსა მამა-პაპური ზნეობა, ეროვნული ტრადიციები და რელიგია. სწორედ ამით უნდა აიხსნას მთაში ძველი ყოფილი მოვლენების სიცოცხლისუნარიანობაც, რაც ბუნებრივი და საერთოდ დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხისათვის. ცნობილია, რომ შტრისაგან წალკილ საქართველოს ადვილად მისადგომ ვაკე ადგილებს („ბარს“) ძირძველი მოსახლეობა აკლდებოდა, მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ გახდა შესაძლებელი ზოგიერთი ნასოფლარის შექმნა.

საქართველოს მთაში შემონახული წეს-ჩვეულებების ზოგიერთი შემსწავლელი „კაცობრიობის ბავშვობის“ დროინდელი მოვლენების გაცოცხლებას ლამობდა, ამის შედეგად მივიღეთ „პირველყოფილი“ სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, მთის რაჭა და ა. შ. ასეთ ტენდენციურ კვლევას, როგორც ზემოთ დაინახეთ, თვითმპყრობლობის ბატონობის დროს ვარკვეული მიზანი ჰქონდა, რასაც დღეს, საბჭოთა კავშირის დაპყრობის რაჯიში, არავითარი საფუძველი არ გაჩნდა.

რაჯი ზოგიერთი მეცნიერი წლების განმავლობაში მცდარი პოზიციებიდან იკვლევდა საქართველოს მთას. შესაბამისად დავაროდა ლიტერატურა. მოსაზრებები, რომელთაც შეუძლიათ მკითხველის დეზორიენტირება. ამიტომ დროული და აქტიულებოდა ამ მოსაზრებათა თანმიმდევრული კრიტიკა, რასაც სვანეთის მაგალითზე, წარმატებით გართუა თავი გ. ვასვიანმა. ამ ნაშრომის მნიშვნელობა, ბუნებრივია, მხოლოდ ზემოთქმულით არ შემოიფარგლება, ის მთავრდებიან გამოკვლევა და ახალი სიტყვა არა ბარტო. ე. წ. „მთისა და ბარის“ ურთიერთობის სწორად გაგებისათვის, არამედ საქართველოს ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლის საქმეში. ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძემ მითითა, რომ შეუძლებელია საქართველოს სრულყოფილი ისტორიის დაწერა თუ ამომწურავად არ ვიცით თვითთელი საერისთაოს ხეობის, ქალაქის, დაბის და სოფლის ისტორია. თუ არ ამოვხსენით საქართველოს ცალკეული კუთხის ე. ი. ბუნებრივ-სამეურნეო ზონის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის როგორც საერთო ქართული, ასევე რე-

გიონალური თავისებურებანი, შეუძლებელი გახდება საქართველოს სრულყოფილი ისტორიის შემუშავება. სწორედ ამ გადაუდებელი საბატიო ამოცანის გადაჭრის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია გ. ვასვიანის ახლადგამოსული მონოგრაფია.

და ბოლოს, უნდა გამოვთქვათ ორიოდ შენიშნა. საქირო იყო ავტორის ზუსტად მოცეა საკვლევი რეგიონის გეოგრაფიულ-პოლიტიკური საზღვრები, უფრო კონკრეტულად წარმოდგინა კვლევის ქრონოლოგიური მიჯნები; მოცეა არსებითი ლიტერატურის უფრო ფართო კრიტიკული შეფასება.

ნაშრომში ჩამოყალიბებულ დასკვნებს მხარში ამოუდგებოდა არა ერთი ფაქტი, — მათ შორის დიდგვარიან ხელისუფალ-მოხელეების მიერ გვარისახელის „ქე“ და „შვილი“ დაბოლოვებით შეცვლა (ფარჯიანი-ფარჯიანი-ვარდანიძე; გულგზანი-ვარდანიძე; ჯაფარიანი-ჯაფარიძე, ლაშვიანი-ლაშვიანი და სხვ.

ავტორის ვერ დავეთანხმებით, როცა წერს: „თავისი მთური მდებარეობის გამო სვანეთში მუდრინების მრავალი დარგი არ არსებობდა; მისთვის უცხო იყო ბარში ვარკვეული მევენახეობა და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურა“ (გვ. 140). ცნობილია, რომ მევენახეობის ეწეოდნენ ლენტეხის, ჩოლურის და ლახამულას თემები, ხოლო ქვემო სვანეთის იმ სოფლებში, სადაც ვაზის ვახარება შეუძლებელი იყო, მაინც მასდევდნენ მევენახეობას ლენხუმის მიწაზე (ეს ავტორისთვისაც ცნობილია, გვ. 338), თვითონ უკლიდნენ ვაზს და ამისთან დაკავშირებით ჰქონდათ მეტად სპეციფიური შრომის ორგანიზაცია, სახელდობრ, ალოს (სამუშაო დროის), ვერტიკალურ ზონალობაში ცალკეულ კულტურათა მთხოვრილებების მიხედვით განაწილება. როგორც უკვე ითქვა, მესაქონლეობასთან ერთად სწორედ მევენახეობა იყო მთისა და ბარის ერთ-ერთი დამაკავშირებელი დარგი და მისი უკუშედეგული გაუმართლებლად მივეანნა.

მართალია, ნაშრომში არა ერთი საკითხი სადავოდ და საკამათოდ გვეჩვენება, მაგრამ ამასთანავე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ვასვიანმა კვლევა-ძიების სწორი მიმართულება აიღო, ახლებურად, ჯეროვანი საბუთიანობით გამოიკვლია XI-XIX საუკუნეების სვანეთის ისტორიის არაერთი პრობლემა. გ. ვასვიანის მონოგრაფიაში დამაჩერებლად დასაბუთებულია, რომ ფეოდალური საქართველოს ისტორიული პროცესის ერთიანობის უარყოფა, მისი ბარისა და მთის ისტორიის გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება, რაც არაერთ გამოკვლევაში შეინიშნება, მეცნიერულად მიუღებელია.

## ლოლო ბოჯუა

### პაოლო იაშვილის უხელოი ლექსები

დიღია ცნობილი ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის როლი ქართულ მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში. ის იყო არა მარტო შესანიშნავი პოეტი, არამედ კლასიკოსების ნაწარმოებთა ნიჟიერი გამომცემელი. მისი რედაქტორობით და თანარედაქტორობით დაიბეჭდა იღია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას აკადემიურ გამოცემათა ტომები.

ისიც ცნობილია, თუ რა მკიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ალექსანდრე აბაშელს ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან და სხვ.

ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა მის პირად არქივში დაცული პაოლო იაშვილის უცნობი ლექსის „ყოველდღიური დილა“ ავტოგრაფი, რომელიც ინახება ვ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუხეუმის ხელნაწერთა ფონდში.

გარდა ამისა, პაოლო იაშვილს მარია წერეთლის ალბომში ჩაუწერია ლექსი, რომელიც საინტერესოა იმიტაც, რომ მხატვრული ღირსებით არ ჩამოუვარდება მის სხვა ნაწერებს.

ეჭვი არ არის, ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა პაოლო იაშვილის ჭერ გამოუქვეყნებელ ლექსებს.

„ყოველდღიური დილა“

სოველი მიწის სიგრილე  
და ჩეროები რბილი,  
დიღია ბარისთვის მიგვრილი  
მისდევს ბალახის ბილიკს.

გედების დასტა მიაპობს  
ოქროს ზეთიან პაერს,  
და ეს შრიალი მიაპობს  
ჭერ მოუსმენელ შაირს.

ნელა მისცურავს მდინარე  
მიწაც მისცურავს ნელა,  
ნეტა ჩემს გარდა ვინ არი,  
რომ ასე ჩუმად დელავს.

მარიამ ალექსანდრეს ასულ წირეთლის ალგოვში

ჩემო ძვირფასო, ყველა გეტრფის, ყველას ახარებ.  
მე ჩუმადა ვარ. არ მჯერა, რომ თავს შეგაყვარებ.  
დიდი ხანია გერიდები და ვარ მდუმარი,  
შენთვის ვარ მხოლოდ ახლობელი, მხოლოდ სტუმარი.

მაისი მოდის! ვერ დავეფარავ დიდი ხნის დარდებს,  
შენს ნაცვლად ვეტყვი ჩემს სიყვარულს მხიარულ ვარდებს.  
და როცა ბაღში შენ გაივლი დარხეულ ტანით,  
გაშლილ ვარდებში ჩემი ტრფობა გამოიცანი.

აღარ ვიქნები მაშინ შენთვის ბავშვი, სტუმარი,  
და ამღერდება ჩემი ლექსი წინათ მდუმარი.  
მე შევეხები ნაზი კოცნით შენს ბროლის ხელებს  
და სული მეფედ მხოლოდ შენ ერთს დაგასახელებს.

1917 წელი, აპრილი საღამო.



სტენ  
მთ

## აპსტრალია

### პატრიკ უაიტის ნოველის პრემია

1978 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში გახდა ავსტრალიელი მწერალი პატრიკ უაიტი. მაღალი ჭილდო მას მიენიჭა „ეპიკური და ფსიქოლოგიური თხრობის ოსტატობისათვის“.

პატრიკ უაიტისათვის ნობელის პრემიის მინიჭებას სხვადასხვანაირად შეტყვდნენ კრიტიკოსები. ფრანგულმა ჟურნალმა „მონდო“ დაბეჭდა ერთობ მკვახე და გაჰქირდავი წერილი, სადაც გამოთქმული იყო დიდი გაცემა ნობელის პრემიის კომიტეტის საქმიანობის გამო. თავიანთ არგუმენტად ფრანგ კრიტიკოსებს მოჰყავდათ ავსტრალიელი მწერლის ნაკლებ-პოპულარობა და მისი ნაწარმოებების მხატვრულობის არასაკმარისი დონე.

„ტაიმს ლიტერარი სამკლმენტის“ მიმომხილველი წერს, რომ პატრიკ უაიტი — მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატია, თუმცა თავისი პროზის სირთულის გამო ნაკლები მკითხველი ჰყავს. უაიტის რომანები გამოირჩევა ფსიქოლოგიზმით. მწვავე კრიტიკული დამოკიდებულებით შეიჭანობისადმი. მგერამ სინამდვილის მიხედული კრიტიკული გააზრება არ ცილდება, როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ალღვორიულ ჩარჩოებს.

პატრიკ უაიტის პროზის სირთულეს უკავშირებენ

„შემეცნების ნაკადს“, რომელიც თვით პატრიკ უაიტის თქმით, მან ჭეიმოს ჭოლისიდან აითვისა, და რომლის ძლიერ გავლენას მწერალი ახალგაზრდობისას განიცდიდა.

როგორც ინგლისელი რეცენზენტები აღნიშნავენ, პატრიკ უაიტისათვის, რომელიც ამჟამად რვა წიგნის ავტორია, ერთობ ტიპურია მისი უკანასკნელი რომანი „გულთა ქარიშხალი“.

სიღნეიში, მდიდრულ სასახლეში კვდება ძალიან მდიდარი, ძალიან ხნიერი და ძალიან ლამაზი ქალი ელიზაბეტ ჰანტერი. კვდება ურიცხვი მომვლელებისა და ნათესავების გარემოცვაში. უვლას აღუღვებს შემკვიდრეობის საკითხი. ეს სიუჟეტი, „ტაიმს ლიტერარი სამკლმენტის“ რეცენზენტის აზრით, „უფრო ესადაგება მოპასანს, რომელსაც შეეძლო ორმოც გვერდზე მოხდენილი და ნატიფი პროზით რელიეფურად გამოეყვანა ხასიათები. მაგრამ პატრიკ უაიტთან ევროპული ლიტერატურისათვის ესოდენ ნაცნობი სიუჟეტი გაქიმულია თითქმის ექვსას გვერდზე. მწერალი სკრუპულოზურად ივლევს ადამიანის ხასიათსა და ქცევის მოტივებს. პატრიკ უაიტი შოკავითხრობს ჰანტერების ოჯახის — ელიზაბეტის, მისი ქმრისა და ორი შვილის ტრაგიკულ თვგადანსვალს. „გულთა ქარიშხალი“ ადასტურებს მწერლის უურადლებას ზენობრივი საკითხებისადმი: ბრძოლა ბოროტებასა და სიკეთეს შორის, ადამიანის

სულში დამკვიდრებული სიძულელი, გამოფხიზლება, რომელიც თან სდევს გმირებს ცხოვრების ნარეკლიან გზაზე“.

კრიტიკა აღნიშნავს პატრიკ უაიტის პროზის სტილისტურ სრულყოფილებას. „ტაიმს ლიტერარი სამკლმენტის“ მიმომხილველი ხაზს უსვამს პატრიკ უაიტის „გულთა ქარიშხალის“ მსგავსებას ჰენრი ჯეიმის პროზასთან: იგივე სიზუსტე სიტყვათა შერჩევაში, იგივე ოდნავ შესაჩნევი ირონია, იგივე უნარი ადამიანთა რთული ურთიერთობების ერთ წინადადებაში გადმოცემაში, რაც ახასიათებს ჰენრი ჯეიმს.

## გ ღ რ

### პრემიები გერმანიაში

ჰენრიხ ჰაინეს სახელობის პრემიის ლაურეატები 1978 წლისთვის გახდნენ პოეტი ქალი სარა კირში და მწერალი ჰერხარად მოლცბაუმერტი.

პროფესორმა ჰანს კაუფმანმა, ჰაინეს პრემიის ლაურეატმა 1972 წელს, თავის სიტყვაში, რომელიც პრემიების საზეიმო ვადაცემის დროს წარმოთქვა, აღნიშნა, რომ ამ მწერალთა შემოქმედებაში „ცოცხლობს დიდი ჰაინეს სული“, რომ „ჩვენს ლიტერატურას უვლავზე უფრო სჭირდება ის მწერლები, რომლებიც რაღაც ახალს აღმოაჩენენ ხოლმე. სარა კირშის ლექსები, განსაკუთრებით კი მისი „ვედრება“, სწორედ ასეთი აღმოჩენაა. მის ლი-





რკიულ ლექსებში ზღაპრული და მითოლოგიური მოტივები ერწყმის ფიქრებსა და განსჯას ცხოვრებაზე, ფანტასტიკა და რეალობა თითქოს ურთიერთს ავსებენ.

სარა კირში დიდი ოსტატობით იყენებს სხვადასხვა რიტმს, მეტრს, მისი ენა მდიდარი და მრავალფეროვანია“.

შანს კაუფმანმა ილაპარაკა აგრეთვე ჰერხარდ შოლც-ბაუმერტის ნაწარმოებზე. „თავის სახავშვო მოთხრობებში შოლც ბაუმერტი წარმოგვიდგება, როგორც ბავშვების ფიქვოლოგისა და პრობლემატების მკვლევანი. იგი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი თეორეტიკოსი და პროპაგანდისტია სახავშვო ლიტერატურის დარგში“.

ლიონ ფობიტვანგერის სახელობის ლიტერატურული პრემია 1978 წლისათვის მიენიჭა ცნობილ მწერალ ქალს გედა ცინერს. პრემიის გადაცემის დროს მწერალმა კარლ-გეორგ ეგელმა აღნიშნა მწერალი ქალის დიდი დამსახურება, რომ იგი „თავისი ნიჭიერი, მუშაობის ლიტერატურა ნაწარმოებებით, რომელიც მეტწილად ისტორიულ მასალაზეა აგებული, ეხმარება ადამიანებს გაიგონ და გაიაზრონ ისტორია“.

**დავნი**

დანის აკადემიის დიდი პრემია მიენიჭა მწერალ-კომუნისტ შანს შერფიგს პრემიის გადაცემის ცერემონია გაიმართა კოპენჰაგენში, სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

პროფესორმა ფ. ბულენკოვ იანსენმა ილაპარაკა შანს შერფიგის შემოქმედლებაზე. შან „ფრიულდენ-შოლცის ციხე-სიმაგრე“ შოლოხოვის „წყნარ ღონს“ შეუდარა და შერფიგის რა-

მანს თანამედროვე ეპოხი უწოდა.

შანს შემდეგ, რაც შერფიგს ურმოცდათი ათასი კრონის ჩეკი გადასცეს, მწერალმა სიტყვა ითხვია: „მადლობა დანის აკადემიას! მადლობა პროფესორ ბულენკოვ იანსენს! მე ახლა ისეთივე მადლიერი ვარ, როგორც ის კაცი, ხმელეთზე გასული მაშველ ქამარს რომ მიიღებს. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ის გარემოება, რომ ჩემს მიერ ახლა დაწერილი ყველა ნაწარმოები პრემიას ისაკუთრებს, თავისთავად სასიამოვნო ამბავია.“

წერდე — ნიშნავს იმას — მიმართავდე სხვა ადამიანებს. მე არ ვამტყიცებ, რომ მწერლის შემოქმედება — ეს ყოველთვის ქალებზეა ანდ მოწოდება. მაგრამ ის ჩინიც ურთიერთობაა სხვებთან. ადამიანი თავისთვის როდი წერს. არ შეძლება იყო ხელოვანი მარტო შენთვის. ხელოვნება — ეს საზოგადოებასთან კავშირია.

არ მგონია, რომ ჩემი შემოქმედება კომუნისტური პროპაგანდა იყოს. მაგრამ თუ ადამიანს გაჩნდა მსოფლმხედველობა, არ შეიძლება ეს მსოფლმხედველობა არ გამჟღავნდეს მის ნაწერებში...

დიდი ხნის განმავლობაში და ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდში ცივად მხედებოდნენ პრესასა და რადიოში... სოლიდარული დანიური გაზეთები წლობით არ ბეჭდავდნენ ჩემს წიგნებს. გარდა „ლანდოგ ფოლკისა“ არც ერთი ბურჟუაზიული გაზეთი არ იხსენიებდა ჩემს ნაწარმოებებს...

არ შეიძლება ებრძოლო ბურჟუაზიულ საზოგადოებას, ძირს უთხრიდე მის საფუძვლებს და ამავე დროს სარგებლობდე მისი კეთილი განწყობილებით.

მე მადლიერი ვარ ჩემი მკითხველებისა, რომელთაც მაძიებულს მეწერა გასაგებად. ადამიანს არ შეუძლია ყველასათვის წეროს, მაგრამ უნდა წეროს ბევრისთვის. დანიური ენა — ზუსტი, მოხერხებული ენაა და დანიურად შეიძლება გამოხატო ყველა არსებული და ყველა ადამიანური გრძნობები. დანიურ ენას შესწევდა ძალა ოლიგნურგთა შეფუების დროს გაეძლია გერმანული ენის მოძლიერებისათვის საუკუნეების განმავლობაში. იგი შეძლებს ყუბადლებული „ნეოევროპული ერთობის“ დაძლევა-საც...

როცა ხელოვანი ცხოვრების მიმწუხარზე იღებს პრემიას, რომელიც ამავე დროს ფულად ღირებულებადაც შეიცავს, და თანაც საკმაოდ დიდ ღირებულებასაც, თითქმის იმდენს, რამდენსაც იღებს უურნალისტი ნახევარწელიწადში, მაშინ უურნალისტები გამოგვეცხადებინ და გვეკითხებიან: „შანიც რაში დახარჯავთ ამდენ ფულს?“ რამდენივე დღე ისინი არ მსხვენებდნენ ამგვარი შეკითხვებით.

ახლა, როცა ჩემი პრემია უკვე ჰიბეში მიდევს, მე ვხასუხოზ შთა: „ამ ფულს მივცემ იმ გაუნს, რომელიც 40 წლის განმავლობაში მაძლევდა უფლებას მეწერა ის, რაც მინდოდა. ამ ფულს ვაძლევ „ლანდოგ ფოლკს“ ნიშნად მადლობისა სიტყვის თავისუფლების მოცემისათვის იმ წლებში, როცა სხვა გაზეთები ჩემთვის დახურული იყო“.

**ინგლისი**

**ბაბრონის წერილები და დღიწიბები**

მიმდინარე წლის აპრილში შესრულდა ბაბრონის გარდაცვალების 150 წლის-თავი.



3360 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236